

# האנציקלופדיה

10

1958



ტვე იუო ქველობის  
ვარაზის კიდემდი,  
სადაც აღმართულა  
უნივერსიტეტი

ტვე იუო ქველობის,  
თურმე, დაბურული,  
სადაც შესვედრა გვაქვს  
ლიტერატურული.

რაც კი ტვეებია,  
რაც კი სასლებია, —  
მეირფას მშენებლობებს  
განუასლებია.

წინ, წინ, მეგობრებო —  
ტვე იუოს ქველობის, —  
აღუმართოთ ტვეები  
ასალ მშენებლობის.



ღიღებე ლენინურ კომქაევზიას!

# სსსრ

137

გამოცემის მეთორმეტი წელი

10

ოქტომბერი

1968

თბილისი



ლიტერატურულ-მხატვრული და  
საზოგადოებრივ-პოლიტიკური შურნალი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

# უინეარსი

3. გრიგოლ აბაშიძე. ჩვენი კომპაგზონი, ჩვენი უნივერსიტეტი!
4. როინ მებრძველი. სახელოვანი ორგოცდაათი წელი
18. მორის ფოცნიშვილი. სიუზილიუ კანტატა. ლექსი
23. ნოღარ დუშაბაძე. გზებრძოლობა, დღებრძოლობა!
24. კებრე შამათაშვა. ყველაზე ახალგაზრდა მეთაური
29. ნოღარ ჯალალთინა. ლექსები
31. ჯუშუბარ თითმებრბა. ოჯახი. ნარკვევი
39. ზურაბ ლორთქიშანიძე. თუ გინდა იყო სწორად მხედველი. ლექსი
40. ია მისხი. ჯარისკაცის დღა
43. ნუგზარ წერეთელი. შრომითა და ბრძოლით გოკოვებული სიყვარული
52. ომარ დონხაძე. ლექსები
54. ხვთისო არჩიშვილი. პირველი კომპაგზონი-ლი გავითები საქართველოში
62. ირსაე ჟღანტი. საქართველოს კომპაგზონი საკოლმეურნეო მოქარობის პერიოდში
69. ალექსანდრე კოკიაი. უმღებრინ სიზაბუბეს — სიცოცხლისა და სიყვარულის გაზაფხულს
75. ალექსი წიკლაური. უთოველო ჯამთარი. მოთხრობა

## ჩევი უნივერსიტეტი

112. ილია ვეკუა. საშვილოწვილო საქმე კეთებბა
114. აკაკი შანიძე. თბილისის უნივერსიტეტის დუარსბის ისტორიიდან
121. არნ. ჩიქოზაბა. თბილისის უნივერსიტეტი და ქართული სამეცნიერო აზროვნების აღმოჩინებბა
126. სიმონ ყაუხჩიშვილი. საქართველოს ისტორიის ბერძნული წყაროების ახალი ფონდი
129. უნივერსიტეტი და ლიტერატურული ახალგაზრდობა
133. სერგო ჯორჯიანი. ყველაზე მძიმე დღე ივანე ჯავახიშვილის ცხოვრებბაში
136. დიმიტრი ლოზაშანიძე. უცნოვი. მოთხრობა.
142. მანანა ავალიშვილი. ერთ დღეს. მოთხრობა
144. ბარსონ მაკულაისი. ხე, კლდე, დრუშბები. მოთხრობა. ინგლისურიდან თარგმნა ჯონდო მეტრეველმა
150. ნოღარ ლომოური. „ქართველი ერის ისტორია“ ჩვენი კალენდარი
153. ვავიში. მუხამბაზი ლონ ბატონიშვილზე, ერეკლეს ძმზე. აზერბაიჯანულიდან თარგმნა ზევა მელულაშვილმა.
155. ყოველი მხრიდან

მთავარი რედაქტორი  
ჯანსუღ ჩარკვიანი

სარედაქციო კოლეგია:

- გურამ ასათინი,
- აკაკი ბაქრაძე,
- გივი გეგეჭორი,
- გურამ გვერდწითელი,
- მერაბ ელიოწვილი,
- კარლო კალაძე,
- კონსტანტინე
- ლორთქიშანიძე,
- ოტიე პაპორი
- (მასუხისმგებელი მდივანი),
- ნუგზარ წერეთელი,
- ნოღარ წულეისკირი,
- ბარიელ მანტუკია,
- სერგი ვილიანი,
- თამაზ ვილიანი,
- ლუბა ჯანაშია.

## ჩვენი კომკავშირი, ჩვენი უნივერსიტეტი!

თითქმის სიზმლოვურად არის, რომ ჩვენი უმსა-  
ნუნავე ახალგაზრდობის ორი დიდი დღესასწაუ-  
ლი ერთიმეორეს დაემთხვა. კომკავშირი და თბი-  
ლისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ერთიც და  
მეორეც ჩვენს ახალგაზრდობას ზრდის, შრომისა  
და ბრძოლისათვის ამზადებს და ცხოვრების დიდ  
გზაზე გამოსვლას უადვილებს.

ლენინური კომკავშირი ჩვენი ახალგაზრდობის  
ავანგარდია, იგი ჩვენს უნივერსიტეტს აქლემს თა-  
ვის ყველაზე მომზადებულ ნაწილს, კომკავშირ-  
ლები უნივერსიტეტში არიან სანიშნოები სწავ-  
ლასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

ჩვენს ახალგაზრდა მიცნიერთა შორის კომკავ-  
შირლები გამორჩევიან თავიანთი მიღწევებით  
მიცნიერების ყველა დარგში და შეაღწიეს მიგ-  
ციენი არიან ყველა პატრიოტულ თაოსნობაში.  
ჩვენი დიდი წინაპრების ილია ჭავჭავაძისა და მი-  
სი თანამებრძოლებისათვის უნივერსიტეტის და-  
არსება მიუწვდომელი ოცნება იყო, დღეს ჩვენი  
უნივერსიტეტი უკვე ორმოცდაათი წლისაა. იგი  
თანამედროვე სამეცნიერო კერის ყველაზე მაღა-  
ლი მომთხოვნების დონეზე დგას და თავისი საკა-  
ბირო ფგლილი შეაქვს საბჭოთა მეცნიერების გან-  
ვითარების საქმეში.

უნივერსიტეტი მეცნიერთა ახალგაზრდა კადრ-  
ების სამშედლოა. კომკავშირი ჩვენი ახალგაზრ-  
დობის სული და გულია.

და, სულ მაღლა სვებოდეს ჩვენს საბაჟო  
ახალგაზრდობას მოწინავე მეცნიერების დროება,  
სულ წინ მიდიოდნენ და ახალ-ახალი გამარჯვება-  
ებით გვახარებდნენ ჩვენი ახალგაზრდობის სახე-  
ლოვანი აღმზრდელები — ჩვენი კომკავშირი,  
ჩვენი უნივერსიტეტი!





### როინ მუკაველი

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური  
კომიტეტის პირველი მდივანი

## სახელოვანი ოკუპაციით ნელი

ლენინური კომკავშირი მიმდინარე წელს აღნიშნავს თავისი არსებობის ორმოცდაათი წლის იუბილეს. ეს არის საბჭოთა ახალგაზრდობის ბრძოლისა და შრომის, გამირობისა და გამარჯვების ორმოცდაათი წელი. საამაყო, რომ დღეს, როცა გონების თვალთ გადავხედავთ ლენინური კომკავშირის ისტორიას, მის მიერ განვლილ გზას, დავინახავთ, რომ ყოველი დღე თუ საათი ჩვენი ახალგაზრდობის ცხოვრებისა აღსავსეა წარმატებებითა და მიღწევებით, ყოველი საქმე გამსჭვალულია მამათა და პაპათა, კომუნისტური პარტიისადმი ერთგულების ღრმა შეგნებით.

კომკავშირის მიერ განვლილი ორმოცდაათი წელი არის მძიმე გზა, დაწყებული პირველი ახალგაზრდული კავშირების შექმნიდან და დამთავრებული დღევანდელი დამკერტლური კომკავშირული მშენებლობებით.

ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირი ჩამოყალიბდა იმ უალრესად მძიმე წლებში, როცა საბჭოთა

რესპუბლიკა სამოქალაქო ომისა და ინტერვენციის ცეცხლში იყო გახვეული. მაშინ პირველი კომკავშირელები საწევრო ბილეთებთან ერთად საბრძოლო შაშხანებსა და ვაზნებს იღებდნენ; მაშინ ახალგაზრდობის კავშირის უპირველესი მიზანი იყო საკუთარი მკერდით დაეცვა და განემტკიცებინა საბჭოთა ხელისუფლება. კომკავშირმა იმ ბოხოქარ წლებში სრულიად რუსეთის ახალგაზრდობის სამი მობილიზაცია ჩაატარა; მისი წარგზავნილები გამართული შეუპოვრობით იბრძოდნენ სამოქალაქო ომის ფრონტზე და თავიანთი თავდადებით კომკავშირს სამუდამო დიდება მოუპოვეს. ეს იყო ჯერ კიდევ ორმოცდახუთი წლის წინათ, როცა ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი ორგანიზებულად ყალიბდებოდა. 1918 წლის 29 ოქტომბერს პარტიის ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით მოწვეულ იქნა რუსეთის მუშა და გლეხი ახალგაზრდობის კავშირების პირველი ყრილობა, რომელმაც საფუძვე-

ლი ჩაუყარა პროლეტარული ახალგაზრდობის მოწინავე რაზმს — კომკავშირს. ჩვენი პარტია განუხრელად იდგა ახალგაზრდობის კომუნისტური მოძრაობის სათავეებთან. მან ჯერონად შეაფასა ახალგაზრდობის საუკეთესო თვისებები: გამბედაობა, სიახლეთა შეთვისების სურვილი, დაუოკებელი სწრაფვა გამარჯვებისადმი. ვლადიმერ ილიას ძე ლენინი მთელი ხმით, იმედიანად აცხადებდა: „ჩვენი შვილები უკეთ იბრძოლებენ და გაიმარჯვებენ“.

მოწინავე, კომუნისტურად მოაზროვნე ახალგაზრდობამ გაერთიანებამდე გავლელ შრომისა და ბრძოლის დიდი გზა. მძიმე და უსიხარულო ცხოვრება, უუფლებობა და სიბეჩავე იყო მილიონობით ჭაბუკისა და ქალიშვილის ცხოვრების თანამგზავრი მეფის ხელისუფლების დროს. მცირეწლოვანთა შრომის დაუნდობელი ექსპლოატაცია მოზარდი ახალგაზრდობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე მომაკვდინებელ, გავლენას ახდენდა.

აი, სიტყვები ეკატერინოსლაველი მუშების დეპუტატის გ. ი. პეტროვისკისა, რომელიც სახელმწიფო სათათბიროში გამოდიოდა ბოლშევიკების სახელით:

„დავიწყებ ქარხნებიდან, სადაც ბავშვებს ქვაბების გამოწმენდაზე აძუშავენ. მერე და როგორ პირობებში უხდებთ მათ შრომა? — ქვაბებში, რომლებშიც მუშაობის დროს ბავშვი ზის და მონადულს ამტვრევს, სულთამხუთავი ვიწრობა... ბავშვების ფერმიხდილ, გაცრეცილ სახეზე დაინახავთ განათუნდაც ოდნავ სიწითლეს, — შეამჩნევთ კი რაიმე ნიშანწყალს? ბავშვები ძალიან ხშირად იხუთებიან სასიკვდილოდ, მაგრამ დღემდე ზომების მიღებას არავინ ფიქრობს, რათა თავიდან ავიცილოთ ბავშვების დაღუპვა“.

აი, კიდევ ერთი ნაწილი გაზეთ „პრავდაში“ გამოქვეყნებული კორესპონდენციიდან:

„დილის 5 საათზე, როცა მუშაობას იწყებს ახალი ცვლა (ლაპარაკია კრივიორიგელ მადნის მაძიებლებსა და

მომპოვებლებზე), მალაროს წინ შესასვლელთან დაინახავთ 8-9 წლის ბავშვებსაც კი. 13 საათი განუწყვეტელი მუშაობა საშინელ დაღს ასვამს ბავშვის ორგანიზმს. მალაროებში მომუშავე მოზარდთა შორის 80 პროცენტი ავადმყოფია“.

სიღუბლირე და უუფლებობა მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ ამხედრებდა ახალგაზრდობას, იზრდებოდა ბრძოლის სურვილი, ღვივდებოდა რევოლუციური განწყობილება.

ცხოვრების აუტანელი პირობები და უუფლებობა უზიდავდა ახალგაზრდობას ექსპლოატატორთა წინააღმდეგ საბრძოლველად. მშრომელი ხალხის ძლიერი მტრის დამარცხებისათვის გაერთიანება იყო საჭირო. მოახლოებულ რევოლუციურ მოძრაობაში ახალგაზრდობასაც უნდა ეთქვა თავისი სიტყვა. ამიტომ იყო, რომ ბოლშევიკების პარტია და მისი ბელადი ვ. ი. ლენინი უდიდეს ყურადღებას აქცევდნენ რევოლუციაში ახალგაზრდობის მონაწილეობის საკითხს. სწორედ ამიტომ ისახებოდა ახალგაზრდობის დამოუკიდებელი, ნამდვილად სისხლხორცეულად კომუნისტური ორგანიზაციების შექმნის აუცილებლობა. ვ. ი. ლენინმა 1905 წლის რევოლუციის წინ განსაკუთრებით გაუსვა ხაზი იმას, რომ საჭირო იყო ახალგაზრდობის მოუტიდებელი ფართო მოზიდვა.

ვ. ი. ლენინის მითითებამ ახალგაზრდობის ორგანიზაციების შექმნის აუცილებლობის შესახებ თავისი ნაყოფი გამოიღო: ბოლშევიკური კომიტეტების ხელმძღვანელობითა და დახმარებით ზედღიზე შეიქმნა ახალგაზრდობის რევოლუციური ორგანიზაციები რუსეთის მსხვილ სამრეწველო ცენტრებში უკრაინასა, ამიერკავკასიასა და მთელი რიგ სხვა ოლქებში.

ახალგაზრდობისადმი ბოლშევიკური პარტიის ღრმა რწმენის მკაფიო გამოხა-

**როინ მებრეველი**  
სახელოვანი 50 წელი





ტულუბა ვ. ი. ლენინის რწმენით აღსავსე სიტყვები:

„საჭიროა ახალგაზრდა ძალები... საჭიროა მხოლოდ უფრო ფართოდ და გაბედულად, უფრო გაბედულად და ფართოდ, ერთხელ კიდევ უფრო ფართოდ და ერთხელ კიდევ უფრო გაბედულად მოვიზიდოთ ახალგაზრდობა, არ შეგვეშინდეს მისი. ომიანობის დროა ახლა, ახალგაზრდობა გადაწყვეტს მთელი ბრძოლის ბედს“.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში იწყებენ ახალგაზრდა მუშები არალეგალურ წრეებში მონაწილეობას, მუშათა მოძრაობის აღმავლობის შესაბამისად ახალგაზრდობის ფართო მასების მოძრაობაც ძლიერდებოდა. განსაკუთრებით აქტიურობენ გლეხი ახალგაზრდები, მოსწავლეები და სტუდენტები. 1904-1906 წლებში რუსეთის მთელ რიგ მაზრებში ადგილი ჰქონდა ახალგაზრდობის შეიარაღებულ გამოსვლებს.

რევოლუციურ მოვლენათა მსვლელობაში პროლეტარულ ახალგაზრდობას შორის მწიფდება გაერთიანების საკითხი. ბოლშევიკური პარტია, იწონებდა რა ახალგაზრდობის ამ მისწრაფებას, ყოველმხრივ დახმარებას უწევდა მას ორგანიზებულად, კავშირებად ჩამოყალიბებაში. ახალგაზრდობის პოლიტიკური აღზრდის საკითხებს დიდ ადგილს უთმობდა ვაზეთი „პრადა“.

თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ფართო გზა მიეცა ახალგაზრდობის რევოლუციურ მოძრაობას, რასაც მოჰყვა ახალგაზრდობის პირველი სოციალისტური კავშირების ჩამოყალიბება. ორგანიზაციები იქმნება პეტროგრადში, მოსკოვში, ტულაში, სარატოვსა და სხვა ქალაქებში.

ახალგაზრდობის კომუნისტური მოძრაობის ისტორიაში უდიდესი როლი შეასრულა რსდმპ (ბ) მეექვსე ყრილობამ, რომელზედაც სპეციალურად იქნა განხილული ახალგაზრდობის კავშირების საკითხი და მიღებულ იქნა რეზო-

ლუცია ახალგაზრდობის სოციალისტური დამოუკიდებელი მასობრივი კავშირების შექმნის შესახებ. ყრილობის შემდეგ ახალგაზრდობის მოძრაობა ახალი ძალით გაიშალა. ახალგაზრდობის კავშირები მტკიცდებოდნენ და ამრავლებდნენ თავიანთ რიგებს.

სწორედ პარტიის VI ყრილობის შემდეგ დაიწყო მშრომელი ახალგაზრდობის რევოლუციური ორგანიზაციების მასობრივი შექმნა რუსეთის იმპერიის თითქმის ყველა კუთხეში. ახალგაზრდობა ამაჯარად გრძნობდა მოახლოებულ ქარიშხალს და ემზადებოდა მუშათა კლასის და მთელი მშრომელების საერთო მტრის ექსპლოატატორული კლასების წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისათვის. მჭიდროდ ირახმება ბოლშევიკური პარტიის გარშემო.

რევოლუციური კომუნისტური ახალგაზრდობა, რომელიც გრძნობდა რევოლუციური ქარიშხლის მოახლოებას, მტკიცედ ირახმებოდა რსდმპ (ბ) გარშემო. მართლაც, ოქტომბრის რევოლუციის მიმე დღეებში ახალგაზრდებმა არ დაიშურეს ძალა და ენერგია და თავიანთ მამებთან, დედებთან, დებსა და ძმებთან ერთად იარაღით ხელში იბრძოდნენ ცარიზმის დასამხობად.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღეებშივე ახალგაზრდობამ მიიღო პოლიტიკური და სოციალისტური უფლებები, მას საშუალება მიეცა, ესწავლა და ემუშავა. ახალგაზრდობამ შეიქმნა საკუთარი ძალა, დარწმუნდა თავის თავში. ამიერიდან ხომ იგი იყო ქვეყნის ბატონ-პატრონი.

მეტად რთულსა და მძიმე პირობებში 1918 წლის 29 ოქტომბერს მუშა და გლეხი ახალგაზრდობის სრულიად რუსეთის პირველმა ყრილობამ გამოაცხადა ახალგაზრდული მოძრაობის ძირითადი ამოცანები, რომელშიც ხაზგასმული იყო, რომ ახალგაზრდობის კავშირი მიზნად ისახავს მარქსისტული, კომუნისტური იდეების გავრცელებას და მუშა და გლეხი ახალგაზრდობის ჩამ-

მას საბჭოთა რუსეთის აქტიურ მშენებლობაში. იგი წარმოადგენს დამოუკიდებელ ორგანიზაციას, რომელიც პარტიის ხელმძღვანელობით მუშაობს და მას ეწოდება — რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი. აქედან მოყოლებული ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი იქცა საბჭოთა ქვეყნის ჭაბუკებისა და ქალიშვილების ავანგარდად, რომლის საშუალებითაც ბოლშევიკური პარტია წარმართავდა ახალგაზრდობის კომუნისმის სულისკვეთებით აღზრდას.

ჩვენს ქვეყანაში მშრომელი მასების წარმატებებით აღფრთოებულმა მტერმა მოამზადა ბარბაროსული თავდასხმა, რომელიც დიდი დაბრკოლება იყო ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყნისათვის. ამ მიმე დღეებში კომკავშირმა დაამტკიცა თავისი ძლიერება და ერთგულება კომუნისტური პარტიის იდეებისადმი. სამოქალაქო ომის დღეებში ნათელი გახდა, რომ მოდიოდა დიდი სულიერი მისწრაფებების, ახალი მორალის, უდიდესი ენერჯის მქონე ახალგაზრდობა.

კომკავშირმა ბრწყინვალედ ჩააბარა პირველი საბრძოლო ნათლობა და მის მკერდზე აკიაფდა პირველი დიდი ჯილდო — წითელი ვარსკვლავის ორდენი. უკვე ყველასათვის ნათელი გახდა, რომ მოდიოდა ახალი მორალური თვისებების, მაღალი მისწრაფებებისა და დიდი მიზნების მქონე ახალგაზრდობა.

სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ მეტად მწვევე მდგომარეობა დადგა. ქვეყნად მძინვარებდა შიმშილი, არ იყო სათბობი, პირველი მოხმარების სავანები, არ მუშაობდნენ დანგრეული ფაბრიკები და ქარხნები, გადაგვარების პირამდე იყო მისული სოფლის მეურნეობა. კომუნისტებთან ერთად კომკავშირლები წავიდნენ განადგურებული სახალხო მეურნეობის აღსადგენად. ჭაბუკები და ქალიშვილები შრომობდნენ ყველა უბანზე, ამავე დროს ეუფლებოდნენ ცოდნას საქარხნო-საფაბრიკო სკოლებში, იძენდნენ

სპეციალობას და დაუყოვნებლივ მიქმართებოდნენ მშენებლობებზე, ქარხნებში, მაღაროებში. ქვეყანას ჭირდებოდა მძლავრი ინდუსტრია, მექანიზირებული სოფლის მეურნეობა და კომკავშირიც მთელ თავის ძალებს მიმართავდა დიდი ლენინის მიერ შემუშავებული მშენებლობის დიდმნიშვნელოვანი გეგმების განსახორციელებლად.

რუსეთის ახალგაზრდობას ამ დღეებში თანაგრძობას უტყვადებდა საქართველოს მოწინავე ახალგაზრდობა, საერთოდ ამიერკავკასიასა და კერძოდ საქართველოში ყალიბდებოდნენ და იწრთობოდნენ ახალგაზრდობის რევოლუციური ორგანიზაციები, რომლებიც მიზნად ისახავდნენ ახალგაზრდობის პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით აღზრდას. 1917 წლის აგვისტოში პარტიის თბილისის კომიტეტის უშუალო მითითებითა და ხელმძღვანელობით შეიქმნა ე. წ. „საინიციატივო ჯგუფი“, რომელსაც დავებდა თბილისის რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდობის საერთო კრების მოწვევა და ორგანიზაციულად გაფორმება.

კრებამ, რომელიც 1917 წლის 3 სექტემბერს ჩატარდა, დაარსებულდ გამოაცხადა საქართველოს „ახალგაზრდა სოციალისტ-ინტერნაციონალისტთა ორგანიზაცია „სპარტაკი“. ეს იყო საქართველოში კომკავშირის პირველი სერიოზული ჩანასახი. პარტიული კომიტეტების დახმარებით ახალგაზრდობის მძლავრი რევოლუციური ორგანიზაციები შეიქმნა ქუთაისში, აბაშაში, ხონში, ოზურგეთში, ლეჩხუმსა და სხვაგან.

დასავლეთ საქართველოს პროგრესული ახალგაზრდობა 1918 წლის 26 მაისს ატარებს კონფერენციას, რომელმაც მთელ რიგ მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად გადაწყვიტა, რომ სახელწოდება „ახალგაზრდა სოციალისტ-ინტერნაციონალისტთა ორგანიზაცია

**როინ მხარაველი**  
სახელოვანი 50 წელი



„სპარტაკი“ შეეცვალათ „ახალგაზრდა კომუნისტთა ორგანიზაცია „სპარტაკი“-თ.

ქუთაისის საფუბერნო ბუირომ კონფერენციის გადაწყვეტილებების საფუძველზე შეიმუშავა ორგანიზაციის ახალი წესდება, ხოლო 23 დეკემბერს გამოსცა საკუთარი ბეჭდვითი ორგანო — გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“, რომელიც ხელისუფლებამ მეხუთე ნომრის შემდეგ აკრძალა.

ახალგაზრდულ მოძრაობაში უდიდესი მოვლენა იყო 1919 წლის 31 მარტს ქალაქ თბილისში ჩატარებული „სპარტაკის“ ორგანიზაციის კონფერენცია, რომელმაც გააერთიანა მანამდე დაქსაქსული ორგანიზაციები და უწოდა მას „ახალგაზრდა კომუნისტების“ ორგანიზაცია „სპარტაკი“.

ჩვენი ორგანიზაცია — ნათქვამი იყო კონფერენციის დელეგატების მიერ მიღებულ დეკლარაციაში — მთელი მსოფლიოს ამგვარ ორგანიზაციებთან ერთად, გამოდის აშკარა კლასური ბრძოლის ლოზუნგით და ლებულობს რა აქტიურ მონაწილეობას იმპერიალიზმის განადგურებაში, მიისწრაფის ბრწყინვალე მომავლისაკენ, ახალი ქვეყნის — კომუნისმისაკენ“. დეკლარაცია ნათლად გვიჩვენებს ახალგაზრდობის გათვითცნობიერებასა და რევოლუციურ მრწამსზე.

კონფერენციამ აირჩია ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის თბილისის კომიტეტი ბორის ძნელაძის მეთაურობით. თბილისის პირველი საერთო საქალაქო კონფერენცია უდიდესი მოვლენა იყო ქართველი ახალგაზრდების ცხოვრებაში. სწორედ ამ კონფერენციის შემდეგ ჩაეყარა საფუძველი საქართველოში ახალგაზრდათა კომუნისტურ კავშირს.

საქართველოს კომკავშირი უკვე პარტიის ძლიერ რაზმს წარმოადგენდა. საქართველოს კომკავშირის საბოლოო გაფორმების თარიღად სწორედ 1919 წლის აპრილი ითვლება. ამ დროისათვის როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავ-

ლეთ საქართველოში ორგანიზაციულად გაფორმებული იყო საქართველოს ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი. საქართველოს კომკავშირის დაარსება კომუნისტური პარტიის დახმარების შედეგი იყო. ახალგაზრდობას მხარში ედგნენ და ეხმარებოდნენ პარტიის გამოჩენილი მოღვაწეები: სერგო ორჯონიკიძე, სერგეი კიროვი, მიხა ცხაკაია, ანასტას მიქოიანი და სხვები.

განა შეიძლება დაივიწყოს ჩვენმა ახალგაზრდობამ იმ ადამიანთა სახელები, რომლებმაც მთელი თავიანთი ძალა და ენერგია მოახმარეს კომკავშირის შექმნის დიდ საქმეს, დაამტკიცეს რა უსაზღვრო ერთგულება მუშათა კლასის საქმისადმი, ლენინიზმის იდეისადმი. ბორის ძნელაძე — ახალგაზრდობის ხელმძღვანელი, შესანიშნავი ბოლშევიკი, კომკავშირის დამაარსებელი; გაიოზ დედუარიანი, დავით კაჭარავა, იაშა ოქუევი, ამასი ამირბეგოვი — აი ადამიანები, რომლებმაც თავიანთი უდიდესი წვლილი შეიტანეს საქართველოს კომკავშირის შექმნის საქმეში.

კომკავშირის ისტორიაში ოქროს ასოებით არის ჩაწერილი მისი მესამე ყრილობა, რომელიც 1920 წელს შედგა. ეს იყო სამოქალაქო ომის ქარცეცხლგამოვლილი კომკავშირელების პირველი შეხვედრა. აქ ახალგაზრდებმა თავიანთ წინაშე იხილეს რევოლუციის დიდი ბელადი ვლადიმერ ილიას ძე ლენინი და მოძმინეს მისი ისტორიული გამოცხვლა, რომელსაც ფასდაუდებელი მნიშვნელობა ჰქონდა კომკავშირის მთელი საქმიანობისათვის. ეს სიტყვა ისტორიაში შევიდა როგორც პარტისიზმ-ლენინიზმის შესანიშნავი საპროგრამო დოკუმენტი მომავალი თაობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის საქმეში. სიტყვაში ნათელი და ამომწურავი პასუხი გაეცა ახალგაზრდობის კომუნისტური მოძრაობის მთავარ საკითხებს.

ვ. ი. ლენინმა განსაზღვრა კომკავშირის როლი და ადგილი საბჭოთა საზო-

გადობაში, დაახუსტა მისი მიზნები და ამოცანები, შინაარსი და მუშაობის მეთოდები, უწოდა მას კომუნისტური პარტიის ერთგული თანამემყე და რეზერვი. პროლეტარიატის დიდმა ბელადმა ახალგაზრდობას დაუსახა კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის, განუახლვრელი ცოდნის შექენის, მეცნიერების საფუძვლების დაუფლების ამოცანები: „კომუნისტი მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს, როცა შენს მეზობლებს ვაამიდრებ ყველა იმ სიმდიდრის ცოდნით, რაც კაცობრიობას შეუძლესა“ — აი ბელადის გენიალური მითითება, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ახალგაზრდობის კომუნისტური სტრუქტურებით აღზრდაში. ვ. ი. ლენინის მითითებები ღრმად ჩასწვდა ახალგაზრდობის გულსა და გონებას, იქცა მისთვის გზის მანათობელ შუქურად. კომუნისტურმა პარტიამ ფართო გეგმებით, შეუზღუდავი ინიციატივითა და მამაცი ჩანადრებით შეაიარაღა კომკავშირი, რომლის წინაშე მთელი სიდიადით გადაიშალა შემოქმედებითი ძიებითა და მიღწევებით აღსავსე მომავალი.

ახალგაზრდობა სამოქალაქო ომის დამთავრებისთანავე შეუდგა უდიდესი სამუშაოების წარმოებას, რადგან გაპარტახებულ ქვეყანასა და დანგრეულ სახალხო მეურნეობას აღდგენა ესაჭიროებოდა, ამავე დროს მისი გზები შეერთდნენ პირველი ხუთწლედების ობიექტებზე. პირველი ინდუსტრიული პირამიდების მშენებლობაზე კომკავშირმა 350 ათასზე მეტი ახალგაზრდა გაგზავნა. ახალგაზრდები აშენებდნენ კომსომოლსკს ამურზე, მაგნიტკას, კუზბასს, დნეპრის ჰიდროელექტროსადგურს, დიდ ქარხნებს, კომბინატებს, რკინიგზებსა და არხებს. ამასთან ერთად ისინი თავდადებით იბრძოდნენ ჩვენს ქვეყანაში კულტურული რევოლუციის ლენინური გეგმის განხორციელებისათვის.

კომკავშირელები გამოდიოდნენ სოფლად პარტიის ხაზის გამტარებლად, ეწეოდნენ პროპაგანდას გლეხობას შო-

რის, ამტკიცებდნენ კოლექტიური შრომის უპირატესობასა და ნაყოფიერებას. 1929 წლის შუა რიცხვებისათვის კოლმეურნეობების 93% -ს სოფლის კომკავშირელები შეადგენდნენ. 1930-1934 წლებში კომკავშირმა კოლმეურნეობებში მოანგარიშებულად გაგზავნა 20 ათასი, აღმრიცხველად კი — 100 ათასი ქალიშვილი და ჭაბუკი, შრომასა და სწავლაში ვაჟკაცდებოდა, იზრდებოდა საბჭოთა ახალგაზრდობა, რომელიც მთელი შესაძლებლობით და გულმოდგინედ იბრძოდა სოციალიზმის საფუძვლების განმტკიცებისათვის.

ახალგაზრდობის საუკეთესო თავიანთი ზოგილი სიცხადით გამოვლინდა დიდი სამამულო ომის მრისხანე დღეებში, როცა ახალგაზრდობამ მსოფლიოს უჩვენა გმირობისა და სამშობლოს ერთგულების, დაბრკოლებათა დამტყვევების უბადლო მაგალითი. ისტორიას არ ახსოვს ისეთი მასობრივი მამაცობა და თავგანწირულობა, როგორც გამოიჩინეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვრის დამცველმა საბჭოთა ხალხმა და მისმა საამაყო მომავალმა თაობამ. ზოია კოსმოდე-მიანსკაია და ზოია რუხაძე, ნიკოლოზ ვასტელი და შოთა გამყემლიძე, ალექსანდრე მატროსოვი და ერონის ინაური, ოლეგ კოშევი და მეხტი ჰუსეინ-ზადე, ლიზა ჩაიკინა და ნელსონ სტეპანიანი — მარტო ამ სახელების ჩამოთვლა რად ღირს, რომ თვალწინ წარმოგვიდგეს ვერაგი მტრის წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლის მიმე ებიზოდები, ის უდიდესი თავგანწირვა სამშობლოსადმი ასეთი არნახული სიძლიერით რომ იყო მოცემული ამ ახალგაზრდებში. მათ მომავლის ბედნიერებასა და საყვარელი სამშობლოს თავისუფლებას საკუთარი სიცოცხლე შესწირეს. ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირი ყველასათვის იქცა შედუღებულ, მონოლითურ კოლექტივად, რომელმაც გაუძლო უმკაცრეს გამოცდას.

**როინ მარტაველი**  
სახელოვანი 50 წელი



დამანგრეველი ომისაგან მიყენებულ მატერიალური ზარალის აღდგენისათვის ბრძოლაშიც პირველი იყო ლენინური კომკავშირი. მან მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად შეძლო გაპარტახებული რაიონებისა და ქალაქების აღდგენა, მძიმე ტრილობების მოშუშება და უზარმაზარი აღდგენითი სამუშაოების გვერდით მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის მძლავრი საფუძვლის შექმნა.

კომკავშირის გამოწორობასა და გაძლიერებაში განსაკუთრებული როლი შეასრულა ბოლო წლებში. ამ წლებში ახალგაზრდობამ შეიძინა ახალი, მაცოცხლებელი ენერჯია, გაიზარდა მისი როლი ქვეყნის კულტურულ-სამეურნეო მშენებლობასა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამ განვითარების ვადამწყვეტ ფაქტორად იქცა კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების და XXIII ყრილობის გადაწყვეტილებანი; ამ პერიოდისათვის მთავარია ახალგაზრდობის ლენინური კავშირის თვალახინო მოღვაწეობა სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ფრონტზე. ჭაბუკები და ქალიშვილები თავდადებით იბრძოდნენ პარტიის მიერ დასახული ამოცანების პრაქტიკული განხორციელებისათვის, ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის ახალი აღმავლობისათვის.

კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1954 წლის თებერვლისა და მარტის პლენუმების შემდეგ დაიწყო შტურში ყამირი და ნასვენ მიწების ასათვისებლად. 1954-1956 წლებში კომკავშირული საგზურებით ყამირი მიწების რაიონებში დასახლდა 350 ათასზე მეტი ქალიშვილი და ჭაბუკი. ყველა დროისა და ხალხების ისტორიაში ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ასეთ უმოკლეს დროში ასეთლ ათასობით მოხალისეს ყოველგვარ პირად ინტერესებზე მაღლა დაეყენებინა საზოგადოების ინტერესები და წასულიყო დაუსახლებელ, უკაცრიელ ადგილებში.

ახალგაზრდობის უანგარო გულადგინების შედეგად 4 წლის განმავლობაში ათვისებულ იქნა 36 მილიონი ჰექტარი ყამირი მიწა, მთლიანად კი 42 მილიონი. ახალგაზრდობის ენთუზიაზმმა და გამარჯვებისაკენ სწრაფვამ გაუვალ მიწებზე ახალი კომუნისტური სიცოცხლე დაამკვიდრა. ჩვენმა ახალგაზრდებმა ბრწყინვალედ შეასრულეს პარტიის ეს საპასუხისმგებლო გამოცდა და თავიანთი შრომისა და ბრძოლის უნარიანობის გამოცდა ჩააბარეს. ათეული მილიონობით ჰექტარი გატეხილი ყამირი თავისთავად მეტყველებს ახალგაზრდობის შრომის ბარაქაზე.

1956 წლის მისში კომუნისტურმა პარტიამ მოწოდებით მიმართა კომკავშირლებსა და ახალგაზრდებს წარევხანათ ჩვენი ქვეყნის სამხრეთ და აღმოსავლეთ რაიონებში 400-500 ათასი წარმომადგენელი, რათა აეშენებინათ იქ ახალი ქალაქები, დასახლებული ადგილები, ქარხნები, ფაბრიკები, მაღაროები. ისევე როგორც ყამირ მიწებზე სალაშქროდ წასვლას, ამ მოწოდებასაც დაუყოვნებლივ გამოეხმაურნენ ჩვენი მოწინავე ჭაბუკები და ქალიშვილები. — კომკავშირის კომიტეტებში 1 მილიონი ვანცხადება შევიდა.

ახალგაზრდობის კომუნისტურმა კავშირმა გაამართლა ვ. ი. ლენინის ანდერძი, რომ იგი ყოფილიყო დამკვირვლი ჯგუფი, ყოველგვარ მუშაობაში დამხმარე, საკუთარი ინიციატივისა და ახალწამოწყებათა მოთავე. იგი გამოვიდა ფართო საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე წამოწყებებით, როგორც იყო, მაგალითად, სოციალისტური შეჯიბრების უმაღლესი ფორმის — კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და კომუნისტური შრომის დამკვირვლების მოძრაობა. ზოგიერთ კოლექტივში დაწყებული შეჯიბრება უკვე იქცა ნამდვილად მასობრივ, საერთო სახალხო საქმედ, რომელშიც ამჟამად მილიონობით მშრომელი მონაწილეობს, მათგან ნახევარი ახალგაზრდობაა.

საკავშირო კომკავშირის XV ყრილობა-



ზე ახალგაზრდებმა ახალი შრომითი ვალდებულებები აიღეს. პარტიის ახალმა გრანდიოზულმა გეგმებმა ახალგაზრდობის ენერჯის, ენთუზიაზმის, ინიციატივისა და ნოვატორობის ახალი მომძლავრება გამოიწვია. კომკავშირელებმა გაბედულად დაამსხვრიეს შრომის მოძველებული ნორმები და მეთოდები; მათ მუშაობაში ცენტრალური ადგილი დაიკავა შრომის ნაყოფიერების აღმავლობის განუხრელად ზრდამ. დღიური დაუაღების წარმატებით შესრულება, აქტიური მონაწილეობა მოწყობილობათა მოდერნიზაციაში, ავტომატიზაციისა და მექანიზაციაში, ბრძოლა რიტმულობისა და წარმოების კულტურისათვის, მსოფლიოში საუკეთესო ზარისხის პროდუქციისათვის, მომიჯნავე პროფესიათა ათვისებისათვის, ახალგაზრდა მუშების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის მტკიცედ დამკვიდრდა კომკავშირის კომიტეტების ყოველდღიურ პრაქტიკაში.

სერიოზულ წარმატებებს მიაღწიეს სოფლის კომკავშირელებმა და ახალგაზრდებმაც. კომკავშირის XV ყრილობის შემდეგ მეცხოველეობაში საშუალოდ მოვიდა ასობით ჭაბუკი და ქალიშვილი, შეიქმნა ათასობით კომკავშირულ-ახალგაზრდული ფერმა და ბრიგადა.

სახალხო მეურნეობასა და საყოველთაო შრომაში სოფლისა და ქალაქის ახალგაზრდობის მონაწილეობამ შესანიშნავი შედეგი გამოიღო. სწორედ შრომაში გამოიწროთ ახალგაზრდა ადამიანების საუკეთესო თვისებები — საზოგადოებრივი აქტივობა, მამაცობა, რწმენა, ყოველგვარი ჩამორჩენისა და დარღვევისადმი შეურიგებლობა. გაფართოვდა შრომითი მიღწევებისა და წარმატების საზღვრები, ახლა ცხოვრებაში მტკიცედ დამკვიდრდა ისეთი ახლებური ტერმინები, როგორცაა კომკავშირულ-დამკვირვებელი მშენებლობა, კომკავშირული საამქრო, ფერმა, სიმი-ნდისა თუ ჩაის ჰექტარები. კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადები, კომ-

კავშირული გავლენის ზონები და სხვა ახლა არც ერთი მსხვილი ობიექტი არ შენდება კომკავშირის მონაწილეობის გარეშე. ახალგაზრდობა იპყრობს ანგარასა და ენისის, უდაბნოსა და მშვიერ ველს, აშენებს ატომურ ელექტროსადგურებს. სინთეზური კაუჩუკის საწარმოებს, ცვლის და აფართოვებს სამშობლოს გეოგრაფიას.

უდავოდ საინტერესოა ახალ მშენებლობებზე კომკავშირის შეფობის საქმე. 1958 წლის დასაწყისში სულ 7 საკავშირო კომკავშირულ-დამკვირვებელი მშენებლობა იყო. 1958 წლისათვის გახდა 100, 1961 წელს კომკავშირი უკვე შეფობს 160 მსხვილ საწარმოო ობიექტს. 1968 წელს კი — 300-დეა. პარტიის მითითების თანახმად ამ წლებში კომკავშირული ორგანიზაციების შრომითი და პოლიტიკური საქმიანობაც ერთ უპირველეს მიზანს — კომუნისტური სულისკვეთებით ახალი ადამიანის აღზრდას ემორჩილებოდა.

კომკავშირი ახალგაზრდობას ზრდის პარტიისა და ხალხის რევოლუციურ საბრძოლო და შრომით ტრადიციებზე სოციალისტური სამშობლოს უანგარო სიყვარულით, პროლეტარული სოლიდარობისა და ინტერნაციონალიზმის გრძნობით კომუნისტების მომავალი შემოქმედების აღზრდა მაღალ და ეფექტურ შედეგებს იძლევა. ამ მიზნისაკენაა მიმართული პოლიტიკური სწავლების ყველა ფორმა და მეთოდი, რომლებიც დღევანდელ პირობებში უხვად მოეპოვება კომკავშირს.

საყოველთაო სწავლისა და განათლებისათვის კომკავშირის მიერ რევოლუციის გარიჟრაჟზე დაწყებულმა ბრძოლამ დიდებული ნაყოფი გამოიღო. 20-იან წლებში იგი იბრძოდა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის. 30-იან წლებში ეხმარებოდა დაწყებითი განათლების მიღების მსურველებს, 40-იან წლებში იბრძოდა საყოველთაო შეიღწიანი განათლებისა-

**როინ მებრეველი**  
სახელოვანი 50 წელი

თვის. ამჟამად ახალგაზრდობის უდიდესი ნაწილი საშუალო და უმაღლესი განათლებითაა. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ კონკრეტული ციფრები. თუ 1949 წელს ყოველ მეშვიდე კომკავშირელს ჰქონდა საშუალო და უმაღლესი განათლება, 1954 წელს აქვს ყოველ მეხუთეს, 1967 წელს კი — ყოველ მეორე კომკავშირელს. 1959 წლის ბოლოსათვის კომკავშირის რიგებში იმყოფებოდა 800 ათასზე მეტი ინჟინერი და სოფლის მეურნეობის სპეციალისტი — ეს კი 1947 წლის დონესთან შედარებით 19-ჯერ მეტია. ახლა დასახულია ცოდნის მაღალი დონის მიღწევის მიზანი — საშუალო განათლების გარეშე არ დარჩეს არც ერთი ახალგაზრდა. განათლებისათვის კომკავშირის საკავშირო ლაშქრობის შედეგად უკვე 1966-1967 სასწავლო წელს მუშა და სოფლის ახალგაზრდობის საღამოსა და დაუსწრებელი სწავლების სკოლებში სწავლობდა 2,3 მილიონი ახალგაზრდა, რაც წინა სასწავლო წელთან შედარებით 402 ათასით მეტია, 1962-1963 სასწავლო წელს მუშა ახალგაზრდობისა და სოფლის ახალგაზრდობის მოზრდილთა სკოლებში 3,9 მილიონი მოსწავლე ითვლებოდა; ხოლო 1,6 მილიონი ახალგაზრდა წარმოებისაგან მოუწყვეტივ ეუფლებოდა ცოდნას უმაღლეს სასწავლებლებში.

ამჟამად ეს ციფრი თითქმის გაორკეცებულია.

ახალგაზრდობა უდიდესი ინტერესით მონაწილეობს კულტურულ-საგანმანათლებლო და სპორტული ორგანიზაციების მუშაობაში. უკანასკნელ წლებში მათი აქტიური მონაწილეობით საბჭოთა კავშირში 12 ათასი კლუბი აშენდა, 16 ათასი კინო დანადგარი დაიდგა. პროფკავშირულ და სპორტულ ორგანიზაციებთან ერთად მომზადდა 10 ათასი სპორტის ოსტატი, 2 მილიონზე მეტი საზოგადოებრივი ინსტრუქტორი და მსაჯი სპორტის სხვადასხვა სახეებში; ფიზკულტურელია 29 მილიონი კაბუკი და ქალიშვილი.

კომკავშირმა დიდი პოლიტიკური სამეურნეო საქმიანობა გაწავლა. 1962 წელს მის წიაღში ჩაისახა ახალი საინტერესო ინიციატივა — შექმნილიყო „კომკავშირული პროექტორის“ რაზმები, რომლებიც იბრძობებდნენ ყველა რეზერვის ამოძრავებისათვის, შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის, მისდამი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის, ჩამორჩენილობის, წუნის მკეთებლების, მეჭრთამეების, საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევებისა და უქნარების წინააღმდეგ. „კომკავშირული პროექტორების“ მუშაობა შესანიშნავად გაიშალა. უკვე დამტკიცდა მათი მუშაობის აუცილებლობა, სიცოცხლისუნარიანობა, საზოგადოების ინტერესებისათვის ბრძოლის მაღალი თვისებები.

ფართო გასაქანი ჰპოვა შტატგარეშე აქტივისა და შტატგარეშე კომისიების მუშაობამ. ფართო აქტივზე იმედიანი დაყრდნობით კომკავშირმა გარდაქმნა და გააფართოვა მრავალფეროვანი საქმიანობა.

ამჯერად ორმოცდაათი წლის კომკავშირი ხუთგზის ორდენოსანია. ახალგაზრდების ვეკაცობამ და გვირობამ კომკავშირი სამი ლენინის ორდენით, წითელი დროშის ორდენით და შრომის წითელი დროშის ორდენით დაამშვენა. საბჭოთა ახალგაზრდობა მზად არის ყოველთვის დაამტკიცოს თავისი ერთგულება ხალხის, ქვეყნისა და პარტიისადმი.

ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდობას ღრმად აქვს შეგნებული, რომ მას წილად ხვდა იყოს მშენებელი ახალი, ყველაზე სამართლიანი, ჰუმანური საზოგადოებისა. რომლის დროშაზე ამოკვეთილია: მშვიდობა, თავისუფლება, თანასწორობა, ხალხთა შორის ძმობა და მეგობრობა.

უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით გაიზარდა ჩვენი კაბუკებისა და ქალიშვილების პრაქტიკული მონაწილეობა კომუნისმის მშენებლობაში. ცხოვრებამ დაამტკიცა, რომ კომკავ-

შორის, ახალგაზრდობის მონაწილეობამ სამეურნეო საქმიანობაში დადებითი გავლენა მოახდინა აღმზრდელობით მუშაობაზე. დღითიდღე იზრდება ახალგაზრდობის როლი ფაბრიკა-ქარხნებში, მშენებლობებზე, ტრანსპორტზე. საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში. დღითიდღე ემატება მშრომელ ახალგაზრდობას ახალი ძალები, რომელთაც ნათლად აქვთ შეგნებულა თავისი მოვალეობა სამშობლოსა და ქვეყნის წინაშე.

კომკავშირული ორგანიზაციები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ახალგაზრდობის მონაწილეობა შრომით საქმიანობაში გადამწყვეტ ზემოქმედებას ახდენდეს მათ კომუნისტურ აღზრდაზე. რესპუბლიკის სოფლის ახალგაზრდობა ყოველწლიურად დიდ შრომით აღმავლობას აღწევს. კომკავშირული მესიმიწე, მეცხოველე, მევენახე ჭაბუკები და ქალიშვილები დღითიდღე იმაღლებენ ოსტატობას.

კომკავშირელები და ახალგაზრდები ღირსეულად განაგრძობენ წინა თაობათა სასახელო ტრადიციებს. ბევრ საწარმოში ახალბედა მუშებს შეფობას უწევენ შრომის ვეტერანები, რომლებიც ახალგაზრდებს ეხმარებიან პროფესიის უკეთ დაუფლებაში, კოლექტივის წინაშე დასმულ ამოცანათა გადაწყვეტისათვის საკუთარი როლის განსაზღვრაში. კომკავშირული ორგანიზაციების მიერ გამართული თაობათა შეხვედრები, კომუნისტური შრომის მოწინავეებისა და ნოვატორების გამოცვლები ახალგაზრდობის ფართო აუდიტორიის წინაშე. მათი გამოცდილების განზოგადება ხელს უწყობს შრომითი საქმიანობისადმი ახალგაზრდობის სიყვარულის განმტკიცებას.

გასულ წელს ჩვენი მუშა-ახალგაზრდობის ცხოვრება საინტერესო საქმეებით იყო აღსავსე. „მოფუშნადოთ იღბილეს პირადი შრომითი საჩუქარი“ — ამ დევიზით მუშაობდნენ კომკავშირული ორგანიზაციები. რესპუბლიკის ახალგაზრდობას შორის ფართოდ გაი-

შალა სოციალისტური შეჯიბრება. აღმზრდელობა ჰპოვა: თბილისის ს. ორჯონიძის სახელობის ქარხნის ახალგაზრდობის ინიციატივამ — „შევექმნათ ოქტომბრის 50-ე წლისთავის სახელობის ფონდი“. თბილისის სახეები ჩარხების ქარხნის კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის თაოსნობამ: ზევეგმითი ჩარხების გამომშენებლის შესახებ. მყარი საფუძველი ჩაეყარა მატერიალური, ფულადი და შრომითი დანახარჯების ეკონომიისათვის ახალგაზრდობის პარტიულ მოძრაობას. ოქტომბრის 50 წლისთავის სახელობის ფონდში ახალგაზრდობამ შეიტანა 5 მილიონზე მეტი მანეთი. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე რესპუბლიკის 8 ათასმა ახალგაზრდარაციონალიზატორმა წამოაყენა 30 ათასამდე წინადადება. წარმოებაში დანერგვის შედეგად პირობითად დაზოგილია 30 მილიონი მანეთი.

სასახელოდ იშრომეს სოფლის ახალგაზრდებმაც. კონკრეტული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ახალგაზრდა მეჩაიეების, მევენახეების, მეცხოველეების რესპუბლიკურ შეკრებებს, სადაც დაისახა ამ ამოცანების განხორციელების გზები და აღებულ იქნა გადიდებული ვალდებულებები. საქართველოს კომკავშირის ისტორიის შრომით მატეიანეში სასახელო ფურცელი ჩაწერეს ჩვენმა ახალგაზრდა მეჩაიეებმა, რომლებმაც პირნათლად გაანადღეს მეჩაიეთა მე-5 რესპუბლიკურ შეკრებაზე ნაკისრი ვალდებულება და სამშობლოს მისცეს 135 ათასი ტონა მაღალხარისხოვანი ჩაი.

მეჩაიეებს მხარი დაუშვეწეს ახალგაზრდა მევენახეებმა, მეცხოველეებმა, მებაღეებმა, მეციტრუსეებმა. გასულ წელს კომკავშირული საგზურებით მეცხოველეობის ფერმებში სამუშაოდ გაიგზავნა 1000-ზე მეტი კომკავშირული და ახალგაზრდა. ასობით ჰქე-

**როინ მატრეველი**  
სახელოვანი 50 წელი



ტარზე შემცირდა სიმეჩხრე, გამოყვანილ იქნა ათასობით ნერგი, გაშენდა ახალი ბაღები და პლანტაციები.

კარგ ტრადიციად იქცა საქართველოს სტუდენტების გასვლა ყამირი მიწების რაიონში. საზაფხულო არადაღეგებზე შესანიშნავად იზრომეს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა, რომლებმაც პირველი ადგილი დაიკავეს ჩრდილოეთ ყაზახეთის სამშენებლო რაზმების შეჯიბრებაში. შარშან რესპუბლიკის მშენებლობებზე თავი გამოიჩინეს პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და საქართველოს სხვა უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების სტუდენტებმა. ქების ღირსია თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმის მოსწავლეების მუყაითობა ტაშვენის ადღენით მშენებლობებზე.

ლენინური კომკავშირის სახელოვანი იუბილეს რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციები ახალი წარმატებებით შეხვდნენ. თავიდანვე ყარგა ინიციატივა გამოიჩინეს რუსთავის კომკავშირელებმა და ახალგაზრდებმა, რომლებმაც მოწოდებით მიმართეს რესპუბლიკის ყველა კომკავშირელსა და ახალგაზრდას, ღირსეულად შეხვდნენ ლენინური კომკავშირის საიუბილეო თარიღს, გადადგან მნიშვნელოვანი ნაბიჯი საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობის ამაღლებისა და საბჭოთა ახალგაზრდობის კეთილდღეობისაკენ მიმავალ გზაზე. სასიამოვნოა იმის აღნიშვნაც, რომ რევოლუციური ტრადიციების მქონე ლენინის რაიონში კომკავშირის 50-ე წლისთავთან დაკავშირებით საფუძველი ჩაეყარა სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციების ლაშქრობას „მამათა გზით“.

ჩვენ გვესახელება ის დიდი მიღწევები, რომლებიც უკანასკნელ წლებში მოიპოვა ჩვენმა ახალგაზრდა შემოქმედებითმა ინტელიგენციამ. დაიწერა ახალი ლექსები, მოთხრობები, პიესები და რომანები, სიმღერები, საოპერო და კამერული ნაწარმოებები; შეიქმნა ფერწერული ტილოები, საქანდაკო და გრაფი-

კული კომპოზიციები, ახალი კინოფილმები, თეატრალური და სატელევიზიო დადგმები, არქიტექტურული პროექტები და ნაგებობები.

ამ პროცესში აქტიურად მონაწილეობდა კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი, რომელსაც მკიდრო კონტაქტი და ურთიერთობა აქვს დამყარებული ახალგაზრდა შემოქმედებით ინტელიგენციასთან, საერთო წარმატებებს გარკვეულად შეუწყო ხელი ჩვენმა შეხვედრებმა, გარჩევებმა, დისკუტებმა, ესთეტიკური აღზრდის კომისიის მუშაობამ — გასულ წლებში ბაკურიანში ჩატარებულმა ფართო სახის შემოქმედებითმა სემინარებმა, რომელთა დევიზი იყო „ახალგაზრდა შემოქმედის მოქალაქეობრივი ვალი“. „შემოქმედი და სოციალისტური მშენებლობა“. აგრეთვე მეტად მნიშვნელოვანი და სასარგებლო იყო ლიკანში ჩატარებული რესპუბლიკური შეკრება დევიზით — „ახალგაზრდა შემოქმედებითი ინტელიგენცია დიდი ოქტომბრის 50-ე წლისთავზე“.

მომავალი თაობის იდეურ-ესთეტიკურ აღზრდაში ყოველთვის უდიდესი როლი ენიჭებოდა ლიტერატურასა და ხელოვნებას. სოციალისტური რეალიზმის პრინციპებზე დაფუძნებული საბჭოთა ლიტერატურა და ხელოვნება გამოხატავდა და გამოხატავს ხალხის, ახალგაზრდობის ინტერესებს, მის ფიქრებსა და მისწრაფებას. კომუნისტის მშენებელი ადამიანების სულიერ სამყაროს, დადებითი გმირის მისაბამ და სამაგალითო სახეს. პარტიულობის პრინციპის განუხრელი დაცვა და ახალი საფეხურზე აყვანა ლიტერატურისა და ხელოვნების წინსვლა-გაერთიანების მყარი ქვაკუთხედი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1968 წლის აპრილის პლენუმმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ლიტერატურისა და ხელოვნების მაღალ დანიშნულებას. პლენუმის დიდმნიშვნელოვანი დადგენილება მწერლებისა და კულტურის ყველა მოღვაწისაგან მოითხოვს შემო-

ქმედებითად გაიაზრონ თავისი როლი და დანიშნულება ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლაში, იდეური რწმენის, კლასობრივი თვითშეგნების, საბჭოთა პატრიოტიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა მეგობრობის სულისკვეთების განმტკიცებაში.

ეს დროული და ცხოვრებისეული მითითებანი გამომდინარეობენ ლიტერატურისა და ხელოვნების პარტულოზის ლენინური პრინციპებიდან, მრავალეროვნული საბჭოთა კულტურის ერთიანი სოციალისტური სულისკვეთებიდან.

ამ რთული პროცესის სათანადოდ წარმართვის საქმეში გარკვეული როლი აკისრია ახალგაზრდობის ავანგარდს — ლენინურ კომკავშირს, რომელიც ყოველთვის იყო და არის ლიტერატურისა და ხელოვნების დიდი მეგობარი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობაზე აღინიშნა: „როცა ახალგაზრდათა კომუნისტურმა კავშირმა ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სახელი დაირქვა, მან იკისრა დიდი პასუხისმგებლობა: ლენინის აზრები, რჩევები, ოცნებები გადაეცემა თავისი ყოველდღიური საქმიანობის მუდმივ კრიტერიუმად, ჩაენერგა თითოეული ახალგაზრდისათვის ლენინიზმის საფუძვლიანი შესწავლის მისწრაფება. კომკავშირი ის სკოლაა, სადაც ჩვენი ახალგაზრდობის უფართოესი მასები იწყებენ ლენინიზმის შესწავლას, ხდებიან საზოგადოების შეგნებული მოქალაქენი, იწყებენ აქტიურ მონაწილეობას კომუნისმის მშენებლობაში“.

ეს სიტყვები ძალზე ბევრს ავალებენ და ბევრისაკენ მოუწოდებენ ლენინურ კომკავშირს. ამიტომაც იგი თავის უპირველეს მოვალეობად თვლის იმუშაოს ისე, რომ ახალგაზრდობის აღზარდა ლენინიზმის საფუძვლებით, იდეურობით, კომუნისტური სულისკვეთებით გადააქციოს მრავალმხრივი საქმიანობის ძირითად შინაარსად და დღითიდღე ახალ სიმაღლეებს მიაღწიოს.

ამ პასუხსავე საქმეში მნიშვნელო-

ვანი წვლილი შეაქვს ლიტერატურისა და ხელოვნებას; მათ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ მომავალი თაობის მსოფლმხედველობის, იდეურის, ესთეტიკური და ზნეობრივი იდეალების ჩამოყალიბებაში. სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ დღითიდღე მატულობს ახალგაზრდა ნიჭიერ შემოქმედთა რიცხვი. ისინი პარტიული პოზიციებიდან უდგებიან დღევანდელობას, ცდილობენ მკაფიოდ და შთამბეჭდავად ასახონ ცხოვრების სინამდვილე.

საქართველოს კომკავშირის მჭიდრო კონტაქტი და მეგობრული ურთიერთობა აქვს დამყარებული ახალგაზრდა შემოქმედებით ინტელიგენციასთან. სემინარები, შეკრებები, გამოფენები, დოკალიერებები და შემოქმედებითი მივლინებები ხელს უწყობს მათ წინსვლას და დაეხმარებას:

დღევანდელობის ჰეროიკით შთაგონებული ქართული ახალგაზრდული ლიტერატურა და ხელოვნება ახალ-ახალ წარმატებებს აღწევს. მისი წინსვლის ნამდვილი დაფასება იყო ის, რომ საკავშირო კომკავშირის მიერ დაწესებული ლენინური კომკავშირის სახელობის პრემია და ლაურეატის წოდება ერთ-ერთ პირველთაგანს მიენიჭა ჩვენს ნიჭიერ ახალგაზრდა მწერალს ნოდარ დუმბაძეს.

ახალგაზრდები წარმატებებს აღწევენ ყველა სფეროში. იდგმება საინტერესო სპექტაკლები, იწერება კარგი მუსიკა, იქმნება ფერწერული სურათები და მხატვრული კინო-ფილმები.

საქართველოს კომკავშირი დიდ მუშაობას ეწევა ახალგაზრდული ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებისა და ხელის შეწყობისათვის. სულ ორიოდღე წელია, რაც დაწესდა საქართველოს კომკავშირის სახელობის პრემიები ახალგაზრდობის თემზე შექმნილი ლიტერატურისა და ხელოვნების მაღალიდეური და მაღალმხატვრული ნაწარმოებებისათვის.

---

როინ მხარაველი  
სახელოვანი 50 წელი



საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ თავისი გადაწყვეტილებით ეს პრემიები გასულ 1967 წელს მიანიჭა საუკეთესოთა შორის საუკეთესოებს: კომპოზიტორ რ. ლალიძეს, კინო რეჟისორებს ელდარ შენგელიას, თამაზ მელიავას და სცენარისტ მერაბ ელიოზიშვილს მხატვრული ფილმისათვის „თეთრი ქარავანი“, მხატვარ დიმიტრი ერისთავს ნამუშევრებისათვის „ქვის მთლები“, „კალათბურთი“, „საბავშვო ბალი“, „მუხეუმში“, „დილა“ და „ვაზაფხული“; პოეტ ჯანსუღ ჩარკვიანს პოემისათვის „მუჟღვერ — მზე მიდის“, ლექსების კრებულებისათვის — „აყვავებული მზე“ და „ფერადი მერიდიანები“.

ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების წარმომადგენელთა შესანიშნავ ნაწარმოებებზე იზრდებიან მილიონობით ჰაბუკები და ქალიშვილები.

საქართველოს კომკავშირულმა ორგანიზაციებმა თავიანთ მუშაობას ახალგაზრდა მწერლებთან, მხატვრებთან, კომპოზიტორებთან, თეატრისა და კინოს მუშაკებთან საფუძვლად დაუდეს პარტიის მოწოდება — „შემოქმედებითი ახალგაზრდობის მთელი ძალები — კომუნისტების საქმისათვის ბრძოლაში“.

ბოლო წლებში საქართველოს ლიტერატურა, ისე როგორც ჩვენი ქვეყნის სხვა რესპუბლიკათა ლიტერატურა, აღმავლობის გზას ადგას. გამოჩნდნენ ახალგაზრდა შემოქმედები, რომელთა სახელები არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც გახდა ცნობილი. მათი ნაწარმოებების გმირები არიან მწყემსები და მევენახეები, მეჩაიეები და გეოლოგები, რომლებიც ცხოვრებას ფეხდაფეხ მიჰყვებიან.

არ არსებობს ლიტერატურისა და ხელოვნების არცერთი სფერო, საქართველოს ახალგაზრდებს უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვანი წარმატებისათვის რომ არ მიეღწიოთ.

საქართველოს კომკავშირი დიდი მონღომებით მუშაობს ახალგაზრდული

ლიტერატურისა და ხელოვნების თარებისა და ხელის შეწყობის საკითხებზე. მოწინავე შემოქმედებით ახალგაზრდობასთან ერთად ისახება მათი იდეური და მხატვრული სრულყოფის ხელისშემწყობი საშუალებები. ახალგაზრდა მწერლები და ხელოვნების მუშაკები ყოველთვის გრძნობენ მათდამი კომკავშირის კეთილგანწყობილებას და იმის უდიდეს სურვილს, რომ წერონ და შექმნან თანამედროვე ეპოქისათვის შესაფერისი ნაწარმოებები.

ჩვენ დიდად გვახარებს ის გარემოება, რომ ახალგაზრდა შემოქმედთა ნაწარმოებები აღვივებენ სამშობლოს სიყვარულის გრძნობას, პატრიოტიზმს, ქადავებზე მაღალ მოქალაქეობრივ თვისებებსა და მეგრძობლ, რევოლუციურ ჰუმანიზმს. რევოლუციური ტრადიციების, საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით აღზრდილი ახალგაზრდა პოეტები და მწერლები, კომპოზიტორები და მხატვრები, არქიტექტორები, რეჟისორები და მსახიობები ახალი შემოქმედებითი გეგმებითა და წარმატებებით შეეგებნენ ლენინური კომკავშირის 50 წლისთავის სახელოვან იუბილეს.

ღრმად ვართ დარწმუნებულნი, რომ ჩვენი ახალგაზრდა შემოქმედებითი ინტელიგენცია პირნათლად შეასრულებს თავის დანაპირებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი, საბჭოთა ხალხისადმი, რომელიც ასე გამოხატავს მათ ბაკურიანის მეოთხე რესპუბლიკური სემინარის მონაწილეთა მიერ მიღებულ საინტერესო მიმართავაში:

„ჩვენ აღვუთქვამთ მშობლიური კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, აღვუთქვამთ ჩვენს ხალხს, — მშობელ ხალხს, შემოქმედ ხალხს, რომ ჩვენი შემოქმედების ძირითადი აზრი და შინაარსი, ისევე როგორც წინათ, იქნება სამშობლოს ინტერესებისადმი პატიოსანი სამსახური, რომ მთელ ჩვენს ცოდნას, ენერჯიას, ნიჭს მთლიანად მო-

ვანმართ პარტიის საქმეს, მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე იდეების გამარჯვების საქმეს“.

ნახევარი საუკუნე ლენინური კომკავშირის საბრძოლო და შრომითი წრთობის დიდი გზაა. ამ დროის მანძილზე ახალგაზრდობის, კომკავშირის მასაზრდოებელი ძალა ყოველთვის იყო კომუნისტური პარტია. ის ფაქტი, რომ საბჭოთა ახალგაზრდობას ფართოდ აქვს გახსნილი გზა ცოდნის დაუფლებისაკენ, შრომისაკენ, რომ ყოველი მისი ახალი წამოწყება მხარდაჭერით სარგებლობს, თვალნათლივ მეტყველებს იმ დიდ ყურადღებასა და მზრუნველობაზე, რომელსაც საბჭოთა კავშირის

კომუნისტური პარტია იჩენს ახალგაზრდობის მიმართ. ამიტომაც, რომ ჩვენი ახალგაზრდობა, კომკავშირი, მადლიერი მშობლიური პარტიისა, მზად არის ყველა საქმის, ყველა დავალების წარმატებით შესასრულებლად.

საბჭოთა ახალგაზრდობის, კომკავშირის ნახევარსაუკუნოვანი ისტორია ყოველდღე აღსავსეა სიხარულისა და სიყვარულის, ახალ გამარჯვებათა მოპოვებისაკენ მისწრაფების დაუოკებელი სურვილით. საბჭოთა ახალგაზრდობამ, კომკავშირის ორმოცდაათი წლის მანძილზე დაამტკიცა, რომ მისი შრომა და შემოქმედება ხალხს, კომუნისტურ პარტიას ემსახურება.



თქვენს წინაშე მშენებლობის ამოცანაა, და თქვენ მის გადაწყვეტას მხოლოდ მაშინ შესძლებთ, თუ დაუფლებით მთელს თანამედროვე ცოდნას, თუ უნარი გექნებათ — კომუნიზმი მზამზარეული დასწავლილი ფორმულებიდან, რჩევებიდან, რეცეპტებიდან, ბრძანებებიდან, პროგრამებიდან გადააქციოთ იმ ცოცხალ რამედ, რაც აერთიანებს თქვენს უშუალო მუშაობას, გადააქციოთ კომუნიზმი თქვენი პრაქტიკული მუშაობის სახელმძღვანელოდ.

3. 0. ლ 26060

## საიუზილეო პანტატა

მზე — დიდი დედა  
დედამიწას აწოვებს ძუძუს,  
მამა — მთოვარე  
ძილფხიზლობს და ნამგალივით იხრება წელში,  
რომ შენ

სინათლის თავთავებით  
აღივსო პეშვი,  
აცისკარდე და ამდინარდე,  
ვით ლავა ცხელი,  
რომ თქვა საქვეყნოდ,  
სამერმისოდ, სამარადისოდ  
შეყვარებული მზეჭაბუკის სიმღერა წრფელი.

\* \* \*

შენ, მომავლო თაობავ, დიდო,  
შენ, შუქო ჩემო,  
მშვიდობის და ერთობის მკვიდრო,  
სიცოცხლე ჩემო,  
სისხლო ჩემო,  
სინდისო ჩემო,  
უკვდავებისკენ

მზის სხივივით

გაწვდილო ხიდო.

დღეს მე ვარ შენი საფუძველი,

შენი დუღაბი,

ხვალ შენ იქნები ნიადაგი

ახალ ყვავილთა,

ხვალ შენ იქნები საფეხური

ახალ კიბუთა,

ხვალ შენ აივლი

ცისარტყელა გზებით აღმართებს,

დღეს მე აღმანთო სიჭაბუკემ,

ხვალ შენ აღგანთებს...

შენ, მომავლო თაობავ დიდო,

დიდი მიზნების ძეო და მკვიდრო,

შენ უნდა ახსნა,

შენ უნდა ზიდო,

ყველა იგავი, ყველა ზღაპარი,

სხვა ჩანჩქერი ხარ,

სხვა ნიაღვარი,

სხვა ვნებით გასჭრი

სულ სხვა კალაპოტს,

ოღონდ, გახსოვდეს, —  
სინათლედ ქცევის  
ღვთისნიერ კანონს არ უღალატო!

\* \*

ორმოცდაათი წლის ჭაბუკი  
შენ, მთლად უმრწემეს,  
გპასუხობ ყველა შეგითხვაზე,  
მკითხე, რაც გინდა, —  
შენ შეგინახე შეურყენელად  
გვარი, კერია,  
ენა, სამშობლო,  
ჩანგი, მთაწმინდა...

თმებჩამოთოვილს  
გამოცდები ახლა მეწყება, —  
ვით გამომცდელი,  
ვიცი, მელოდი,  
მე შენზე ფიქრმა ამამეწყერა,  
მოვწყდი მწვერვალს და  
მდინარედ ვიქეც,  
რომ შენ  
სინათლედ მოგვლინებოდი.

მე გამოცდები ახლა მეწყება,  
სააღსარებოდ  
მომიხმობენ შენი კითხვები, —  
მე სუყველაფერს მოგიყვები  
ჩემს სიყვარულზე,  
სიძულვილზე კი  
სულ არაფერს არ მოგიყვები.

მე დავრგე შენი სიყმაწვილის  
პირველი ნერგი,  
ის გაიზრდება,  
გაზაფხულით გაივსებს კალთებს  
და პირველ ნაყოფს შენ გიწილადებს.

მე გავიყვანე უდაბნოში პირველი არხი,  
ავაჩხრიალე პირველ არხში  
წყარო პირველი,  
წყარო უკვდავი და საკვირველი,  
სიყვარულივით წმინდა,  
ნათელი, —  
ხვალ შენ ამ წყაროს ხარირემივით  
მოწყურებული  
დაეწაფები.

დაეწაფები და აფეთქდები,  
ვით სააპრილო ატმის ხეხილი,

და დაემხოთა შენს წინ მორჩილად  
საწუთროს ყველა უღელტეხილი.

და ივლი მალლა,  
მალლა და მალლა,  
შორს დაგრჩებიან მთები, ქედები,  
და მე, შენს წარსულს, მზესთან წილნაყარს,  
მზის წინ მზისდარად გამითენდები.

\* \*

თაობავ დიდო, იმედად გსახავ,  
შენ, ვინც ჩემს შემდეგ  
ააბრუნებ ბრძმედებს ვნებიანს,  
არ დაივიწყო, რაზედაც დგახარ,  
რასაც ეყრდნობი, —  
ჩემი ძვლებია.

ჩემი ნეკნებით  
აღმართულა შენი სასახლე,  
და ჩემს ფილტვებში  
შენი მზე ჰყვავის,  
ჩემს თვალებს, როგორც ღია ფანჯრებს,  
შენთვის გავაღებ,  
შენი სიმშვიდის ყვავილი ვარ,  
ქვასავით მყარი!

მე ომი მქონდა შესაზარი,  
მე ურჩხულს შეეხვდი,  
რაც ვზიდე ტვირთი, ვინ უნდა ზიდოს...  
და თუ ვფარავდი ძელმიწურებს  
ჩალეწილ მკერდით,  
შენ გიფარავდი, შენ გიცავდი,  
თაობავ დიდო!

\* \*

მე სულ ერთ წამში გავთეთრდი ერთ დღეს,  
მაინც არ გატყდა სული ძლიერი.

— რატომ და რისთვის?  
— მხოლოდ იმიტომ,  
რომ შენ გქონოდა დღე ბედნიერი!

მე ისევ ვიბრძვი ჟინით და რისხვით  
და ჩემს სიცოცხლეს

მშვიდ დღეებს ვპარავ...  
— რატომ და რისთვის?

— მხოლოდ იმიტომ

მშვიდი ცხოვრებით ცხოვრობდე მარად!

არ გამიცვლია ოქრო-ვერცხლზე  
სამშობლო-დედა,

არ მიმდერია გულის სიყალბით  
და სიგიჟემდე მყვარებია  
სიცოცხლე ჩემი,

და სიცოცხლეზე უფრო მეტად  
მე შენ მიყვარდი.

მჯეროდა შენი,  
მწამდა შენი,  
ვცოცხლობდი შენით,  
შენ, ერთადერთი მიშუქებდი  
მწუხრში ყველა მწყეს,  
ზოგიერთისთვის გიყავ, —  
ზოგსთვის ბრძენი,  
რამეთუ მშვიდად ავდიოდდი  
ს ა ხ რ ჩ ო ბ ე ლ ა ს ე ...

და ვოცნებობდი,  
ვზარხარებდი,  
დავბობდი, ვბტოდი,  
ვშიმშილობდი და შიშითაც ვთრთოდი,  
ვთრთოდი, როდესაც ჯამბაზივით  
მივსრიალებდი  
ყოფნა-არყოფნის მაცდურ მავთულზე..

და ბევრგზის მოვწყდი  
მე ამ მავთულს,  
მაგრამ არ ვტირი,  
და სული სულ არ მინამცეცდება, —  
ცას შევადუღდი კოსმონავტივით  
და გავიფანტე  
მზის ნაპერწკლებად!

\* \*

თაობავ დიდო,  
შენ უნდა ზიდო  
ჩემი ოცნება, ჩემი ტკივილი,  
ჩემი სიმღერა და სიმძიმელი,  
შვილი, რომელსაც შუქივით შერჩა  
შინმოუსვლელი მამის ღიმილი.

თაობავ დიდო,  
შენ უნდა ზიდო  
შენი მკლავებით და შენი მხრებით,  
არარსებული ფერფლი ჩემი, —  
სიმბოლო ჩემი  
წვის და ძიების, ლტოლვის და გზნების!

თაობავ დიდო,  
ცისარტყელად აწვიდილო ხიდო,  
აღელვებულო,  
ვულკანო მშვიდო,  
შენ უნდა ზიდო ჩვენი დროშები,  
ჩვენი ოცნებაც შენ უნდა ზიდო!

თაობავ დიდო,  
მშვიდობის მკვიდრო,



რა ვართ, რანი ვართ

უერთმანეთოდ.

უნდა ავჯანყდეთ ერთმანეთისთვის,  
ერთა ერთობის სადიდებლად  
უნდა აღვენთო!

თაობავ დიდო,

უწყინარი მშვიდობის მტრედო,  
მსოფლიოს ხალხთა იღბალო, ბედო,  
კაცობრიობა

შენს თეთრ ფრთებს ენდო, —

შენ ერთი იფრენ

საწუთროში შემდგომ და შემდგომ...

შენ ერთი იფრენ და იმდინარებ,  
როგორც სიმართლის მდინარე ცხელი,  
რომ წკრიალებდეს

სამერმისოდ,

სამარადისოდ

შეყვარებული მზეჭაბუკის  
სიმღერა წრფელი!

\* \*

ცა მივიწყებული სამრეკლოა,

ყველა ვარსკვლავი

მიჩუმებული ზარია მხოლოდ, —

ადრე თუ გვიან,

უნდა ახვიდე ამ სამრეკლოზე,

უნდა აჟღერდეს ცა მიწა,

ადრე თუ გვიან —

შენ ხომ სინათლის სახელით იბრძვი,

შენ ხომ სიმართლის სახელი გქვია!

მზე — დიდი დედა

დედამიწას აწოვებს ძუძუს,

მამა — მთოვარე

ნამგალივით იხრება წელში,

რომ შენ სინათლის თავთავებით

აღივსო პეშვი.

თაობავ დიდო,

მომავალო ზვალინდელ დღეთა,

ჩვენ კვლავ ერთად ვართ

და ვიქნებით მარადის ერთად!

ჩვენს გზას არა და არა აქვს ბოლო,

ჩვენი მომრევიც

არვინ არ არის

და თუ სადმეა უკვდავება,

შენშია მხოლოდ,

ახალგაზრდობავ,

დიდებულო აწ და მარადის!

## ნოღარ ლეხბაკე

ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატი

### მეპერიქელობა, ღეპერიქელობა!

მე არ მიმუშავია ამურის კომსო-  
პოლსკში, არც პავლიკ მოროზოვისა და  
ზოიას გამო დამიდგია ფიცი — „სისხ-  
ლი სისხლისა წილ!“ არც კორჩაგინივით  
ვმდგარავარ წელამდე თოვლში, ფეხშიშ-  
ველი, შაშხანითა და ნიჩბით ხელში.  
არც „ახალგაზრდა გვარდიის“ წევრე-  
ბივით, ჭრაქის შუქზე, ჩურჩულითა  
და დაზაფრული გულით შეუუვისათ ჩე-  
მი კომკავშირული მანდატი.

მე მიმიღეს კომკავშირში ღიმილით,  
ზარ-ზეიმიტა და ტაშისცემით. ეს იყო  
1944 წელი, და მომცეს სულ პატარა  
დავალეზა — შემეგროვებინა საჩუქრე-  
ბი ფრონტელი მეომრებისათვის. ახლა  
ძნელია იმ სიამაყის, კაცობის, მოვალე-  
ობის, პასუხისმგებლობის საოცარი  
გრძნობების გადმოცემა, რომლიტაც მე  
დავდიოდი სოფელში კარდაკარ და ვაგ-  
როვებდი საჩუქრებს. — „რას იქაჩები,  
ბიჭო, მაქვს მეტი რამე და არ გაძ-  
ლევ?“ — შემომიტია ერთმა უდანა-  
შაულ მებზობელმა, რომელსაც არ დავ-  
ჯერდი ერთ წყვილ საცვალს! და მე მივ-  
ხვდი, რომ ჩემში ლაპარაკობდა პაეკაც,  
პავლიკაც, ზოიაც, მატროსოვიც და ყვე-  
ლა ის ვაჟი და გოგონა, რომლებმაც თა-  
ვისი სისხლით დაადსტურეს და მიან-

დერძეს ამ უზარმაზარი ქვეყნის უზომო  
სიყვარული.

მეორედ, მთელი სისრულით განვი-  
ცადე იგივე გრძნობა, როდესაც ვაგზდი  
ლენინური კომკავშირის პრემიის ლა-  
ურეატი, ახალგაზრდობისათვის ლეგენ-  
დაქცეულ ოსტროვსკისთან ერთად. და  
ახლა, როდესაც ჩვენი დიადი ქვეყანა  
ზეიმიტობს ლენინური კომკავშირის 50  
წელს, ვგრძნობ, რომ ასაკის მიუხედა-  
ვად, ეს ჩემი ზეიმი, ზეიმი კაცობრი-  
ობის გაზაფხულის, ახალგაზრდობის,  
ჩემი გოგონების, ჩემი მეგობრების შვი-  
ლების. ეს არის ზეიმი კოსმოსის პირვე-  
ლი გმირებისა, ეს არის თვალუწვდე-  
ნელი ყამირების გამტეხი, მზის ბადალი  
ენერჯის ელსადგურების მშენებელი,  
გათანგული უდაბნოებისათვის წყლის  
მიმწოდებელი და დამპურებელი თა-  
ობის ზეიმი.

ჩვენი დიადი ქვეყნის ახალგაზრდო-  
ბის მიმართ, ჩვენი დიადი კომკავშირის  
მიმართ, ჩვენი დიადი სამშობლოს მი-  
მართ მაღლიერების გრძნობა მაღაპა-  
რაკებს ამას.

ვუსურვებ მათ მზეგრძელობასა და  
ღღეგრძელობას!

## პეჩრა შამათავე

# ყველაზე ახალგაზრდა მეთაური

1942 წლის სექტემბრის პირველი დღეები იყო.

ჩვენი დივიზიის სარდლობამ გაბედული და პასუხსაგები საბრძოლო ოპერაციის ჩატარება განიზრახა: უნდა მოეწყო ახალი, მოულოდნელი გადასვლა მდინარე ბაქსანზე, — მარცხენა ნაპირზე გამაგრებული მოწინააღმდეგის ძალების განადგურების შემდეგ, სპეციალურად შექმნილ სადესანტო რაზმს დანიშნულ ზღუდემდე, მთავარი ძალების მისვლამდე, ბრძოლებით უნდა შეეღწია ქალაქ პროხლანდიაში და საიმედოდ გამაგრებულიყო იქ...

ამ მიზნით შეიქმნა და მომზადდა მამაკთა და უშიშართა ახალი რაზმი (ამავე მიზნით წინა-დღეებში განხორციელებული ოპერაცია, სამწუხაროდ, წარუმატებლად დამთავრდა). მასში შევიდნენ შენაერთის მეთვთამაშეთა ასეული, 790-ე პოლის მენალმტყორცნელთა და მეტყვიამტრეკვეთთა გუნდები, ტანკსაწინააღმდეგო თოფებისა და ტანკსაწინააღმდეგო არტილერიის ქვეგანაყოფები. რაზმს სათავეში ჩაუდგა მამაცი და გამოცდილი მეთაური, ლეიტენანტი ვასილ რუსაძე, რაზმის კომისარად, თავისი სურვილით, დანიშნა დივიზიის მესანგრეთა ბატალიონის კომისარი, პოლიტელი ვლადიმერ კანკავა, რაზმში შევიდა, აგრეთვე თავისივე თხოვნით, პოლის პარტორგი, უფროსი პოლიტხელი ვასილ ლობჯანიძე.

წინასწარი, ჭეროვანი მომზადების შემდეგ, რაზმის ქვეგანაყოფები ფარულად, უხმაურად მოადგნენ დათქმულ პუნქტს. მდინარე ღამით, მოძრავე ნავტიკებით უნდა გადაეღობათ. ნავტიკები მხოლოდ ქვემეხებისათვის იყო განკუთვნილი. მეომრები და ცხენები მეორე ნაპირზე ცურვით უნდა გადასულიყვნენ, მდინარე კი საკმაოდ წყალუხვი, ღრმა, სწრაფი და ცივი იყო.

დანიშნულ დროსა და ნიშანზე რაზმმა იწყო მდინარის ცურვით გადალახვა. ცურვითვე მიქონდათ მეომრებს იარაღი და საბრძოლო მარაგი. მოიეროშეთა კვალდაკვალ მამაც მეკავე-შირეებს სატელეფონო ხაზები გაჰყავდათ, რათა რაზმსა და შტაბს შორის ყოფილიყო მუდმივი და საიმედო კავშირი.

მდინარის გადალახვა ფარულად, უხმაურად და სწრაფად ჩატარდა. ყველაზე მძიმე საქმე მაინც უმცროს ლეიტენანტ შალვა ებრაელიძის არტილერიისტებს ხვდათ წილად. მოძრავე ნავტიკებით ქვემეხები წყლის მდინარეებამ საკმაოდ მანძილზე გაიტანა და მაღალ და კლდოვან ნაპირებს მიადგა, მაგრამ მეზრძოლთა და მეთაურთა ერთობლივი ძალდონით ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხები დროზე იქნა ნაპირზე ატანილი.

პირველი რიგის ამოცანა შესრულებულია. რაზმმა სწრაფად და უდანაკარგოდ გადალახა მდინარე, უხმაურად „მოხსნა“ მტრის სანაპირო დაცვა, მაგრამ არანაკლებ ძნელი და სახიფათო აღმოჩნდა პირველი ნაბიჯები ახალდაკავებულ მიწაზე. ჰაობიან, ლელიანით დაფარულ მიდამოზე მოძრაობა და ქვემეხების ზიდვა ძალზე გაუჭირდათ ცხენებს. აქ რაზმის მამაცი მეზრძოლების ერთსულოვნებამ და სიმარჯვემ სძლია ბუნებრივ სიძნელეებს, ტალახიდან თუ ჰაობიდან ამოზიდეს ქვემეხები და ქანცკამოლეული ერთგული „საბრძოლო მეგობრები“.

მძიმე ფიზიკურ დატვირთვას თანაბრად ინაწილებდნენ მეზრძოლები, მეთაურები და პოლიტმუშაკები. თანაბარი ჯარისკაცური შრომა კიდევ უფრო განამტკიცებდა რაზმის მეზრძოლების, მეთაურებისა და პოლიტმუშაკების ერთიანობას და დარაზმულობას.

დიდი ჯაფის ფასად რაზმმა თავი დააღწია უკობებს. ინათა, მაგრამ მოწინააღმდეგისათვის მაინც შეუტყნველი დარჩა მდინარეზე გადასვლა:

და პირველი ფეხმოსაკიდი ადგილის დაკავება. კარგი სამარშო დისციპლინით, მაღალი ჯაშუხების ბალახების საფარქვეშ, მიმივლ მიაბიჯებდნენ დამენათევი დასველებული მეომრები.

შესაფერ ადგილზე მცირე შესვენება გამოაცხადა რაზმის მეთაურმა ლეიტენანტმა ვასილ რუსაძემ.

მებრძოლებმა და მეთაურებმა სწრაფად მოიყვანეს წესრიგში იარაღი და აღჭურვილობა. სველი ტანსაცმელი გააწურეს, სახელდახელოდ ისაუზმეს, მალულად თამბაქოც მოსწიეს. მზორბოლოებთან ტრიალებდნენ, ულოცავდნენ პირველ წარმატებას, უწონებდნენ სიმხნევესა და ამტანობას ამ რთულ ვითარებაში, მოკლე საუბრებშია თუ მოსწრებელი თქმებით ახალისებდნენ მორიგი, უფრო მძიმე ამოცანის შესრულების წინ.

პაერში გამოჩნდა გერმანელთა მომამებრებელი მზვერავი თვითმფრინავი „რაბა“ (ასე უწოდებდნენ მას ფრონტული მებრძოლები). ეს იმას ნიშნავდა, რომ იგი დაუტყველად დაბლა ჩამოეშვებოდა, გულდაგულ დათვალიერებდა ბრძოლის ველს და საჭირო ცნობებს გადასცემდა თავის შტაბს. ეს ვარაუდი, როგორც მოსალოდნელი იყო, გამართლდა. მალე რაზმის განლაგების ადგილას იწყო მტრის საარტილერიო ქურუების ცეცხა.

რაზმის მეთაურმა მაშინვე გასცა ბრძანება და მეომრებიც, ვითარების შესაბამისად, სათანადო საბრძოლო წყობით შეუდგნენ წინსვლას დასახული მიმართულებით.

პიტლურელები არ ელოდნენ, რომ მოწინააღმდეგე გამოჩნდებოდა იმ მიმართულებიდან, საიდანაც მოდიოდა საბჭოთა მეომრების რაზმი. ეს იმეტომ, რომ ამ მხრიდან ქალაქი მიუვალი მიანხნდა ფაშისტებს და თანვე მას გერმანელთა დიდი გარნიზონი იცავდა ყოველმხრივ.

შენაერთის რაზმი მოულოდნელად გამოჩნდა, გაბედულად ჩაება მოწინააღმდეგის ჭარბ ძალებთან ბრძოლაში და ცხარე შეტაკების შემდეგ ვარკა მტერი ორი დასახლებული პუნქტიდან. ამაზე ტელეფონით მოხსენდა დივიზიის სარდლობას. შენაერთის შტაბიდან მზურვალედ მიულოცეს რაზმს პირველი თვალსაჩინო წარმატება. ამასთან ვაფრთხილეს, რომ მომჭირნედ ეხარჯათ საბრძოლო მარაგი, განსაკუთრებით საარტილერიო ყუმაბრები, რადგან შექმნილი ვითარების გამო, მისი დროზე და საჭირო რაოდენობით მიწოდება ძნელი იყო.

როგორც ჩანდა, გვიანდებოდა დამხმარე ცოცხალი ძალების გადაყვანა მდინარეზე, რათა დროზე მიშველებოდნენ წინ წაწეულებს, როგორც ეს დათქმული იყო თავდაპირველად. ჭერჯერობით მამაცთა რაზმს თავისი იმედი უნდა ჰქონოდა უმთავრესად.

ასეთ ვითარებაში შემდგომი შეტევით მოქმე-

დება რაზმისათვის დიდად სარისკო და უბედურად პექტივო ჩანდა. მთ ებრძანათ — ჩასანგრებულ იყვნენ დასახლებულ პუნქტში. სამწუხაროდ, ეს მითითება უკვე დაგვიანებული იყო, რადგან მოულოდნელი დარტყმის და სწრაფი შეტაკების შემდეგ დამარცხებული და უკუგდებული მოწინააღმდეგე მიხვდა, რომ გამარჯვებული ტემპს ანულებდა და არ ცდილობდა კვლად კვლად დასდევებოდა მას. ეს იმას ნიშნავდა, რომ გამარჯვებულს არ გააჩნდა სათანადო ძალები და რეზერვი.

მალე გონს მოსულმა პიტლურელებმა ალბათ ვითარებას და თავად გააქტიურდნენ. თავიანთი და მამველთა ერთობლივი ძალებით ჩვენს რაზმს მცველავი ცეცხლი დაუშინეს და სამი მხრიდან იწყეს შეტევა რაზმის მიერ დაკავებული დასახლებული პუნქტისაკენ. ცხადია, ჩვენს რაზმს უბრძოლველად არ დაუთმია პოზიცია და გაბედულად ჩაება ჭარბ ძალებთან ფიცხელ ბრძოლაში. მცირერიცხოვანი რაზმი ყველა სახის ქვეითთა იარაღით მარჯვედ და აუცდენლად უშენდა მტერს. მხნედ და გაბედულად იგერებდა მის გამამკებულ შემოტევას და დღის ბოლოსათვის ფაშისტები უკუაგდეს კიდეც.

რაზმმა ირგვლივი თავდაცვა მოაწყო. დაკრილები სამშვიდობოზე გამოიყვანეს, პირველი დახმარება აღმოუჩინეს და დაჭარბებული ადგილებით გადასასვლელებისაკენ გაგზავნეს.

როგორც კი დაღამდა, მოეწყო მეთაურებისა და პოლიტმუშაკების მოკლე შეკრება. ანალიზი გაუტეხეს შექმნილ მძიმე ვითარებას, პირველი ბრძოლების გაკვეთილებს, აღინიშნა რაზმის მებრძოლთა მამაცობა, სიმტკიცე, მეთაურებს, კომუნისტებსა და კომკავშირელებს მოუწოდეს პირადი მავალით, თავიანთი მხნეობითა და უნარით განემტკიცებინათ რაზმის მებრძოლთა მაღალი სულიკვეთება და უთუოდ უზრუნველყყოთ საბრძოლო ამოცანის შესრულება.

უძილო, შფოთვით აღსავსე ღამე მიიწურა. მაგრამ დღამ არაფერი მოუტანა სახარბიელო რაზმს. პირიქით, მორიგი დღე უფრო დაძაბული ბრძოლით, ახალი სისხლისღვრითა და მსხვერპლით აღინიშნა.

დასახლებული პუნქტისაკენ სამი მხრიდან კვლავ იწყეს პიტლურელებმა იერიში. ამ მძაფრ შემოტევას წინ უძღვებდა მასირებული საარტილერიო ცეცხლი ურტყამდნენ ქვეშელები, უშენდნენ სხვადასხვა კალიბრის ნაღმსატყორცნები, სამხმრივი ცეცხლის წვიმა მოდიოდა, მოდიოდა და ჭკას ჭკაზე ადუღებდა, მაგრამ რაზმი ურყევად იდგა მოგერიების ზღუდეზე, კარგად და

**პაერა შამათაშა**

ჰმილანამ ახალგაზრდა მითაურნი



მოხერხებულად იყო ჩასანგრებული და უკან არ იხვედა.

ახლა ჩვენი რაზმიდან უმთავრესად შაშხანას, ტყვიამფრქვევისა და ავტომატის მეთოდური და გადამიღობი ცეცხლი მოდიოდა, სდღუნდენ მათი ქვემეხები, მხოლოდ ნაღმსატყორცების ხმა ისმოდა კანტი-კუნტად და მიზნობრივად. ეს იმიტომ, რომ სხვა, უფრო საჭირო და მძიმე მონეტრისათვის ზოგადდნენ ქვემოებისა და ნაღმსატყორცების ქურევები... ხოლო შალვა ებრაელიძე და მისი არტილერისტები შაშხანებით და ავტომატებით იბრძოდნენ თანამოაზრადეთა რიგებში.

გერმანელთა დილის ვამპაგებელი შეტევა მოგვრებულ იქნა. ზარალი ორივე მხრივ საგრძობი იყო, მაგრამ საბრძოლო რიგები და მარაგი შეინარჩუნეს რაზმის მეომრებმა...

მოპოვებული ცნობებით აშკარა იყო, მოწინააღმდეგე არ აბირებდა დამთბობას, პირიქით, ჩანდა, რომ იგი ამ მიმართულებით ქმნიდა ძალთა ახალ სიჭარბეს, პირველ რიგში სატანკო და ჯავშნიანი მანქანების ქვევანაყოფების გადმოსროლით. ამიტომაც რაზმის არტილერისტებმა მოხერხებულად განსაზღვრეს და შეახმამეს თავიანთი ქვემეხები და გათვლების გადარჩენილ ნომრებიდან მაინც შექმნეს აუცილებელი საბრძოლო გუნდები.

აშკარად იგრძნობოდა, რომ უფრო სასტიკი და მძაფრი ბრძოლები ჯერ კიდევ წინ იყო. ასეთ ვითარებაში, აუცილებელი გახდა დარჩენილი ცოცხალი ძალის უფრო გონივრულად გამოყენება, საბრძოლო მარაგის ეფექტიანად და მომჭირნეობით ხარჯვა. ამიტომ გადაწყვიტა 18 წლის კომკავშირულმა, რაზმის „არტილერიის უფროსმა“ უმცროსმა ლეიტენანტმა შალვა ებრაელიძემ თავისი დარჩენილი საარტილერიო მარაგით მხოლოდ უქვევლი დარტყმისათვის ყოფილიყო მზად, მტრის ტანკებისა და ჯავშნიანი მანქანებისათვის დაეშინა მხოლოდ ახლი მანძილიდან, ისიც პირდაპირი დამიზნებით.

დღისას არ ჰქონდა რაზმის მეომრებს შესვენების საშუალება. მალე მოწინააღმდეგის ქვემეხთა და ნაღმსატყორცთა ქურევებმა იწყეს ირგვლივ სვდომა. თითქმის ყოველ მეტრზე ეცემოდა ყუმბარები. სახელდასხველ გათხრილი სანგრიდან თავის ამოწვევაც შეუძლებელი ჩანდა. ქვას ქვაზე არ ტოვებდა ცეცხლი, იწოდა არე-მარე, ნანგრევებად ქცეული სოფელი საშინელ სურათს წარმოადგენდა. ამ ვითარებაში, თითქმის მიწიდან, ნაღმების ამონათხრებიდან ამოძვროა, მათთან მიხობდა რაზმის კომისარი, იარაღმომარჯვებული ბიჭებს ამოუდგა გვერდში და ახალი კვეთებისათვის აღიწოთ თავგანწირულთა შეთხრებულ რიგები.

ერთი წუთით თითქმის მინელდა საარტილერიო ცეცხლი და გერმანელ მეავტომატეთა რაზმი რაზმს მოყვებოდა, მათი უმისამართო და

უმიზნო ცეცხლი ზოშაკალასავით ცემოდა. აქამდე ჩუმად იყვნენ საბჭოთა რაზმის მეომრები სანგრებში. ახლა კი, მოგვეთა ღხენა, ამუშავდა ტყვიამფრქვევი, შაშხანა და ავტომატი. ახლო მიმართიდან დამიზნებულ ცეცხლს უშენდნენ პიტლერებს და თითქმის არც ერთ ტყვიას არ გზავნიდნენ უშედეგოდ. ცხარე და სისხლისმღვრელი შეტაკება დამთავრდა იმით, რომ ჩვენივე კვლავაც მტკიცედ დარჩნენ თავიანთ სანგრებში, ხოლო გერმანელებმა თავს უშველეს უკანდახევით.

ბრძოლა ერთ საათზე მეტხანს გაგრძელდა. ორმხრივი ზარალი და დანაჯლისი კვლავ იზრდებოდა.

რაზმის მეომრები სამი დღე და ღამე უძინარნი და უქმელნი იყვნენ. ეს მძიმე და უჩვეულო დღეები მუდმივ ბრძოლასა და სისხლის ღვრაში გაატარეს. დაღლილ-დაქანცულნი კვლავაც ფეხბოლოდნენ ბრძოლის ველზე, რადგან მათთან ერთად იყვნენ მათი უფროსი ამხანაგები, მათსავით უძილო, უქმელი, დაღლილი, მათსავით სისხლდაღვრილი; მათ თვალწინ დაიჭრა კომისარი კანკავა, პარტორგი ლოზენიძე, რომლებიც უსიტყვოდ იტანდნენ ტყვილებს, თავიანთი ზელო შეიხვის ჭრილობები და ერთი წუთითაც არ დაუტოვებიათ საბრძოლო რიგები ამ მძაფრ მომენტში.

ასე ერთიან, ერთ ურდვევ მწყობრად იდგნენ და იბრძოდნენ რაზმის მამაც და უტეხი მეომრები.

მოწინააღმდეგემ დაიხია, მაგრამ არ ცხრებოდა მისი არტილერია, კვლავაც მომაკვდინებულ ცეცხლს და ყუმბარებს გზავნიდა მამაცთა რაზმის მოგერიების ზღუდისაკენ.

მეტრამაც იცოდა რაზმის მძიმე მდგომარეობა და ყველა ზომას იღებდა მის მოსასობად. როცა მუხანათობით ვერაფერს გახდა, მოწინააღმდეგემ ბოლოს დიდძალი ტანკები და ჯავშნიანი მანქანები შემოიყვანა ბრძოლაში. დაიწყო ყველაზე მკაცრი და კრტიკული მომენტი. ერთმანეთს შეებნენ ჯავშნიანი ურჩხულები და აღმანები. ეს ბრძოლა უჩვეულო იყო და უმაგალითო. რაზმის დარჩენილი მეომრები უკანსკელო შესაძლებლობამდე ებრძოდნენ ტანკებს. არა ერთი და ორი ტანკი და ჯავშნიანი მანქანა მოსპეს მათ. მაგრამ ცოტა როდი დაცა ამ უთანასწორო შტრეკინებაში. მამაცთა სიკვდილით დაცა რაზმის კომისარი პოლიტბელი ვლადიმერ კანკავა. მალე ხელნართული ბრძოლაც გაიჩადა. ლომებივით იბრძოდნენ ლეიტენანტი ვასილ რუსაძე, პოლიტბელი სერგო მეტრეველი, უფროსი პოლიტბელი ვასო ლოზენიძე, უმცროსი ლეიტენანტი შალვა ებრაელიძე და სხვ. შალვა ქვემეხის შემოხნის მოვლევობასაც ასრულებდა და ქვევანაყოფსაც მეთაურობდა. არაერთხელ დაიჭრა ეს ახალგაზრდა, მაგრამ კვლავ ფეხზე დგებოდა, კვლავ აყენებდა და



ახსრტებდა მიზანს, კვლავ აუცდენლად აგზავნიდა ჭურვებს...

ყველაზე კრიტიკულ მომენტში, — იგონებს შალვა ებრაელიძე, — ჩვენ, ახალგაზრდებს, კომუნისტები გვიჩვენებდნენ გულადობის მაგალითებს, ალგავფროვანებდნენ, გვინერგავდნენ გამარჯვების რწმენას. მრისხანე საშიშროებას ეამს, როცა საცესბლე ოცუელში მსხვერპლი დიდი იყო და ცოტანი დავრჩით, ჩვენთან საბჭოლოდ პოსტზე მოვლდა რაზმის პარტორგი და გამამხნეველად მითხრა:

— შალვა, შენ ყველაზე ახალგაზრდა მეთაურის ხარ ჩვენს პოლკში. იყავ მტკიცე კომკავშირელი. მჭერა, რომ შენ ხელები არ ავიკანკალდება. მაშ, უჩვენე შენს მებრძოლებს, თუ როგორ უნდა ურტყათ ახლა მტრის ტანკებს. გაიშარებებ, კომუნისტები პარტიაში მივიღებენ. შენ უთუოდ უნდა გაიმარჯვო!

მტრის ტანკები გვიახლოვდებოდა. მე ქვემების მემიზნები დავდექი. მოწინავე ტანკი გამოვუშვი საჭირო მანძილზე და პირველივე გასროლით ავაფეთქე. მეორე გათვლამ თავისი ქვემებით მოწინააღმდეგის ჯავშნიანი მანქანა დაახანა. დანარჩენი ტანკები შედგნენ, პირი იბრუნეს, მაგრამ მათაც დაეაფეთქეთ ჭურვები და კიდევ ორი მანქანა გამოიყვანეთ მწყობრიდან, ცეცხლი წაფუციდეთ პირდაპირი დამიზნებით.

ამის შემყურე ჩვენმა მსროლელებმა თოფტყვიამჭკვევის მცელავი ცეცხლი დაუშინეს ჯავშნიანი ფარის გარეშე დარჩენილ მოწინააღმდეგის ქვეითებს და მათაც თვალსაჩინო ზარალით უჟან დაახვედნენ. სამუშაოდა, ჩვენც განვიცადეთ ზარალი, კერძოდ, პირდაპირი მოხვედრით მეორე ქვემები დამიხსვრა და მისი მომსახურე გუნდის წევრებიც დაიჭრნენ, პირველ ქვემებს პოზიცია სასწრაფოდ გამოუვცვალეთ, დარჩენილი ჭურვებიც საიმელოდგილზე გადამოვიტანეთ.

ბრძოლა სულ უფრო მძაფრდებოდა. მოწინააღმდეგეს ახალ-ახალი მამული ძალები გამოჰყავდა. მათ შეუტოვარ წინააღმდეგობას უწევდნენ ჩვენი რაზმის მეთაურები, მაგრამ შეესების გარეშე თხელდებოდა მათი რიგები, მთავარი საცესბლე ძალიდან მხოლოდ ერთი 45 მმ-იანი ქვემები თითხილდე მებრძოლითა და უფროს სერჯანტ ბიტნაძის ათეულის ორი ტანკააწინააღმდეგო თითვლა იყო მწყობრში დარჩენილი. ამასთან, ჭურვები და ტყვიებიც ელეოდა. ამიტომ მომპირნელ, უცადურესი საჭიროებისას ხმარობდნენ დარჩენილ მარაგს.

სწორედ ამ მომენტში აღადგინეს მეკავშირებმა შეწყვეტილი სატელეფონო კავშირი ნაწილის შტაბთან. ამით ისარგებლა უმცროსმა ლეიტენანტმა შალვა ებრაელიძემ, ნაწილის საარტილერიო ბატარეას დაუკავშირდა და თხოვა მის მეთაურს, რომ მისი კორექტირებით

ქვემების ცეცხლი მიეწოდნათ დასახმარებლად. ეს კორექტირება ისე ზუსტი აღმოჩნდა, რომ ბატარეამ თავისი ცეცხლით ამჯერად თვალსაჩინო დახმარება გაუწია გავირებებში მყოფ თანაბოლელებს.

ეს იყო ახალგაზრდა კომკავშირელი მეთაურის მეტად საჭირო ინიციატივა ბრძოლის ველზე და, ბუნებრივია, რაზმის მებრძოლთა და მეთაურთა მოწონება დაიმსახურა. ამ ცეცხლითმა დახმარებამ თვალსაჩინო ზარალი მიაყენა მოწინააღმდეგის ცოცხალ ძალასა და ტექნიკას. მცირე ხნით მაინც ამოისუნთქეს რაზმის მეომრებმა.

ბრძოლა მტრის ტანკების წინააღმდეგ კვლავ შეუწყვეტილად გრძელდებოდა. ქვემების მეთაურის და მემიზნის მოვალეობას ისევ შალვა ებრაელიძე ასრულებდა. მას ოცუელიდან დარჩენილი მხოლოდ ოთხი მებრძოლი შევლოდა ჭურვების მოწოდებასა თუ ქვემების მანევრირებაში. სისხლისმღვრელ შეტაკებაში არტილერისტებმა და ჯავშანმტკიცებლებმა, უნარიანი თანამოქმედებით, მტრის კიდევ სამი ტანკი და ორი ჯავშნიანი მანქანა დასაწვეს და დაახინეს. დარჩენილი ოთხი არტილერისტის მებრძოლიც დაიჭრა და მწყობრიდან გამოვიდა, ხოლო უმცროსი ლეიტენანტი შალვა ებრაელიძე ორივე ფეხში დაიჭრა კუმბარის ნახსხრევეებით.

თითქმის დაღუპდნენ ქვემები და ტანკააწინააღმდეგო თოფები; მარტო მსროლელთა თოფტყვიამჭკვევის ცეცხლ მოქმედება, მისი გადაძლიბი ძალა აკაებდა მტრის ქვეითებს, მაგრამ ტანკებს და ჯავშნიან მანქანებს აბა რას დააკლებდა და ისინიც ჭიჭურ მოიწყევდნენ ჩვენი რაზმის პოზიციებისაკენ, რათა ფოლადის მუხლუხებით გადაეთელათ მამაცთა და თავდადებულთა რიგები. ძალა მოიკრიბა კომკავშირელმა მეთაურმა შალვა ებრაელიძემ. თვითონვე შეიხვია ჭრილობები და კვლავ სცადა ბატარეასთან კავშირის აღდგენა, მაგრამ უშედეგოდ. რა პქნას, რა იღონოს! რაზმის საკომანდო პუნქტს ისევ უშენს მოწინააღმდეგე, მათ პოზიციაზე კვლავ იერიში მოაქვთ მტრის ტანკებს. ამ ვითარებაში ის ახერხებს დაუკავშირდეს შტაბის უფროსს და მისი მეშეგობით დივიზიის საარტილერიო პოლკის მეთაურს მაიორ მიხეილ გეთას, ორიოდ სიტყვით აეგბნენს რაზმის მძიმე მდგომარეობას და თხოვს საარტილერიო ცეცხლ დასახმარებლად. დახმარება აღუთქვს. იღებს ბატარეების კოორდინატებს და თავად უწევს ცეცხლს კორექტირებას. ამ ერთობლივი მოქმედებით არტილერისტთა დახმარება ეფექტური აღმოჩნდა, მათი დარტყმით აფეთქდა მტრის ერთი ტანკი და ჯავშნიანი მანქანა. სხვებმა პირი კი იბრუნეს, მაგრამ რაზმის საკომანდო

**ამბრა შამათია**

ყველაზე ახალგაზრდა მეთაური



ბუნებრივ მინც შესძლეს მოწინააღმდეგის მო-  
ტოცილისტებმა შემოჭრა. ახლა მათ წინააღმ-  
დეგ მიმართეს ჩვენმა მსარეულლებმა თოფ-  
ტყვიამფრქვევის მცელავი ციციხლი.

შალვა ამ ბრძოლაში მძიმედ დაიჭრა და  
კონტუზია მიიღო. მამაცი და უნარიანი მეთაური  
უგონოდ გაიყვანეს ბრძოლის ველიდან ერთ-  
გულმა თანამოაზრადებმა.

ათეულობით ტანკებთან რას გახდებოდნენ  
დარჩენილები. რამდენიმე მცირე ჯგუფად იბრ-  
ძოდნენ რაზმის გადარჩენილი მეომრები. მძი-  
მედ დაჭრილთა სამშვიდობოზე გამოყვანას  
ძლივს ასრულებდა ოროდღე სანიტარი...

შეიკრა და ვიწროვდებოდა სატანკო გარე-  
მოცვა... მამაცებმა ბოლოს ავტომატის ცეცხ-  
ლითა და ხმშტის კვეთებით გარღვეეს ჯავშნი-  
ანი წრე...

ლიტენანტ რუსაძის გაბედულთა ჯგუფი  
მხოლოდ ერთ გაძლიერებულ ასეულს ითვლი-  
და და მისი ბრძოლა და შეტაკება მტრის ჯარს  
ძალებთან ნამდვილად სასახელო იყო. თუ რა  
შედევნი მოყვა ქართველ მეომართა ამ უმაგა-  
ლითო შებმას, ამაზე ყველაზე უკეთ შეტყუ-  
ლებს ისტორიული დოკუმენტი — საბჭოთა სა-  
ინფორმაციო ბიუროს 1942 წლის 21 სექტემ-  
ბრის საღამოს ცნობა, რომელშიც ვკითხულობთ:  
„მოზდოკის რაიონში მოწინააღმდეგემ მევტო-  
მატთა და ტანკების დიდ ჯგუფს მოუყარა თა-  
ვი და შეტევაზე გადმოვიდა ერთი დასახლებუ-  
ლი პუნქტის წინააღმდეგ. ჩვენი მებრძოლების  
ჯგუფი ლიტენანტ ირუსაძის მეთაურობით შე-  
ემა რიცხოობრივად ჯარს მტრის ძალებს. უმც-  
როს ლიტენანტ ებრაელიძის ტანკსაწინააღმდე-  
გო თოფის გუნდმა გაერმანელთა 4 ტანკი მოს-  
პო და რამდენიმე ათეული შიტლერილი გაუ-  
ლიტა. ჯავშანმტვრევლებმა — ხმხანავებმა გო-  
გოლაძემ, გორგაძემ და ძაბირაძემ უფროს  
სერჟანტ ხიტნაძის მეთაურობით მოწინააღმდე-  
გის 4 ტანკი დასწვეს და დააზიანეს. გერმანე-  
ლებმა 250-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი  
დაჰკარგეს“.

ზემოთ მოყვანილ საბჭოთა საინფორმაციო  
ბიუროს ცნობის მონაცემები დიდი სისხლისმ-  
ღვრელი ბრძოლების შესახებ მოგვითხრობენ,  
ამიტომ შეუძლებელია ისინი აღვლევდნენ გარე-  
შე წყაივითხი და გაიხსენო დიდი ხნის შემდე-  
გაც.

იმ ბოზოქარ დღეებში აღამიანები როგორ-  
ღაც ისე მიეჩვიენ ასეთი ცნობების წყაივითხვას,  
რომ თითქმის ყოველდღიურ, ჩვეულებრივ მოე-  
ულნად თვლიდნენ მსგავს ოპერატიულ ცნობებს.  
ეს შესაძლოა თავისებურად ბუნებრივიც იყო  
იმხანად, ომში მყოფი აღამიანებისათვის, იმი-  
სათვის, ვისაც უშუალოდ ეხებოდა ეს ამბავი.  
მაგრამ მაშინაც იგი ბევრისათვის დიდი ამბე-  
ბის მაუწყებელი იყო, ხოლო ახლა, დიდი  
ხნის შემდეგ, როცა კვლავ ვკითხულობთ ამ  
ისტორიულ ცნობებს, ვიხსენებთ მაშინდელ  
მოვლენებს და ღრმად ვუკვირდებით ამ ცნო-  
ბებში მოყვანილ ფაქტებს, ციფრებსა და აღა-  
მინათა გეარებს, — კვლავაც სიამაყის გრძნო-  
ბა გვიპყრობს, ახალი ძალით წარმოდგებიან  
თანამემამულეთა საბრძოლო საქმეები და მებ-  
რძოლ აღამიანთა პორტრეტები, მათი მაღალი  
მორალურ-საბრძოლო თვისებები უფრო ნა-  
თელმისილი ხდებიან.

კურძოდ, ზემოთმოყვანილ ცნობაში მოკლე-  
დაა გადმოცემული საბჭოთა მეომრების ერთი  
პატარა ჯგუფის დიდი საბრძოლო ეპიზოდი.

თანაბოლქვლებთან ერთად, ამ მკაცრ ბრძო-  
ლაში თავისი მამაცობით და საბრძოლო ოსტა-  
ტობით ღირსეული წვლილი შეიტანა 18 წლის  
კომკავშირებმა, პოლკში ყველაზე ახალგაზრდა  
მეთაურმა, უმცროსმა ლიტენანტმა შალვა ებ-  
რაელიძემ. სამი ჭრილობისა და კონტუზიის  
შემდეგ, იგი კვლავ ჩაიდა საბრძოლო მწყობრში  
და ბრძოლებით განვლო ომის ძნელი და გრძე-  
ლი გზა მშობლიურ კავკასიიდან პრალამდე და  
მრავალი საბრძოლო ჭილდოთი მკერდამშვენე-  
ბული, გამარჯვებული დაბრუნდა დედაქალაქ  
თბილისში.

კომკავშირლები უკვე საბჭოთა ყანაში აღზრდილი ჯეჩილია, მშვენიერი ჯეჩილი,  
და ამიტომაც განსაკუთრებული უურადლება უნდა მივაპყროთ მათ. მათ უნდათ  
ისეთი სკოლა, რომ მათგან გამოვიდნენ სოციალიზმის ნამდვილი მშენებელნი.

# ქ ჯ ე ბ ი

## ბიბრის მუობელი

გადახდილია სამშობლოს ვალი!  
და ახლა ხალხში ამაყად მიდის!..  
ათი ვაჟკაცის გამზრდელი ქალი  
ოლეგის დედას გზას უთმობს რიღით.  
გადახდილია დედური ვალი,  
რომელსაც ყველა ამჩნევს და ხედავს.  
მიდის და გზაზე ასი წლის ქალი  
რიღით გზას უთმობს ოლეგის დედას.  
მიდის და გზაზე სიმღერა ესმის,  
ვიღაცა გოგო ოლეგზე მღერის.  
ვიღაც უკითხავს ოლეგზე ლექსებს  
და დაღლილ ხელებს უკოცნის მერე.  
ხედავს, ოლეგის საფლავს და სახელს  
დღეს ყველა დედა იცავს და უვლის,  
დღეს ბავშვებს ხშირად არქმევენ ოლეგს,  
და სიამაყით ევსება გული..  
დანახვა, განსჯა ცოდვის თუ მადლის  
მხოლოდ ხალხმა და მამულმა იცის,  
და მისი შვილის სიცოცხლეც დადის  
როგორც სიმღერა, ლექსი და ფიცი.  
შვილის სახელი თუ მარად ივლის —  
რა უნდა დედას ამაზე მეტი.  
სამშობლოსათვის გაზრდილი შვილი  
ყველაზე დიდი ძეგლია დედის...

## ბიბაროვა ღაღებს

დედებო, მიმიე გერგუნათ ტვირთი,  
მიმიე და ყველა დიდების ღირსი.  
ბავშვების — ქვეყნის ფეხის და კვირტის —  
მზეცა და მიწაც — თქვენა ხართ ისევ.  
ისევ თქვენ არჩენთ, ისევ თქვენ შველით  
თქვენი სამშობლოს წუხილს და ტკივილს,  
მამულისათვის გაზრდილი შვილი  
არის დედების სიბერე ტკბილი.  
ამიტომ გმართებთ სიმტკიცე მეტი  
და უფრო მეტი სიფხიზლე გმართებთ,



თქვენი სულია ბავშვების ღმერთი,  
 თქვენი გულია თვალები მათი...  
 პატიოსნება ვაჩვენოთ მარტო  
 მათ სუფთა სულს და უმანკო თვალებს.  
 ბავშვებს, ხვალინდელ ცხოვრების პატრონს,  
 ბავშვებს, ხვალინდელ კაცებს და ქალებს,  
 იმ დედის წლები, ჩავლილი უქმად,  
 მისი სიცოცხლე, ბედი და ხვედრი  
 ანთია, როგორც ყვითელი შუქი,  
 რომელსაც ყველა უმზერთ და ხედავთ;  
 რომ არ იწვოდეთ იმგვარი ცეცხლით,  
 რომ არ ჩაფარდეთ იმ ქალის დღეში.  
 დედებო, ფრთხილად, იუდას ვერცხლი  
 ისევ გადადის ხელიდან ხელში!

## ქ ა ხ ი ლ ი

ამერიკელმა ახალგაზრდამ უარი თქვა  
 ვიეტნამის ომში წასვლაზე.

გ ა ზ ე თ ე ბ ი დ ა ნ

ის ბიჭი შენი ტოლია, ოლეგ.  
 და ამერიკის სინდისი ჰქვია.  
 მას შვილი მისი უყვარდა, ოლეგ,  
 და ბავშვებს როგორ ესროდა ტყვიას.  
 ის ბიჭი შენი ტოლია, ოლეგ,  
 ვისაც სამშობლოს ნამუსი ჰქვია.  
 მას დედამისი უყვარდა, ოლეგ,  
 და დედებს როგორ ესროდა ტყვიას.  
 არჩია ციხე და მძიმე ყოფა  
 ჯალათის სახელს, ჯალათის მუნდირს.  
 ზოგჯერ დუმილი და ჩუმი ყოფნა  
 დანაშაულს და მკვლელობას უდრის.  
 მისი ხმა, მისი ნათქვამი: „არა!“  
 გუგუნებს, როგორც ღამეში ზარი.  
 და უთმობს თავის გულსა და კარავს  
 მართალი გზიდან აცდენილ მგზავრებს.  
 ამერიკას კი აოცებს, უკვირს,  
 როცა ასეთი ძახილი ესმის;  
 ვისაც თავისი სამშობლო უყვარს,  
 სხვების სამშობლოს ტყვიას არ ესერის.  
 და იმ ბიჭივით მსოფლიოც ბორგავს,  
 ბორგავს და ყვირის: „სირცხვილი მკვლელებს!“  
 თავისუფლებას ვინც ადებს ბორკილს —  
 ის ბორკილს ადებს საკუთარ ხელებს.

ჯუმაბარ თითბარი

ოჯახი

ნაკვეთი

მე და შენ გვახსოვს ომის წლები, ჯემალ:  
პირველი წლები—ძლივს, ბოლო წლები—უკეთ.  
ბევრი რამის გამო გვახსოვს, უფრო კი იმი-  
ტომ, რომ ველოდით:

- რიგების დამოკლებას.
- შუქის ანთებას.
- საბონს.
- ასანთს.
- შეშას.
- შაქარს.
- კარაქს.
- სიმშვიდეს.

ემდეროდით:  
„ერთი ძაღლი ძაღლია,  
ორი ძაღლი ძაღლები,  
პიტლერი და მისი ძაღლი —  
ძაღლი-მამაძაღლები“.

ემდეროდით:  
„ამსერ თიზმა დუთუდასუ  
კუშენერი ოხარალი,  
სტაღინს ქოხალი დუჰუდასუ  
პიტლერიში ონგარალი“.<sup>1</sup>

მართლაც, დიდთოვლობა იცოდა მაშინ, ჯე-  
მალ! ქოხის სახურავამდეც აღიოდა. ახლა კა-  
ლოშს საღდა ნახავ, მაღაზიის ვიტრინებში უშ-  
ველებელი, საგულევერო „სარეკლამო“ ცალე-  
ბილა დევს. მაშინ კი, მაშინ, ვისაც კალოში  
ჰქონდა, დიდთოვლობას შინ გაჩერდებოდა?  
თოვლი და სიცივე, იცოცხლე, თავზე საყრელად  
გვქონდა.

<sup>1</sup> ამაღამ იმდენი ეთოვოს,  
ხელ გავკალვა დაგვეჭირებოდეს,  
სტაღინს პური გამოეცხოს  
პიტლერის ქელეხისთვის“.

მერე...  
ბევრმა გაიხარა.  
ბევრმა შემოუფოჩავე თალხი კაბა შეიკერა.  
შენ უკვე არ ელოდი!..

ქერჩის ფრონტიდან ტელეგრაფის მავთულმა  
მოსკოვს მოთხრობა გადასცა. იმ მოთხრობას  
ბრიგადის კომისარი პ. ა. პავლენკო აწერდა  
ხელს. იმ მოთხრობას „ქართველი ხალხის გმი-  
რი შვილი“ ერქვა. მერე გაზეთი „ქრასნაია  
ზევზდა“, 1942 წლის 7 მაისის ნომერი, ზუგ-  
დიდის რაიონის სამხედრო კომისარიატში ამო-  
იტანეს. იქ წაიკითხეს და... მამაშენს ზუგდიდში  
ვინ არ იცნობდა!..

„ის ალიონისას დაჭერეს, ტრამალი ხელისგუ-  
ლივით იყო. საღ გინდა დაიმალო, შორიდანაც  
ადვილად დაინახვენ. ვაითუ ნაღმის წერა გავხ-  
დე ან ტანკმა გამსრისოსო, გაიფიქრა...“

ასე იწყებოდა.  
ერთ კვირაში ეს ამბავი თბილისმა ცალკე  
წიგნადაც დაბეჭდა. ახლა პირდაპირ და უბრა-  
ლოდ „გრიგოლ სხულუხია“ ერქვა.

ჰო, სოფელმა და რაიონმა მამაშენის სახელი  
ადრეც იცოდა, ჯემალ! ახლა მთელმა რესპუბ-  
ლიკამ გაიგო, მთელმა ქვეყანამ გაიგო.

გაიგეს:  
სოფლის საბჭოს თავმჯდომარედ უმუშევნია.  
ომში მოხალისედ წასულა.  
გამრჯე ვაეკაცი ყოფილა.  
სოფელი მისით ღონიერი იქნებოდა.

ხალხისთვის დაიღუბა, სამშობლოსთვის და-  
იღუბა. ხალხმა და სამშობლომ უკვდავება მია-  
ნიქეს.

მაგრამ სიყვდილი მაინც სიყვდილია, ის ოხე-  
რი!

ცხოვრება წინ იყო!..



მას შემდეგ ოცდაექვსი მაისი მოვიდა და წავიდა.

„გრიგოლ სხულუხია“ წინ მიდევს.

ღმერთმა ნუ ქნას, დრო არ არჩენდეს ქვეყნის, ხალხის, კაცის იარას.

ეს პატარა წიგნაკი მამაშენის კაიკაცობითაა დაწერილი, ჯემალი! წიგნაკი-მეთქი,—მოთხრობაა ჰქვია, აქნებ ნარკვევით იყოს... შენთვის ის ქვე-მარიატად დიდი წიგნია; შინაგანად მწამს და მჯერა: როცა ამ წიგნს ხელში აიღებ, ასე გგონია, მამამ გამოგიწოდა ხელი.

იმ წიგნში წერია:

წითით გრიგოლ სხულუხიამ „ზუგდიდი, თავისი ავრიაშულებული ოჯახი და მოხუცი დედა გაიხსენა. ისე სულამდერებელი ქალი იყო, რომ იტყოდა ხოლმე: „ოღონდ კი ღმერთმა დამარჩინოს და ორასი წელი არ გავჩერდები, იმდენი სიმღერა ვიციო“. ბერიქალს სიმღერა უკვე ერცხვინებოდა და ვაიოშვილს არ უსვენებდა, იმდერე და იმდერეო. „როცა არ ემღერებარ, თავი მტყურო“, — ცოდვაგამდევანებულად ეტყოდა შინაურებს. მეგრებში ჩიტებივით მოედურტუენი არიან და ბერიქალი სწორს ამბობდა. მეგრელი ძილშიც წაუმღერებს და სიკვდილის წინ სიმღერის დასაწყისს მაინც წაიხურჩალებს. „და აი,—გაფიქრა გრიგოლმა, — დედას არაფერი მიუვა ჩემგან. აბა, რას მიმღერებ, დედე? რა გამოკეთებია ერთი?“

კარგახანს ბრაზობდა, ვერა და ვერ ეპატიებია თავის თავისთვის სახელის მოუხევეკელობა...“

მწერალ პ. ა. ბაგლევოს მაღლიერი უნდა ვიყოთ, რომ ქვეყანას აუწყოს სისხლით დაწერილი გმირობა მამაშენისა. უფრო კი იმ კაცის მაღლობელი უნდა ვიყოთ, რომელიც ქერჩის მიწაზე დაიფარგლა და ახლა მშობლიური სოფლის შუაგულში დგას აწ და სამარადისო!..

მე და შენ ჯემალი, და მრავალი და მრავალი ჩენი კბილა თუ სხვა თობის კაცი, ჯერაც ვალში ვართ მამაშენის კაიკაცობის, მამაშენის დიდკაცობის წინაშე.

ვალს გაღახდა უნდა!



რა დასამალია და, ამ ოციოდე წლის წინათ ჩენს მდინარეებსა და დელე-ლულეებში თევზი დღევანდელივით საწყალთი არ იყო. წყლისპირები ცეროდენა ბალღებით იყო მოფენილი. ბალღებს დღესაც ისევე უყვართ კუჭმალაოზა და თევზის წახელება, მაგრამ დღეს ისე, სახალდე თევზაობენ. მაშინ ექმსი-შვიდი წლის ბლარტის „ნანადირევეზე“ ზოგჯერ მთელი ოჯახი გადადიოდა. შესაძლოა, იმ დღის გმირი მეღორჯოვე ამას ვერც ხედებოდა, მაგრამ უფროსებმა ხომ იცოდნენ!..

ეკალოზე ღამრული ბავშვების ჯგუფებს ვინ დათვლიდა.

ფუთი სიმიინდი ათას ექვსასი მანეთი ფაეტონით ექიმის მოყვანა—სამასი მანეთი.

ბავშვები ოჯახს ინახავდნენ.

ზუგდიდში, ჩხოლუხის ხილქვეშ, ათობით ბავშვი გამუდმებით ეყარა, დარდიმანლი შოფრების მანქანებსა და იმ დროს, არც თუ საწითელი საძებარ ფაეტონებს რეცხავდნენ. დღე გამოერეოდა, ბავშვები მოსამსახურის ხუთი-ექვსი დღის ხელფასს აკეთებდნენ! ზაფხულში არა უჭირდათრა, მაგრამ გვიან შემოდგომასა და ზამთრის მოძაღვბაზე უნდა ვენახათ — წყლიდან რომ ამოდიოდნენ, გავარჯარებულ ტაფაზე ნაბობლილები კიბოსფერი მუხლისთავეები და მკლავეები ჰქონდათ.

დაკუშპული ხუთიანები და ათიანები ხელიდან ხელში გადადიოდა. ხილქვეშ რომ „ოღურ-ზაროსა“ და „დაეი მაგას“ დაიხებდნენ, ზევით ხალხს ესმოდა. ბაღლები შორს იდგნენ, წყალში ჩამოყრული მანქანებს ესეოდნენ. ესეც თავისებური შრომა იყო. შრომის კეთილი ანგლიზი ოცდაათკაპიკიანი კამათლისაგან იფარავდა მათ. სულ ყველა მასსოფს... ახლა უმეტესობა ხალხი დადგა, ისწავლება, ჩემო ბატონო, კერი აქვთ და კარი. ზოგმა მეტისმეტად შეიყვარა ფული და... შეუჩვენებელი ნუ შეაჩვენებ, თორემ შეჩვენული გადაჩვენება ძნელიაო, მოგესხენებათ.

მიმე დრო იდგა.

სოფელი დღიდა. გრიგოლ სხულუხიას ოჯახს თვლი და ყური არ ავლდა, მაგრამ უვაჟკაცო ოჯახი მაინც, ხომ იცით...

ჯემალი, ჩიორზე ახორხლილი ღორჯობით ხშირად მობრუნებულხარ სახლში, მაგრამ ჩხოლუხის ხილქვეშ მამაშენის შვილი კაცს არ უნახავს.



ზუგდიდში, ხილთან, საოცარი გზიანი წყალი იყიდებოდა. ნეტა მართლა ისე კარგი იყო, როგორც მაშინ მეჩვენებოდა? წყლის გამყიდველს კალისტრატე, კაი ერქვა. კაის წყალი დავლიეო, თუ იტყოდა ჩენი უბნელი ბიჭი, სულ კბილების კაწყაწი გაველიოდა—ასე დღეს რა უნდა მომენატროს!

მართლა თითქმის ყოველ კვირას იმართებოდა. ზღვა ხალხი ესწრებოდა ხოლმე. მაშინ ზუგდიდს ელენგანტური, თვალმოუცილებელი მხედარი საშა დარასელია ამშვენებდა. აიწირიანი მართლა რომ დაიწყებოდა, ხალხს ხახა უშრავებოდა. პოდა, ამ დროს ბელურებივით შეესეოდნენ ხალხს ზუგდიდელი გავროშები და გააკიოდნენ: — ვადა, ვადა, კაის წყალი, კაის წყალი!

— ციკია, ციკია, ვადა, ვადა! კაის წყალი, კაის წყალი!

წყალს იქვე, იზორდომის ირგვლივ მოსახლე ხალხის ჭებიდან ეხილებოდნენ. სახლის პატრონები თავს იკლავდნენ—წყალი აგვიმღერებს იმ მამაძაღვებმაო, ერთხანს უშლიდნენ, მაგრამ,

შემდეგ, თვითონაც, რა შვილი, მარულას არ ნახავდნენ, იზორომზე გარბოდნენ, არადა, აი-ვანზე გადმოღებოდნენ, ზოგი სახურავზეც აღ-იოდა, ბუნხრის თავს ჩაეკვრებოდა და იქიდან უყურებდა.

„კაის წყალს“ მაშინ იმდენი მუშტარიც ჰყავ-და, თბილისის „დინამოს“ სტადიონზე მზესუმ-ზირას რომ ჰყავს ახლა!

ახლა სხვა დროა, სხვა ბავშვებია. იმ ბიჭებს „ცივიას“ ვეძახდით. საწყენი რა იყო. ის „ცივიები“ დღეს ქვეყანასაც არკიან და თავიანთ თავსაც. სხვა დრო იყო-მეთქი, ხომ ვამ-ბობ.

„კაის წყალი“ ზუგდიდში დღესაცაა, იქვე, ხილთან. თვით კაი ბიძი—კალსტრატე ჯინ-ჯოლა აგერ ათი წელია ცოცხალი აღარაა. ძველი ზუგდიდელები იმ კიოსის დასახლე ახლა ხურდას რომ ჩამოდებენ,—ერთი, კაის წყალი დამისხიო, ეუბნებიან გამყიდველს.

ხალხს არაფერი ავიწყდება. ჯემლა, შენ ბევრი „ცივია“ და „კაის წყალი“ დაიკლევია, მაგრამ არ გაგიყვლია კია!

თუმცა, ჭირა და წამოსაძახებელი არც არა-ფერი გექნებოდა!



ჩხოლშია კარგა მოზრდილი მახსოვს. ზოგჯერ ვეკვობ ვიდევ, მის სიგარძე-განს ბალღის თვალი ხომ არ ახვიადებდა-მეთქი. ალბათ, ასეც იყო, მაგრამ ნაკალაპტარი აგერ არ არის?! ზუგდი-დეში ბალები მის ქალა-ქულებში ვეყარეთ, ჩრდილი არ გვაკლდა და ხილი, მატყურად ჭი-ებსა და ბაყაყებს ვიმარაგებდით და ჩვენი ნა-ცოდველი აწეცებით ვთევზაობდით, სადღაც სიღრმეში დაყვინთულ ფოსოებში და დარანებ-ში მგვარი ავლანდისტებივით ვეჭვროდით და, ღმერთმა იცის, ლოქოს მერს ეპეტრდით თუ უსახელოს.

სასოხუმე ხილს ვეტყოდით, აბრალებების უბ-ანთან,—რა საბანაო ადგილი იყო! ფინეთთან ომის ახლო-მახლო დაბადებული ბალები (სა-მეგრელოში, ყოველ მეორეს მაინც მაშინ ომი-კოს არქმევდნენ) სააბრალოში ეძებდნენ სა-ხელის დასაგდებ საპარესს. ხეებს ბელტურებივით მოედებოდნენ და შურდულნარკავეებივით ცვი-ოდნენ ჩხოლშიაში. ახლა იმ ხეებიდან კატა რომ გადმოვარდეს, მიწამდე სული არ დაჰყვე-ბა—წყალი სადღა არი, წვიდა, დიწრიტა, მი-ილი. წყლოსპირა ხეები ჭრეს, ჭრეს და...

მაინცდამაინც, სიმართლე რომ ითქვას, სახლ-ში არ გვაბამდნენ. თავს რომ არ გავსულოყავით, გავფრთხილებდნენ: ღმერთი არ გაგიწყრეთ და სასოხუმე ხილს არ გასცდითო, რადგან...

ომისმერენდელი პირველი წლებია, ორმოც-დაექვსი, ორმოცდაშვიდი. მაგრამ ჩვენ ვითიე-ერთი რამ: სასოხუმე ხილს იქით, სულ ათიოდე ვერსზე... გერმანელები არიან.

დაბეჭითებით შემძლია ვოქვა: გერმანელი მაშინ ჩემთვის იმსვე ნინჰავდა, რასაც მთელი ჩემი თაობისათვის.

უფროსებმა მაშინაც იცოდნენ, რომ არსე-ბობს გერმანელი და არსებობს ფაშისტი. ჩვენ არ ვიცოდით. ჩვენ რა შუაში ვიყავით, ჩვენთ-ვის რა დროის ამაზე ფიქრი იყო!

არადა, სასოხუმე ხილს იქით, სულ ათიოდე კილომეტრზე, სწორედ ის გერმანელები იყ-ვნენ...

მოგახსენებთ:

ენგურზე გერმანელი ტყვეები მუშაობდნენ, ოღიშსა და სამურზაყანოს აერთებდნენ ხილით.

რისი დანგრევაც მოასწრეს, ხომ დანაგრეის, ახლა კი მუყაითად, გულმოღვიენდ აბეტონებდ-ნენ ოცარკუთხს ხილს (აქურდები ასე ეძახიან).

ასე მუყაითად, საქმის სიყვარულით, წესისა და რიგის დაცვით შეჰყავდათ მათ ებრაელები და რუსები, პოლონელები და ქართველები, ფრანგები და თვით გერმანელი კომუნისტები ვაზის კამერტეში, წარმოუდგენელი სიამოვნე-ბით ამკლავებდნენ „ბაბი იარისა“ და მიწასთან გასწორებული საავადმყოფოების ფონზე გადა-ლებულ ნეგატივებს და გერმანიაში, ცოლ-შვილს უზგავნიდნენ.

ვიღაცას აზრად მოუვიდა და... შიგ ზუგდიდ-ში, ხილის ყურთან, ქვის სამტეხლო გამართეს. გერმანელი ტყვეების ერთი ნაწილი აქ მოჰყავ-დათ სამუშაოდ. მაშინ იყო, რომ ჩხოლშიაში ქვა არ ჩატოვს. გერმანელები ეზო-ეზო დადი-ოდნენ და სამუშაოს იხოვდნენ—ვინ ქას თხრიდა, ვინ შუშას აპობდა, ვინ რას აკეთებდა და ვინ რას. მეზობლობაში ხილი არ გვაკლდა. მახსოვს, სანამ საქმეს არ იშოვნიდნენ, ტყვეები ხილს არ გვაკარებოდნენ—მიწიდანაც არ იღებ-დნენ, არც წყვეტდნენ, მით უფრო, ცოდვის ვერ დავიდებ, მოპარვა რა სათქმელია!

მერე ისინი სადღაც წაიყვანეს. ამბობდნენ, თავიანთ ქვეყანაში წავიდნენო.

ყველაფერი კარგად მახსოვს-მეთქი, ვერ ვიტყ-ვი, ვფიქრობ, ასე იყო.

ეს ხილი მსულუხების სოფლის ახლოსაა. გრიგოლ სხულუხია ამ ხილზე ვერ ვაიარა. ახლა იგი სამოცი წლისაც არ იქნებოდა, სოფ-ლის საბჭოს თავმჯდომარის მარდ და მუხლად იორდას ერთი მგვარი „ეილისით“ ან „კოლ-ხონივით“ შეცვლიდა, ბრიგადიდან ბრიგადაში ივლიდა. სოფლის ჭირსა და ლხინს არ მოაკლ-დებოდა, ხანაც ენგურსგაღმა ავიდოდა და სა-თანჯოს მთისკენ სანადიროდ გასწევდა.

მერე იმდენს იცოცხლებდა, ცას და ქვეყანას გამოეკერებოდა.

**ჯუმაგარ თითფერი  
ოჯახი**

ახლა მამამისს მხარზე შეაჯღებდა და იმ ხილზე გადავა გრივოლ სხულუხია II.

ღიან, დიდი გრივოლის შვილიშვილი, რუსიკო ავალიშვილისა და ჭემალ სხულუხიას პირმშო პატარა გრივოლი.

ამ ივლისის ოცდაათს ვია ორი წლის შესრულდა.

მაღე რუსიკო ავალიშვილისა და ჭემალ სხულუხიას მეორე სიხარულიც ეყოლებათ ოჯახში. ამრავლოთ!..



ჭემალი ფოკულტურის ინსტიტუტს ამთავრებს. სპორტის ოსტატობის კანდიდატია მძლეონობაში. მისი მეფულე რუსიკო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დიპლომანტია. ჭყარჭრობით მართლაც სტუდენტურად ცხოვრობენ: სტიპენდიას ბინის ქირაში იხდიან. ისე ჩანს, ჭემალი თბილისში დარჩენას არ უნდა აპირებდეს — სამშუაო რაიონშიც იარ გამოილევია. რუსიკოც იქვე, სოფელში იმუშავენებს, — აწი რა უქროთ!



— დეიდა ქეთო! — ილარიონი გავიკანი, ილარიონ ფარცვანია.

— ქეთო რა ქალია, იცი? არ იცი!... ათასი ძირი ვენახი აქვს, მეც—ათასი ძირი. მე ორი ღლე არ მყოფნის, ქეთოს მზის ჩასვლამდე შეწამულული აქვს, აბა!

ემაყებით, მამიან-შვილიანად, დედაბუღიანად ემაყებით ილარიონ ფარცვანიას, თქვენი ოჯახის დედისძველ სულის ზიარებას—ძიკას. თქვენი სახლიდან წამოსულ კაცს რაღა ისეც ვერ გავიშვებთ? უნდოდა...

—ძიკა ბიძია, თქვენ და გრივოლ სხულუხია სიყრმის მეგობრები ყოფილხართ...

— ვინ გითხრა, დედას გაფიცებ!

— მიიხრებს.

(დეიდა ქეთო, შენს ვინარის ვითხე, ყველაზე მეტად რა გსიამოვნებს ხოლმე—მეთქი და, მამაჩემის ამხანაგებთან შეხვედრას; არა, მანც ვისთან-მეთქი და, ძიკა ბიძიასთან; იქ არ მითქმას, ავერ გუუნებთ ძიკა ბიძია!).

— კი ვიცი, ახლა, ქეთოს სახლიდან მოდიხარ, მარა, ავერ, ა, ავერ ჩამოვსხდეთ და... იმ სიშორიდან ჩამოვსულხარ, შე კაცო, მეც გეტყვი ორ ღერ სიტყვას.

...ღერწყვია ბადა ირთავდა ჩემს დისშვილს... ღამე... ახლა ჩვენებური ქორწილი კი მოგვხსენება. მეორე ღღეს დამეძინა, მალეცა თურმე გრივოლმა, მალეცა, მარა შენი მტერი! არა, მეგრული ხომ არ იცი? ავაშენა ღმერთმა! ვერ თქვი? თორმეტი საათი იქნებოდა, ასე... ერთი ვერო წყალი გადამასხა, — მივიარ-მოვიაროთ, ყანებს დავხელოთო... ზოგიერთ ახლანდელ თავმჯდომარესავით კი არ იყო, ფეხი არ დამის-

სველდესო და მანქანიდან რომ არ აჩნდებოდა... იგეთი ყანები იყო! გადავეტურ-გადმოვეტურეთ!... ომი დაწყებული ყოფილა, გესმის!

საწყობის გამგე იყო ქაღარია პროფი... ჭარში... დაიღუბა... გვიოხრა... ესეო, ესეო... წავიქვიციო, შეგვეშინდა...

რადიო არ გვერნდა, გრივოლის „პადეოდი“ კომბინატში გავიქვიციო, აქვე, ქალაქის კომბინატში.

გვიოხრეს, რადიო გადმოსცემდაო, „ღებოო“, „მებოო“...

გრივოლმა თქვა, წავედი მეო. თავმჯდომარე იყო და დარჩენა ეკეთვნოდა, მარა, წავედი და წავედიო... ისე, დავლიეთ ცოტა... საღაროში ფული თუ გაქვსო... მაშინ დარბად ვეყავით. ფურაგისთვის ფული რომ არ გვეყო, გრივოლს სახლის ფული ჰქონოდა და ის მოვიხმარეთ. მე არაფერი არ მინდაო, საბჭოს ამა და ამ ხალხის ფული აქვს, თუ კაცი ხარ, მიხედეთო. მთლად ხვალ თუ წავა, რავე გვეგონია... წავედით ქეთოსთან... ვინარზე კოსტულად იყო... მეორე ღღეს გავაცილეთ... რვა ხელმოწერილი ჩევი დამიტოვა, დაგვირღებათო...

ერთ ღღეს ზუგდიდში ჩავედი და მიიხრეს, შენც წადიო. ჩევედი და ბეკუდი იქ მქონდა. გრეშა ჩაჩიბიას, რაკოპის მდივანს ვთხოვე, სამი ღლე მომეცო-მეთქი. გურია საჯაროთან გამავზავნა, საჯარო კომისართან ვამიშვა. კომისარო არ მახსოვს. აბა! არავითარი სამი ღლეო. უკვე ვაგონში ვარ და ერთ ნაცნობ კაცს ჩეკები და ბეკუდი გადავეცი, აშენა ღმერთმა.

ნათელულში ვიყავი სამი თვე, მერე სევასტოპოლში მოვხვედი. გრივოლი ქერჩში იყო, ვიცილი. ორმოცდარობა, მარტი. პოლიტბურო მოვიდა, გვიოხრა, გრივოლ სხულუხიამ ესა და ეს ჩაიღინაო, საკითხი დაამუშავა. მიეწერე სახლში. რა იციან... პასუხამდე ალყაში მოვხვედი... წერილი ვერ მივიღე... ექვსი თვე ვიყავი „ტყეში“, მერე დაგვიქირეს... ორმოცდართხის სექტემბერში გავგათავისუფლეს... მერე ფრონტზე ვიყავი, ბუდაპეშტის ვითავისუფლებამდე გრივოლისა არაფერი ვიცოდი... ორმოცდამეექვსი წლის ავვისტოს მოვიღე სამშობლოში... ხუთი თვე თბილისში ვიყავი... ჩემი შვილიც ვინარის კიბლაა, „უიან“ ერქვა, ძლივს გადავქეთუე სახელი — ვალერიანი ჰქვია.

...რა მივითხე? ტანმობზე და კავადანარა იყოო? პავლენკო არ იყო მე! არა, პავლენკო კი კაცი იყო! გრივოლი, ავერ გითხრა, „ზღაროვი“ ბიჭი იყო. თავიდან ხველი და მაღალი იყო, მერე მომსხვილდა...

...თონე გაკეთა ავერ, ე, ჭასთან... პურის ფქვილი იშოვა... მეტრეველი იყო ვილაც... ნელი კაცი იყო, ქე იცი ახლა... აქ ჩავაყუდებთათიო, ხალხს პური არ ყოფნის, რა ფეხზე გძინავსო, დავეტურდა, აბა...!

...წერტში პური დროზე არ მიუტანიათ. ერთი მისი ახლობელი ქალი მუშაობდა, გადა-



ირია: მინდორში გასვლა არ იცი რა არი, აქ რა გინდოდა, მინდორის ხალხის პური არ უნდა გქონდესო! ადგა და გამოცვალა.

...ბევრს არ სვამდა, მაგრამ სუფრაზე კი იჯდა ბოლომდე. ხაფანა კაცი იყო... ხაფანა ხომ იცი, ლალი, მხარულე...

...ეს მარჯვენა ხელი როდის გაეხვიებოდა... ოცდაშვიდი ივლისი იყო, კი, ოცდაშვიდი, ორმოცდარიო... პოლიტბელი კონდრა იყო, კონდრა ერანავა, ორსანტიის ყოფილი თავმჯდომარე. თოფი ხელში შემომატყდა... მერე მეც მომხვდა... კონდრას იმედი მქონდა... რას ვხედე... შეეტრიალი... ცხვირ-პირში მეცნენ...

...ავერ, ახლა, ორმოცდაჩვიდმეტში, საერთო კრება გვქონდა და... შალვა იყო, ხარბავა თავმჯდომარედ, ისაკი ქორთუა მოვიდა, „მებრძოლის“ რედაქტორი. იმას შალვისთვის ეთქვა და, უწინ რუხის ახალაბათქმუნის კოლმეურნეობა ერქვა და რუხის სხულუხის სახელის დადარქვათო თქვეს, გაეხარდა ხალხს, ა, საქმე!

...ახლა, რაღა იცი შენ, თუ ვინმე, სოციალისტური შრომის გვირი იყოს (ვინაობზე ვამბობ), მამა საბჭოთა ეკუმბრის გვირი ჰყავდეს და კოლმეურნეობაც მამამისის სახელს ატარებდეს... ზუგდიდში რომ არაა, კი ვიცი, მგონია, საქართველოშიც არაა, არც სხვაგანა, მგონია...

\* \* \*

დეიდა ქეთო, ის როგორ იყო, შენ რომ ქმარს სახლში პურს ატანდი, შინ მიხვიდიდი და პური არა გხვდებოდა?

გრიგოლი თურმე, გზაში ხან ამ ჭიშკართან, ხან იმ ჭიშკართან „პადვოდს“ შეაჩერებდა, არჩემლიმ ბაღს თითით მოიხიზობდა, პურს შეაჩერებდა, დედას მიუტანეო ეტყოდა და წავივოდა.

ეს ჯოვო თოდუმ მიაიმბო, ერთხანს გრიგოლის „პადვოდზე“ მჯდარა თურმე.

\* \* \*

ერთი ამბავიც უნდა ეთქვა (დეიდა ქეთომ მიაიმბო).

გრიგოლი ერთ სოფელში გადაუყვანიათ თავმჯდომარედ. ახალგაზრდა ცოლქმარი დროებით ერთ ოჯახში დაუყენებიათ... მასპინძელს ორთვალისონ ოდა ჰქონია, ერთში თვითონ მდგარა. გრიგოლი დილაუთენია მიდიოდა ხოლმე და გვიან ბრუნდებოდა. საწყალი დეიდა ქეთო მერე ოთახიდან ისმენს, მაგრამ რას ისმენს: იქცევა ქვეყანა, — გამობრუნული ქმარი მიდგება ცოლს, ავირებს და ავირებს, ავირებს და ავირებს, მერე „თრახი“, „თრახი“, „თრახი“. გრიგოლმა რა იცის... თურმე სხვა სახლში გადაჰყავდათ, ფართო ბინაში. არ გადასულა, მასპინძელს ეწყინება, ჯარგავლი დამიწუნა თავმჯდომარემ, არ მიკადრათ, ასე იტყვი-სო.

ქეთოს გული საგულეს არ ჰქონდა, — ვაიმე, გრიგოლმა არ წაასწროს მასპინძლის ჩხუბსო.

მაგრამ ხომ იცით, ქირმა თავი მალაო... ერთხელაც, გრიგოლი ადრე მოვიდა. მეორე ოთახიდან ღრიალსა და მუშტების ხათქა-ხუთქს კი არა, ჩურჩულსაც გაიგონებდა... ჯერ გაოგნდა, მერე ვადიარა კაცი... მთარახი ჩამოსხნა, კარი შელუწა და მასპინძელს მისდგა და მისდგა, მისდგა და მისდგა... იმან კი იკადრა გაქცევა... სიმთვრალეში იყო ასეთი ოხერი, თორემ სიღვიწველში კაცი იყო. დილას გრიგოლი საქმეზე წავიდა, რომ შეღამდა, ჩვენს მასპინძელს მილიცვა მიადგა, ამა და ამ კაცის სახლი უნდა მოგვესწავლოო. არავის სახლი არ უნდოდათ... ბარე ორმოცი დღე „ვირის აბანოში“ აყურუტეტს.

მერე იმ კაცმა ცა და ქვეყანა შეჰყარა:

— ეს გრიგოლ სხულუხია ვინ ყოფილა, ორმოცი დღე დადიასაგით მაცხოვრა, თუთუნო და „კალბასი“ არ დაუკლია. ჩემი პატივისცემა თუ უნდოდა, იქ არ ვიყავი, რომ ამ სისორზე მიზიდა და მიზიდა თუთუნი და „კალბასეზიო“?

\* \* \*

...ჩემი ქმარი, მგონი, ყველაზე ახალგაზრდა თავმჯდომარე იყო რესპუბლიკაში... ოცდაოთხი წლისა.

ქემალი რომ მეყოლა, ოცდახუთი წლისა ვიყავი... ოცდაცხრამეტში. ორმოცდაორში იყო, რომ დავიღუპე. გრიგოლის ამბავი რომ მოვიდა, იმ წელს გაჩნდა ვინარი. დავრჩი ქალი ორა ჩვილის ამარა, სოფელი მხარში ამომიღდა, მაგრამ სხვას ხომ არ შეეჩაჩრდებოდი ხელგამო... გაიწინაძირი, მივდექი და მოვდექი... ბავშვებთან გრიგოლის დედა რჩებოდა, ის უბედური... დღესაც ცოცხალია, არა უშავს... ნანაკაოში მშობლები მყავდა, ძმაც, დებიც. ხომ ამ მეტყობდნენ, ომში დაღუპული კაცის კერაა გააცოცო. ფეხის ვადგმა არსად მიფიქრია. ამას ისე ვამბობ, სხვანაირად, რა ვიცი... სასოფლო-სამეურნეო ტექნიკში მქონდა დამთავრებული თბილისში. გამომადა, მონაგარიშედ ვიმუშავე, ავრატექნიკოსადაც. ბოლოს—ბრიგადირად. ახლებმა არ იცით, იმ დროს შეიღუბის გაზრდა რა იყო... ქვრივი ქალისთვის მით უფრო... მაგრამ ხალხი არ უნდა შეაწუხო... ესაა მთავარი. რაღაცა მაინც უნდა დაიტოვო შენთვის... არ მინდოდა ვინმეს ეთქვა, ეგ გრიგოლ სხულუხისა ცოლია და ამიტომ შეღავათიანად მოვექცეთო. არ მინდოდა, ნამდვილად გადამეტებულ ყურადღებას მაინც ეგვრძნობდი და ეს მაწუხებდა, თუმცა, ის მამშვიდებს, რომ ვიცი — არასოდეს მისარგებლია ამ ყურადღებით, რაც შემეძლო და როგორც შემიძლო, ვიმუშავე. ვინარომ რომ სკოლა დამათავრა, ჩემს ბრიგადაში მოვიდა. იმ წელს შეღავრებით უფროული შედეგი ჰქონდა, ბავშვი იყო, და... შემდეგ გაიწიფა და, ახლა!..

**ჯუშაბერ თითთარია**  
ოჯახი



„სოციალისტური შრომის გმირს ამხ. ვინარი გრიგოლის ასულ სხულუხია.

...სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი 1966 წლის 2 აპრილის ბრძანებულების თანახმად განიკებთ თქვენ სოციალისტური შრომის გმირის წოდებას.

სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პოდგორნი  
სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი გიორგაძე  
მოსკოვი, კრემლი, 1966 წლის 2 აპრილი“.



„საბჭოთა ახალგაზრდობა გონებითა და გულთი იგებს და იზიარებს ახალ ხუთწლიან გეგმას — ეს ხომ მისი შრომა, სწავლა, სიცოცხლე და მერმისია. მრავალ წარმართში, საბჭოთა მეურნეობასა და კოლმეურნეობაში მშობლების მხარდამხარ წარმატებით იღვწიან და ოსტატობას ეუფლებიან მათი შვილები — იზრდებიან და მძღავრდებიან მშრომელთა დინასტიები. ჩვენი ყრილობის ნახევარზე მეტი — სწორედ ის ახალგაზრდებია, რომლებიც მატერიალურ ფასეულობას ქმნიან. თითოეულ მათგანს თავისი განუთქვარებელი, საამაყო ბიოგრაფია აქვს. აი, მხოლოდ ერთი ნათელი და ნიშანდობლივი მაგალითი. საქართველოს კომკავშირის დედეგაციაშია ვინარი სხულუხია, მეჩაიეთა მერგოლური. იგი მუშაობს კოლმეურნეობაში, რომელიც მამამისის, საბჭოთა კავშირის გმირის, გრიგოლ სხულუხიას სახელს ატარებს. გრიგოლ სხულუხია ომამდე ამ კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო. იგი მამაცურად დაიღუპა ქერჩის ნახევარკუნძულზე. სკოლის დამთავრების შემდეგ ვინარამ იმ რგოლში დიოწყო მუშაობა, რომელიც დედამისი, ლენინის ორდენისანი მეჩაიე, ხელმძღვანელობდა. შემდეგ ვინარიც მერგოლური გახდა... იგი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის IV კურსზე სწავლობდა და შესანიშნავად მუშაობს. მამის ხსოვნის შესაფერისი თავგადადებული შრომისთვის ვინარის სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა. ხანგრძლივი ოჯახივით!“.

საქ. ალკც ცუ მდივნის ს. პავლოვის მოხსენებითადა კომკავშირის XV ყრილობაზე.



ამ ყრილობაზე ვინარი გრიგოლის ასული სხულუხია საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრად აირჩიეს.

— ჩვენში ცხვარი არ გვეყავს და მეცხვარეთა ცხოვრებასაც არ ვიცნობდი... იბა, საიდან. მერბე ელოზიშვილის, ელდარ შენგელიასა და თამაზ მელიავას სურათი რომ ენახე, „თეთრი ქარაიანი“, ისეთი განცდა მქონდა, ამ აღმპიონებს ძალიან, ძალიან ახლოს ვიცნობ-მეთქი.

ცხოვრება მინახეს... აი, მეჩაიეებზე რატომბა გადაღებული. ერთად რომ შეერთოთ, პა და პა, ხუთ შრომადღედ არ ეღიარება. სიმართლის ნატამალი არა... ნატურლისტურ სიმართლეს არ ვამბობ... არა, რა გამოდის... დაახლოებთ ასე იღებენ: მომბივლელი, ტანყერწეტა ქალი... ისეთი სხივიერი კრემპორყეტი აცვია, საპატარძლო კაბა შემირცხვენია... ამას მაინც რა მიხვებოდა უნდა, — კრემის ოსტუ-მით კაცი ეფხებრათს თამაშობდეს, არ მინახეს... მოდის მხიარული, გაბადრული... შე დალოცვილო, დილის ექვს საათზე რომ გავღივართ, საღამოს ათი საათისთვის თუ ვართ სახლში... წყლის გადავლების თავი ძლივს გვაქვს. სხვანაირად არ გამოდის. დღევანდელი ჩაი ხვალ რომ მოკრიფო, ვუხეშებელი შვგრჩება... ამას კი ნეტარების დიმილი დასთამაშებს. თითებს კი ინტატურად ამოძრავებს (დღუბლითა გადავლებული, ცხადია). ჩვენიან, ქორწილში გვიან სხდებიან, ზოგჯერ, სანამ პატარძალს მოიყვანენ, დაგათენდება. „ოცდაერთი“ და „ბაქრა“ ავარდება. ბავშვობაში შემომჩნევია, კარტროგორ იმარავდნენ: ისეთი უცოდველი და ხალისიანი გამომეტყველება აქვთ, მამაბარამის ბატკანი მაგათთან რა... ამ დროს დააძრო საღლაე კარტი... გოვრებული კაცი... ის მსახიობებიც ასეა, — რაღაცას იმარავენ, მგონია... თუმცა რა, ცილობის ხალხი...

ახლა, ჩემზე წერა რა საჭიროა... ცოტა წერეს? ზოგჯერ უხერხულ დღეშიც ვვარდები. იმ მსახიობებთან რა მინდობა, გმირობა რომ მივიღე, ტრიკოტინის პალტო ჩამაცვეს, გმირის ვარსკვლავი ჩამოკიდეს, პლანტაციოში გამოიყვანეს, აქეთ-იქიდან ჩვენი გოგოები დამიყვანეს, გამაცინეს, გოგონები ხელში შემომჩერებინა, იქნება გმირმა ჩაის კრეფა გავაწყვალოსო... არ ვარბა, უხერხულია... იმათ მე რა უნდა ვასწავლო... მაგრამ, უცბად დაიბნევი კაცი... სპეციალისტი ისაა, ყურნალისტი... არ დაუჯერებ და, რას იფიქრებს, დაუჯერებ და, ხომ ნახეთ... მერე ამ ფოტომონტაჟებმა და კომპოზიციებმა მომსპო: „მეჩაიე ქალებიო“, „შინისკენო“, „პლანტაციისკენო“, „ახალი ვახუთები მოვიდაო“ მა რა გინდა, რა... კაცს ეგონება, მეჩაიეები მთელი დღე ფოტოაპარატის წინ კომპოზიციად და რაღაც არატონის მაქნის სიმეტრიებსა და რიგებს ეძებნო... არა, დღეს მაინც „ფარული კამერით“ მუშაობს ხალხი... მეტი სიმართლე!..



„მხედველობაში მიღებულ იქნას საქ. ალკც ცუ-ის წინადადება და ჩაის მწვანე ფოთლის მაღალი მოსავლის მიღებისა და სახელმწიფოსთვის ჩაბარებისათვის, საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის საქ. ალკც ცუ-ის ნიშნით „კომკავშირში აქტიური მუშაობისთვის“ დაჯილდოვდეს ვინარნი ბრი.

**გოლის ასპლი სხულუხიბა — ზუგდიდის სა-  
კოლმეურნეო-სამეურნეო საწარმოო სამმართველოს გრ. სხულუხიას სახელობის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი, მეჩაიეთა კომკავშირულ-ახალგაზრდული რგოლის მერგოლური.**

საქ. ალკც ცკ-ის მდივანი **ს. პავლოვი**“

\* \* \*

...ჩაი ისეთი საქმეა, ძალიან ჰკიდია ამინდზე, ძალიან. ახლა, ამ ივლისს, სულ მთლად გადაიწვა მოსავალი, რა გვეშველება, არ ვიცო...

...ხელით მოკრეფილი ჩაი სჯობია, ცხადია. მანქანა მაინც ტოვებს, თანაც იგი ყველგან ვერ იმუშავებს. აი, ინგარიში სამაგისო პლანტაციებია, ჩვენთან — ნაკლებად.

მომავალში, როდის, რანაირად, არ ვიცი, მაგრამ, ალბათ, მთელ ჩაის მანქანა მოკრეფს. მიიმე შრომაა, მძიმე. ჯერ მანქანა „საქართველო“ სულ ახალი საქმეა, დრო გავა და კიდევ უფრო გაუმჯობესდება. იცით, რამდენს კრეფს დღემდე? ზოგჯერ ორი ათას კილოგრამამდე აღის, ამა! ჯერჯერობით მაინც საუკეთესო ჩაის ისევე ხელოთ ჰკრეფენ... მე? ციფრები რად გინდათ? კარგი, ვეტყვი, შარშან ნახევარ ჰექტარზე ათი ათასი კილოგრამი მოკრიფე, თითქმის... წელს? წელს რა ვიცი, შეიძლება მეტი შექნეს, შეიძლება ნაკლები, ამინდზეც კიდია, მოგახსენეთ... სამოცდაერთში ხუთი ტონა ძლივს მოკრიფე... ძლივს მოკრიფე-მეთქი, ახლანდელთან შედარებით ვამბობ...

\* \* \*

**„სახელმწიფო გეგმის შესრულებაში მიღწეული წარმატებებისა და აქტიური კომკავშირული მუშაობისთვის ზუგდიდის რაიონის გრიგოლ სხულუხიას სახელობის რუხის კოლმეურნეობის მერგოლურ ვინარი სხულუხიას სახელი შეტანილ იქნეს საქ. ალკც ცკ საპატიო წიგნში“.**

10 მაისი, 1966 წ.

\* \* \*

— ამას წინათ, რესპუბლიკის პროფსაბკოს მეოხებით, იტალიაში ვიყავი, თხუთმეტი დღე.. აქამდე გარეთ არსად ვყოფილვარ. იტალიაზე ვოცნებობდი-მეთქი, ვერ ვიტყვი. რა მენახა, რომ მაინცდამაინც იტალიაზე მეოცნება... რიში, ნეაპოლში, სორენტოსა და ფლორენციაში ვიყავით. მისვლა-მოსვლა გახშირდა. სადმე წასვლას აზრი არა აქვს, თუკი არ იცი, სად მიდიხარ, გამოგეთ, რისი თქმა მინდა. კოლმეურნეობაში მუშაობა, გამოცდები, საზოგადოებრივი ღონისძიებები, შეკრებები დიდ დროს მართმევს. შემიძლია ვთქვა, რომ იტალია უფრო თვალთ ვნახე, ვიდრე გონებით. არა, ცნობები არ მაკლდა: ააშენეს ამ წელს, სიმაღლე ამდენია, სიგრძე ამდენი... ამას შინაც ვაიგებ. სიკრთოდ, დღიურებს ვწერ ხოლმე, ისე, ჩემთვის. სულ ასეთი რამეები მიწერია. ორი საერთო

რეული გამომსვლია... ბევრი რამე საინტერესო ვნახე. რა მომეწონა? (იცინის.) არსებობს უნივერსალური პასუხი: ბევრი რამე მომეწონა, მაგრამ ყველაზე მეტად ადამიანები, ნიჭიერი და შრომისმოყვარე ხალხი და ა. შ.

რომში, ნეაპოლში, სორენტოსა და ფლორენციაში სამ-სამი დღე ვიდებო. წარმოგიდგენია, რომში ხარ, როგორ გინდა დაიძინო! იმდენად გოცებული და შეძრული ხარ ამ ხალხის უდიდესი ქმნილებებით, რომ თვით ხალხი გვერდზე გჩრება... ვერ ვთქვი, მგონია... სხვისა არ ვიცი, ჩემზე ვამბობ...

მე რა მომეწონა, ვითომ ანტიკრესებს მეთხეულს? როგორი ხალხი დადის ახლა იტალიაშიც და სხვაგანაც. თანაც, მართლაც რაღაც რომ ვთქვა, მაინც არ დაიჯერებენ — იმ უკვე ეურნალისტის ნაციონალიზმი, იცი, ვიცი... ერთს მაინც ვიტყვი, ასე მეგონა, იტალიელები ძალიან ექსცენტრიული (ეურნალისტის სიტყვით, იფიქრებენ, არ ჩაიწერო!) ხალხია, გაუთავებლად ბევრს ლაპარაკობენ და ხელებს იქნევენ-მეთქი. რაღაც ვერ შევატყვე წყნარი ხალხია, მშვიდი. გიდს ვუთხარი კიდევ. ეგაო, იცინა, არჩევენზე უნდა ნახოთო. თუ რამე გასინჯე და არ იყიდი, მაღაზიის პატრონი აუცილებლად ბოდიშს მოგიხდის, თქვენი მოსალისე არაფერი გეჭონია, დრო წაგართვითო. ესენი არ ჩაიწერო, კო?

\* \* \*

— ყველაზე ბედნიერი როდის ვიყავი? ათას ცხრაას სამოცდაექვსი წლის 2 აპრილს. იმ დღეს მომანიჭეს სოციალისტური შრომის გმირობა. მაგრამ იმავე ბრძანებულებით დედაჩემსაც მისცეს შრომის მითელი დროშის ორდენი. რომელი უფრო მიხაროდა, არ ვიცი. დედაჩემის წყალობა ყველაფერი...

„ამაჩემი, ა, იმ ჯარგვალოდან წავიდა, ეს ოღა დედამ ააშენა.. ახლა სოფელში ისეთი სახლები შენდება. ჩვენი დაიხარა. ვაპირებთ რაღაცას... მე რატომ უნდა ავაშენო... ჯემალიმ ააშენოს, მისი სახლია... მე... მე რ? ვიცი... ჩვენი რაიკომის ბიჭები მეხუმრებია, გმირი რომ ხარ, იმტომ ვერაფერს ვიბედავენო... არა, თბილისში ნამდვილად არ ვაპირებ, რაიონში კო, ვნახოთ... თუმცა, რა იცი!.. ეს არ ჩაიწერო!

\* \* \*

წელი ათას ცხრაას სამოცდარვა. ივლისი-აგვისტო. სიცხე, სიცხე... „უამსა ზაფხულისასა ცეცხლებრ შემწულე იგი მხურვალუბამ ზოხისაჲ, ქარნი ხორაჲნი...“

**ჯუშაგარ თითმერი  
ოჯახი**



„ლიტერატურნაია გაზეტა“, № 29, 17 ივლი-  
სი.

მეთორმეტე-მეცამეტე გაშლილი გვერდების  
თავსათაურაი:

„მზის აქტივობის წელიწადი —  
როთ ემუქრება იგი აღამიანს?“

იქვე:

„ყოველ სეკუნდში მზე გამოასხივებს 3,8.  
1033 ერგ ენერგიას.“

„მზის აქტივობის მაქსიმუმი მიახლოვებით  
ყოველ მეთორმეტე წელიწადისა!..“

„მატულობს მზის რადიაცია, იზრდება დამუ-  
ხტული ნაწილაკების ნაკადი...“

ობივატელი ტელეფონზე ჰყიდა:

„გაიგე, კაცო, თურმე ყოველ სეკუნდში მზე  
გამოასხივებს 3,8. 1033 ერგ ენერგიას...“

ობივატელი ზღვაზე არ მიდის. ობივატელი  
თავის ახლობლებს, მეგობრებს, ტაქსის მძღო-  
ლებს, ტროლეიბუსის კონდუქტორებს, ნაყი-  
ნის გამყიდველს, მეგაზეთეს, მედიცინს, სახ-  
ლის კომენდატს, უფროსს, მოადგილეს, კად-  
რების განყოფილების გამგეს, ადგილყომის  
თავმჯდომარეს აფრთხილებს: — ა, წაივით-  
ხეთ:

„მზის აქტივობის წელიწადი.

როთ ემუქრება იგი აღამიანს?“ ხედავთ? ემუ-  
ქრებათ, ნახეთ, ნახეთ...“

იქვე, სარდაფში, კი შავით თეთრზე სათაუ-  
რად წერია:

„სამშიო არაფერია“.

ეს კი ობივატელისთვის გასაგლიანი მასალა  
არაა. რუსშიც ბულრაობს „ცეცხლებრ შემწუ-  
ელი იგი მხურვალეზაა მზისა...“

ვინარი სხულუხია დგას მზის გულზე და კი-  
ლის ქულით იგერიებს მზის აქტივობას წელი-  
წადს.

ჰკრფეს ას, ოთხმოცდაათ, ოთხმოც, სამო-  
ცდაათ კილო ჩიის. მძალე სიტყვას რა გამო-  
ლევს, ისე, ვითომ სხვათაშორის ნათქვამს:

— რაც მართალია, მართალია, მამის სახელი  
ძაან კი გამოადგა...“


შე დალოცვილო, აბა, მამის სახელი შვილს  
წინ არ უნდა დახედვს? კაცი არ მეგულეზა,  
იმაზე არ ფიქრობდეს, რომ შვილი ვასახელო,  
მხარში გაემართოო... ჰოდა, რა გიკვირს... ჩვენ-  
მა ხალხმა, ჩვენმა საზოგადოებამ ზნეობრივ  
ნორმად დაადგინა, რომ მამის კოდგები შვილს  
არ აზღვევინოს, თორემ მამის ნათელი სულ  
შვილისკენ არ არის მიმართული?

ხალხის სიყვარული შენი კაი ქალობის წილ  
გაქვს, ვინარო!

ალალოა შენზე ეს სიყვარული და აღიარება.  
იტალიაშიც ხომ იყავი.

იტალიაც ალალია შენზე, ინგლისიცა და მა-  
ლაის არქიპელაგიც.

ეს წერილი რა სახსენებელია!



შენება რომ შესძლო, საჭიროა ცოდნა, საჭიროა მეცნიერების დაუფლება. ხო-  
ლო თუ ცოდნა გინდა, უნდა ისწავლო. ისწავლო შეუპოვრად, მოთმინებით. ის-  
წავლო ყველასაგან—მტრებისაგანაც და მეგობრებისაგანაც, განსაკუთრებით მტრე-  
ბისაგან. ისწავლო დაძაბულად და არ შეუშინდე იმას, რომ მტრები დაგვცინებენ,  
დასცინებენ ჩვენს უმეცრებას, ჩვენს ჩამორჩენილობას.

ჩვენს წინაშე ციხე-სიმაგრეა. მას, ამ ციხე-სიმაგრეს, ეწოდება მეცნიერება  
ცოდნის მრავალრიცხოვანი დარგებით. ეს ციხე-სიმაგრე უნდა ავილოთ რადაც უნ-  
და დაგვიჭდეს. ეს ციხე-სიმაგრე უნდა აილოს ახალგაზრდობამ, თუ მას სურს  
იყოს ახალი ცხოვრების მშენებელი, თუ მას სურს ძველი გვარების ნამდვილი  
შემცველი გახდეს.

ი. ბ. ს ბ ა ლ ი ნ ი.

## თუ გინდა იყო სწორად მხედველი

თუ გინდა იყო სწორად მხედველი,  
 თუ გინდა იყო ვეფხვად გაჭრილი,  
 ჩვენში ამგვართა გამომბრძმედელი  
 არის პარტია და კომკავშირი!  
 მე მახსოვს ძველი კომკავშირლები  
 ვით ამკვიდრებდნენ დღედაღამ ახალს.  
 ქვეყნის ნამდვილი ღვიძლი შვილები  
 ანთებდნენ დროთა ტალღებზე კაშხალს.  
 სიძველის ხავსმა სული გაკმინდა,  
 მომძლავრებული ბედის წერაზე;  
 და ისტორიის გაჭრილ სარკმლიდან  
 ამაყად გვიცქერს ბორის ძნელაძე.  
 მე ვხედავ იმათ გზათა მცნობელებს,  
 გულმხნე მებრძოლებს, გულმხნე მშრომელებს,  
 კაშკაშა დარში, ქარში და სუსხში  
 ქვეყნის საზღვრებზე, ჰესების შუქში.  
 თუ გინდა იყო დროთა მპყრობელი,  
 თუ გინდა გქონდეს სიცოცხლის ჟინი:  
 ქვეყნად ამგვართა გამომწრთობელი  
 არის პარტია და კომკავშირი.



ჩვენი ახალგაზრდობა ჭანსალი და ხალისიანია. შეხედეთ ჩვეულებრივ დღეებში  
 ქუჩებში მხიარულად, მტკიცედ, თავაწევით მოსიარულე ახალგაზრდებს, ნახეთ  
 ფიზკულტურული პარადები, რომლებიც გააცვიფრებთ თავისი სილამაზითა და  
 სიჭანსალით. და ბოლოს, შეიხედეთ გამწვევ პუნქტებში. უველგან ძლიერი, ჭანსალი  
 და ხალისიანი ახალგაზრდობაა.

მ. ი. კ ა ლ ი ნ ი ნ ი

ი ა მ ე ს ხ ი

# ჰარისკაცის დედა

ჯერ ქმრის ამბავი მოუვიდა სტალინგრადიდან: იგი მამაცთა სიკვდილით დაეცა სამშობლოსათვის. დიდი ჭირი იყო ასეთი ამბის გაგება. მათ აღერსიანი ცოლ-ქმრობა ჰქონდათ, სოფელში არც ერთი ოჯახი არ ცხოვრობდა ასე შეხმატებულბულად. რა უნდა ექნა? ბევრი იყო მგლოვიარედ. ბევრი ქვრივი დადიოდა შავი თავსაფრით. მას კი ქალიშვილი ჰყავდა გასაზრდელი.

რაც ომი დაიწყო, დედა-შვილი მარტო ცხოვრობდა. მათი სახლი სოფლიდან მოშორებით, განმარტოებული იდგა გორაზე. დედა რიკრაცხე მიდიოდა პლანტაციებში და პატარა თამრიკოს მარტო ტოვებდა. გოგონა თვითონ დადიოდა სკოლაში, თვითონვე დიასახლისობდა და მხოლოდ გვიან ღამით ხვდებოდა დედას. სწორედ იმ დღეებში, ფრონტიდან ქმრის სიკვდილის ამბავი რომ შეიტყო, ქალიშვილი ავად გაუხდა და რამდენიმე დღეში ხელიდან გამოეცალა.

მამინ კი საშინლად გაუჭირდა. ცარიელი სახლი უკაცრიელობა. ამ დროს მოუსწრო ვაჟი-შვილის ბარათმა. მამა და შვილი ერთად წავიდნენ ფრონტზე — 1941 წლის ერთ დღეს, ერთ საათს. ვაჟი თვრამეტისა იყო. ორი წლის განმავლობაში ვაჟისგან გამამხნეველები ბარათები მოდიოდა. ეს ბარათი კი ჰოსპიტლიდან იყო მოწერილი. დაჭრილია. ან იქნებ ცოცხალიც აღარაა?!

ქალი გაქვავდა. ვერაფერს ხედავდა. აღარაფერი ესმოდა. არც ტიროდა. ერთ ხანს გამოკეტილში იჯდა. მერე უცებ გამოჩნდა სოფელში. ერთ მეზობელს მიავიხთხა, — მეორეს. კოლმეურნიერობის თავმჯდომარესთანაც შეიარა სოფსაბჭოში. ქალმა გადაწყვიტა, მოენახულებინა

შვილი: წავალ, თუ მართლა მსუბუქადა დაჭრილი, ენახავ მაინც და წუხილს გავიქარებ, თუ უჭირს — მოვევლი, თუ აღარ არის ამ ქვეყანაზე — დავეტირებო.

ურჩევდნენ არ წასულიყო: „უკუიდან ხომ არ გადახვედი, ქალო!.. გერმანელები ეს-ეს არის გარევეს მთებიდან, მაგრამ ახლა ზღვიდან ბობავენ ქალაქებს. გზები გაქვდილია სამხედროებით, — ვერ გააღწევ, დაიღუპები, შე უბედურო!“

მაგრამ ის შეუპოვარი იყო... დაცაიო ხაქაპურები, დავლა ქათმები (ან ვისთვისღა უნდოდა ახლა!), ჭკის არაყი იყიდა, ორი ჩემოდანი აეცსო საწოვავით და მაგარი ბაწრით გადააბა ერთმანეთს, მხარზე ხურჩინივით რომ გადაეკიდა. სოფლსაბჭომ ცნობა მისცა; შიგ დამტვრეული რუსულით იყო აღნიშნული, რომ ის არის ეენია (ევეენია) ევანია, აფხაზეთის ასსრ ოჩამჩირის რაიონის სოფელ ოხურეს კოლმეურნიემჩაიე და რომ მიემგზავრება ამა და ამ ჰოსპიტალში დაჭრილ შვილთან, ჭარისკაც ეანო ევანიასთან. გახოვო, დახმარება გაუწიოთო.

მას ყველაფერი გააჩნდა: ჯან-ღონე, სიმტკიცე და ორმოცი წლის ქალის ენერგია. აკლდა მხოლოდ ენა. რუსული სულ არ იცოდა და, თუმცა ქართული იყო, ქართულიც უჭირდა, მარტო შეგრულოთ კი, აბა, რას ვახდებოდა? თუმცა არა, რა შუაშია აქ ენა!. ცხადი საქმეა და ყველა მიუხედავად.

საბარგო მანქანასთან უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. ეენია გააცილეს სოხუმის სადგურზე. არიგებდნენ, ოხრავენენ, ამხნევენდნენ, მერე ერთობლივ შექედეს ხალხით გატენილ ვაგონში. ეენია გაემგზავრა სოჭში, ხოლო იქი-



დან შავი ზღვისპირეთის უსასრულო შოსე და-  
იწყო...

მარცხნივ ზღვა, მარჯვნივ — მთები. გზა გვე-  
ლივით ივლავნება ქვიშიანი ნაპირის გასწვრივ.  
მზე შეუბრალებლად აცხუნებს, ატანს გრძელ-  
სახელობიან შავ კაბას და თავსაფარში. ხერ-  
ჭინვით ჩემოდნებგადასივლილი ტანმორჩილი  
ქალი კი მიდის... იმავე გზით მიმსახიროლები  
მანქანებისა და ხალხის ნაკადმა ლამის არის,  
წალკის იგი. ზოგჯერ ჩამოდგამს ხოლმე ჩე-  
მოდნებს და შემხვედრ მანქანას აუწყებს ხელს.  
ასე მიეშურება შვილთან ხან დეხით, ხან მან-  
ქანით. საღამოს უცნობი სახლის კარზე ავაკუ-  
ნებს და თავის ცნობას უწყდის, მაგრამ ცნო-  
ბას არავინ კითხულობს. მან უკვე იცის სიტყ-  
ვები „ჰოსპიტალი“ და „შვილი“... რაღა უნდა  
იყოს გაუგებარი? ათეინებენ ღამეს. დილით  
ისევე განავრცობს გზას: ლახარეცკოვ, ტუაფე,  
გელენჯიკი...

გელენჯიკის იქით, ორმოც კილომეტრზე, ნამ-  
ღვლით ჯოჯოხეთია. გზისპირა ნარვალში აქო-  
თებული, სისხლნარევი ქოქი დგას. გამუდმე-  
ბით მოისმის ბრძანება „ჰაერი!“ უნდა გადახ-  
ვიდე გზიდან, დაწე და ერთმანეთზე მიდგმულ  
ჩემოდნების საღარში შერგო თავი.

ხოლო იქ, ოხტურეში, ცარიელი, აქედლით  
სახლია და სიწყნარე, სრული სიწყნარე...

— დედი! საით მიხვალ?

— ჰოსპიტალი... შვილი...

ხელებს იმელობენ და უხსნიან — საით წა-  
ვიდე; დიდხანს ვაპყურებენ მიმავალს.

საველე ჰოსპიტალში ჯარისკაცი ვანო ევანია  
არ არის. იწვა, მაგრამ გამოკეთდა, ამას წინათ  
გაეწერა და ნაწილში გაემგზავრა.

— სად?!

ხელით უჩვენებდნენ ჩრდილოეთისკენ, წინ,  
ხოლო წინ მტრის მიერ დაკავებულ ნოვოროსი-  
ისკია. აქ კი — ცემენტის ქარხნის რაიონში — კა-  
ნონანდა ქუხს და ბრძოლებია გაჩაღებული. სა-  
კონტროლო პუნქტთან საშვს სთხოვენ. რა უნ-  
და აქ, ამ ძაძითმოსილ ქალს? აბა, დედილო,  
მოცილდი აქაურობას. მიდი, მიდი, მიდი!

— გაუშევი კაცო... ამოდენა გზა გამოუვლია!  
რა იცი, იქნებ მიავნოს?

ქალი მადლიერებით შეპყურებს ოფიცერს.  
მასაც ჰყავს ალბათ დედა...

გარშემო მხოლოდ დამოხუნებული მწვანე  
გიმნასტურები და მეზღაურული ქუდები ჩანს.  
ზოგი აქეთ მოემართება, ზოგი იქით, საითაც  
თვითონ მიდის. და უტეც:

— დედა!!!

პირველად შვილმა დაინახა. დაინახა და შეპ-  
ყვრა, მაგრამ მწყობრიდან არ გამოსულა, ან-  
გარშემოთემალად მიიბაჯებდა, თითქოს ვერ  
ბედავსო მწყრივის დარღვევას. ქალი იქით გა-  
იქცა, საიდანაც ხმა მოესმა და დაბნეული შეპ-  
ყურებდა ჯარისკაცებს: ყველა ერთმანეთის

მსგავსი, ერთსახოვანი იყო... ასეული გაჩერდა  
ცოცხალი! გარტყული, გამხდარი. ცისფერი  
თვალები უბრწყინავს... ყურიდან კისერის ჩა-  
ყოლებით ახალი ნაიარევი ეტეობა... დედა და  
შვილი მთელი ასეულის წინ გადახვედნენ ერთ-  
მანეთს.

ასეთი საკვირველი საქმე მოხდა, დაყოვნება  
კი არ შეიძლება: ასეული საცეცხლე ზღუდეს  
იკავებს. რა მოუხერხოს დედას: გზაზე მიატო-  
ვონ? მაგრამ ეს გზაც არ არის, — ფრონტია..  
და ასეულის მეთაურმა მორიზოვმა გადაწყვი-  
ტა, თან წაეყვანა ჯარისკაცის დედა!

სულ უფრო ახლოს სკდება ყუმბარები. ასე-  
ულმა დასტოვა შოსე, მარჯვნივ გადაუხვია,  
გადაჭრა ველი და ბორცვებს მიაშურა.  
ქენია გვერდით მიიბაჯებს. ახლა თავს მსუბუ-  
ქად გრძნობს, კარგადაა. მხრებს აღარ უჭრის  
ბაწარი, ჩემოდნები ბიჭებს მოაქვთ. ისინი რა-  
ღაცას ეხუმრებიან, უღიმიან როგორც თავისი-  
ანს. „რა კეთილი კაცია მეთაური!“ — ფიქ-  
რობს ქენია.

უეტრად მეთაურმა რაღაც შესძახა. გორაკის  
თხემზე ასეული დაიფანტა, მიწაზე გაწვა ყვე-  
ლა. ქენიაც წვება შვილის გვერდით და ფრთხი-  
ლად იხედება. საპირისპირო მხრიდან მწყრო-  
ვიდ მოდიან გერმანელები. ისვრიან. ვანომაც  
მოიმარჯვა თავისი ავტომობილი, ისვრის.

— დედა, ვახზები მომაწოდებ!

გერმანელების ნაწილი ფლანგებიდან უტეცს  
და ცდილობს უკანდასახევი გზა მოუჭრას ასე-  
ულს. საღამოს, ბრძოლის შემდეგ, მეტრობლები  
მიწურების თხრას შეუდგნენ, — დედისათვის  
ცალკე მიწური მოამზადეს, და მან, შვილის  
მხარზე თავმიყრდნობილმა, ბოლოსდაბოლოს  
გული იჯერა ტირილით. ყველაფერი უამბო:  
სამგლოვიარო უწყებისა და თამრიკოს სიკვდი-  
ლის ამბავი. უპატრონოდ მიადებული, დაცარი-  
ელებული ხაზლის ჯავრი კვლავა. მხოლოდ ერ-  
თი ღამე იყო ასეთი! მეორე დღეს, დილიდანვე,  
საქმეს მიჰყო ხელი, ჯარისავეით დატრიალდა.  
ხუმრობა ხომ არ იყო, უამრავი საქმე ჰქონდა!  
უნდა შეეხვია, დაეკრებინა, წყალი მოეტანა,  
საქმელი მოემზადებინა...

რახანია დალია ჩემოდნებით ჩამოტანილი  
ხორავი. ასეული მამველი ჯარით შეივსო.  
ფლანგები გაწმინდეს მტრისაგან. ასეულის მე-  
თაურმა გამოიძახა ვანო:

— წასვლაზე დაიყაბულე დედაშენი. აქ მისი  
ადგილი არაა...

ქენიას ამის გაგონებაც არ უნდოდა. ის კი  
არა, ეჩვეუნებოდა, რომ უშიშოდ აქ ყველანი  
დაიდუმებოდნენ.

მეჩვიდმეტე დღეს ასეულის მეთაურმა ბრძა-  
ნება გასცა, ქენია ევანია, სანიტართან ერთად,

**ი ა მ ს ი**  
ჯარისკაცის დედა

საბოლოო კოსპიტალში გაეცილებინა დაპირილების მორიგი ჯგუფი. მათვე გაატანეს პოლკის მეთაურთან წერილიც, რომელშიც ითხოვდნენ, საფრონტო ზონიდან გაეყვანათ ქალი. 1943 წლის სექტემბერი იწყებოდა. ნოვოროსიისკის კედლებთან მდგარი გენერალ-ლეიტენანტ ლესელიძის მეთვრამეტე არმია დაამწყვეტ იერიშზე გადავიდა. არმიამ მეზღვაურებთან და მფრინავებთან შეთანხმებული მოქმედებით წინ გაიარეა მტერი.

და, შესაძლოა, მოროზოვის ასეულებიდან მხოლოდ ჭარისკაც ევანიას კი არ ახსოვდა ჩუმი, წყნარი, უსიტყვო ქალის სახე, სახე დედისა, რომლის თვალები მტყველებდნენ - რისხვაზე, თანავარძლობასა და მამაცობაზე...

\* \* \*  
მას შემდეგ თითქმის საუკუნის მეთხუთმედი გავიდა. ეს ამბავი ოხუტრეში მიაშბეს. მიაშბობდნენ ერთად. ფიცხლად და მიკერძებით აზუსტებდნენ დეტალებს. მიაშბობდა კოლმეურნეობის ბრიგადირი, საბრძოლო და შრომითი ორდენებისა და მედლების კავალერი, ყოფილი ჭარისკაცი ვანო ევანია, მისი პირმოციინარი მეუღლე მადიკო და სახელდახელოდ თავშეყრილი მუზობლები. ხოლო ყოველი მხრიდან შვილშვილებით გარსშემორტყმული ჭარისკაცის დედა იშვიათად თუ ჩაურთავდა საუბარში სიტყვას. მას არ ესმოდა, რატომ გამოიწვია ცხოველი ინტერესი მისი ესოდენ ჩვეულებრივი ცხოვრების ერთ-ერთმა ფურცელმა.



ჩვენ მომავლის პარტია ვართ, მომავალი კი ახალგაზრდობას ეკუთვნის, ჩვენ ნოვატორების პარტია ვართ, ნოვატორებს კი ახალგაზრდობა ყოველთვის უფრო მეტი ხალისით მისდევს, ჩვენ ძველი სიღამპლის წინააღმდეგ თავგანწირული ბრძოლის პარტია ვართ, თავგანწირულ ბრძოლაში კი ყოველთვის ახალგაზრდობა პირველი წავა.

ვ. ენ გ ე ს ი

კომუნისტი მაშინ შეიძლება გახდეს, როცა შენს მესხიერებას გაამდიდრებ ყველა იმ სიმდიდრის ცოდნით, რაც კაცობრიობას შეუმუშავებია.

მ. ი. ლ ე ნ ი ნ ი

კომკავშირის ისტორია განუყოფლად არის დაკავშირებული სოციალისტური რევოლუციის ისტორიასთან, ჩვენი ბოლშევიკური პარტიის ისტორიასთან.

ბ. ა. შ ლ ა ნ ო ვ ი

## ნუგზარ ნაკითხი

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და კულტურულ-მასობრივი მუშაობის განყოფილების გამგე.

# ბრძოლითა და შრომით მოპოვებული სიყვარული

ახალგაზრდობისადმი გულწრფელი სიყვარულით შთაგონებულ ტიციან ტაბიძის ლექსს — „ორპირელი კომკავშირელი კრემლში“ — ასეთი სტრიქონები ამშვენებს: „საერთო არის დღეს აღტაცება, როცა იმარჯვებს კომკავშირელი“. ეს არ იყო შემთხვევით ნათქვამი სიტყვები ან უბრალოდ ლექსის სამაქულად მოტანილი ფრაზა. დიდი პოეტი, ათასობით საბჭოთა ადამიანის მსგავსად, გულით განიცდიდა კომკავშირის, ახალგაზრდობის წარმატებებს, რომლებმაც ლაქაშებით დაფარულ მის მშობლიურ კუთხესაც უცვალეს ფერი, გაუვალ ჭაობებში ფორთოხლისა და ლიმონის ბაღები ააშრიალეს, მაღლიან მიწაზე ახალი სიცოცხლე დაამკვიდრეს, ციბე-ცხელება და საწამლაგად ქცეული ფშანები გარდასული დღეების გასახსენებლად დატოვეს.

შრომელი ხალხის, ინტელიგენციის, საბჭოთა ადამიანების მიერ აღიარება და პატივისცემა თავისით არ მოსულა. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გარიგრაიდან დღემდე — თავის ნახევარსაუკუნოვან იუბილემდე, ახალგაზრდობის ლენინურმა კომუნისტურმა კავშირმა შრომისა და ბრძოლის უღრესად სახელოვანი გზა გაიარა. მან ჩვენი აღმავეალი ცხოვრების ყველა ეტაპზე დაამტკიცა ერთგულება დიდი ლენინისა და კომუნისტური პარტიის საქმისადმი, მამა-პაპათა წმინდა ტრადიციებისადმი; დაამტკიცა რევოლუციის მონაპოვრების გამრავლებისკენ დაუოკებელი სწრაფვა, მამაცობა და გამბედაობა, შრომის სიყვარული და საზოგადოებრივი აქტიუობა, ყოველივე ახლისა და პროგრესულის დაუფლების სურვილი, კომუნისტური პარტიის ერთგუ-

ლი თანაშემწისა და თანამებრძოლის მაღალი წოდების ქვეშაირება.

ყოველივე ამის გამო კომკავშირმა, რომელიც თავის დროზე პირნათლად ატარებს მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის უცვლად სახელს, შესძლო ფართო პოპულარობისა და მშრომელი ხალხის დამსახურებული სიყვარულის მოპოვება.

სოციოლოგების განცხადების თანახმად ამჟამად საბჭოთა კავშირში მცხოვრები ადამიანების უდიდესმა ნაწილმა კომკავშირული სკოლა გაიარა, კომკავშირში მიიღო საბრძოლო და შრომითი ნათლობა. ისინი ამაყოფენ ამით, პატივისცემით იხსენებენ წარსულის საკეთრებად ქცეულ წლებს. ჩვენი მამებისა და პაპების, დებისა და ძმების მიერ განვიღო ცხოვრების ამ სკოლას გადის ახალგაზრდა თაობაც.

რა მისცა კომკავშირმა ლეგენდარულ კიკვიძეს — 20 წლის დივიზიის მეთაურს? რა მისცა კომკავშირმა შოთა გამცემლიძეს? საბჭოთა კავშირის გმირის ზოია რუხაძეს, ნოე ადამიას, რა მისცა კომკავშირმა ჩვენს თანამედროვეებს: საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს ნანული ჩერქეზიშვილს, სვეტლანა აგრბას; სოციალისტური შრომის გმირებს ვინარი სხულუხბას, კლავდია ნაცვალაძეს, ქეთო გოგიტიძეს; რუსთაველ მეფოლაღე დიმიტრი ბარათაშვილსა და თბილისელ მეტრომშენებელ გურამ კილაძეს, მსოფლიო ჩემპიონებს ნონა ვაფრინდაშვილსა და რომან რურუას, საქართველოს კომკავშირის პრემიის პირველ ლაურეატებს: პოეტ ქანსულ ჩარკვიანსა და მწერალ მერაბ ელიოზიშვილს?

ასეთი სახის კითხვაზე დამაჯერებლად გასცა



ბასუხი ახალგაზრდობისათვის კარგად ცნობილ-  
მა საბჭოთა კავშირის გმირმა ა. მარსიევმა,  
რომელიც თავის დროზე შრომობდა ქალაქ  
კომსომოლსკი-ამერზე: „როცა საჭირო იყო  
სულთერა ძალების მოკრება, ნებისყოფის მო-  
ბილიზება, მე არაერთხელ დიდი მადლიერების  
გრძობით ვისხენებდი კომკავშირულ მშენებ-  
ლობაზე გატარებულ წლებს. სწორედ იქ შემა-  
წავლეს ყოველგვარი ვითარებაში სწრაფად გა-  
რკვევის, ყოველგვარი გაჭირვების ვაჟაკურად  
გადატანის, სიძნელეთა გამკლავების, გადაწყ-  
ვეტილებების დროულად მიღებისა და შესრუ-  
ლების უნარი. კომკავშირის საბრძოლო წრთო-  
ბა მე უღატაკად გამომაღვა ომის წლებში“.

1963 წლის 25 ივნისს მოსკოვის უნივერსი-  
ტეტის საბჭო დარბაზში გამართულ შეხვედ-  
რაზე მფრინავ-კოსმონავტ ვალენტინა ტერეშკო-  
ვა-ტერეშკოვას შეეკითხნენ: „კოსმონავტთა  
რახმში წასვლის წინ თქვენ მუშაობდით კომ-  
კავშირულ სამუშაოზე. რა ადგილი უკავია  
თქვენს ცხოვრებაში ამ მუშაობას, რა გასწავ-  
ლათ მან?“

ვ. ნიკოლაევა-ტერეშკოვა ამ მოკლე და შინა-  
არსიანდ უპასუხა: „იყო წმინდა ადამიანებთან,  
გჯეროდეს ადამიანების, გიყვარდეს ადამიანები“.

საქართველოს კომკავშირის XXV ყრილობაზე  
მარუხის მყინვარებში გამართული ლეგენდარ-  
ული ბრძოლების გმირმა, 808-ე ბატალიონის  
ყოფილმა მეთაურმა ვასილ რუხსაქმ ტრბუნო-  
დან განაცხადა: „თქვენ ბედნიერები ხართ,  
რომ ამჟამად ლენინურ კომუნისტურ კავშირს  
ემსახურებთ, მის ამოცანებს ანხორციელებთ,  
და მისი იდეებით სუნთქერთ... მე მოეუწოდებ  
ჩვენს ახალგაზრდა მსწრეებს, მეცნიერებს,  
მხატვრებს, კომპოზიტორებს, მსახიობებს,  
სპორტსმენებს... საერთოდ ყველას, უფრო ახ-  
ლოს იყენებ კომკავშირთან, განიმსკვალონ მი-  
ლი სულით, ცეცხლით, მიზნებით. თუკი ჩემს  
თავზე პირადად ვიტყვი რამეს, რაც კი მქონია  
კარგი და წმინდა, რაც კი ცხოვრების რთულ  
გზებზე გამოამადა და დამეხმარა, ყველაფერი  
ლენინურმა კომკავშირმა მომიცა“.

ეს საინტერესო მავალითობა, საკმაოდ ამო-  
წურავი პასუხებია დასმულ კითხვაზე. ასეთი  
მავალითების უკან დგანან მილიონობით ადა-  
მიანები, რომლებმაც გააჩრეს კომკავშირული  
სკოლა, შეიარაღდნენ ყველაზე ნათელი და მარ-  
თალი იდეებით, რომელსაც კომკავშირი ითვის-  
ებდა და ითვისებს კომუნისტური პარტიისა-  
გან.

ყოველივე ახლისა და ცხოვრებისეულის  
დიდი უშუალოდ ამსახველი ქართული პოე-  
ზია, რაღა თქმა უნდა, ყოველთვის შინაგანად  
განიცილია ლენინური კომკავშირის, ჩვენი მო-  
წინავე ქალიშვილებისა და ქაბუტების ბრძო-  
ლას, შრომას, სწავლასა და მრავალმხრივ მოღ-  
ვაწეობას. თავის შესანიშნავ ნაწარმოებებში

ქვეყნის იმედსა და მომავალს უმტკუნოდ  
დიდებული ქართული პოეზიის კორფეხი: გა-  
ლაქტიონ ტაბიძე, ტიციან ტაბიძე, გიორგი ლე-  
ონიძე, სიმონ ჩიქოვანი... ქართული მწერლობის  
თვალსაჩინო წარმომადგენლები: კონსტანტინე  
გამსახურდია, კონსტანტინე ლორთქიფანიძე,  
ირაკლი აბაშიძე, ალიო მირცხულავა, იანო  
კალაძე, შემდგომ კი იოსებ ნუნუშვილი, რევაზ  
მარგანი, ხუტა ბერულავა, მურმან ლებანიძე,  
ნა კლანდაძე და სხვები უპრობად ასახვენ  
და ასახვენ ახალგაზრდობის საინტერესო ცხო-  
ვრებას, სხვადასხვა კუთხითა და ასპექტით  
გვიჩვენებენ მის სულიერ სამყაროს.

უმდიდრესი ტრადიციების მქონე ქართული  
პოეზიის ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლებ-  
მა, რომელთა 1950 წლის შემდგომ შემოაღეს  
ქართული კულტურის კარები, თან მოიტანეს  
ქაბუტური განცდები და სახეები, ორიგინალუ-  
რი სალექსო რიტმი და ექსპრესია, საკუთარი  
საგლის გამოყვეთისადმი ღტოლვა, ქართული  
კლასიკური პოეზიისა და წინათაობების მიღწე-  
ვისადმი ღრმა პატივისცემა.

„ოსევე, როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი,  
ისინი ცხადად გრძობენ, რომ ახალგაზრდო-  
ბის ცხოვრებას და ყოველდღიურ საქმიანობაში  
მთელი გაქანებით გრძელდება მამა-პაპათა უშ-  
რეტი ენერჯია და ის დიდი გზა, რომელიც მი-  
მართულია ახალი საზოგადოების საბოლოო  
აშენებისაკენ. შემთხვევითი არ იყო, რომ სოცი-  
ოლოგების მიერ 3500-ზე მეტი საბჭოთა ქალი-  
შვილისა და ქაბუტისათვის მიცემულ კითხვა-  
ზე — „ღირსება, რასაც თქვენ ყველაზე უფრო  
აფასებთ ადამიანებში?“ — ახალგაზრდებმა  
უპასუხეს: „მისამსწრაფვა, მამების საქმისადმი  
ერთგულება“.

ლეგენდარული კრეისერის — „ავრორას“  
პირველი კომისარია, კომუნისტური პარტიის  
წევრი 1917 წლიდან ა. ბელიშვილი წერდა: „რო-  
ცა გაზეთებში ვკითხულობ თანამედროვე კომ-  
კავშირის წარმატებებზე, ვუღი სიხარულით  
მეცხება. ახლანდელი თაობა სათუთად უფრ-  
თხილდება ანდერსს. მე ჩემ თავს ვხედავ გა-  
მოცილი პროექტორისტში, პრობაგანდისტში,  
მკაცრ სახალხო რაბმელში. მაგრამ ეს მსგავსე-  
ბა მთლად ზუსტი არ არის. თქვენი ცოდნა  
ფართოა. თქვენი ამოცანები უფრო კონკრე-  
ტული და რთულია. ისინი საერთო-სახელმწი-  
ფოებრივი საქმეების კალაპოტშია“.

ამ ციტა ხნის წინათ მიღებულ სკკპ ცენტ-  
რალური კომიტეტის დიდმნიშვნელოვან დად-  
გენილებაში — „ვლადიმერ ილიას ძე ლენინის  
დაბადების 100 წლისთავისათვის მზადების შე-  
სახებ“ — ხაზგასმითაა მითითებული: „იწყებს  
რა შეგნებულ ცხოვრებას, ახალგაზრდობა პარ-  
ტიის ხელმძღვანელობით მიპყვება მამების გზას,  
განაგრძობს რევოლუციურ ტრადიციებს, ამ-  
რავლებს ჩვენი საზოგადოების მატერიალურ და

სულიერ სიმდიდრეს. კომუნისტური პარტია, საბჭოთა ხალხი ამაყობენ ლენინური კომკავშირის გმირული ნახევარსაუკუნოვანი ისტორიით, ჩვენი ახალგაზრდობის სახელოვანი საქმეები...“

სწორედ ამიტომ წერს მამულის სიყვარულით გაქვნილი მშვენიერ ლირიკულ ნაწარმოებში — „ოქროს თავთაეები“ — ჯანსუღ ჩარკვიანი:

შენი მუხლისთვის  
არასოდეს გვიღალატნია,  
ვიღვეთ შენი სიმღერებით  
ანათროთლები  
მხარს ვუტოვებდით  
დიად პარტიას  
ჩვენ, როგორც მისი  
უკვდავების თანატოლები.

სწორედ ამიტომ გაისმის მოწოდებად ჯ. ჩარკვიანის სიტყვები ლენინური კომკავშირის მიერ აღზრდილი ჭაბუკებისა და ქალიშვილებისადმი, ახალგაზრდა თაობისადმი, ყველა თანატოლისადმი, რომლებიც წარმოადგენენ პარტიის მომავალ ძალას და დაწყებული საქმის ღირსეულ გამგრძობლებს:

...ადექი, ფეხზე, ჩემო თაობა,  
ეს სამართალი შენი ნერგია,  
შენი პარტიის,  
შენი მთავრობის,  
დიდო სიცოცხლე და ენერჯია.

კომკავშირმა თაობები აღზარდა, შრომისა და ბრძოლისათვის მოამზადა, იდეური რწმენით შეიარაღა. რთული და ქარიშხლით, აღსაქვე იყო მისი გზა, რადგან პირველი დღეებიდანვე ჯერ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის იბრძოდა, შემდეგ კი არნახული შეუპოვრობით იცავდა რევოლუციის მონაპოვრებს ათასი ჯურის კოლჩაის, ვრანგელის, დენიკინის, იუდენიჩის, მამონტოვის, მახნოს გააფრთხელები ბრბოებისაგან, ათასი ჯურის გადამთიელი მოძალადისა თუ ზურგში მოკალათებული თეთრგვარდიელებისაგან. უგრძესსა და ურთულეს წლებში გამოატარა მან მამების ნათელი იდეები, თავიდანვე მტკიცედ ჩანერგილი რწმენა, გამოატარა და მოიტანა დღემდე, როგორც ზედამართული დროშა, როგორც სისხლითა და ოფლით მოპოებული ქეშმარიტება. შთამბეჭდვად წერს ამის შესახებ რეზო ამაშუკელი ლენინური კომკავშირის ორმოცდაათი წლისთავისადმი მიძღვნილ შესანიშნავ ლირიკულ პოემაში „ძახილი“, რომელიც დიდი შინაგანი სითბოთი ასახავს კომკავშირის მიერ განვილი სახელოვან გზას, ცალკეულ ეტაპებსა და თვალსაჩინო მიღწევებს:

...დაიმახსოვრე სამუდამოდ ჩემი სახელი!  
რადგან შევექელი  
მომეტანა რწმენა შენამდე,  
როგორც ნახმლევი ვარდიგარდმო  
გადახსნილ მეკრძხე,  
რადგან შევექელი  
შემენახა დროშად ქვეული  
ქეშმარიტება,  
მოხვეცილი მამათა სისხლით!

ახალგაზრდობა ღრმად არის დაჯერებული თავის მიზნებსა და მიწრაფებებში. სამშობლოს წინსვლასა, შენებასა და შუქნათელი მომავლის მიღწევაზე ფიქრი უანდრძობს მათ წინა თაობებში — სოციალისტური მშენებლობის კოლუმბებმა. ეს ფიქრი არ ასვენებს ახალგაზრდა თაობას, ეს არის მისი პური არსობისა, მისი მოღვაწეობის არსი და დანიშნულება. ახალგაზრდა შემოქმედებიც გრძობენ, რომ დღეს მთავარია ყველასათვის საერთო იყოს მტკიცე რწმენა, რომ ქალიშვილები და ჭაბუკები განმსუკველონ ამ ერთიანობის გრძნობით. კარგად წერს ითარ ქილაძე ლექსში „მომავლის გზები“:

ჩვენ გვჭერა და გვიდა, რომ ყველას ჯეროდეს  
იმ ფიქრის, რომლითაც ამ ქვეყნად მოველით...

კომკავშირი და კომკავშირელი საბჭოთა დამიანების ცხოვრების განუყრელ სიმბოლოებად იქცნენ. ეს სიტყვები განყენებულად არ წარმოითქმება, მისი გამოთქმა დაკავშირებულია დიდ ცხოვრებისეულ წარმოდგენებთან, გმირული ყოფის ასოციაციებთან, სიბოთით აესილ ხედვასთან. საბჭოთა ხალხისათვის, საბჭოთა ახალგაზრდობისათვის ეს ორი სიტყვა შრომისა და ბრძოლის სინონიმია:

სხვათა მრავალთა სიტყვათა შორის  
არსებობს ორიც, შრომით და ბრძოლით,  
რომ დაცალეწა დრო საშინელი!  
ეს სიტყვებია (მიმიხვდით მგონი)  
კომკავშირი და კომკავშირელი...

— წერს მუხრან მაჟუარაიანი ლექსში „კომკავშირი“. შემდეგ პოეტი მხატვრული წარმოდგენებით გვახედებს კომკავშირის გმირული წარსულის დღეებში. აქ ოსტატურადაა ნაჩვენებ ახალგაზრდობის ნაცადი წინამძღოლის ისტორიის კეთვნილობა ქვეული მოღვაწეობის ზოგიერთი მომენტი.

იყო მძიმე პერიოდი, როცა კომკავშირი იბრძოდა კოლექტივიზაციისათვის, იბრძოდა კულაკობის წინააღმდეგ. კომკავშირელები პირველნი მიდიოდნენ კულაკურ სოფლებში. ისინი თავისი

**წუგზარ წართელი**  
ბრძოლითა და შრომით  
მოკოვებულნი სიყვარული





რიგებიდან ქმნიდნენ სასურსათო რაზმებს, რათა პერი მიეწოდებინათ სამოქალაქო ომში ჩაბმული ძმებისა და მამებისათვის, რათა შიმშილისაგან ეხსნათ შინ დარჩენილი დები და დედები. ახალგაზრდები არ უშინდებოდნენ განსაცდელს, ზურგს უკან ვერაგულად ჩასაფრებულ კერძო მესაკუთრეებს. მათი ავტაცია და ვაჟკაცული შემართება მიჰმე ლახვრად ესობოდა კულაკობას, ღარიბ გლეხობას კი რაზმავდა თანასწორობისა და კოლექტიური შრომის სიკეთისათვის საბრძოლველად. მ. მაჭავარიანი წერს:

იტყვება და ვხედავ:  
ახალგაზრდას გაბედულს, გულადს, —  
მეუღმეპართული ლაბარაკობს ვაბუქი იგი...  
ვხედავ:  
ხმა მისი ლახვარივით ესობა კულაკს!  
მთელი სოფელი გატრუნულა ვაბუქის ირგვლივ.

კომკავშირი თავდადებით იბრძოდა ახლადფეხდაგმული საბჭოთა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის, სავალალო მდგომარეობაში მყოფი სახალხო მეურნეობის აღორძინებისათვის. კომუნისტური პარტიის გენერალური ხაზი კომკავშირის გენერალური ხაზიც იყო. ლენინური კომკავშირი გამოვიდა სოციალისტური შევიზრების წინამძევებად, შრომაში დაძვერული მოპარაობის საფუძვლის ჩამყრელად. 1929 წელს კომკავშირმა პირველად გამოაცხადა ლაშქრობა ახალშენებლობებზე. 66 ათასი ახალგაზრდა პარტიოტი დაუყოვნებლივ გაეშურა ურალსა და ციმბირში, 36 ათასი დონბასის მღაჩოებში, 7 ათასზე მეტი ეოლოგორადის სატრაქტორო ქარხნის ასაშენებლად. იყო ბევრი გაქირვება და დაბრკოლება, მაგრამ ახალგაზრდა ენთუზიატების არაფერს არ უშინდებოდნენ, შრომობდნენ ქარსა და ყინვაში, წვიმასა და პაპანაქებაში. მათი გამძლეობითა და გულმოდგინე შრომით შენდებოდა ახალი ქალაქები, ჰესები და ფაბრიკა-ქარხნები, სოციალისტური ცხოვრება მკვიდრდებოდა გაუვალ უდაბნოებში, გუნებითა და არხებით იფარებოდა გამოუყენებელი მიწის უზარმაზარი ფართობები:

...სიმაღლეები ავყავს კბილებით,  
უდაბნოები ავაყვავილეთ  
და გუგუნებენ დიდი მიწები,  
რომ ეშინიათ ჩვენი ყამირებს.  
და გუგუნებენ დიდი ქარხნები...  
და გუგუნებენ დიდი ჰესები...  
(გ. ჩარკიანი)

უდიდეს წარმატებებს აღწევდა საბჭოთა სახელმწიფო, ცხოვრება არახული ტემპებით მიდიოდა წინ, მაგრამ მოულოდნელად დიქტუხა სამამულო ომმა და გმირ საბჭოთა ხალხთან ერთად ახალგაზრდობაც აღსდგა სამშობლოს დასაცავად. ომის დაწყების პირველ დღეებშივე

900 ათასზე მეტი მოხალისე კომკავშირის რაღით ხელში გაეშურა ფრონტის წინა ხაზისაკენ.

იმ მრისხანე წლებში მთელი სივრცე-სივანით გამოვლინდა ახალგაზრდობის ბრძოლისუნარიანობა და საუკეთესო თვისებები. მან მსოფლიოს უჩვენა გმირობისა და სამშობლოს ერთგულების უსაზღვრო მაგალითი.

ჩვენი მწერლობის ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები არ მონაწილეობდნენ ომში, მაგრამ მათმა ბავშვურმა ბუნებამ სამუდამოდ აღიქვა ის ნგრევისა და პატრიოტული შემართების წლები. მათთვის უდაბრელი ბავშვობა დაიკარგა და თითქოს უცებ მოვიდა სიკაბუჯე. მათ სულში ჩარჩა ომში წასული მამის წერტილები, უდროოდ გაქაღარავეული დედის გამხდარი ხელები, ღმილდაკარგული სახეები და მოუსვენარი შრომა. შთამბეჭდავად წერს ზურ ბოლქვაძე ლირიკულ პოემაში „მზრადიული ცეცხლი“, რომელიც ომში დაღუპული მამის ხსოვნას ეძღვნება:

ყველა ღიმილი შეკრება ერთად  
ომმა, და უცებ გააქრო საღდაც.

პოეტს კარგად ახსოვს, როგორ გავიდა სახლიდან ოჯახის უფროსი, შვილებს მამა. იგი სამშობლოს დასაცავად წავიდა, მაგრამ ვეღარ დაბრუნდა... და დაეკარგა პატარა სოფელს ერთი საფლავი... მომავალ თაობის კეთილდღეობისათვის დაეცა გმირი შორეულ მიწაზე.

ათასობით და მილიონობით ადამიანი შეეწირა ომს. მათ სიცოცხლებს სურდათ და სამშობლოში დაბრუნებაც ეწადათ, მაგრამ ყველაფერზე მაღლა იდგა მოვალეობის, პატრიოტიზმის, თავისუფლების შენარჩუნების გრძობა. ისინი პირისპირ იდნენ ვერაგი მტრის წინააღმდეგ და იცოდნენ, რომ მათ ზურგს უკან დარჩენილი იყო ნამუსუელახანი მამული, ბავშვები, დედები და ცოლები — ყველა ის სიწმინდე, რომელსაც შეუძლებელი იყო, მტრის ხელი შეხებოდა. ლექსში „ბიჭო გოგია“ შოთა ნიშინაიძე დიდი სიბოძით და გულსტიკვილით იგონებს ომში უდროოდ დაკარგულ ახალგაზრდა კაცს, რომელსაც დღესაც იმედით მოლოდინ მოხუცი მშობლები:

...შენი საფლავი კი ყურდანზე საღდაც ქერჩხია...  
ნუთუ საფლავზე ცხელი წვეთი არ დაგცემია,  
ბიჭო, ის წვეთი დედის ცრემლი, სატრფოს  
ცრემლია.

მათი თავდადების მიზანი ნათელი იყო და გასაგები. მათი დაუდევარი სული, ახალგაზრდული სული, დღესაც ხმაურობს, დღესაც რწმენითა და იმედით ავსებს ადამიანებს. ისინი იქნენ მიწად, ბალახად, ტალღებად, წვიმად, მოვონებად, მაგრამ მიწაზე დარჩა მათი ძლიერი ბუნება, დარჩა წაუშუელი კვლი და, რაც მთა-

ვარია, დარჩა ისევ დევემირულად მდგომი მათი სიცოცხლის ფასად გადარჩენილი სამშობლო, სადაც კვლავინდებურად ცხოვრობს და შრომობს ახალგაზრდობა. დილარ ივარდავას ლექსი „ოში დაცემულები სამშობლოს“ ახალგაზრდობისადმი წინა თაობის დიდი სიყვარულთაა აესილი:

ისევ ომით მზე ნურასოდეს დაუბინდებათ,—  
ეს დაკარგული საფლავები აკმარე ჩვენი.

სამამულო ომისა და გაჯალბარებული ბავშვობის განცდა კარგადაა გადმოცემული ტარიელ ჭანტუიას ლირიულ პოემაში „ქვა და ომი“. მართალია მეტად მძიმე, ცეცხლიანი წლები იდგა, მართალია ხალხს ოცნებად ქონდა ქვეული პური და შაქარი, მაშლობლების ნახვა, შექვით გაჩახახებულ ფანჯრების ცქერა, ტივილის დაიწვეება და ნათელი მომავლისათვის შრომა, მაგრამ მიუხედავად ამისა, საბჭოთა პატრიოტიზმი და ერთიანი სახალხო პოტენციალი ყველაფერს უძლებდა. იმედი და რწმენა ყველაფერზე მაღლა იდგა:

ბროყეტორები ისევ სერავენ  
სულს და ცას... ღამით ივხება სული,  
და, მინც გკერა: ქვეყნად ვერაიენ  
ვერ მოკლავს დიდი სინათლის სურვილს...

კომკავშირის აღზრდილების გმირობა დიდ სამამულო ომში მართლაც უმაგალითო იყო. ისინი საკუთარი ზეუღლით აჩერებდნენ ტანებს, ცეცხლმოდებული თვითმფრინავებით იკრებოდნენ საქულველი მტრის განლაგებაში, ქაბუკური მკერდით ეფარებოდნენ საცეცხლე ამბრაზურებს, რომ თანამებრძოლებისათვის წინ წასასვლელი გზა გაეხსნათ, ცეცხლისათვის გზა გადაეღობათ.

გვირული თავდადების ფასად ლენინტრმა კომკავშირმა სამარადისო დიდება მოიპოვა, შარავანდელით შემოსა თავისი სახელი. შინაარსიან პოემაში „ძახილი“ რეზო ამამუკელი ასე წერს ამ საყოველთაო აღიარების შესახებ:

... გაახსენდება  
მონანავე მინდვრის გვირილას  
ამბრახურაზე გადავებულ ბავშვის ღიმილი, ...  
— დახარეთ დროშა  
კომკავშირის დაცხრილულ მკერდზე!  
სამშობლოსათვის თავგანწირულ  
დაცხრილულ მკერდზე!...  
მარადისობა,  
ის უთუოდ შენი ღირსია!..

კომკავშირელების დღევანდელი თაობა განაგრძობს ომში უდროოდ დაცემულების დიად საქმეს. მათი ხსოვნა, მათი უკვდავი საქმეების წინ წამოწევა აძლიერებს ახალგაზრდობის შრომით-პატრიოტულ შემართებას. „ჩვენამდე მოს-

წედა მათი ძახილი“, — წერს ვახტანგ ჯავახიშვილი ლექსში „ვახაფხული ვარაზის ხეთან“ და გამოხატავს ახალგაზრდობის სურვილს, შეგნებას, რომელიც თავის უწმინდეს მოვალეობად თვლის არ დივიწყოს მისი სიკეთისათვის თავდადებული ძმების, მამების, თანატოლების უმწიკველო ხსოვნა:

და ჩვენი წმინდა მიზანი არის,  
გმირთა სახელი ვადიდოთ მარად...

ომის შემდგომი პერიოდის მატერიალური ზარალის აღგენისათვის ბრძოლაშიც პირველ რიგებში იმყოფებოდა ლენინური კომკავშირი. მისი უშუალო მონაწილეობით სრულდებოდა გრანდიოზული სამუშაოები, ფერფლიდან დგებოდნენ სოფლები და ქალაქები, აღმავლობისაკენ მიემართებოდა დანერგული მრეწველობა და სოფლის მეურნეობა.

კომკავშირის შრომისმოყვარეობა და სიმძნელეთა წინაშე შეუდრეკლობა ნათლად გამოჩნდა ყამირი და ნასყენი მიწების ათვისებისთვის დაწყებულ ლაშქრობაში. წლების წინათ გაუვალ ადგილებში ახალგაზრდებმა კომუნისტური ყოფა დაამყიდეს. დიდმა გზამ გაიარა შრომისა და შენების ამ ახალ გამოცდამდე, რომლის შესახებაც წერს ჩანსულ ჩარკვიანი:

... გავიდა ხანი,  
შენი ყამირი მიწები ვხანით  
და ვერ გენახაედი  
უსაქმოდ და გულხელდაკრფილს.

მუხრან მაჭავარიანს შემოქმედებითი სიმძაფრით აქვს შეგრძნობილი ჩვენი მოწინავე ქალიშვილებისა და ქაბუკების თავდადებული შრომის მნიშვნელობა ყამირ მიწებზე. სიუხვისა და მატერიალური საკეთისათვის წარმოებული ეს ცნობილი შტურმი წარმატებით დაავიროვინა კომკავშირული თაობის სიბეჭითემ, დაულალავმა მარჯვენამ, უტეხმა ვენებამ. მათ მსოფლიოს კიდევ ერთხელ დაანახვეს, რა შეუძლია ლენინტრ კომკავშირს, რა უდიდესი მისისათვის არის იგი მოწოდებული. მუხრან მაჭავარიანის ზემოთხსენებ ლექსში „კომკავშირი“ ყამირი და ნასყენი მიწების დამყარებული ახალგაზრდებისადმი ასეთი სტრიქონებია მიძღვნილი:

იტყვი და ვხედავ:  
განურჩევლად დღისა და ღამის,  
დაუღლოავად,  
მუყაითად,  
ბეჭითად,  
მარდად,

**ნუგზარ წარეთელი**  
ბრძოლითა და შრომით  
მოკოვმებული სიყვარული



ტიხენ და ტიხენ ქაბუციები უსახლგრო ყამირს,—  
ქვეყანას უხვი მოსავალი მიეცეს რათა.

მშენებლობის, წინსვლის, საგმირო საქმეების ყველა ფრონტზე პირველ რიგებში მიაბიჯებს კომკავშირი, ახალგაზრდობა. იგი გაბედულად უმშენებს მხარს უფროს თაობას, ამართლებს დიდი ლენინისა და პარტიის მოწოდებას იყოს ყველა საქმეში ინიციატივის გამომწინი, დამყვრელური შრომის მოთავე და წამომწყები. მისი ძალითა და სიჩიუტით ზღვები ზღვებს უერთდება, კალაპოტს იცვლიან მდინარეები, შრება თვალწუდენელი ქაობები, ხვადება დოვლათი და ბარაქა, შენდება მსოფლიოში უმაღლესი თაღოვანი კაშხალი, ახალი დასახლებები ჩნდება რუქაზე. ყველაფერი ეს კეთდება დიდი სიყვარულითა და საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომით. ასეთი ერთიანობის რიტმით ავსილი რეზო ამამუელები კომკავშირისადმი მიძღვნილ პოემაში წერს:

და დგას ამურზე,  
დგას ენგურზე,  
ახალ ყამირზე...  
მიდის,  
მიანგრევს  
შერკინების მძაფრი გენია!  
—ო, ეს არ არის  
საუქუნის მშრალი ქრონიკა,  
ეს არის პიზნი სიყვარულის,  
შექმნის, შენების..

ქართული პოეზიის ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლებმა პოეტური არსების მთელი ძახლით განიცადეს საბჭოთა ადამიანების მიერ კოსმოსის დაპყრობის ეპოქური მიღწევები. მათ ლექსებსა თუ პოემებში გამოჩნდა დიდი სიყვარული და აღტაცება ლენინური კომკავშირის მიერ აღზრდილი სახელოვანი გმირებისადმი.

ასეთი არახული მიღწევის გზა არ იყო იოლი და ვარდებით მოფენილი. სამყაროს საიდუმლოებათა შეცნობისა და კოსმოსის ათვისებისათვის ადამიანმა ბევრი იშრომა, ეძება, იწვალა. იყო ეპოქის სახელოვანი ადამიანთა რიგი, იყვნენ ჯორდანო ბრუნი, გალილეი თუ კოპერნიკი, მაგრამ იყო უფრო მეტი ხელისშემშლელი პირობა. წავიდა დრო. დავიწყების ფარფლმა დაფარა მეფეები და კარდინალები, ქვეყნად დარჩნა და საოცრად აღზედა ადამიანის ნათელი გონება. ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში შემოიჭრა დიდი სინათლე „კოსმიურ გზაზე გასული კაცის“. გადაიდა უდიდესი ნაბიჯი და—

ადამიანმა შეპხედა კოსმოსს!  
რამდენს უხმობდნენ ეს ვარსკვლავები,  
— წერს თამაზ ჭილაძე.  
ადამიანის მისწრაფებამ ზენიტს მიაღწია. უწინ

მის მოკრძალებულ ოცნებებს ზღვარი გააჩნდა, დღეს კი ცხოვრება საოცრად წავიდა წინ „და წაიშალა ახლა საზღვარი ადამიანის მისწრაფებათა“, — აღნიშნავს გივი გვგეჭკორი საინტერესო ლირიკულ პოემაში „მზიანი დღე“.

ოთარ ჭილაძე დედამიწის თანამგზავრის შემქმნელ ინჟინრებს უძღვის ლირიკულ პოემას „კაცის ხელები“. ამ მშრომელმა და დაღუპულმა ხელებმა ადამიანის ნათელი გონების შესატყვისად ბევრი იშრომეს, ჯაფა და დაღლა მათ არ აზინებდათ. მშრომელი და მთაზროვნე კაცის სიმბოლური ხელები ოცნების ახდენის მძლავრი ბერკეტები იყვნენ:

და აი, მისი ოცნებებიც...  
ისინი ახლა  
ფოლადის ჯავშნით  
დედამიწის უვლიან ირგვლივ.

პირველი ადამიანი, რომელიც გავიდა კოსმოსში, ლენინური კომკავშირის აღზრდილი და საკავშირო კომკავშირის წევრი იური გაგარინი იყო. სწრაფად გააზრა ბავშვობის, სწავლის, ოცნების, წინსვლის წლებმა „და მერე კაცი აიჭრა ცაში“, — წერს ლია სტურუა იური გაგარინისადმი მიძღვნილ ლექსში. ადამიანის კოსმოსში გაფრენა სასწაულს მოგვადა, მსოფლიოს ყველა მერიდიანი გადაციცებით ადევნებდა თვალყურს მის გვირუკულ მოძრაობას „და მოელოდა კოსმოდრომი გულისფანცქალით ადამიანის ჯერ პრინახულ ციდან დაშვებას“... (რეზო ამამუეელი). ლია სტურუა სიყვარულით წერს იმ განუშეორებელ წუთებზე, როცა კომკავშირელმა ი. გაგარინმა ფერი დაადგა სამშობლოს მიწას და კომუნისტურ პარტიას ბრწყინვალე გამარჯვება უპატიჟა:

მის შესახვედრად იდგა ქუჩები,  
იდგნენ კაცები, იდგნენ ბავშვები,  
თვალები ჰქონდა ცასვით ლურჯი  
და აბარებდა პატაკს სამშობლოს.

აღმათ არ არსებობს ადამიანი — კოსმონავტი იქნება თუ პოეტი, მუშა თუ კოლმეურნი, რომელსაც არ ახსოვდეს კომკავშირის რიგებში შესვლის ნათელი დღე, ის პირველი მღელვარება და სიამაყე, რომელსაც კანონიერად განიცდიან ამ მრავალმილიონიანი არმიის ახალი წევრები. ამ უშუალო განცდითაა დაწერილი არჩილ სულაკაურის ლექსი „კომკავშირში მიიღება“. პოეტი იგონებს კომკავშირის ლია კრეხას, ჯერაც განუცდელი მღელვარების გრძობას, რომლის დროსაც ბიჭუნას ოლეგ კოშევიკი წარმოდგება თვალწინ. შეკითხვაზე — კომკავშირული სიცოცხლის დაწყებასთან ერთად თუ შესძლებს კოშევიკისა და სხვა გმირების ტრადიციების გაგრძელებას — ახალგაზრდა მტიციე



თანხმობით პასუხობს. ალტაცებულნი და ფრთხილდებიან ბრუნდებიან ბიჭები სახლში:

ჩვენ მოვდიოდით სულ სხვა ბიჭები და იწყებოდა სულ სხვა ცხოვრება, — დიდი ცხოვრება კომკავშირული, სამშობლოსათვის და სიცოცხლისთვის ბრძოლა გმირული.

ასეთივე უშუალო განცდებითაა აესილი ნახი კლასონის თბილი და სასიამოვნო ლირიკული ლექსი „სიმღერა კომკავშირულ ბილეთზე“. მრავალი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც პოეტი უკანასკნელად დადასტურებულ პიონერულ ღვაწლსა და შემდეგ კი გულისფანქვართან შეალო კომკავშირის რაიკომის კარები. განვლილი დროის მიუხედავად ნ. კლასონია დიდი სიყვარულით იგონებს იმ განუყოფელ დღეს, იმ საზეიმო წითებს, როდესაც მან კომკავშირული ბილეთი მიიღო:

მკერდში ვიკრავ კიდეც, თუმცა წლები მიდის, კომკავშირულ ბილეთს — კომპეოვის სინდისს.

კომკავშირი ერთგულია ინტერნაციონალიზმის დიდი გრძნობის. იგი მსოფლიო ახალგაზრდობის მედროზეა, მშვიდობისა და პროგრესისათვის მებრძოლი მსოფლიოს ჭაბუკებისა და ქალიშვილების აღიარებული წინამძღოლია. კომკავშირი ძმურ სოლიდარობას უცხადებს ვიეტნამისა თუ ლათინური ამერიკის, არაბეთისა თუ საბერძნეთის მებრძოლ ახალგაზრდობას. ეს ერთიანობის უძლეველი ძალა თვალსაჩინოდ გამოვლინდა ამ ორიოდე თვის წინ ჩატარებულ ახალგაზრდობის მე-9 მსოფლიო ფესტივალზე სოფიაში, რომლის დღეებშიც იყო „სოლიდარობა, მშვიდობა და მეგობრობა“. ახალგაზრდობის ძმურ ერთიანობის ეს შესანიშნავი გრძნობა კარგად ესმის მორის ფოცხვილს, რომელიც ლექსში „ახალგაზრდული“ წერს:

ყველა ერის, ყველა ფერის, თვალციმციმა ქალ-ვაჟებს, ერთი დროა გვაბადლებს და ერთი ძმობა გვაკავებს.

კაპიტალისტური ქვეყნების ახალგაზრდობა დიდ დამციბებასა და გაჭირვებას განიცდის, იგი უფლებაყრდილი და დამონებულია, რის გამოც დღითიდღე იცხება მოთმინების ფალა. გამოჩენილი ინგლისელი მწერალი ჯეიმს ოლდრიჯი წერს: „ლონდონის იმ ქუჩაზე, სადაც მე ცხოვრობ, არიან ნიჭიერი ჭაბუკი მუშები, რომლებსაც ადვილად შეუძლიათ გახდნენ მეცნიერები, პოეტები, სახლვაო ხომალდების კაპიტნები. მაგრამ მათი მუშური წარმოშობის გამო ისინი ვერასოდეს ვერ განავითარებენ თა-

ვიანთ ნიჭს ჩვენს „უქლასო“ საზოგადოებაში ჩვენი საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურა და განათლების სისტემა ისეთია, რომ ეს ახალგაზრდა მუშები ნახევრადანათლებულნი, ნახევრადკულტურულნი, ნახევრადგანვითარებულინი და ფაქტიურად ნახევრადუფლებოანი რჩებიან“.

ინტერნაციონალიზმის კეთილშობილ ტრადიციებზე აღზრდილი ქართველი ახალგაზრდა პოეტები დიდ ყურადღებას იჩენენ საზღვარგარეთელი თანატოლების ცხოვრებისადმი, თავიანთ ნაწარმოებებში გადმოგვცემენ მათ რთულ მდგომარეობას, მომავლის გაუმჯობესების უტყუარ იმედს. სწორედ ამ კუთხით წერს ტაგუ მეტურაშვილი ფილიპინელ ტირისიტა მარკალოსადმი მიძღვნილ ლექსში:

როგორმე შესაძლ კიდეც მოთმენა და გაანათებს სულში ცხელი მზე... იმედის ტოტი შეიფოთლება და გამოიტან დროშებს ზეიმზე.

კომკავშირი დიდი ლენინის ნათელი იდეებით აღიზარდა, ყოველთვის ცდილობდა ეწრომა და ებრძოლა ლენინურად. მისი ჩამოყალიბებისა და განმტკიცების სათავესთან ყურადღებით იდგა მსოფლიო პროლეტარიატის მამამთავარი. იგი გაბედული გეგმებითა და ფართო ინიციატივით აიარაღებდა ახალგაზრდობას.

როდესაც კომკავშირის VI ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება ახალგაზრდობის კომუნისტურ კავშირს ვ. ი. ლენინის სახელი მიწვივებოდა, ქალიშვილებმა და ჭაბუკებმა თავის მანიფესტში ჩაასწერეს: „არა ლამაზი სიტყვისათვის, არა სახელთა შორის საუკეთესო სახელის ტარების სურვილისათვის მივიღეთ ჩვენ ეს დადგენილება. არა, ჩვენ მივიღეთ იგი იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირის ყველა ხალხების მშრომელი ახალგაზრდობა, თავის მოწინავე რაზმთან — ახალგაზრდობის კომუნისტურ კავშირთან ერთად განიმსჭვალოს ერთიანი სურვილითა და მტკიცე რწმენით ისწავლონ ცხოვრება, შრომა და ბრძოლა ლენინურად, განახორციელონ ლენინის მიერ დატოვებული ანდერძი“.

ახალგაზრდობამ გაამართლა თავისი დამირეზა და გახდა ლენინის უკუდავი სახელის ღირსეული მატარებელი. სიყრმის წლებიდანვე ასულდგმულეზა მომავალ თაობას ლენინის მართალი სიტყვა, ლენინის სახელი და ნააზრევი მომავალ გმირებად ზრდიდა მათ. კარგად წერს ზაურ ბოლქვაძე ლექსში „ბავშვებო, ალბათ, ნახავდით!“:

**ნაზარ წამეთელი**  
ბრძოლითა და შრომით  
მოაომაზული სიყვარული



და იზრდებიან ბავშვები  
 ლენინის ბრძნული აზრებით,  
 იზადებოდნენ პირველი  
 პიონერული რაზმები,  
 მომავალ დღეთა გმირები,  
 მომავლის ჭაირსიყავები,

ლენინმა და პარტიამ შეასწავლა კომკავშირის  
 მამულისადმი უსაზღვრო სიყვარული. ცხოველ-  
 მყოფელი საბჭოთა პარტიონიზმი ამაღლდა ყვე-  
 ლა გრძნობაზე მაღლა. ახალგაზრდობა მოწო-  
 დებულთა ატაროს სამშობლოს ერთგული დარა-  
 ჭის სახელი, იყოს მამა-პაპათა სისხლ სისხლ-  
 თავანი და ხორცი ხორცთავანი:

ჩვენ შენს სიყვარულს  
 გვასწავლიდნენ დღისით და ღამით,  
 ვიზუბრებდით შენს სიყვარულს,  
 როგორც გაკეთილს...

— აცხადებს ჭანსულ ჩარკვიანი.

სადაც არ უნდა იყოს ახალგაზრდა ადამიანი,  
 იგი თავს გრძნობს დიადი საბჭოთა ქვეყნის  
 წარმომადგენლად, მოწინავე საბჭოთა ახალგაზ-  
 რდობის ჭეშმარიტი სახის გამომხატველად, სა-  
 კლთარი ხალხისა და „ქვეყნის მცირე ნაწი-  
 ლად“. თუკი ახალგაზრდა დროებით მიდის საზ-  
 ლღარგარეთ, უცხო მხარეში, მას სულითა და  
 თვალებით მიჰქვს საკლთარი ცა, მიწა, მთები,  
 სამშობლოს ძლიერამოსილებით გამოწვეული საბ-  
 ჭოთა ადამიანის სიამაყე. ამიტომ წერს ნოდარ  
 გურგენიძე:

ყველგან:  
 სადაც ვარ, შინა თუ გარეთ,  
 მულამ გულში გვაქვს სამშობლო მხარე.

ახალგაზრდა ქართველ შემოქმედები, რომ-  
 ლებიც უაღრესად ახლოს არიან ლენინურ კომ-  
 კავშირთან, რომლებიც მძაფრად განიცდიან მის  
 საპასუხისმგებლო მიზანსა თუ ამოცანებს, ცდი-  
 ლობენ, ასახონ ახალგაზრდობის სულიერი სა-  
 ხე, სწავლა, შრომა, ცხოვრება. მათი ყოველი  
 დღე ახლისა და დადებითის ძიებით იწყება,  
 რადგან დარწმუნებულნი არიან, რომ მათ მიერ  
 მხატვრული საღებავებით ასახვას ელოდებიან  
 მშრომელი ახალგაზრდობის, ლენინური კომ-  
 კავშირის სასახელი წარმომადგენლები.

გათენებულა... იცდის ხარაჩო,  
 იცდის ქარხანა, იცდის მარტენი,

— წერს თამაზ ჭილაძე.

ზურ ბოლქვაძისათვის, ისევე როგორც მისი  
 თანამოქალაქეებისათვის, ლექსსა და შემოქმე-  
 დებას არ აქვს უბრალო დანიშნულება. ის  
 უნდა იყოს თავისებური მხატვრული ასახვა  
 ყველა იმ ძვრისა და ეპოქალური მოვლენის,

რაც ყოველ წუთობით შეინიშნება ჩვენს ცხოვრ-  
 რებაში. ახლა მთავარია სიახლის შთავიწმინდული  
 განცდა და იმის ვაჟკაცური შესაძლებლობა, რომ  
 სწრაფი ტემპებით მივაპრო საუკუნეს მხარში  
 ამოუდგე. პოეზიის ჭეშმარიტ დანიშნულებას  
 და მოვალეობის სწორედ ასეთი ფაგება აესებს  
 ზურ ბოლქვაძის ლექსს „ჩვენი თაობა“.

უნდა ასწიო ბენი ცათანი,  
 უნდა დაანთო სიტყვა კოცონად,  
 რომ აღაგზნებდეს შენი ნათქვამი  
 ყველა მუშას და ყველა კოსმონავტს...

შრომისა და შემოქმედებისათვის წინ მებრ-  
 ვრცელი გზა და ფართო სარბიელია. ქართველ  
 პოეტები არ კმაყოფილდებიან გაკეთებულთ,  
 ეძებენ ახალსა და შთამბეჭდავს. მომავალში  
 ისინი კიდევ უფრო მაღალმხატვრულად და მა-  
 ლალიდურად ასახვენ ლენინური კომკავშირის,  
 ჩვენი მოწინავე ახალგაზრდობის მდიდარ და  
 მრავალფეროვან ცხოვრებას, შეძლებენ კიდევ  
 უფრო მეტის გაკეთებას, რადგან:

დიდი სიცოცხლე ახლა იწყება,  
 მთების დაპყრობაც ახლა იწყება...  
 (ჯ. ჩარკვიანი).

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სასიამოვნო  
 და თვალსაჩინო მიღწევების გვერდით ჭერ  
 კიდევ შეიმჩნევა გარკვეული ნაკლოვანებები,  
 რომელთა დავიწყება საზიარო განწყობილებით  
 დღეებშიც არ შეიძლება.

უკანასკნელი პერიოდის ახალგაზრდულ პოე-  
 ზიაში, განსაკუთრებით იმ დამწყები პოეტების  
 შემოქმედებაში, რომლებიც „პირველი სიბივისა“  
 და სხვა ჟურნალ-გაზეთების საშუალებით გაიც-  
 ნო მკითხველმა საზოგადოებამ, მეტისმეტად იყ-  
 ლო მოქალაქეობრივი ელერადობის ნაწარმოე-  
 ბებმა. საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ დამწყე-  
 ბი პოეტები, კომკავშირული ასაქის ახალგაზ-  
 რდები მდარე და მნიშვნელობას მოკლებული  
 თემებით ცდილობენ პოეზიის კარის შეღებას.  
 მათ ლექსებში უფრო ხშირად ლაპარაკია ბა-  
 ლახზე, მოვარეზე, ღრუბლებზე, ცრემლებზე,  
 ეკლესიებსა და მონასტრებზე, ვიდრე კონკრე-  
 ტულ და ნიშანდობლივ მოვლენებზე. დამაფიქ-  
 რებელია ის გარემოებაც, რომ იდურ სისუს-  
 ტესთან ერთად ლექსებში მხატვრული სრულ-  
 ყოფაც მოიკოტლებს. აუცილებელია ამ გარე-  
 მოებას ღრმად ჩაუფიქრდე და სკაპ ცენტ-  
 რალურ კომიტეტის 1968 წლის აპრილის პლე-  
 ნუმის დადგენილებათა შესაბამისად მეტი ყუ-  
 რადღება მივაქციოთ დამწყებ შემოქმედთა  
 იდურ-მხატვრულ სრულყოფას.

ლენინური კომკავშირის ყველა წევრი, ყველა  
 ახალგაზრდა, საბჭოთა კავშირის ყველა მოქა-  
 ლაქე, მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანები  
 დიდი აღფრთოვანებით ეგებებიან ლენინური

კომკავშირის ნახევარსაუკუნოვანი ისტორიის საიუბილეო თარიღს. ახალგაზრდობას ავსებს შრომითი ენერჯია, საზოგადოებრივი აქტივობა, პატრიოტული სულისკვეთება.

ჯერ კიდევ ახლადშექმნილი საბჭოთა სამშობლოს პირველ წლებში, 1920 წლის ოქტომბრის ქარიშხლიან დღეებში ვლადიმერ ილიას ძე ლენინი იმედიანად ამბობდა: „სწორედ ახალგაზრდობამ უნდა გადაჭრას კომუნისტური საზოგადოების შექმნის ნამდვილი ამოცანა... უნდა მოვაშალოთ იგი, რათა მან შესძლოს ბოლომდე ააშენოს და დაასრულოს ის, რაც ჩვენ დავიწყეთ“.

კომკავშირი, ახალგაზრდობა ამართლებს დიდი ბელადის ანდერძსა და იმედებს, ახალ-ახალ წარმატებებს აღწევს საკუთარი შრომით, ბრძოლით, შემოქმედებით და მონოლითურად შეკ-

რული ეგებება თავისი ნაცადი წინამძღოლის სახელოვან იუბილეს.

შესანიშნავად წერდნენ 1963 წელს მფრინავი-კოსმონავტები ვ. ტერეშკოვა, ი. გაგარინი, გ. ტიტოვი, ა. ნიკოლაევი, პ. პოპოვიჩი და ვ. ბიკოვსკი, როდესაც აღმზრდელ კომკავშირს დაბადების 45 წლისთავს ულოცავდნენ: „თაობიდან თაობას გადასცემს ახალგაზრდობა თავისი შრომითი ტრადიციებისა და საბრძოლო საქმეთა ესტაფეტას. ჩვენ უსაზღვრო სიამაყით და ბედნიერებით გვევსება გული იმის გამო, რომ კომკავშირმა მოგვცა ცხოვრების უტყუარო საგზური.“

გვწამს, მტკიცედ გვწამს, რომ ქვეყნიერებას კიდევ შეძრავს ამბები დღემამიწაზე და კოსმოსში ჩადენილ საგმირო საქმეთა შესახებ, რომლებსაც მოახდენენ მკერდზე კომკავშირის ნიშანდამბნული ჰაბუტები და ქალიშვილები“.



კომკავშირმა, პარტიის უღვემა რეზერვმა მსოფლიოს უკვე უჩვენა თავისი შემოქმედებითი ძალა სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობის მუშაობაში, უჩვენა და განუწყვეტილვ, ყოველ დღე უჩვენებს ამ ძალას.

მ. გოგოძი.

## რევოლუცია

50 წლის ლენინურ კომკავშირს ეუძღვნი

რევოლუციაჲ, მე მოველ შენთან,  
ნუ იტყვი ჩემზე, ბავშვი არისო,  
შენი სიცოცხლის მეც ვარ ზიარი,  
შენ მომეც ცეცხლი და ასპარეზი,  
მე შენ მასწავლე ცაში სრიალი.

რევოლუციაჲ, მე მოველ შენთან  
ცხელი სისხლით და ცხელი ხელებით,  
თუ სადმე ერთო, ჩემს გულშიც ერთო  
ეგ შენი შფოთვა და გახელება.

რევოლუციაჲ, მე შენს გარეშე  
ვერ ვიხილავდი ლაჟვარდს ვეროდეს,  
გადიგრიალე სიმწუხარეზე,  
დაე, შენს ხმაზე მუდამ ვმღეროდე.

რევოლუციაჲ იცი სიმღერა,  
რევოლუციაჲ ცრემლებიც იცი,  
მაგრამ არ იცი რევოლუციაჲ  
კენესა, წუწუნი, გატეხვა ფიცის.

და მიტომ ჩემი მკლავით, კალამით,  
ჩემი ტვინით და ჩემი ფიქრებით  
დაუცხრომელი, დაულალავი  
შენი ვიყავ და შენი ვიქნები.

კვლავაც ანთია, რაც ადრე ერთო,  
ნუ იტყვი ჩემზე, ბავშვი არისო...  
რევოლუციაჲ, მე მოველ შენთან  
და ვრჩები შენთან სამარადისოდ.

## გამოქილება

„ციმბირის პაპის“ ნესტორ  
კალანდარიშვილის ხსოვნას

გრძელი წვერები...  
კაცი ლომივით,—  
სუსხსა და ყინვას აქ მოყოლილი.  
მასწავლებელმა დატოვა სკოლა,

დატოვა სახლი,  
 დატოვა კარი,  
 დატოვა დედა,  
 დატოვა მიწა  
 და დიდ სიმართლეს გამოეკიდა,  
 და დიდ სინათლეს გამოეკიდა  
 და ბდღვრიალა მზეს გამოეკიდა  
 და  
 ციმბირის გზას გამოეკიდა.  
 სდია და სდია,  
 სდია და სდია,  
 ანარქიასაც ებრძოდა დიდხანს  
 და გაუსრისა თავი და გული.


ამაოდ ხომ არ დატოვა სახლი?  
 ამაოდ ხომ არ დატოვა სკოლა?  
 ამაოდ ხომ არ დატოვა დედა?  
 და რასაც გზნებით გამოეკიდა,  
 დაეწია თუ ვერ დაეწია?

ამას გვიამბობს ციმბირის მიწა  
 და თვით ლენინის სუნთქვა გვიამბობს.

## „პოლიუშკო-პოლე“

ესკადრონი ჩოროთით მიდის,  
 პოლიუშკო პოლე...  
 აცილებენ მოწყენილი  
 ტირიფი და ოლე.  
 ესკადრონი ომში მიდის,  
 პოლიუშკო პოლე...  
 აცილებენ მოწყენილი  
 დედა, მამა, ცოლი.  
 ესკადრონი მიდის... მიდის,  
 პოლიუშკო პოლე...  
 აცილებენ მოწყენილი  
 და და გულის ტოლი.

ვინ კვლავ მოვა, ვინ კი არა...  
 პოლიუშკო პოლე...  
 მერე ვიღამ ანუგეშოს  
 დაღუპულის ცოლი?...  
 ესკადრონი ჩოროთით მიდის,  
 პოლიუშკო პოლე...  
 მოწყენილი რად აცილებთ,  
 ტირიფო და ოლე?  
 დაბრუნდება ესკადრონი,  
 პოლიუშკო პოლე...  
 პოლიუშკო პოლე...  
 პოლიუშკო პოლე...





ხათისო არჩეაფილი

# პიკველი კომეაფიკული გუათეაი საქარტველოში

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ, ახალგაზრდა საბჭოთა რუსეთის მიმე სოციალ-პოლიტიკურმა და სამეურნეო მდგომარეობამ, რაც გამოწვეული იყო შინაგანი კონტრარევოლუციის გამწვავებითა და საერთაშორისო იმპერიალიზმის შემოტევებით, დღის წესრიგში დააყენა ჯერ კიდევ რევოლუციის ბარიკადებზე შექმნილი ახალგაზრდობის სოციალისტური ჯგუფებისა და ორგანიზაციების ერთ, მთლიან კომუნისტურ კავშირად გაერთიანება და პარტიის საიმედო რეზერვად მისი გადაქცევა. ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო პარტიის VI ყრილობამ და თავის რეზოლუციაში ჩაწერა: „ჩვენი პარტია უნდა ესწრაფოდეს, რომ მუშა-ახალგაზრდობამ შექმნას დამოუკიდებელი ორგანიზაციები, რომლებიც პარტიას ორგანიზაციულად კი არ დაექვემდებარებიან, არამედ მხოლოდ სულიერად იქნებიან მასთან დაკავშირებული; მაგრამ ამავე დროს პარტია ესწრაფვის იმას, რომ ამ ორგანიზაციებმა თავიანთი წარმოშობისთანავე სოციალისტური ხასიათი მიიღონ, რომ რუსეთის მუშა ახალგაზრდობის მომავალი სოციალისტური კავშირი თავისი წარმოშობისთანავე მიემხროს ახალგაზრდობის ინტერნაციონალს, რომ მისი ადგილობრივი სექციები უმთავრეს მიზნად ისახავდნენ პროლეტარული ახალგაზრდობის კლასობრივი თვითშეგნების განვითარებას, სოციალიზმის იდეების პროპაგანდას შოგინიზმთან და მილიტარიზმთან ენერგიული ბრძოლის გზით და, იმავე დროს, არასრულწლოვან მუშათა ეკონომიური და პოლიტიკური უფლებრივი ინტერესების დაცვას“.

ყრილობის ეს გადაწყვეტილებანი საფუძვლად

დაედო რუსეთის მუშა და გლეხი ახალგაზრდობის მოძრაობას ორგანიზაციული გაერთიანებისა და შემჭიდროებისათვის. ახალგაზრდობის გაერთიანებისათვის დიდ მუშაობას ეწეოდა გაზეთი „პრავდა“, რომელშიც გამოქვეყნდა ლენინური კომეაფიკის სახელოვანი ისტორიის ისეთი ღირსშესანიშნავი დოკუმენტები, როგორცაა: „როგორ დაერაზმთ მუშა ახალგაზრდობა?“, „რუსეთის მუშა ახალგაზრდობის სანიმუშო წესდება“, ნ. კ. კრუპსკაიას წერილები „ახალგაზრდობის კავშირი“, „ბრძოლა მუშა ახალგაზრდობისათვის“ და სხვა.

მებრძოლი ხასიათის წერილებითა და სტატიებით გამოდიოდნენ რუსეთის რევოლუციური ახალგაზრდობის პირველი ნაბეჭდი მხატვრულ-პუბლიცისტური ჟურნალები: „იუნი პროლეტარი“ (პეტერბურგი, 1917 წ.), „ახალგაზრდა კომუნისტი“ (მოსკოვი, 1918 წ.), „ურალის ახალგაზრდა პროლეტარი“ (ეკატერინობურგი, 1918 წ.) და სხვ.

1918 წელს მოსკოვის, პეტერბურგისა და ურალის მუშა და გლეხი ახალგაზრდობის კავშირებმა მოითხოვეს ორგანიზაციული გაერთიანება. ამ მოთხოვნას მხარი დაუჭირა რკპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა. 1918 წლის 29 ოქტომბერს მოსკოვში გაიხსნა მუშა და გლეხი ახალგაზრდობის კავშირთა სრულიად რუსეთის პირველი ყრილობა. ყრილობამ შექმნა რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი, განსაზღვრა ახალგაზრდობის საბრძოლო ამოცანები, რომლებიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული რკპ (ბ) საბრძოლო ამოცანებთან.

საქართველოში ახალგაზრდობის კომუნისტური ორგანიზაციის შექმნა განსაკუთრებულ, თა-

ვისებურ პირობებთან იყო დაკავშირებული. რუსეთის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვების შემდეგ საქართველოში ხელისუფლების სათავეში მენშევიკები მოექცნენ.

რევოლუციურ მოძრაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა მშრომელი ახალგაზრდობა. ამ დროისათვის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ასპარეზზე თავი წამოყვეს ათასგვარმა წვრილბურჟუაზიულმა, ნაციონალ-შოვინისტურმა პარტიებმა. თითოეული პარტია ცდილობდა თავის მხარეზე გადაეხრებინა ახალგაზრდობა. 1917 წლისათვის საქართველოში გვხვდება ახალგაზრდობის რამდენიმე ორგანიზაციული გაერთიანება. მათ შორის: მენშევიკური ახალგაზრდობის ორგანიზაცია („ახალგაზრდა მარქსისტთა კავშირი“ — ცენტრ. ორგანო გაზ. „ახალგაზრდა მარქსისტი“. 1917 წ. ჟურნალი „ახალი კვალი“ — 1918-20 წ.წ.), ეროვნულ-დემოკრატიული ახალგაზრდობის კავშირი (ცენტრ. ორგანო „ახალი ძალა“ 1918-19 წ.წ.), სოციალ-დემოკრატიული ახალგაზრდობის კავშირი (ცენტრ. ორგანო ჟურნალი „მებრძოლთა ზმა“ — 1917-20 წ.წ.) და სხვა.

ცხადია, ახალგაზრდობის ამ კავშირებს, რომლებიც ლეგალურად არსებობდნენ და მმართველ პარტიას კედში მისჩანაწლებდნენ, არ შეეძლოთ გამოეხატათ საქართველოს რევოლუციური მუშა და გლეხი ახალგაზრდების ნამდვილი ინტერესები.

მენშევიკურმა მთავრობამ ვერ გააძლიერა მშრომელი ხალხის იმედები. ცხოვრების პირობები საშინლად გაუარესდა. მუშებსა და მეწარმეთა შორის კონფლიქტები გაძლიერდა. აა, ერთ-ერთი დამახასიათებელი ფაქტი. „ამ ფაბრიკის (იგულისხმება თბილისის ფაბრიკა „ობორანი“. ხ. ა.) მუშებსა და მეპატრონეებს შორის წარმოიშვა კონფლიქტი შრომის მეტად არა-დამაკმაყოფილებელი პირობების ნიადაგზე. მუშებმა მოითხოვეს შრომის პირობების გაუმჯობესება, მაგრამ ფაბრიკის პატრონი არ უთმობს. ასოცამდე მუშა ორცკლად მუშაობს, თითოეული 12 საათის განმავლობაში. 12 საათის განმავლობაში მუშებს უფლება არა აქვთ სუამონ, ან ჩაი დალიონ, და ამას მალულად აკეთებენ. მუშებისათვის არ არსებობს არც დღესასწაული, არც კვირა და ისინი მანქანების მსგავსად მუშაობენ. დაავადების ან დასახიჩრების შემთხვევაში მუშები ბედის ანაბარა მიგდებული რჩებიან.“<sup>1)</sup>

ბევრ საწარმოში წამოჭრილმა კონფლიქტებმა ორგანიზებული გაფიცვების ხასიათი მიიღო. ცხადია, ძველი საწარმოო ურთიერთობის დემსხვერველად მუშათა მდგომარეობის არსე-

ბითად შეცვლა შეუძლებელი იყო. მენშევიკებმა დადებითად ვერც აგრარული საკითხი გადაჭრეს. გლეხი კვლევი მიწის გარეშე ღარიბი. მოვლენათა განვითარება ცხადყოფდა, რომ მენშევიკური პარტია არ შეიძლებოდა რევოლუციურ გარდაქმნათა ბიარლტური ყოფილიყო.

შექმნილია მდგომარეობამ საქართველოს კომუნისტების წინაშე ქართველი ხალხის ერთიანი, საბრძოლო ბოლშევიკური დროშის ქვეშ დარაზმვის ამოცანა დააყენა. განსაკუთრებულ კავშირსა და იღვეურ ხელმძღვანელობას საჭიროებდა მშრომელი ახალგაზრდობა. რევოლუციის მგზნებარე დროშა, რომელსაც ახალგაზრდობის გარკვეულმა ნაწილმა ხელი შეუშვა, მოითხოვდა ერთ, მტკიცე მარჯვენად შეუღლებულ ძალას, რომელიც მალა ასწევდა მას და წაიღებდა წინ საუეთესო იდეალების განხორციელებისაკენ.

1917 წლის სამ სექტემბერს რკპ (ბ) თბილისის კომიტეტის უშუალო ხელმძღვანელობით თბილისში გაიმართა საქართველოს რევოლუციური მუშა და გლეხი ახალგაზრდობის პირველი დამფუძნებელი კრება. კრებას ესწრებოდა აგრეთვე სტუდენტი და მოსწავლე ახალგაზრდობა. დამფუძნებელმა კრებამ შექმნა ახალგაზრდობის კომუნისტური ორგანიზაცია სახელწოდებით „ახალგაზრდა სოციალ-ინტერნაციონალისტთა ორგანიზაცია „სპარტაკი“. კრებამ წესდებასა და პროგრამასთან ერთად მიიღო მიმართვა „კავკასიის მთელ მშრომელ ახალგაზრდობას“. ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი, რუსი ახალგაზრდები აღტაცებით მიესალმებოდნენ „სპარტაკის“ ორგანიზაციას, როგორც რევოლუციური ინტერნაციონალიზმისათვის მებძოლი ორგანიზაციის შექმნას. გაიშალა ორგანიზაციული მუშაობა, იმართებოდა კრებები, ეწყობოდა დისკუტები, საჯარო ლექციები და სხვ.

„ახალგაზრდა სოციალისტ-ინტერნაციონალისტთა „სპარტაკის“ ეს ორგანიზაცია საქართველოში ახალგაზრდობის ლენინური კომკავშირის პირველი სერიოზული ჩანასახი იყო.“<sup>2)</sup>

„სპარტაკის“ ორგანიზაციების ხელმძღვანელ ცენტრს მიიჩნევენ, რომ ფართო ორგანიზაციული მშენებლობისათვის, ახალგაზრდობის იღვეური მომზადებისა და დარაზმვისათვის აუცილებელი იყო საკუთარი ბექდვითი ორგანოს შექმნა. ბოლშევიკური გაზეტები „კავკასუსკი რაბოჩი“ და „ბრძოლა“ დიდ ყურადღებას უთმობდნენ ახალგაზრდობის ყოველდღიურ ცხოვრებას,

<sup>2)</sup> გ. ევანია, „საქართველოს კომკავშირის სახელოვანი წარსულიდან“. გვ. 9. 1954 წ.

**ხშიტოს არჩევაშვილი**  
პირველი კომკავშირული ბაზეთიტი  
სამართმელოში

<sup>1)</sup> გაზ. „კავკასუსკი რაბოჩი“, 28. III-1917 წ. № 14.



მვარამ მათ მიანც არ შეეძლოთ რევოლუციური ახალგაზრდობის მოძრაობის ყველა საჭირო ბოროტო საკითხი დროულად და ისე სისრულეით გაეშუქებინათ; როგორც ამას საჭიროება მოითხოვდა.

1917 წლის ნოემბერში ნაძალადევის (ახლანდელი ლენინის) რაიონის „სპარტაკის“ ორგანიზაციის კრებაზე სხვა საკითხებთან ერთად ამხ. ბორის ძნელაძემ განსახილველად წამოაყენა ბეჭდვითი ორგანოს გამოცემის საკითხი, მვარამ უსახსრობის გამო ამ საკითხის რეალური გადაჭრა ვერ მოხერხდა. ამასთანავე გასათვალისწინებელია ის ვარაუზებიც, რომ ბეჭდვითი ორგანოს გამოცემა თბილისში დიდ სიმწიფეებთან იყო დაკავშირებული: მენშევიკური მთავრობის სავანგებო რაზმის წარმომადგენლები ფეხდაფეხ დასდევდნენ შემჩნეულ პირებს და პირველი შესაძლებლობისთანავე აბათიმრებდნენ.

„სპარტაკის“ ქუთაისის ორგანიზაციის პირველ დამფუძნებელ კრებაზე, რომელიც ბოლშევიკური პარტიის საგუბერნიო კომიტეტის უშუალო ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება პერიოდული ორგანოს გამოცემის შესახებ. და მართლაც, „სპარტაკის“ ქუთაისის კომიტეტმა 1917 წლის 12 ნოემბერს საკუთარი ორგანო — ყოველკვირეული ჟურნალი „მესამე ინტერნაციონალი“ გამოსცა. ჟურნალი რვა გვერდს შეიცავდა. მესამე ნომრიდან ჟურნალი ამავე სახელწოდების გაზეთად გადაკეთდა. გამოვიდა გაზეთის სამი ნომერი, რომელთაგან უკანასკნელი ჩვენამდე მოღწეული არ არის.

„მესამე ინტერნაციონალი“ იყო საქართველოს მშრომელი ახალგაზრდობის რევოლუციური პრესის პირმო.

„მესამე ინტერნაციონალის“ დახურვის შემდეგ, 1918 წლის 23 დეკემბერს, ქუთაისში გამოსვლას იწყებს გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“, რომელიც მენშევიკებმა მეხუთე ნომრიდან აკრძალეს.

„ახალგაზრდა კომუნისტის“ პირველი ნომრის სარედაქციო სტატიაში ნათქვამია: „ჩვენ დავეძლიეთ მრავალი დაბრკოლება და, აი, ამ გაზეთით — „ახალგაზრდა კომუნისტი“ საძირკველი ჩაუყარეთ მშრომელი ახალგაზრდობის ორგანოს, რომელიც დარაჯი და გამომახტველი იქნება ახალგაზრდა მუშების, მუშა ქალებისა და მთელი მშრომელი ახალგაზრდობის ინტერესებისა.“<sup>1)</sup> გაზეთი ასრულებდა თავის დანაშაურებს, იგი ყოველი ღონისძიებით განამტკიცებდა დასავლეთ საქართველოში „სპარტაკის“ ორგანიზაციების კავშირს, იბრძოდა მათი იდეური ერთიანობისათვის.

„მესამე ინტერნაციონალისა“ და „ახალგაზ-

რდა კომუნისტის“ დახურვის შემდეგ კვეთის „ორგანიზაციებს 1920 წლამდე ნაბეჭდი ორგანო არ ჰქონიათ. ისინი ძირითადად ეყრდნობოდნენ იმდროინდელ პარტიულ პრესას და ამავე დროს ახერხებდნენ ცალკეული მოწოდებების, პროკლამაციების ბეჭდვასა და ვაგონულებას. ამ მხრივ აღსანიშნავია 1919 წლის 7 ივლისს გამოცემული მოწოდება „მთელი საქართველოს მუშებს, მშრომელ გლეხებს და ჯარისკაცებს“.

ყოველი ფაქტი, ყოველი ნაბიჯი, რომელსაც ვადასდგამს საქართველოს დღევანდელი მთავრობა — ნათქვამია მოწოდებაში — ნათლად მოწმობს იმას, რომ მენშევიკების პარტია არ არის პროლეტარული პარტია, ის წარმოადგენს მხოლოდ გამცემთა და ჯალათთა ხროვას... ჩვენ კი, ახალგაზრდა კომუნისტებს, „სპარტაკის“ ორგანიზაციას, როგორც მოწმეებს ყველა ამ საშინელებათა, არ შეგვიძლია ვიყოთ უბრალო მაყურებელი ჩვენი უფროსი ამხანაგების, რევოლუციური პროლეტარიატის ბელაგების, კომუნისტების დატუსაღებისა საქართველოს ყველა კუთხეში, ვინაიდან მტკიცედ გვჭამს პროლეტარიატის გამარჯვება და მაღლა გვიჭირავს რევოლუციური დროშა. იატაკქვეშ მუშაობის დროს უფრო მტკიცედ შევაკავშირებთ და შევაკავებთ ჩვენ ორგანიზაციების შემცირებულ რიგებს, კომუნისტების მეტროლ ორგანიზაციას, რათა მაღელ ვლიოთ მტერი, მოვიშროთ სოციალ-დემოკრატების უღელი და დაეამყაროთ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება. ძირს გაიძვრა მთავრობა საქართველოს მენშევიკების! ძირს იშპერიალისტები და მათი ერთგული ქვეშევრდები ცრუ სოციალისტები!

გაუმარჯოს საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებას!

გაუმარჯოს III კომუნისტურ ინტერნაციონალს!

გაუმარჯოს მთელი ქვეყნის კომუნას!

ახალგაზრდობისადმი მიმართვის ამ ამონაწერიდან ჩანს, რა მძიმე ვითარებაში უხდებოდათ მუშაობა ახალგაზრდობის კომუნისტურ ორგანიზაციებს.

პირველი კომკავშირული გაზეთების „მესამე ინტერნაციონალისა“ და „ახალგაზრდა კომუნისტის“ საბრძოლო ტრადიციებს აგრძელებს გაზეთი „მოლოდიო პროლეტარი“, რომელიც თბილისში 1920 წლის 31 მაისს რუსულ ენაზე გამოვიდა. „მოლოდიო პროლეტარი“ მხოლოდ ექვსჯერ მოასწრო გამოსვლა, შემდეგ კი მენშევიკებმა დახურეს. გაზეთი „მოლოდიო პროლეტარი“, „III ინტერნაციონალისა“ და „ახალგაზრდა კომუნისტისაგან“ განსხვავებით გამოდის არა როგორც ერთი ცალკეული ორგანიზაციის ორგანო, არამედ როგორც საქართველოს ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის დროებითი ცენტრალური კომიტეტის ორგანო. ამდენად

1) გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, № 1, 23 XI. 1918 წელი.

მისი რუხონანი უფრო დიდი და მრავალმხრივი. ვახუთ „მოლოდინი პროლეტარს“ წინ უძღოდა ქართულ, სომეხ და აზერბაიჯანულ ახალგაზრდა კომუნისტთა ერთობლივად განვლილი მძიმე რევოლუციური წრთობის გზა, რომლის მიზანი იყო ამირკავკასიაში ანტიხალხური მთავრობების დამხობა და საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება. ამ დიდი მიზნის განხორციელებისათვის იბრძოდნენ პირველი კომკავშირული გაზეთები, რომლებიც თავიანთ ფურცლებზე აშუქებდნენ ახალგაზრდობის კავშირის ორგანიზაციული მშენებლობისა და ახალგაზრდობის სოციალ-პოლიტიკური მდგომარეობის საკითხებს. კომკავშირული გაზეთების ერთ-ერთ უპირველეს ამოცანას შეადგენდა მენშევიკური მთავრობის ნაციონალიზმის, მისი პრესის რეპრესიული, ანტიხალხური ხასიათის მხილება, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვართა პროპაგანდა, ახალგაზრდა საბჭოთა რუსეთის სამეურნეო მშენებლობისა და საერთაშორისო მდგომარეობის გაშუქება და სხვ.

პირველი კომკავშირული გაზეთების ფურცლებზე დიპტივდა მრავალი წერილი და კორესპონდენცია ახალგაზრდობის ორგანიზაციული მშენებლობის საკითხებზე. აქ არის განცხადებები „სპარტაკელთა“ კრებების ჩატარების შესახებ, კრების ანგარიშები და იმ დიდი კომპანიის ამსახველი მასალები, რაც „სპარტაკელებმა“ დამუშებულ კრების წინასარჩევნო დღეებში მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ გააჩაღეს. „სპარტაკელებს“ არ აშინებთ მენშევიკების მხრივ დევნა და მათ ყოველ შემოტევას საკადრისი პასუხით უმასპინძლებიან. „დაე, გესსს ანთიფეგს ბუერჟუაზია—დასძენს ვახუთი—კომუნისტური პროლეტარიატის წინააღმდეგ, ჩვენ მაინც უკანასკნელთან ერთად ვიბრძობებთ ბრწყინვალე მომავლისათვის.“<sup>1)</sup>

1917 წლის ნოემბერ-დეკემბრისათვის თითქმის არ დარჩენილა არცერთი მნიშვნელოვანი რაიონი დასავლეთ საქართველოში, სადაც „სპარტაკის“ ორგანიზაცია არ შექმნილიყო. ყოველივე ამაში „III ინტერნაციონალისა“ და „ახალგაზრდა კომუნისტის“ მნიშვნელოვანი წვლილი იყო.

მუშა და გლეხი ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ორგანიზაციული მშენებლობის საკითხს ფართოდ აშუქებს ვაზ. „მოლოდინი პროლეტარი“. „მოლოდინი პროლეტარი“ გვაუწყებს საქართველოს ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის<sup>2)</sup> საქაქაქო, სამაზრო და

სავუბერნიო ორგანიზაციების წარმომადგენელთა გაფართოებული თათბირის ჩატარების შესახებ. თათბირმა განიხილა საკითხები დევილობრივი ორგანიზაციების მდგომარეობის, მიმდინარე მომენტის, ფინანსების, პრესის და სხვა საკითხები. თათბირმა გამოაშკარავა ორგანიზაციული მუშაობის ნაკლოვანებანი.

ვაზეთი განსაკუთრებით ფართოდ ენება თათბირზე განხილულ საკითხს პარტიაში და კომკავშირში ერთდროული ყოფნის შესახებ. „პარტიაში წარმომადგენლობის საკითხზე—ვიითხულობთ ვახუთში—თათბირი აყენებს დებულებას, რომ პარტიასა და კომკავშირის შორის იყოს ყველაზე მკიდრო კონტაქტი, კავშირის ყველა კომიტეტს უნდა ჰყავდეს თავისი წარმომადგენელი შესაბამის პარტიულ კომიტეტებში და პირიქით“<sup>3)</sup> ვახუთს ესმოდა ამ საკითხის უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა კომკავშირული ორგანიზაციებისათვის და მეოთხე ნომერში სპეციალური სარედაქციო სტატიაე კი მიუძღვნა მას.

„მოლოდინი პროლეტარმა“ მკაცრად დააყენა საკითხი ორგანიზაციებში წევრთა ხელახალი რეგისტრაციისა და კომკავშირის რიგებიდან მერყევი, არარევოლუციური ელემენტების წმენდის შესახებ. ამ ღონისძიებამ დიდად შეუწყო ხელი კომკავშირის რიგების ხარისხობრივ გაუმჯობესებას. ვაზ. „მოლოდინი პროლეტარი“ თანმიმდევრულად ანხორციელებდა ბოლშევიკური ვახუთის „კომუნისტის“ მითითებებს, რომელიც მითხოვდა კომუნისტებს შორის რიგისებურ დისციპლინასა და ერთიანობას.

„III ინტერნაციონალი“, „ახალგაზრდა კომუნისტი“, „მოლოდინი პროლეტარი“ თავიანთ ფურცლებზე ნათლად გვიხატავენ მაშინდელი საქართველოს მძიმე სოციალ-პოლიტიკური ყოფის სურათს, ამხელენ მენშევიკურ მთავრობას, რომელიც არავითარ მხრუნელობას არ იჩენდა მშრომელთა ეკონომიური პირობების გასაუმჯობესებლად. მუშებმა თვითონ შექმნეს ე. წ. „კაპეიკის კავშირი“, რის საშუალებითაც აგროვებდნენ მცირეოდენ თანხას ვაჭირვებულ და დავრდომილი თანამომეგების დასახმარებლად.

აპრილს „სპარტაკის“ ორგანიზაციების თბილისის I საერთო-საქაქაქო კონფერენციის, ხოლო შემდეგ 1919 წლის 23 სექტემბერს ა/კ რევოლუციური ახალგაზრდობის I საოლქო კონფერენციის მიერ.

3) ვაზ. „მოლოდინი პროლეტარი“, № 3, 14. VI. 1920 წ.

<sup>1</sup> ვაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“ — № 1, 23. XII, 1918 წ.

<sup>2</sup> „სპარტაკის“ ორგანიზაციის ძველი სახელწოდება შეცვლლ იქნა ჯერ 1919 წლის ორ

**ხვთისო არჩეაზვილი**  
პირველი კომპაგმირული ვახუთები  
საპარტიულიოზო



ადილი წარმოსადგენია მასინდელი ცხოვრების პირობები, როდესაც ერთი წლის მანძილზე მენ-შევიეების ოფიციალის ვაზეთ ეერთობის“ ფა-სი კი 30 კაბიდან ხუთ მანეთამდე ვაზარ-და. „III ინტერნაციონალი“ დაბეჭდილია მრავალი ცნობა და კორესპონდენცია „მუშათა წერილებს“ საერთო სათურით. ამ წერილებ-ში აღნიშნულია, რომ ახალგაზრდობა მოწყვე-ტილია სწავლა-განათლებას, სამუშაო პირობები აუტანელია და ხსნა არსაიდან არა სჩანს. მუშა ახალგაზრდობის მიმე სოციალ-პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ არაერთი საპროტესტო წერილია ვაზეთ „მოლოდოი პროტესტარში“ გამოქვეყნებული. საქმარისა მოციყვანთ მუ-შა რ. ჩამბალოვის წერილი, რომელიც გზაში გაძარცვეს, ხოლო დავიანებისათვის სამსახუ-რიდან დაიხიოვეს. „რისთვის ვაგადეს ადამი-ანი ქუჩაში? — კითხულობს ის — თუ დღე ვა-მცდა, ამისათვის პასუხს ვაგებ. რალაშია ჩემი დანაშაული, რა უნდა ვქნათ მე და ჩემმა ოჯახ-მა ქუჩაში ულუქმაპურად? ეხ, სად არის სი-მართლე? სიმართლე დამარტულია მჩავგრელი დემოკრატებისაგან.“<sup>1)</sup>

დუხჭირი ცხოვრებიდან თავდახსნის იმედს მშრომელები ოქტომბრის რევოლუციის საყო-ველთაო გამარჯვებაში ხედავენ. „რუსეთის რე-ვოლუცია იქცა საერთაშორისო რევოლუციად და მისი გამარჯვება აუცილებელია. ევროპა-მ მალე ასწია სისხლით განზანდი დროშა ინ-ტერნაციონალიზმისა და ახალგაზრდა კომუნის-ტების ორგანიზაციის სწამს, რომ ეს დროშა აწი არასოდეს დაიწვეს ძირს.“<sup>2)</sup>

საქართველოს პროლეტარიატის, მშრომელი ახალგაზრდობის გულისყური მიმპრობილი იყო საბჭოთა რუსეთისაკენ. იმისათვის, რომ საქარ-თველოს მშრომელი ახალგაზრდობა ღრმად გარკვეულიყო დიდი ოქტომბრის სოციალის-ტური რევოლუციის ამოცანებსა და ხასიათში, იმისათვის რომ იგი განეხივებინათ თებერ-ვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევო-ლუციის ამოცანებისა და ხასიათისაგან — აღ-გილობრივმა ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა ფართო პროპაგანდისტული მუშაობა გააჩაღეს. ბოლშევიკური ვაზეთების „კავკასი რაბოჩის“, „კომუნისტის“ და „საქართველოს კომუნის-ტის“ ფურცლებზე დაიბეჭდა თეორიული ხასი-ათის სტატიები, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მიმდინარე მომენტში რევოლუციური მასების გარკვევისა და ორი-ენტირებისათვის.

ბუნებრივია, „III ინტერნაციონალიზმის“ გაზრდა კომუნისტის“ და „მოლოდოი პროტესტარში“ ამ მნიშვნელოვან ამოცანას გვერდს ვერ აუვლიდნენ. სამივე პერიოდულ გამოცემაში ხეხელები ოქტომბრის რევოლუციის, კლასო-ბრივი ბრძოლისა და საზოგადოებრივი ცხოვრე-ბის სხვადასხვა საკითხებისადმი მიძღვილ საინტერესო წერილებს. აღნიშნულია სტატიები: „ზავი ახლოდება“, „ახალი ხანა“, „კლასობ-რივი ბრძოლა რუსეთის რევოლუციაში“, „ორი დიქტატურა“, „რევოლუცია და სახელმწი-ფო მექანიზმი“, „რა ვააკეთეს ბოლშევიკებმა, როდესაც ხელში აიღეს ძალაუფლება?“, „პრო-ლეტარული ახალგაზრდობა და ნაციონალიზმი იდეა“ და სხვ. უნდა ითქვას, რომ სტატიების უმრავლესობა სწორად და ამომწურავად სცემს პასუხს დასმულ კითხვებზე. ეს წერილები მიზნად არ ისახვენ თეორიულ ძიებას, უმეტეს შემთხვევაში ისინი პროპაგანდისტულ-პოპულა-რული ხასიათისანი არიან.

სტატიაში „რა ვააკეთეს ბოლშევიკებმა, რო-დესაც ხელში აიღეს ძალაუფლება?“ რომე-ლიც „III ინტერნაციონალიზმ“ მეორე ნომერ-შია გამოქვეყნებული, გარკვევითა ნათქვამი იმ გრანდიოზული მუშაობის შესახებ, რასაც ეწეო-და საბჭოთა ხელისუფლება თავისი არსებობის პირველ დღეებიდანვე. აქ აღნიშნულია, რომ მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციამ, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ შესძლო მიეცა პრო-ლეტარიატისათვის ზავი და თავისუფლება, მოეხდინა ფაბრიკა-ქარხნებისა და მიწის ნაცი-ონალიზაცია. სტატია მთავრდება მოწოდებით: „თუ ჰქვევ ვინადა მხ. მუშებო და გლეხე-ბო და ყველა ლატაკნი ზავი და მიწა, ვაუუ-მგობესოთ მშრომელთა დუხჭირი პირობები, მხარი დაუჭირეთ მუშათა და უღარიბეს გლე-ხთა მოთხოვნას.“<sup>3)</sup>

საინტერესოა და აწერილი სტატია „კლასობ-რივი ბრძოლა რუსეთის რევოლუციაში“. სტა-ტიის ავტორი ოქტომბრის რევოლუციის ახა-სიათებს, როგორც კლასთა ბრძოლის უმაღლეს წერტილს. იგი წერს: „დღეს, როდესაც სამკე-დრო-სასოციალური ბრძოლა სწარმოებს ბურ-ჟუაზიას, პროლეტარიატს, მეამულეებსა და გალატაკებულ ძალებს შორის — ეს უმწვავე-სად განვითარებელი კლასთა ბრძოლაა, ბრძო-ლა იარაღით ხელში. კლასობრივი ანტაგონიზ-მის გამწვაება აუცილებლად იწვევს საკითხე-ბის გადაჭრას იარაღის ძალით. „კრიტიკის ია-რალს“ სველის „იარაღის კრიტიკა“. აქ იწყება უკვე სამოქალაქო ომი.“<sup>4)</sup> კლასობრივი ბრძო-

<sup>1)</sup> ვაზ. „მოლოდოი პროლეტარი“. № 4, 21.VI-1920 წ.  
<sup>2)</sup> ვაზ. „ახალგაზრდა კომუნისტის“, № 1, 23. XII-1918 წ.

<sup>3)</sup> ეურნ. „III ინტერნაციონალი“. № 2, 19, XI-1917 წ.  
<sup>4)</sup> ეურნ. „III ინტერნაციონალი“, № 02, 19, XI — 1917 წ.



ლის ასეთი გაგება და განსაზღვრა გამომდინარეობს იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევის ლენინური ლოზუნგიდან და საერთოდ რევოლუციოზი კლასთა ბრძოლის წინაშეობის ბოლშევიკური პლატფორმიდან.

ოქტომბრის რევოლუციის თეორიული თუ პრაქტიკული საკითხებისათვის გაზეთებში ესოდენ ფართო ადგილის დათმობა იმითაც იყო გამოწვეული, რომ მენშევიკური მთავრობა ყოველნაირად ცდილობდა ცილი დაეწამებინა რუსეთის ბოლშევიკური პარტიისა და მისი პოლიტიკისათვის. ისინი ბოლშევიკებს „ბლანკისტებად“ წათლადნენ, ოქტომბრის რევოლუციის „ავანტიურისტულ გადატრიალებად“, „შემთქმულებად“ აცხადებდნენ. მენშევიკები ოქტომბრის დეკრეტებს ცრუ დაპირებად და ფარტინა ქაღალდად სთვლიდნენ. ამგვარი ჭორები და ცილისწამებანი უხვად იბეჭდებოდა მენშევიკური მთავრობის ოფიცოზოზ გაზეთ „ურთობაში“, ახალგაზრდობის მენშევიკური ორგანიზაციის „ახალგაზრდა მარქსისტის“ ცენტრალურ ჟურნალ „ახალ კვალში“ და სხვაგან. — რაც უნდა სხვანაირი იყოს ის სიტყვიერი მიზანი — წერს ცოდმორთული გაზეთი „ურთობა“ წითელი არმიის კავკასიისთან მოახლოების გამო — რომელიც საბჭოთა მეთაურთა ტვიზნი ისახება და რომლითაც ისინი მიდიან აღმოსავლეთისაკენ, საბოლოო ნაყოფი მათის პოლიტიკისა აღმოსავლეთში, არ შეიძლება არსებითად განსხვავდებოდეს იმ ნაყოფისაგან, რომელზედაც ოცნებობდა თვითმპყრობელი მეფეების რუსეთი.“<sup>1)</sup>

„ურთობას“ როდი ჩამორჩება მენშევიკური ახალგაზრდობის ჟურნალი „ახალი კვალი“: „და ი უკვე ორი წელია ბოლშევიკები აცეთებენ თავიანთ ექსპერიმენტებს რუსეთის ცოცხალ სხეულზე. ეს არამიჯობა, შემთურები“ მუშათა კლასისა სისხლში და სიმშაღში აბრჩობენ რუსეთის მუშათა კლასს.“<sup>2)</sup>

ცხადია, „III ინტერნაციონალი“, „ახალგაზრდა კომუნისტი“ და „მოლოდითი პროლეტარი“ მენშევიკური პრესის ასეთ გამოსვლებს გულგრილად ვერ შეხვდებოდნენ, ისინი საკადრის პასუხს აძლევდნენ მათს ყოველ პროვოკაციულ გამოხდომას.

კომკავშირულ გაზეთებს შემოღებული ჰქონდათ განყოფილება „პრესა“, სადაც ისინი მიმოხილვას უკეთებდნენ პერიოდულ პრესას და განსაკუთრებით ამახვილებდნენ ყურადღებას ცილისმწამებლურ წერილებზე.

„III ინტერნაციონალის“ პირველ ნომერში მოთავსებულია წერილი „ბეგის წერილის გამო“, რომელსაც ხელს აწერს „მუშა“. მუშა ამხელს ქუთაისელი მენშევიკების ყოველდღა-

ურ გაზეთ „სოციალდემოკრატში“ გამოქვეყნებულ „ბეგის“ წერილის სიყალბეს, რომელშიც იგი ლანძღავს ბოლშევიკებს და მით „გამთიშველ-რასკოლნიკურ პოლიტიკას“ მიაწერს. „ბეგი“ თავის წერილში გავირვებას გამოთქვამს, როგორ თუ ბოლშევიკებმა ბრძოლა გამოუცხადეს კავკასიის დროებით მთავრობასო. „მუშა“, ამტკიცებს რა მთელი რიგი მაგალითებით „ბეგის“ მოსაზრებათა უსაფუძვლებობას, პირდაპირ ამბობს: „ჩვენ ყველა კონტრრევოლუციურ მთავრობას სასტიკ ბრძოლას ვუცხადებთ და რადგან ასეთია კავკასიის დროებითი მთავრობა, სასტიკ ბრძოლას ვუცხადებთ მას.“<sup>3)</sup> „მუშა“ აქვე იხილავს ე. გეგეპკორის (მენშევიკი, სპერ მენშევიკური მთავრობის წევრი, ბოლშევიზმის გამამგებელი მოწინააღმდეგე. ხ. ა.) დეკემბის დონის ყაზანთა წარმომადგენლობისაღმი და სწერს: „პროტესტი არა ბოლშევიკებს, არამედ მენშევიკ, ესერ „ობორონიცებს“, რომელთა ადგილი კალენინებთანაა (კალენინი — დონის ყაზანთა ატამანი. ხ. ა.) და არა მუშებთან.“<sup>4)</sup> კომკავშირული პრესის პრინციპულობასა და შეუზრდობობაზე მეტყველებს გაზ. „მოლოდითი პროლეტარის“ გამოსვლა მენშევიკური ახალგაზრდობის ჟურნ. „ახალი კვალის“ წინააღმდეგ, რომელშიც უსაფუძვლოდ გააკრიტიკა კომკავშირული ახალგაზრდობისათვის განკუთვნილი სახელმძღვანელო ბროშურა „რევოლუცია და პროლეტარული ახალგაზრდობა“.

პირველი კომკავშირული გაზეთები თავგამოდებით იცავდნენ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის პრინციპებს და ამავე დროს დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალყურს საბჭოთა რუსეთის სამეურნეო მშენებლობას. ის არნახული, გვირული ბძოლა, რასაც ეწეოდა სამოქალაქო ომის და დაზარეული სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის რუსეთის პროლეტარიატი, უდიდეს თანაგრძნობას იწვევდა ყველა ქვეყნის უფართოეს მასებში. გაზეთების ფურცლებზე შემოღებული იყო რუბრიკები „რუსეთში“ „საბჭოთა რუსეთში“, „წითელი ახალგაზრდობის მუშაობა“ და სხვ. ამ რუბრიკის ქვეშ იბეჭდებოდა ცნობები ახალგაზრდობის თაოსნობით რუსეთის სხვადასხვა გუბერნიოზი წერა-კითხვის უცოდნარობის სალოკიედაციო საკოვების გახსნის, დამშუული მოსკოვისათვის ვაგონებით პურის შეგროვებისა და მიწოდების შესახებ. მაგალითად, გაზ. „მოლოდითი პროლეტარი“ ეხდებოდა ასეთ ცნობას: „სმოლენის ახალგაზრდობამ (100

3) გაზ. „III ინტერნაციონალი, № 4, 11. XII — 1917 წ.

4) იქვე.

1) გაზ. „ურთობა“, № 04, 6, 1• 1920 წ.  
2) ჟურნ. „ახალი კვალი“, № 03. 2. VI. 1920 წ.

**ხვითისო არჩეაზვილი**  
პირველი კომკავშირული გაზეთები  
საპარტიულოზი



კაც) მოაწყო შაბათობა, სადაც მათ გამოიჩინეს დიდი ენთუზიაზმი, მოახდინეს მრავალი გზის გაწმენდა.<sup>1)</sup> ახვე გაზეთის მეოთხე ნომერში მოთავსებულია ცნობები უკრაინის ახალგაზრდობის მე-4 ყრილობის დელეგატების — სლავინსკისა და კონოტოპის გუბერნიის ახალგაზრდათა წითელ არმიის ერთსულოვანი წასვლის შესახებ. გაზეთი იტყობინება რუსეთის განაირა მხარეებში (შუაზია, ჩრდ. კავკასია, ყირგიზეთი, სიმფეროპოლი და სხვ.) ახალგაზრდობის კომუნისტური ორგანიზაციების მშენებლობის შესახებ.

თუ როგორი სიხარულით ხვდებოდა საქართველოს მშრომელი ახალგაზრდობა რუსეთის მუშურ-გლეხური მთავრობის ყოველ ახალგადამდებულ ნაბიჯს, ამას ნათლად მოწმობს „III ინტერნაციონალი“ გამოცხადება სრულიად რუსეთის საბჭოების მიერ ყრილობის მიერ მიღებული დეკრეტებისადმი. გაზეთი განსაკუთრებით ხაზს უსვამს დეკრეტებს ზავისა და მიწის შესახებ, რაც შექმნილ ვითარებაში წარმოადგენდა ყველაზე მძიმე მტკიცებულ საკითხს და რომლის დადებითად გადაჭრაზე დამოკიდებული იყო თვით საბჭოთა ხელისუფლების არსებობაც.

კომკავშირული გაზეთები მნიშვნელოვან ადგილს უთმობდნენ საერთაშორისო მდგომარეობის გაშუქებას. ცნობებში, რომლებიც შეეხება ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის, პოლონეთისა და პორტუგალიის ხალხთა პოლიტიკურ ცხოვრებას, უმთავრესად ნაჩვენებია რევოლუციური მოძრაობის ზრდა. გაზ „III ინტერნაციონალი“ აღფრთოვანებით სწერს ოქტომბრის რევოლუციის ზეგავლენით დასავლეთ ევროპაში დაწყებული გაფიცვებისა და გამოსვლების შესახებ.

„რევოლუცია იზრდება, რევოლუცია ფართოვდება; რევოლუცია ღრმავდება... და დაპყრავს საათი, როდესაც საერთაშორისო პროლეტარული რევოლუცია მოედება მთელ მსოფლიოს“.<sup>2)</sup>

გაზ. „მოლოდინი პროლეტარში“ გამოქვეყნებულია III კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის მოწოდება მსოფლიო პროლეტარიატისადმი, პოლონელი პანების საბჭოთა რუსეთზე თავდასხმასთან დაკავშირებით. მოწოდებაში ნათქვამია: „საფრანგეთის, ინგლისის, იტალიის, ამერიკის ამუნიციური ქარხნებისა და ფაბრიკების მუშებო! არ დაამზადდით არცერთი გაზნი, არცერთი შაშხანი, არცერთი ტყვიამფრქვევი პოლონეთისათვის. ტრანსპორტის მუშებო, რკინიგზებლებო, მატროსებო! არ გაავაზნეთ პოლონეთში საქუ-

რევი, სურსათი, რადგან ყველაფერი ემსახურება მუშურ-გლეხური რუსეთის წინააღმდეგობის საქმეს.“<sup>3)</sup>

საბჭოთა რუსეთის სამეურნეო მშენებლობის, საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის აღმავლობის და მოძრაობაზე ოქტომბრის იდეების სულ უფრო მზარდი გავლენის ჩვენებით კომკავშირული გაზეთები ქართველ ახალგაზრდებში განამტკიცებდნენ გამარჯვების დიად რწმენას.

ამიერკავკასიის მშრომელებში ანსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა ნაციონალური საკითხი. აქ მოზარბაშე ნაციონალ-შოინისტური პარტიები ათსგვარად განმარტავდნენ ნაციონალური ურთიერთობის პრინციპებს. მენშევიკები მოითხოვდნენ რუსეთიდან საქართველოს გამოყოფას ე. წ. ნაციონალური დამოუკიდებლობის ნიღბით. აუცილებელი იყო მენშევიკების ამ ნაციონალურ-შოინისტური პოლიტიკის მხილება. გაზ. „III ინტერნაციონალი“ მესამე ნომერში შ. ურბნელის მიერ პირდაპირ არის დასმული საკითხი „რას მოსწყავენს რუსეთიდან გამოყოფა?“. წერტილში ნათქვამია, რომ 1917 წლის ნოემბერში შემდგარი დამფუძნებელი კრება, რომელმაც შეადგინა ამიერკავკასიის მმართველობა ესერებისა და მენშევიკების პარტიის წარმომადგენელთაგან, მიზნად ისახავს კავკასიის რუსეთისაგან გამოყოფას, იმ მიზნით, თითქმის რუსეთში ანარქია. ავტორი მენშევიკთა საყურადღებოდ ამბობს: „ასეთ დროს რუსეთიდან გამოყოფა იქნება მხოლოდ კონტრარევილუციის და ანარქიის უფრო გაძლიერება და ამასთან კალენდრითან დამოზობილება, რომელიც ებრძვის რუსეთის ცენტრალურ მთავრობას და ემუქრება რევოლუციის ავანგარდს, მოსკოვისა და პეტროგრადის პროლეტარიატსა და ჯარს“.<sup>4)</sup>

მენშევიკებს, რა თქმა უნდა, ყურადღება არ მუქტევიათ საქართველოს რევოლუციური პროლეტარიატის მოთხოვნებისათვის და 1918 წლის 22 აპრილს საქართველოს „დამოუკიდებლობა“ გამოაცხადეს. ეს „დამოუკიდებლობა“ მხოლოდ ერთგვარი შირმა იყო დასავლეთის იმპერიალისტებთან მათი მონური მდგომარეობის დასაფარავად. ამ შემთხვევის გამო ი. ბ. სტალინი სწერდა: „რით დამთავრდება ეგრეთწოდებული „საზავო მოლაპარაკება“ ბათუმში (ივლისისმემა ა/კ სეიმისა და თურქეთის წარმომადგენელთა საზავო მოლაპარაკება ბათუმში 1918 წელს. ხ. ა.), ამას მომავალი დაგვანახებს. ერთი რამ უეჭველია: თბილისის მენშევიკთა და მათი მთავრობის დამოუკიდებლობა რუსეთის რევოლუციისაგან გარდუღლად გადა-

1) გაზ. „მოლოდინი პროლეტარში“, № 1, 31. V. 1920 წ.  
2) გაზ. „III ინტერნაციონალი“, № 4, 2. XII — 1917 წ.

3) გაზ. „მოლოდინი პროლეტარში“, № 3, 14. VI — 1920. წ.  
4) ქურნ. „III ინტერნაციონალი“, № 3, 26. XI — 1917 წ.



იქცევა მათ მონურ დამოკიდებულებად თურქ-გერმანულ ცივილიზებულ მტაცებლებთან. ეს იქნება ხელისუფლების სათავეში მოქცეული თბილისელი მენშევიკების კავშირი თურქ-გერმანულ იმპერიალისტებთან რუსეთის რევოლუციის წინააღმდეგ.<sup>1)</sup>

მოვლენათა მსვლელობამ საესებით გაამართლა ეს სიტყვები. საქართველო უცხოელი ჯარების საპარზაო ასპარეზად იქცა. კომკავშირული გაზეთები მწვავედ ახელდნენ მენშევიკთა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ პოლიტიკას, ამიერკავკასიის მოამქ ხალხთა შორის უნდობლობის, რბევისა და ხოცვა-ჟლეტის პოლიტიკას. პირველი კომკავშირული გაზეთების ფურცლებზე გარკვეული ადგილი უკავია ლიტერატურული ცხოვრების ამსახველ მასალებს; მხატვრულ ნაწარმოებებს. ნიშნდობლივია, რომ ყველა ლექსი, მოთხრობა, კრიტიკული წერილი აქ წარმოდგენილია რევოლუციისა და მისი მიზნების განხორციელებისადმი უშუალო მიმართებაში.

„III ინტერნაციონალი“, „ახალგაზრდა კომუნისტი“ და „მოლოდოი პროლეტარი“ გამოდიოდნენ მძიმე პირობებში. გარდა იმისა, რომ ისინი განიცდიდნენ პოლიტიკურ დევნას, რომლის მსხვერპლიც გახდნენ კიდევაც, მათ არ გააჩნდათ სათანადო მატერიალური სახსრები. ეს გაზეთები უმოთაურესად კომკავშირული აქტივის ინიციატივითა და მუშათა დახმარებით არსებობდნენ. რევოლუციური ახალგაზრდობა უკანასკნელ კაბიკს იკლუბდა და თავის მებრძოლ ორგანოს აწვდიდა. მუშათა მაღალ შეგნებულობასა, ნდობასა და სიყვარულზე მეტყველებს წერილი, რომელსაც გაზ. „მოლოდოი პროლეტარის“ მე-4 ნომერში ვკითხულობთ: „ჩვენ, დეპოს ხელოსნებმა და მუშებმა, შეეკრიბეთ ამხანაგებს შორის ჩვენი უკანასკნელი კავშირები და ვწირავთ ჩვენი გაზეთის „მოლოდოი პროლეტარის“ გასაუფლოებებლად, რომელიც იბრძვის მშრომელთა განთავისუფლებისათვის და იცავს მუშათა ინტერესებს. ამხ. არსენის ხელთ გადაცემით 720 მანეთს. დეპოს მუშები.“<sup>2)</sup>

რევოლუციური მუშა და გლეხ ახალგაზრდო-

1) ი. ბ. სტალინი, ტ. 4, გვ. 103.  
2) გაზ. „მოლოდოი პროლეტარი“, № 4, 21. VI — 1920 წ.

ბასთან ერთად კომკავშირულ გაზეთებს იდეურ და მატერიალურ დახმარებას უწყევდნენ ახალგაზრდობის ბოლშევიკური ორგანიზაციები და მათი მებრძოლი ორგანოები: „კავკასიკი რაბოჩი“, „ბრძოლა“, „კომუნისტი“ და სხვა. საქართველოს კომკავშირის სახელოვანი ისტორიის არაერთი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია ამ გაზეთებში გამოქვეყნებული. საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდობის პირველ გაზეთებს<sup>3)</sup> დასადაუდებელ დახმარებას უწყევდა ცნობილი ბოლშევიკი მიხა ცხაკაია.

საქართველოს რევოლუციური ახალგაზრდობა ბოლშევიკურ პარტიასთან მხარდამხარ დაუღალავად იბრძოდა მენშევიკური დიქტატურის დამხობისა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის. „III ინტერნაციონალი“, „ახალგაზრდა კომუნისტი“ და „მოლოდოი პროლეტარმა“, მიუხედავად ხანმოკლე არსებობისა, უდიდესი წვლილი შეიტანეს საქართველოში ოქტომბრის იდეების გამარჯვებაში, ამ იდეებით ახალგაზრდობის შეიარაღებაში, მათი ორგანიზაციული კავშირის განმტკიცებაში. კომკავშირული გაზეთები შთააგონებდნენ ახალგაზრდებს რევოლუციის გამარჯვების დიად რწმენას. გაზეთ „მოლოდოი პროლეტარის“ ერთ-ერთ ნომერში ვკითხულობთ:

Все препоны одалеем!  
Но врага мы победим.  
С ним ведь справится сумеем  
Знамя правды водрузим...

Все гнилое уничтожим  
Малаверных прочь пошлем,  
И весь мир вновь перестроим  
С боем мы его возьмем!

დღეს, სახელოვანი ლენინური კომკავშირის ორმოცდაათი წლისთავზე, ცხადზე უცხადესად ჩანს, როგორ გაამართლა მომავალმა საქართველოს რევოლუციური ახალგაზრდობის გულისტქმა.

პირველი კომკავშირული გაზეთების საბრძოლო-რევოლუციურ და შემოქმედებით ტრადიციებს სიამაყით აგრძელებს დღევანდელი კომკავშირული პრესა, რომელიც არის საქართველოს ლენინური კომკავშირის სახელოვანი საქმეების არა მარტო მემკვიდრე, არამედ ამ საქმეების განხორციელებისათვის დაუღალავი მებრძოლიც.





## იოსებ ქლევჩი

# საქართველოს კომკავშირი სკოლებში მოძრაობის პერიოდში

სოფლის მეურნეობაში ლენინური კოლექტიური გეგმის განხორციელებისათვის ბრძოლაში საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციები ჩაებნენ 1927 წლის ბოლოდან, რაც პარტიის გენერალური ხაზი სოფლის მეურნეობაში მთლიანად და ნათლად გამოიკვეთა ს.კ.კ (ბ) XV ყრილობის მუშაობის დამთავრების შემდეგ. ამ ბრძოლაში უფრო ფართო ხასიათი მიიღო 1929 წლის 23 დეკემბრიდან, მას შემდეგ, რაც ს.კ.კ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა დადგენილება ქვეყნის სამეურნეო მშენებლობაში კომკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობის შესახებ. „არც ერთი კომკავშირული კოლმეურნეობის გარეშე!“ — პარტიის ამ მოწოდებამ საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციები შტკიცედ დაარსა საკოლმეურნეო წყობილების გასამარჯვებლად გეგმაზომიერი და თანმიმდევრული ბრძოლისათვის.

მასობრივი საკოლმეურნეო მოძრაობის პერიოდში პარტიამ კომკავშირის სოფლად მუშაობის მთავარ ამოცანად კლასობრივი მტრის შემოტევის მოგერიება და მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნაში აქტიური მონაწილეობა დაუსახა. ამ მოწოდების პასუხად კომკავშირულმა ორგანიზაციებმა მთელს რესპუბლიკაში თვალსაჩინოდ გარდაქმნეს მუშაობა, ისინი არა მარტო აქტიურად მონაწილეობენ საკოლმეურნეო მშენებლობაში, არამედ ცალკე არსებენ სანიმუშო კოლმეურნეობებს.

ამის მაგალითი იყო 1929 წლის სექტემბერში სოფელ ბაზალეთში კომკავშირულ ქალთა ინიციატივით დაარსებული მეფრინველეობის სანიმუშო კოლმეურნეობა. ამ სოფლის ახალგაზრდა კომკავშირელებმა მოაწყვეს მიწის კო-

ლექტიური დამუშავების ორგანიზაცია. იმავე პერიოდში წალკის რაიონის სოფელ ბზილკისში კომკავშირულთა თაოსნობით ჩამოყალიბდა კოლმეურნეობა, სადაც ჩაეწერენ მხოლოდ კომკავშირელები. საგრძნობლად გაიზარდა კომკავშირულთა რიცხვი ამავე რაიონის კომუნაშიც. მასიურად ჩაეწერენ კოლმეურნეობებში ავჭალელი კომკავშირელები. დიდად გაიზარდა კომკავშირულ ქალთა რიცხვი საგარეჯოსა და სართიქალის მეაბრეშუმეობის კოლექტივებში. სოფელ ნორიოში კომკავშირულმა უჯრედმა დააარსა მეფრინველთა კოლექტივი. აღბულაის რაიონის არტელეხის შემადგენლობაში უმრავლესობას კომკავშირელები შეადგენდნენ. იმავე რაიონში კომკავშირულთა ინიციატივით დაარსებულ იქნა ორი კომუნა.

საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციები აქტიურად მონაწილეობდნენ მოსავლისა და კოლექტივიზაციის დღის ჩატარებაში, 1929 წლის 14 ოქტომბერს. თბილისის, ქუთაისის, კახეთის, გორის ოლქებში, მარტბესა და რაიონულ ცენტრებში ამ დღეს მოეწყო სასოფლო-სამეურნეო გამოფენები, ჩატარდა მიტინგები, რომლებსაც ადგილობრივ კომკავშირელებთან ერთად ესწრებოდნენ ქალაქიდან ჩამოსული შეფები. ასე მაგალითად, თბილისის ოლქში, მუხრანის რაიონში ჩავედნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და კომკავშირული აქტივი, რომლებიც აქ გამართულ მიტინგებზე გამოდიოდნენ კოლექტივიზაციისათვის მხრულად მხარდაჭერით.

მოსავლისა და კოლექტივიზაციის დღემ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა გლეხობაზე, მიიზიდა ისინი კოლმეურნეობებში. ასე მაგალითად, აღნიშნული დღის ჩატარების შემდეგ



კახეთის ოლქის სოფ. გულგულში კოლმეურნეობაში ჩაეწერა 40 ახალი წევრი, სოფელ ვარძიშის კოლექტივ „მტევანი“ — 17 წევრი, სოფელ ყარაჯალში დაარსდა ახალი კოლმეურნეობა და სხვ. ამ ცერემონიაზე ესწრებოდნენ ახლო-მახლო მყოფი საბჭოთა ორგანიზაციების წარმომადგენლები. ისინი მატერიალურ და მორალურ დახმარებას უწევდნენ კოლმეურნეობებს, თელავის აბრეშუმის ფაბრიკის მუშებმა სოფელ შალაურის ახლადშექმნილ კოლმეურნეობას მოუხსნეს და თავიანთივე თესლით დაუთესეს რამდენიმე ჰექტარი მიწა.

სოფელ მარტყოფში აღდგომობრივი კომკავშირითა ინტელექციის ინიციატივით მოხსენილი იქნა 15 ჰექტარი მიწა, რომლის შემოსავალი მილიანად კოლექტივიზაციის ფონდში გადაირიცხა.

გლეხობაზე განსაკუთრებით დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა სასოფლო-სამეურნეო გამოფენები, რომლებიც ეწყობოდა ქალაქებში, სამაზრო და რაიონულ ცენტრებში. გამოფენებზე წარმოდგენილი იყო კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიღწევები და პერსპექტივები. სასოფლო-სამეურნეო გამოფენებზე კარგად ჩანდა სოფლის მეურნეობის სოციალისტური სექტორის აშკარა უპირატესობა ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობებთან შედარებით. მარტო თბილისის ოლქში მიეწყო 15 ასეთი გამოფენა.

მოსავლისა და კოლექტივიზაციის დღეებში ქალაქებიდან და რაიონული ცენტრებიდან სოფლებში გაემართნენ აგრიკოლონები, რომელთა შემადგენლობაში იყვნენ მუშები, აგრონომები, მასწავლებლები, ექიმები, წითელარმიელები, ისინი ატარებდნენ საუბრებს გლეხებთან, უფასოდ უჩვენებდნენ კინოსურათებს, უშვებდნენ კედლის გაზეთებს და სხვ.

თავისი ფორმითა და შინაარსით ყველაზე დიდი გამოფენა მოეწყო თბილისში „სოფლის კავშირისა“ და საბჭოთა მეურნეობების ტრესტის ინიციატივით. გამოფენა შედგებოდა ორა ნაწილისაგან; ერთი ნაწილი ასახავდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიღწევებს და პერსპექტივებს მეცხოველეობაში, მეორე ნაწილში წარმოდგენილი იყო სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის მიღწევები. გამოფენა დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა მნახველებზე.

მოსავლისა და კოლექტივიზაციის დღის ჩატარებაში აქტიურ მონაწილეობას ღებვლობდნენ პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწეები. ისინი მიდიოდნენ რაიონებსა და სოფლებში, გამოდიოდნენ მიტინგებზე, ესაუბრებოდნენ გლეხებს კოლმეურნეობათა პერსპექტივებზე, ახსნა-განმარტებებს აძლევდნენ მათ. ასე მაგალითად, ამიერკავკასიისა და საქართველოს ცაკის თავმჯდომარე პარტიის

უხუცესი წევრი მ. ცხაკაია ესტუმრა კახეთის ოლქს, სადაც იგი გამოდიოდა მშრომელი გლეხობის წინაშე, რაიონულ ცენტრებსა და სოფლებში.

ამ მნიშვნელოვანი ღონისძიებების ჩატარებისას კომკავშირელები პარტიულ ორგანიზაციებს მხარში ედგნენ და ეხმარებოდნენ მიტინგების ორგანიზებულად ჩატარებაში, გამოფენების მოწყობაში, აგრიკოლონების ორგანიზებულად გაგზავნაში, გამოდიოდნენ მიტინგებსა და კრებებზე. ისინი განსაკუთრებით გააქტიურდნენ 1930 წლის დასაწყისიდან, როცა საკოლმეურნეო მშენებლობაზე რესპუბლიკაში ახალი ნაბიჯი გადადგა წინ. ამ დროიდან მოყოლებული, საკოლმეურნეო მშენებლობაში თითქმის არ გატარებულა რაიმე სერიოზული ღონისძიება, სადაც თავისი სიტყვა არ ეთქვათ კომკავშირელებს.

საქ. კმ (ბ) XV ყრილობის მომდევნო პერიოდში საკოლმეურნეო მშენებლობაში დიდი წარმატებები იქნა მოპოვებული მთელი კავშირის მასშტაბით. ამ პერიოდს, ვიდრე 1929 წლის მეორე ნახევარამდე, შეიძლება ვუწოდოთ მასობრივი საკოლმეურნეო მოძრაობის დაწყებისათვის საფუძველის მომზადების პერიოდს.

საკოლმეურნეო მშენებლობის საქმეში დიდი წარმატებანი იქნა მოპოვებული ამ პერიოდში საქართველოში. კოლექტიურ მეურნეობათა განვითარება დიდი ხანი არ იყო რაც საქართველოში დაიწყო, მაგრამ იგი იზრდება გიგანტური ნაბიჯებით. თვითეთლი ფართოდ დაწყებული წამოიწყება, თვითეთლი ტრაქტორი, სამანქანო სადღურებსა და კოლონებს რომ თავი დავენებოთ, შლიდა და ძირს უთხრიდა წერილ დაქსაქსულ მეურნეობებს და საფუძველს უყრიდა კოლექტიურ მეურნეობებს. ეს ნიშნავდა ნამდვილი რევოლუციის მოხდენას სოფლის მეურნეობაში.

პარტიამ მილიანი კოლექტივიზაციის გატარებისა და კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის მიზნით შეიმუშავა და განახორციელა მთელი რიგი ღონისძიებანი. აღნიშნული ღონისძიებების გატარების შედეგად გაუქმებულ იქნა კანონი მიწის იჯარისა და შრომის დაქირავების შესახებ (რის შედეგადაც კულაკს წაერთვა მიწა და მუშახელიც). გლეხობას უფლება მიეცა კულაკობისათვის ჩამოერთმია პირუტყვი, მანქანა-აარალები და ისინი ჩაერიცხა კოლმეურნეობათა ფონდში.

ეს მნიშვნელოვანი ღონისძიება გატარებულ იქნა გლეხთა ფართო მასების აქტიური მხარდაჭერით, რის შედეგადაც რესპუბლიკაში მოხდა კულაკობის, როგორც კლასის, მილიანი ლიკვიდაცია. სოფლის სოციალისტურად გარდაქმ-

**იოსებ ჟღანძი**

საქართველოს კომკავშირი საკოლმეურნეო მოძრაობის პერიოდში

ნის საქმეში ჩაბმულ იქნა მიწის მხენელ-მეთევლე მუშათა დიდი უმრავლესობა.

საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციები განსაკუთრებით კმაშტურდნენ 1930 წლის დსაწყისიდან. უნდა აღინიშნოს მათი მონაწილეობა ამ წლის თვისის კამპანიაში. ამ მეტად მნიშვნელოვანი კამპანიის წარმატებით ჩატარებისათვის საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა სოფლად გაგზავნა 250-ზე მეტი ბრიგადა, რომელთა შემადგენლობაში შედიოდა 6.400 კომკავშირელი. ამავე დროს სოფლად მუდმივ სამუშაოდ გაიგზავნა 350 პოლიტიკურად და სოფლის მეურნეობის ცოდნით აღჭურვილი კომკავშირული მუშაკი.

1930 წლის 13 მარტს საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა, 15 მარტიდან 30 მარტამდე რესპუბლიკის კოლმეურნეობებში ჩაებარებინათ კულტურული მომსახურების ორგანიზებული. ორგანიზების მიზანი იყო დახმარება გაეწიათ კოლმეურნეობების კულტურული მოწყობის საქმეში ადგილობრივი კომკავშირული ორგანიზაციებისათვის და პოლიტგანათლების ჯგუფებისათვის. ორგანიზების რეილის წევრები ადგილობრივ ორგანიზაციებს შევიდნენ წითელი უბნების და კლუბების მოწყობაში, მასობრივ-კულტურულ ღონისძიებებში მოგამაგირებებსა და ღარიბი გლეხობის ჩაბმის საქმეში და სსვ.

აღნიშნული დადგენილებების თანახმად, ორკვირეულის მალალ დონეზე ჩატარების მიზნით, ოლქებსა და მარტებში მივლინებულ იქნა 20 პოლიტიკურად მომზადებული კომკავშირული მუშაკი: თბილისის ოლქში 7 კაცი, ქუთაისის ოლქში 5 კაცი, კახეთის ოლქში 4 კაცი, გორის ოლქში 4 კაცი. ამავე დროს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა კომკავშირის თბილისის საოლქო კომიტეტს გაეგზავნა კოლმეურნეობებში 6 კულტბრიგადა, ქუთაისის საოლქო კომიტეტს — 4 კულტბრიგადა, გორისას — 2 ბრიგადა, კახეთისას — 2 ბრიგადა. საქართველოს სახელმწიფო გამოცემლობის ეთხოვა კოლმეურნეობებისათვის მასობრივი ტირაჟით გამოეშვათ სოფლის მეურნეობისათვის საჭირო ლიტერატურა.

ორგანიზაციებში გააღდა ახსნა-განმარტებითი მუშაობა ქალაქების კომკავშირულ და პიონერულ სოფლის ახალგაზრდობისათვის სახელმძღვანელოებისა და სხვა საჭირო სასწავლო ინვენტარის შეგროვებისათვის.

გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციას დაევალი ფართოდ გაეშუქებინა ორგანიზაციის მიმდინარება, ხოლო თითო რედაქციას შეეფო აელო რომელიმე მსხვილი კოლმეურნეობაზე. საზოგადოება „წერა-კითხვას“ ეთხოვა აღნიშნული კამპანიისათვის გამოეყ ეთანხა 1.000 მანეთის ოდენობით.

დიდი და სასარგებლო მუშაობა ჩატარეს რესპუბლიკის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა

1930 წელს პურის დამზადების კამპანიის დროს, აღნიშნულ პერიოდში კომკავშირული ორგანიზაციები ეწყობა სოციალისტური შეჯიბრებანი. კომკავშირული ბრიგადები, რომელთა შემადგენლობაში იყო 2.000-ზე კომკავშირული, ჩავედნენ საქართველოს სხვადასხვა რაიონებში.

კომკავშირულთა მავალით მსაბაში გახდა კახეთის ოლქის სოფელ ანაგის მცხოვრებთათვის. 1930 წელს მათ აქ ჩამოაყალიბეს კოლმეურნეობა, რომელსაც შემდგომში შეუერთდა მთელი სოფელი. ასევე მოხდა სოფელ კარდინახშიც.

აქტიურად მონაწილეობდნენ საკოლმეურნეო მშენებლობაში ქუთაისის ოლქის კომკავშირელები. აქ იყო სოფლები, სადაც კოლმეურნეობებში გაერთიანებული იყო კომკავშირულთა ასი პროცენტი.

საკოლმეურნეო მშენებლობაში აქტიურად ებმებიან აჭარის, აფხაზეთის, სამხრეთ-ოსეთის, გორის ოლქისა და სხვა რაიონების კომკავშირელებიც. მათ ხშირად ირჩევენ კოლმეურნეობათა გამგეობის შემადგენლობაში. 1930 წელს კომკავშირულთა რიცხვი კოლმეურნეობათა გამგეობებში შეადგენდა 1139 კაცს.

სოფლად გარდაიფიქრო საკოლმეურნეო მომარობის გაშლისთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1930 წლის 14 თებერვალს მიიღო დადგენილება სასოფლო-სამეურნეო გაზეთის „ახალი სოფლის“ რეორგანიზაციის შესახებ. აღნიშნული გაზეთი გარდაქმნილი იქნა „საკოლმეურნეო გაზეთად“. იმისათვის, რომ გაზეთში უფრო ფართოდ გაშუქებულიყო მასალები ადგილობრივ, შეიქმნა სარედაქციო უჯრდები კახეთის, ქუთაისის და გორის ოლქებში. გადიდებულ იქნა გაზეთის მოცულობა.

აღნიშნული ღონისძიების გარდა, საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1930 წლის 25 მარტის დადგენილებით კახეთის, გორის, ქუთაისის ოლქებში და სენაკის მზარაში შეიქმნა საკოლმეურნეო გაზეთები.

წინადადება მიეცა ყველა რესპუბლიკური გაზეთის რედაქციებს შეეფო აეღოთ ახლად შექმნილი გაზეთების რედაქციებისადმი. ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს დაევალით — ყოველგვარი პირობა შეიქმნათ რედაქციებისათვის ნორმალური მუშაობისათვის.

რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციები მასობრივი საკოლმეურნეო მომარობის პერიოდში პარტიის მითითებით ვანუხრულად იბრძვიან კოლმეურნეობებისათვის საჭირო კადრების მოსაზრდებლად. მიუხედავად მთელი რიგი ღონისძიებებისა, რომლებიც გატარებულ იქნა რესპუბლიკაში 1929 წლის მეორე ნახევარში, კადრების ნაკლებობა მაინც მწვავედ იგრძნობოდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც კოლმეურნეობის ტემპმა ყოველგვარი მოლოდინს გადააჭარბა და გეგმით გათვალისწინე-



ბული კადრების რიცხვი ვეღარ უზრუნველყოფდა მოთხოვნილებას.

საქართველოს კპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1930 წლის 22 თებერვალს მიიღო დადგენილება დამატებით 670 კოლმეურნეობის თავმჯდომარის მომზადების შესახებ.

პარტიის აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტებს დაევალოთ თვითონვე განესაზღვროთ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელების საჭირო რაოდენობა.

დადგენილების თანახმად კურსები უნდა დაწყებულიყო 1930 წლის 20 თებერვალს და დამთავრებულიყო 1 აპრილს.

იმავე დადგენილებაში მითითებულია კოლმეურნეობებისათვის სხვა საჭირო კადრების მომზადებისა და მოკლე დროში მათი დაინერგვის შესაძლებლობის განაწილების აუცილებლობის შესახებ. ამასთანავე, სოფლის კომკავშირელთა ხარჯზე 200 კაცისათვის თბილისში უნდა მოწყობილიყო ორთვიანი კურსები კოლმეურნეობათა საჭიროებისათვის. სათანადო ორგანიზება დაეკლავა აღნიშნული კურსებისათვის 80.000 მანეთის გამოყოფა.

სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ტემპის ზრდასთან ერთად 1929 წლის მეორე ნახევარში გაძლიერდა კულაკობის ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ზოგჯერ კულაკების ასეთ მოქმედებას ხელს უწყობდა მემარჯვენე გადახრა, რომელიც თავის გამოხატულებას პოულობდა ზოგიერთ პარტიულ და კომკავშირულ უჯრედისა და ცალკეული კომუნისტებისა და კომკავშირელების პრაქტიკულ საქმიანობაში.

პარტიამ მოუწოდა კომკავშირულ ორგანიზაციებს გაეძლიერებინათ კლასობრივი სიფხიზლე, ებრძოლათ როგორც კულაკების ხრიკებისა, ასევე ყოველგვარი გადახრელების წინააღმდეგ. პარტიის მოწოდების პასუხად კომკავშირული ორგანიზაციები ენერგიულ ღონისძიებებს ატარებენ: ავლენენ კულაკთა ფარულ ორგანიზაციებს, ხელს უშლიან მათ გადამალონ ან მოსპონ პროდუქტები, მასიურად გაანადგურონ პირუტყვი და სხვა ქონება. ამიტომაც იყო, რომ გააფთრებულ კულაკთა თავდასხმის ობიექტები ხშირად კომკავშირელები იყვნენ. კულაკები ხშირად ცეცხლს აძლევენდნენ მოწინავე კომკავშირელების სახლყარს, ათასგვარ მონაჭორებს ავრცელებდნენ მათზე, თავს ესხმოდნენ კომკავშირულ კოლმეურნეობებს.

მასობრივი საკოლმეურნეო მოძრაობის პერიოდში რესპუბლიკური და ადგილობრივი პრესა სისტემატურად იუწყება საქართველოს სხვადასხვა რაიონებში კულაკობის თავაშეხელობისა და ტერორის შესახებ. ასე მაგალითად: 1929 წლის 31 აგვისტოს ყაბაიის ახლომახლო სოფლებში კულაკებმა ცეცხლი წაუკიდეს კოლმეურნეობების პურის ძნებს. ხანძრის დროს ბოროტმოქმენდი ყოველმხრივ ცდილობდნენ

დაწვისაგან გადაერჩინათ საკუთარი პურის ძნეტი ხანძრის შედეგად განადგურდა 1.500 ფუნტი ხორბალი. სოფელ ნაზარალოში კულაკებმა ცეცხლი წაუკიდეს ერთიერთ პარტიული მუშაკის, საკოლმეურნეო მშენებლობის აქტივისტის სახლს. როცა ხანძრის ჩასაქრობად გლეხები მოვიდნენ, ისინი იარაღით გარეკეს.

1930 წლის იანვარში კულაკებმა ბანდიტურად მოჰკლეს თელავის რაიონის სოფ. ლაფანყურის კოლმეურნეობა „შრომის დროშის“ თავმჯდომარე ი. კარატელი, რომელიც მკაცრ ზომებს ღებულობდა კულაკების თავაშეხელობის წინააღმდეგ. კლასობრივი მტრების ამ აქტის საპასუხოდ მთელი სოფლის ღარიბი გლეხობა გაერთიანდა კოლმეურნეობაში.

1929 წლის 13 ნოემბერს, შუალაშისას, გურჯაანის რაიონის სოფელ ვარდისუბნის ახლად დაარსებულ კომკავშირულ კოლექტივს თავს დაესხა კულაკების შეიარაღებული ჯგუფი. შეტაკების დროს მოჰკლეს 4 აქტიური კომკავშირელი, მათ შორის კოლექტივის ხელმძღვანელიც.

თუ როგორ აფართოებდნენ კულაკები ბრძოლას საკოლმეურნეო მშენებლობის წინააღმდეგ, კარგად ჩანს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის წებელდელი კულაკების საქმიანობიდან. წებელდის არაღვალური ბანდიტური ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში იყო 44 ბოროტმოქმედი, წლების განმავლობაში ბატონობდა მთელს რაიონში და მის ფარგლებს გარეთაც. ისინი გარშემორტყმულნი იყვნენ „თავიანთი კაცებით“, ნათესაურად და ქონებრივად გაერთიანებული ანტისაბჭოთა ელემენტებით.

როგორც მოხდა, რომ ადგილობრივი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების ცხვირწინ წლების განმავლობაში თვითნებოდნენ კულაკი ბოროტმოქმენდი?

როგორც საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტი მიუთითებდა აღნიშნულ შემთხვევის გამო, ამ პერიოდში აფხაზეთის პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების ცალკეული მუშაკების პრაქტიკულ საქმიანობაში აშკარად შეიმჩნეოდა მემარჯვენე ოპორტუნისტული გადახრა, რამაც საშუალება მისცა კულაკებს გაეფართოებინათ თავიანთი ანტისაკოლმეურნეო საქმიანობა.

მემარჯვენე გადახრა იგრძნობოდა რესპუბლიკის სხვა რაიონებშიც.

წითელწყაროს კოლმეურნეობაში კულაკები შევიდნენ მხოლოდ იმისათვის, რათა ესარგებლათ ყველა იმ შედეგით, რომელიც დაწესებული იყო კოლმეურნეობის წევრებისათვის, და მოვიდნენ გაუბრუნათ იგი, თუთი კოლმეურნეობას სათავეში ედგა მხაჩაპორთმეული კულა-

**იოსებ შლენტი**  
საქართველოს კომკავშირის საკოლმეურნეო მოძრაობის პერიოდში



კი. ადგილობრივი პარტიული და კომკავშირული ორგანოების ზოგიერთი მუშაკი კი აცხადებდა, „კულაკია, მაგრამ ენერგიულად მუშაობს, საქმის კაცია. ის რომ არ იყოს, კოლექტივი დაიშლება“.

1930 წლის დასაწყისში მეტად დაძაბული მდგომარეობა შეიქმნა საქართველოს სოფლებში. სისტემატური ხასიათი მიეცა ე. წ. „დღე-გატების“ მიმოსვლას სოფლიდან სოფელში. ისინი ავრცელებდნენ პროვოკაციულ ხმებს საკოლმეურნეო წყობილებასა და მის შესვეურებზე. ხშირად ასეთი ხმები აქტივისტებზედც კი ახდენდნენ გავლენას. ეს განსაკუთრებით იგრძნობოდა მინდვრის სამუშაოების დაწყების დროს.

ასეთი მდგომარეობა განაპირობა შეცდომებმა, რომლებიც დაშვებულ იქნა ადგილებზე საკოლმეურნეო მშენებლობას დროს პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების მიერ მასობრივი საკოლმეურნეო მოძრაობის პერიოდში, განსაკუთრებით კი 1929 წლის დასასრულს და 1930 წლის დასაწყისში.

მიუხედავად იმისა, რომ საკ. კ(ბ) ცკ თავის 1930 წლის 5 იანვრის დადგენილებაში „კოლექტივიზაციის ტემპისა და საკოლმეურნეო მშენებლობასადმი სახელმწიფოს დახმარების ღონისძიებთა შესახებ“ იძლეოდა გაფრთხილებას, არ დაეშვათ ზემოაღნიშნულ საკოლმეურნეო მშენებლობის რაიმე დეკრეტირება, საქართველოს ბევრ რაიონში ადგილი ჰქონდა სერიოზულ შეცდომებს. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს კოლმეურნეობებში გლეხთა გაერთიანების ლენინური ნებაყოფლობითი პრინციპის უგულვებელყოფა და შიშველი ადმინისტრირების გამოყენება. ზოგიერთი მუშაკი, უგულვებელყოფდა რა გლეხების ნება-სურვილს, გამოვიდა კოლექტივიზაციის ციფრებს და აიძულებდა გლეხებს, კოლმეურნეობებში განესაზოგადოებინათ მთელი თავიანთი ქონება, პირტყვი და ფრინველიც კი. ეს ხდებოდა მაშინ, როცა იმავე დადგენილების მიხედვით საქართველოში საკოლმეურნეო მშენებლობის დამთავრება გათვალისწინებული იყო პირველი ხუთწლიანი გეგმის ბოლოსათვის, ე. ი. 1933 წლისათვის. მარტო 1930 წლის იანვარ-თებერვალში კოლექტივიზაციის პროცენტი საქართველოს ბევრ რაიონში 10-15-ჯერ გადიდა.

ამ მხრივ საინტერესოა 1930 წლის 11 იანვარს გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული სტატია სათაურით: „კოლმეურნეობათა მდგომარეობა და პერსპექტივები საქართველოში“. სადაც ვკითხულობთ: „ეკვის გარეშეა, რომ ჩვენი სოფლის წინაშე დასახული ამოცანა, — 1930 წლის დასაწყისისათვის მივაღწიოთ კოლექტივიზაციის 85 პროცენტს და საქართველოს რესპუბლიკა გამოავახადოთ მასიური კოლექტივიზაციის რაიონად, — აუცილებლად იქნება შესრულებული“... ასეთი ნაადრევი დას-

კენის გაკეთება აღნიშნულ ეტაპზე ფრაქციის დომა იყო.

საკოლმეურნეო მშენებლობაში დაშვებულმა შეცდომებმა მიიზიარა საკ. კ(ბ) ცკ ყურადღება. როგორც გამოჩნდა, შეცდომები საკოლმეურნეო მშენებლობაში დაშვებული იყო სამკოთა კავშირის სხვა რაიონებშიც, რის გამოც მიღებულ იქნა სასწრაფო ღონისძიებანი: 1930 წლის 1 მარტს დამტკიცდა სასოფლო-სამეურნეო არტელების სანიშნუში (შესწორებული) წესდება, რომელიც 4 მარტს გამოქვეყნდა საქართველოს გაზეთებში. 2 მარტს გამოქვეყნდა ი. ბ. სტალინის ცნობილი სტატია „თავბრუნდა-ვევა წარმატებებისაგან“, 14 მარტს საკ. კ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „საკოლმეურნეო მოძრაობაში პარტიის ხაზის გამრუდებასთან ბრძოლის შესახებ“, რომელშიც აქტივორიულად დაბგმო დაშვებული შეცდომები და წინადადება მისცა ყველა პარტიულ ორგანიზაციას, მიეღოთ სასწრაფო ზომები საკოლმეურნეო მშენებლობაში დაშვებულ შეცდომების აღმოფხვრასათვის. 3 აპრილს გამოვიდა ი. ბ. სტალინის ახალი სტატია: „პოსუხი ამხანაგ კოლმეურნეებს“.

აღნიშნული ღონისძიებების შედეგად გლეხობა დარწმუნდა, რომ დაშვებული შეცდომები გამოწვეული იყო ადგილობრივი ხელმძღვანელობის გაუგებრობით და იგი არ იყო პარტიის გენერალური ხაზი.

დაიწყო საკოლმეურნეო მშენებლობაში დაშვებული შეცდომების გასწორების რთული პროცესი. შეცდომების გამოვლენების შედეგად კოლმეურნეობებიდან ვამიდა იქ გაერთიანებულ გლეხთა თითქმის ორი მესამედი, უმთავრესად საშუალო გლეხობა. მიღებულ იქნა ზომები კოლმეურნეობისათვის სხვადასხვა შეღავათების მიცემისათვის. გლეხობამ ისევ იწყო შემობრუნება კოლმეურნეობებისაკენ.

როგორც ყოველთვის, საქართველოს კომკავშირი აღნიშნულ ეტაპებზე ასრულებდა პარტიის ერთგული თანაშემწის როლს. ამის დადასტურება იყო 1930 წლის 30 აპრილის საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის საგანგებო თათბირი, რომელმაც მოისმინა საკოლმეურნეო მშენებლობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციები ადგილობრიდან და მასში კომკავშირელთა მონაწილეობა. მოსმენილ იქნა ინფორმაციები ქუთაისის, გორის, კახეთის, ხაშურის, ზესტაფონის, მცხეთის, ლანჩხუთის და სხვა კომკავშირული კომიტეტებისაგან.

თათბირმა მიიღო დადგენილება პარტიის ახალ მიზნობათა საფუძველზე მუშაობის გარდაქმნის შესახებ, დაავალა რესპუბლიკის კომკავშირულ ორგანიზაციებს გაეძლიერებინათ ახსნა-განმარტებითი მუშაობა მოსახლეობაში კოლექტივიზაციის სასარგებლოდ ისე, რომ არ განმეორებულყო დაშვებული შეცდომები, საპარტიო ბრძოლა ეწარმოებინათ შემარტებულ გა-

დახრის გამოვლინების წინააღმდეგ კულაკობის როგორც კლასის ლეკვიდაციისათვის.

საკოლმეურნეო მშენებლობაში დაშვებულ შეცდომებზე და მისი აღმოფხვრის საქმეში რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობაზე მიუთითა საქართველოს კპ (ბ) VII ყრილობამ, რომელიც გაიმართა 1930 წლის მაისში.

1930 წლის 25 დეკემბერს თბილისში მუშაობა დაიწყო საქართველოს კომკავშირის X ყრილობამ. მან შეაჯამა საკოლმეურნეო მშენებლობაში რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობის შედეგები და დასახა ამოცანები მუშაობის შემდგომი გაფართოებისათვის. აღინიშნა, რომ თუ საქართველოს კომკავშირის IX ყრილობისათვის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში ჩაბმული კომკავშირლების მხოლოდ 0,6 პროცენტი მუშაობდა კოლმეურნეობებში, X ყრილობისათვის ეს რიცხვი უკვე 41,9 პროცენტს აღწევდა.

ყრილობამ მოუწოდა საქართველოს კომკავშირულ ორგანიზაციებს უფრო მჭიდროდ დარაზმდებოდნენ პარტიის გარშემო საკოლმეურნეო მშენებლობაში, აქტიურად ებრძოლათ კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის და შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის. სოფლად მომუშავე ყველა კომკავშირელი უნდა ჩაბმულყო კოლმეურნეობებში: „თითო საჩვენებელი დამკვეთელი კომკავშირული ბრიგადა თერთულ კოლმეურნეობაში“. ასეთი იყო ყრილობის საბრძოლო ღონისძიება სოფლად მასობრივი-საკოლმეურნეო მოძრაობის პერიოდში.

დიდი ამოცანები დასახა კომკავშირის წინაშე საკოლმეურნეო მშენებლობაში საკავშირო ალკე IX ყრილობამ, რომელიც გაიმართა 1931 წლის 16-26 იანვარს. ყრილობის ერთ-ერთი ძირითადი საკითხი იყო „საკოლმეურნეო მშენებლობა და კომკავშირის ამოცანები სოფლად“.

ყრილობამ მოუწოდა ღარიბ, საშუალო და მოკვამიარე გლეხ კომკავშირელებს აქტიურად ჩაეტარებინათ „ლენინური გავრცევა კოლმეურნეობებში“. თვითუფლები კომკავშირელი უნდა გამხდარიყო აგრატორი, ფართო ახსნა-განმარტებით მუშაობა უნდა ეწარმოებინა კოლმეურნეობებში მოსახლეობის მიზიდვის მიზნით.

საკავშირო კომკავშირის IX და საქართველოს X ყრილობების გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე რესპუბლიკის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა სწრაფად იწყეს თვითნაირი მუშაობის გარდაქმნა ახალი ამოცანების, სახალხო მეურნეობის ტექნიკური შეიარაღებისა და კოლმეურნეობათა სამეურნეო-ორგანიზაციული განმტკიცების ამოცანების შესაბამისად. კომკავშირი გამოდის ბევრი სახალისა და წამოწყების ინიციატორად. სწორედ მის მიერ, 1931 წლის თესვის კამპანიის დაუბრკოლებლად ჩატარების მიზნით, რესპუბლიკაში ჩამოყალიბდა სასოფლო-სამეურნეო მანქანების შემკეთებელი 225

ბრიგადა, რომელმაც დიდი მუშაობა გასწავთესვის კამპანიის შეუფერხებლად ჩატარებისათვის. მართკ აღნიშნულ წელს კომკავშირის მიერ რესპუბლიკის 18 რაიონში ჩამოყალიბდა 119 კოლმეურნეობა.

სისტემატრად იზრდება კომკავშირელთა რიცხვი კოლმეურნეობებში. 1931 წლის თესვის კამპანიის პერიოდში კოლმეურნეობაში შევიდა 17.172 კომკავშირელი. ისინი შრომითი მამაცობის ნიშნებს იძლევიან, ფართოდ შლიან სოციალისტურ შეჯიბრებას, იბრძვიან მაღალი მოსავლიანობისათვის.

კარგი ინიციატივა გამოიჩინეს ხაშურელმა კომკავშირელებმა. მათ აღრიცხეს რაიონში არსებული ყველა შესაქეთებელი მანქანა-იარაღი, ჩამოაყალიბეს შემკეთებელი ბრიგადები და თვითონვე შეაკეთეს ისინი. ხაშურელ კომკავშირელთა მავალითს მიბაძეს სამტრედიელმა კომკავშირელებმაც, რომლებმაც ჩამოაყალიბეს 4 შემკეთებელი ბრიგადა და გვერდში ამოუდგნენ კოლმეურნეებს. ასეთი ბრიგადები კომკავშირელთა ინიციატივით ყალიბდება რესპუბლიკის სხვა რაიონებშიც.

1932 წლის 5 აგვისტოს საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება მოსავლის საუკეთესოდ აღებისა და დამზადებაზე გამოცხადებულ საკავშირო-სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმის შესახებ. თავის მხრივ საქართველოს კომკავშირელებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს მოქმე აზურბაიჯანის კომკავშირელები. ამ მოძრაობაში ჩაბუნდა საქართველოს 25 რაიონის კომკავშირელები.

კომკავშირელები გამოდიან გამომგონებლობისა და რაციონალიზატორობის ინიციატორებად. საწარმოებში იქმნება გამომგონებულთა ორგანიზაციები, წრეები. კვლადიყაციის ამაღლების მიზნით ეწყობა შეცადინებები საბჭოთა მეურნეობებში, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში, კოლმეურნეობებში.

მასობრივ საკოლმეურნეო მოძრაობას ფართოდ ეხმარება გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“. იგი თავის ფურცლებზე თვალსაჩინოდ ადგის უთმობდა ცნობებს სოფლად შექმნილი მდგომარეობისა და ქალაქებიდან იქ გაგზავნილი დამკვეთელი კომკავშირული ბრიგადების საქმიანობის შესახებ.

1930 წლის სავაზაფხულო თესვის კამპანიას პერიოდში კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციასთან შეიქმნა დამკვეთელი ერთკვირული შტაბი. გაზეთის პირველ გვერდზე შემოღებულ იქნა „გზის დაგვა“ ჩამორჩენილთათვის.

### იოსებ ძლანდი

საპარტიო მუშაოს კომკავშირის საკოლმეურნეო მოძრაობის პერიოდში

პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით, რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციები შეუპოვრად იბრძოდნენ სოფლად პარტიის ვენერალური ხაზის განუხრელად გატარებისათვის, ენერგიულად რაზმავდნენ ღარიბ და საშუალო გლეხობას კულაკობის წინააღმდეგ, ახსნა-განმარტებით მუშაობას აწარმოებდნენ სოფლის მოსახლეობაში კოლექტივიზაციის საარსებლოდ.

პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზა-

ციების მიერ ჩატარებულმა მუშაობამ შექმნილი ნაეი შედეგი გამოიღო. ამაზე კარგად შეტყველებს შემდეგი ციფრები. თუ 1931 წლის იანვარისათვის რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია უდრიდა 20,8 პროცენტს, იმავე წლის 20 თებერვლისათვის იგი უკვე აღწევს 25,3 პროცენტს.

კოლექტივიზაცია მთელი რესპუბლიკის მასშტაბით განუხრელად ვითარდებოდა და იმარჯვებდა.



ახალგაზრდობის სახით პარტია ხედავს თავის ახალგაზრდა რეზერვს, რომელიც მოდის მუშაკთა უფროსი თაობის შესაცვლელად.

მომავალი ჩვენს ახალგაზრდობას ეკუთვნის, იგი, ახალგაზრდობა, გადამწვევტ როლს ითამაშებს კომუნისტური საზოგადოების აშენებაში.

ა. ა. შ დ ა ნ მ ვ ი

თქვენ შეუდექით პროლეტარული საზოგადოებრიობის გამოღვიძებას, თქვენ შეუდექით კონკრეტული პასუხის მოთხოვნას ყველასგან იმაზე, თუ რა კეთდება პარტიისა და მუშათა კლასის ნება-სურვილის შესასრულებლად. თქვენ დაიწყეთ დიდი საქმე, და მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ პარტიის ხელმძღვანელობით აამოძრავებთ არა მარტო თქვენი კომკავშირის უდიდეს ფენებს, არამედ მთელი მუშათა კლასის უდიდეს ფენებსაც.

ბ. ვ. კ უ ი ბ ი შ ა ვ ი

ჩვენი ახალგაზრდობა უნდა წავიდეს ყველგან, სადაც კი ის კულტურული ძალები გვესაჭიროება, რომლებიც შესძლებენ გარდაქმნას და კიდევ გარდაქმნიან ჩვენს ქვეყანას.

გ. ბ რ კ ი.

## უმღერიან სიჭაბუკეს — სიხოსხლისა და სიყვარულის გაჯაფხულს

კომკავშირი...

„გამარჯობათ, ძვირფასო მშობლებო! მე მომიწევს ამჯერად გაცნობით თქვენთვის შემზარავი ამბავი, მაგრამ როდემდის გიმალოთ! ავსტრიაში, ღუნაის ფლოტილიაში ბრძოლის დროს დავკარგე ორივე ხელი, ორივე თვალი, ჩემი სხეულიდან ნაღმის თოთხმეტი ნამსხვრევი ამოიღეს... ველარ ვხედავ, ველარ დავინახავ მამას, წინაც რომ მედგეს... შენ დედი, ჩემს სიყვარულში გეცილება მეორე დედა, ჩვენი დედასამშობლო. იგი გართმევს ჩემს თავს... მე კარგად ვარ, დედი, კარგად!“ — წერს ოტია ჩლაიძე, უფრო სწორად, ოტიას კარნახით წერს სხვა. რას იფიქრებდა თქვენმეტი წლის ყმაწვილი, რომ ორი წლის შემდეგ ჯარიდან ასეთ ბარათს მისწერდა მშობლებს.

კომკავშირი...

„ჩემო სამშობლო... მე, ლენინური კომკავშირის მიერ აღზრდილი, ვიბრძოდი ისე, როგორც გული მიკარნახებდა, ვანადგურებდი მტერს, ვიღებ ჩემს მკერდში გული ძეგრდა, მე ვკვდებო, მაგრამ ვიცი: ჩვენ გაიმარჯვებთ!... მე შევასრულე მებრძოლის ფიცია!“ — სასიკვდილოდ დაჭრილი ალექსი კალუენი სისხლით წერდა ამ სტრიქონებს.

კომკავშირი...

ხელში მოეღვარე ხმლით უნაგირზე გადმოხრილი პაეკა კორჩაგინი და ცარიცინთან გმირულად დიდებული „რევოლუციის ჯარისკაცი“ ნიკოლაი რუდნევი, ჩაბაევის სახელგანთქმული დივიზიის მეთევამჭრქვევე მარია პოპოვა და პოლკის თავი, ჩვიდმეტი წლის არკადი გაიდარი...

კომკავშირი...

ციმბირისა და ურალის გაუვალ ტრამალებში

აბოლებული ქარხნებისა და ფაბრიკების მიწები, მავნიტოგორისკისა და ჩელიაბინსკის ბრძმედების გავარვარებული ღუმელები, ამურისა და ყარაღანდის შახტები... ჰესის აგრეგატებისათვის ზედაშიანური ნებისყოფითა და გაჭირვებით შეჩერებული დნებარისა და ვოლხოვის, მტკერისა და რიონის აბოზოჭრებული ტალღები... დიდების სიმბოლო—კომსომოლსკი ამურზე...

კომკავშირი...

მატროსოვი და მისისტრამე, ვასტელო და წურწუშია, ზოია ერთი, ზოია მეორე, იური სმირნოვი და შოთა გამცემლიძე, მიშაკოვი და შალამბერიძე, იოსებძე და ბერიაშვილი.

კომკავშირი...

ყამირი და „მშვიდი ველის“ აბიინება. ხორბალი, ბამბა, ყაზახეთის მილიარდობით ფუთი პური...

ტრაქტორს მონატრებული ქვეყანა დედამიწის პირველი თანამზავარისა და კოსმოსში აღმიანის გამშვების სამშობლმ ხდება!

ზესკუნელის პირველი დამყარობნი კომკავშირის აღზრდილები იყვენენ!

შორს, ძლიერ შორს წავვიყვანდა მათ გმირობასა და მამოცობაზე ლაპარაკი. ყოველივე ეს ოქროს ასოებითაა ჩაწერილი კომკავშირის სახელოვან მატრიანეში... ბევრი მათგანის თავდადება დავით ბერიაშვილისა და თინა იოსებძის მსგავსად გამომზეურებას ელის. ამიტომ ბუნებრივია, რომ საბჭოთა მწერლების შემოქმედებაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი კომკავშირისა და ახალგაზრდობის თემას უჭირავს. ქართველმა მწერლებმა არაერთი მაღალხარისხოვანი ნაწარმოები უძღვნეს ახალგაზრდობას. მრავალმა





მთავანმა სწორედ კომკავშირის საგზურით გაიკაფა გზა მწერლობაში და თავად იყო ამ ორგანიზაციის აქტიური წევრი და ახალი ყოფის მშენებელი...

კომკავშირულ მწერალთა სახელოვან პლედარში საპატიო ადგილი უჭირავს პოეტ ალიო მირცხულავას. 1921 წლის მარტის თვეში ფოთის საქალაქო ვახუთ „მუშის ხმაში“ დაიბეჭდა პოეტის ლექსი მამაშვილის ფსევდონიმით. ეს იყო პირველი დასტამებული ნაწარმოები ჩემდღერი წლის ჰაბუისა, რომელსაც ბედმა არგუნა ყოფილიყო სოციალისტური ეპოქის ჰერისა და ლხინის პირუთენელს მემკვიდრე. კომკავშირის თემა ერთ-ერთი საყვარელი და ახლობელი თემაა ა. მირცხულავას შემოქმედებაში, რამდენადაც პოეტი კომკავშირელთა იმ თაობას ეკუთვნის, რომელიც მენშევიკების ბატონობის პერიოდში უზარა „სპარტაკის“ იდეებს, კომკავშირის პოეტმა არა ერთი და ორი ლექსი უძღვნა. ვის არ ახსოვს სკოლის კედლებში ნასწავლი „დამკერული ბარიაკების“ ეს სტრიქონები:

„ჰა, ვრავანებენ კვლავ მანქანები,  
ყალყუბ დგებიან, გრივალდებიან.  
ტემს რომ ხედებიან მძლავრ გაქანებით,  
კომკავშირული ბრივადებიან...  
დაზვის გულდაგულ რომ დგას ლაშქარი, —  
კომკავშირული დამკერვლებია!“

კომკავშირის ოცი წლის თავზე ალიო მირცხულავა აქვეყნებს ლექსს „ლენინურ კომკავშირს“, სადაც მოკლედ და მისთვის დამახასიათებელი ეპითერობით აღწერს, თუ როგორ გაიარა ჩვენი ქვეყნის ქალ-ვაჟებმა ეკლიანი და სახიფათო გზა იმ კეთილშობილი საქმისათვის, რომლითაც დღეს ვამყობთ. „მუდამ მებრძოლი და მოწინავე გულდაგულ რას არ ვამკლავებია“, სიამაყით ამბობს პოეტი და იქვე დასძენს — „ბრძოლის დღეები ისევ წინ არის...“ და საქიროების შემოხვევაში „გმირთა ლაშქარი, დაუძინარი ისევ ქარიშხლად ამოვარდება“, პოეტი ახალგაზრდობისა და მისი მოწინავე რაზმის — კომკავშირის სახით სამშობლოს მომავლისა და კომუნისმის მშენებელ მთავარ ძალას ხედავს. ლექსებში ალიო მირცხულავა სიყვარულით გვიხატავს ჩვენი ქვეყნის ჰაბუებისა და ქალიშვილების შრომითა და საბრძოლო მამაცობას, პარტიის ლენინური დროშის ქვეშ დარბაზობას. ლექსებში „ჩვენი ქვეყნის ქალ-ვაჟები“, „ლაითურის კომკავშირელი“ პოეტი აღფრთოვანებული უმღერის საყოლმურყო მინდვრებზე, ჩაის ბუჩქებსა და სიმინდის ყანებში შრომით გართულ, ქარხნის დაზგებთან მდგარ და მდაროში მანდისმწარველ ჰაბუებსა და გოგონებს, რომელთა ნახვა სიხარულს ანიჭებს პოეტს. „შრომაშია მხოლოდ ლხენა, სიცოცხლე და სიხარული“. პოემა „ენგური“ ქართველი ახალგაზრდობის შრომითი დიდების ეპოპეა.

ოცდაათიან წლებში, როცა მიმდინარეობდა ჩვენი ქვეყნის კოლექტივიზაცია და ინდუსტრიალიზაცია, კომკავშირმა მრავალი ნიჭიერი პოეტი და მწერალი გამოავლინა. ერთ-ერთი მათგანია ირაკლი აბაშიძე. ი. აბაშიძემ პირველი ლექსები თვე მიიპყრო მკითხველი საზოგადოების ყურადღება. ამის მიზეზი იყო ორიგინალური და ვაჟაკური ხმა ჰაბუი პოეტისა. მან მრავალი ლექსი უძღვნა კომკავშირსა და ახალგაზრდობას. კომკავშირის აღზრდილმა კაპიტანმა ბუხაიძემ კავკასიის დაცვის დღეებში უდიდესი გმირობა გამოიჩინა. პოეტმა უკვდავყო მამაიკი მეომრის სახელი საყოველთაოდ ცნობილი ლექსით „კაპიტანი ბუხაიძე“. „სიმღერა ახალგაზრდობაზე“ — ასე უწოდებდა ლექსს, რომელიც კომკავშირის ოცდაათი წლის თავზე დაწერილი. პოეტი ჩვენი ეპოქის ჰაბუებსა და ქალიშვილებს ხატავს ცხოვრებასა და მოქმედებაში.

„ჩვენ, გმირული კომკავშირი  
დარაზმული ვარადა,  
შემოქმედი, ფრთებგაშლილი  
მთებში, ზღვებში, ბარადა.  
მშობელ მხარეს ვდარაჯობთ,  
ვდგევართ რკინის ფარადა.“

„რა კარგია ქალ-ვაჟებო, ჩვენი ქვეყნის შვილობა“ — დასკენის ლექსის ბოლოს სიბჭოთა სამშობლოს სიდიადით მოხიბლული პოეტი და ამ სტრიქონებით გამოხატავს თვითიული ახალგაზრდის გულსიტქმას.

საქართველოს სახალხო პოეტი ვალაკტიონ ტაბიძე ლექსში „ელოდნენ რევოლუციას“ ამბობს:

„ახალგაზრდობა, მომავლის ძალა,  
სწუხდა ვეარეინი ფეჭრში ვართული,  
მათ ჰქონდათ გული იმ უდროობის  
მწუხარებაში გამოკვართული,  
მაგრამ ელოდნენ რევოლუციას,  
ყოველთვის ახალ გრძნობას რომ ზადებს  
და თავგანწირვით უერთდებიან  
სიმართლისათვის მებრძოლ ნაკადებს.“

ლექსში „მუხედეთ!“ პოეტი გვიხატავს დიდი სამამულე ომის ფრონტზე საბჭოთა მეომრის საბრძოლო შემართების ერთ ეპიზოდს.

სამშობლოსათვის თავდადებული ქართველი ჰაბუების ხელთუქმნელ ძეგლად რჩება ქართულ პოეზიაში დიდი ქართველი პოეტის გიორგი ლეონიძის „არ დიადარო დელო“, „შინ მოუსვლელო სადა ხარ“ და მრავალი სხვა.

„მზე, სიბაბუე და ვახუტელი“ დასადგურებულია სტუდენტთა ქალაქში, სადაც „ყოველ საწოლთან ღვიძავს მომავლის... მესმის მომავლის ცოცხალი სუნთქვა და კომუნისმის მშენებელს ვხედავ“, — წერს პოეტი ს. ჩიჭოვანი ლექსში „სტუდენტთა ქალაქი“. ამ ლექსში პოე-



ტი ახალგაზრდობას გვიხატავს ისეთ ძალად, რომელსაც წილად ხვდა კომუნისმის დროშის მიტანა საბოლოო გამარჯვებამდე.

საბჭოთა ახალგაზრდის შთამავანებელი, გმირული სანებები დახატა გრიგოლ აბაშიძემ თავის საყოველთაოდ ცნობილ პემეზში „ძღვევის ქუდი“ და „ზარზმის ზანება“.

გ. კაჭხიძემ კომკავშირის კარები შეაღო საკრთველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ორი წლის შემდეგ. კომკავშირის თემამ მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა პოეტის შემოქმედებაში. „ჩემი პირველი უჭრედი“ ლექსია, სადაც პოეტი გადმოგვცემს ახალგაზრდობის ბრძოლას რელიგიის წინააღმდეგ. მეორე ლექსში „სიკაბუეკს და კომკავშირს“ პოეტი იგონებს, ყმაწვილკაცობის იმ პერიოდს, როცა პირველად მიიღო კომკავშირელის წიგნაწი. მას შემდეგ დიდმა დრომ განვლო, მაგრამ მისი დავიწყება შეუძლებელი გახდა. ჭაბუკობის ამ დილასხისოვარ თანამგზავრზე წერს პოეტი:

„სიკაბუეკე, ისე როგორ მოვიგონებ  
 არ გადიდოთ ერთად შენ და კომკავშირი.  
 მინდა შეგხვდე იმ ჭაბუკებს, იმ გოგონებს,  
 ერთი გზით რომ მივდიოდით  
 მკერდავშლილი“.

პოეტმა ხ. ბერულავამ ახალგაზრდობისა და კომკავშირის თემას ლექსების გარდა მთელი პოემა უძღვნა. „რუსული გული“ ქართულ პოეზიაში აღიარებულია ერთ-ერთი საუკეთესო ეპიურ ქმნილებად. შინაგანი დრამატიზმი და მოვლენების მძაფრ სფეროში განვითარება საინტერესოს ხდის ნაწარმოებს. ამ პოემაში პოეტმა დავიწყობა მთელი რაზმი მომავალი ქართველი მეფეობადებისა, რომლებმაც პირველი წერითა რუსეთის მეტალურგიულ ქარხანაში მიიღეს. პოეტი უმღერის მეგობრობას, შრომას, სიყვარულს, სიკაბუეკს. პოემის გმირები—ივანე თელია, არჩილ შალამბერიძე, გოგია კობალიანი, ვასილ ბეტრევი, გური მესხია, ვოვა კოვალიოვი, მაშა ფროლოვა—საბჭოთა ახალგაზრდობის საუკეთესო წარმომადგენლები არიან. ისინი ყოველგვარ სიმწვანეს სძლევენ და დასახულ მიზანს მაინც აღწევენ. სიყვარულითაა დახატული პოემაში ძველი მუშა ივანე ფროლოვი. ქართველი ჭაბუკი რუსი მეგობრების ყოველდღიური მზრუნველობის ქვეშ არიან. მეგობრობის ეს უმწიკვლო გრძნობა ალაპარაკებს ივანე თელიას: „უთუღდ შესძლებს, ვეღაფერს შესძლებს, ვისაც ასეთი ძმა ეყოლება... მწამს: რუსი კაცის პატარა გული დედამიწაზე უფრო დიდია, მან გამინათა ახალგაზრდობა და სიძნელესთან მასწავლა ბრძოლა“. ეს სიტყვები სრული კანონზომიერებით ეღერს და მკითხველს სჭერა — წრფელი გულით არის ნათქვამი. ასევე აღსანიშნავია ხ. ბერულავის ლექსები „ამხანაგო მიშაკოვ, ძმაო შალამბერიძე“, „მო-

მღერალ გოგონას“, „ახალგაზრდობა“, „უცნობ ქალიშვილს“ და ბალადა — „სიმღერა ჯარისკაცის შვილზე“.

„ო, ვინ ჩამოსთვლის თქვენს გამარჯვებას, ათი ვთქვა გულში ასი დარჩება... სადაც ფეხს დასდგამთ, ქვეც აყავდებო და გვაღვისსაგან ვადამწვარ ველებს ნავადუღის ხმა ამეტყველებს“ — ამბობს პოეტი ი. ნონეშვილი ლექსში „ახალგაზრდობა“. ამ ლექსში საუკეთესოა და წარმოსახული სამშობლო, ქალ-ვაიების ფიქრი და ოცნება, მათი საქმეები. მრავალმა პოეტმა უმღერა ზოია კოსმოდეშვიანის თავეადებას. ამ პატარა რუსი გოგონას გმირობამ თურქეთის საზღვრებში ვადალახა და ნაზიმ ჰიქმეთთან, ციხის დახვრულ კარებშიც შეაღწია. შეადრწია და პოეტს კალამი ააღებინა ხელში. ჰიქმეთის „ზოია“ ოდაა ტანის უკვდავებაზე. ი. ნონეშვილი ბალადაში „სიმღერა ზოია კოსმოდეშვიანისაზე“ ზოიას წარმოვადგენს, როგორც ტიპურ წარმომადგენელს საბჭოთა ახალგაზრდობისა. თვით ბალადა ისე მიედინება, რომ მკითხველი მძაფრად განიცდის გოგონას ხედვას. კითხულობ ამ ბალადას და გჯერა—არ მომკვდარა ზოია, იგი ცოცხალია და თავისი თვალთ იხილა გამარჯვების სიხარული. დღეს ყოველ ფეხის ნახაზე ხედები მას, ვოლგორადისა და კუბინევის, ირკუტსკისა და ბრატსკის ჰესების მშენებლობაზე, ფაბრიკისა და ქარხნებში, ყამირსა და საყოლმეურნეო ფერმებში, უნივერსიტეტსა და სამეცნიერო დაწესებულებებში. თვით გმირებიც, რომლებიც „მოდიან და ქუდს იხდიან“ ზოიას ხსოვნის წინაშე, გაკვირვებულ არიან მისი მამაკობით. ენით აუწყრელი გაჭირება გადაიტანა ამ გოგონამ და სიყვდილის წინ ყელზე მარყუქმობაზელმა მიახალა ფაშისტებს: „ჩემი ხალხი გაიმარჯვებს, თქვენ განადგურდებით“. ასეთი პატრიოტული სული და გაბედულება ჩვილმეტი წლის ზოიას კომკავშირმა და საბჭოთა სინამდვილემ ჩაუნერგა.

უდიდესი პოპულარობა მოიპოვა ი. ნონეშვილის პოემამ „ამბავი ერთი ქალიშვილისა“, იგი მიმდევრობა ყირიმის კომკავშირულ პატრიოტიზმსადაც, რომლებიც სიცოცხლესაც არ იშურებდნენ სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. პოემის ცენტრში დგას ზოია რუხაია, რომლის ბიოგრაფია ტრაპიზის საბჭოთა ახალგაზრდობისათვის. ასევე კარგია ი. ნონეშვილის სხვა ლექსები ახალგაზრდობაზე, როგორცია „კრასნოდონელი გმირები“, „ულიანა ბაბინა“ და მთელი ციკლი ლექსებისა „ყაზახეთის ველებზე“.

როცა ტანის უკვდავებაზე ჩამოვარდება

**ალექსანდრე კოპკინი**  
 უმღერინან სიზაზუპას — სიციცხლისა და სიკვარაშლის დღესასწაულს



ალტო შენგელია მოვიდა პოეზიაში, როგორც კომპაგვირული. მისმა პირველმა ლექსებმა მყისვე მიიპყრო მწერალთა და ლიტერატურული საზოგადოების ყურადღება. ამის მიზეზი იყო ლექსის წერის ორიგინალური მანერა და მოჭარბებული ლირიული სილამდე. დღეს დაეკავებოდა პოეტი ქართულ მოწინავე პოეტებს შორის დგას. მან მრავალი ლექსი უძღვნა ახალგაზრდობას, კომპაგვირის, „კომპაგვირის სიმღერა — ახალგაზრდა გულთა თართლვა“, — ამბობს პოეტი. ყველა ძველი კომპაგვირელის გულისთვის გამოხატავს პოეტი, როცა ლექსში — „ჩვენი კომპაგვირი“ ამბობს:

„ყრმობის დღეთა ტბილი დედა  
და მეგზური ჩემი ბედის,  
ვაეკაცობის ვაზაფხული,  
ჩვენთა ფიჭოთა შემოქმედი“.

საინტერესოა ლექსები „პირველი კრების გახსენება“, „მოთხრობა ერთ ჰაბუჯზე“. ცალკე უნდა აღინიშნოს „სიმღერა სამგორელ ქალ-გულასა“. ამ ლექსში პოეტი ხატავს მომავალი სამგორელი დიასახლისის სახეს, რომელიც შრომობს გამწარებული და ვაგვიანებული მიწის აყვავებისათვის. ამ ქალღმერთის მიზანია „ახაროს ვაზი, ხეხილი, ბაღავი ჩქეფდეს მთების გულიდან“ და სამგორული პური-თა და ღვინით მოაღვინოს ქარს მომდგარი სტუმარი.

„ჩვენი დიდი პარტიის მძლე დროშის ქვეშ დარაზმულს საღამი და დიდება მებრძოლ ახალგაზრდობას“, — მიმართავს პოეტი კ. ბობოხიძე საქართველოს ახალგაზრდობის ავანგარდს ჩვენი რესპუბლიკის ქალ-ვაგვიანების საგმირო საქმეებს ბრძოლასა და შრომადში. იგი ამბობს, რომ „დიდი ლენინის მძლავრ გვარდიას და პარტიის გამოზრდილებს“ არ აწინებთ სიმნელენი, რომლებიც მათ შეხედება კომუნისტების მშენებლობის გზაზე. ასევე აღსანიშნავია „სიმღერა კომპაგვირისა“, „ოქტომის კომპაგვირისა“, „კომპაგვირულ გოგონას“. კ. ბობოხიძე პოეტთა იმ თაობას ეუფენის, რომელმაც პირველი ნათლობა მიიღო ვაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ ფურცლებზე. ანდრო თევზაძის თქმით, სახელი კომპაგვირი თვით ლექსია, „იგი ძალაა მტერთა გამსრესი, იგი გმირია გასაკვირველი“, რომელმაც „ასახელა დღდა სამშობლო შრომის და ბრძოლის მავალითებით“. პოეტს სჯერა, თუკი საქორი გაბნა, კომპაგვირი „მტერთა დაუხვდება, როგორც კანკა, და მკვეთება, როგორც ვასტელი“.

სამამულო ომის ფრონტზე გმირულად იბრძოდნენ და სამშობლოსათვის მამაცთა სიკვდილით დაეცნენ დიდი მომავლის მქონე ახალგაზრდა პოეტები ს. ისიანი, მ. გელოვანი, ვ.

უბილაკი, ს. ცენტი. ამ პოეტების მიერ ფრონტზე დაწერილი ლექსები გამსჭვალულია მებრძოლი ოპტიმიზმითა და პატრიოტიზმის ღრმა პათოსით. ზოგი მათგანი ფრონტზე მოხალსდებ და კომპაგვირელის ბილეთით წავიდა, მაგრამ დაიღუპა, როგორც კომუნისტი და გმირი.

ს. ისიანი ფრონტზე ომის დაწყების პირველი დღიდანვე წავიდა. იგი ბატარეის კომისარია. მტრისადმი უსასღერო სიძულელი და გამარჯვების სხივი ანთა პოეტის მიერ ფრონტზე დაწერილი ლექსებში, ხოლო ომამდე ს. ისიანმა ცნობილ მფრინველ ევალგოსკის პირით თქვა: „დაე, სამშობლოს მსხვერპლი მიწოდონ, მეტი არ მინდა ქვეყნად სახელი“.

„თუ მტერმა დამცეს ხმაღაბასრულმა,  
დარდს ნუ მოიხვევთ ღრუბლის გუნდებდა-  
რა ვუყოთ, ოში ბევრი წასულა,  
მაგრამ ყველა ხომ ვერ დაბრუნდება“.

ამ ლექსით პოეტმა გამოხატა ყველა შინმოსეველის სათქმელი. „ყველაფერს ვხედავ“ — ასე ეწოდება 1942 წლით დათარიღებულ ერთ ლექსს. დიახ, ყველაფერს ხედავს ს. ისიანი, წინდაწინ ჰერეტს მომავალ ვაზაფხულს — ცხრა მაისის მზით გაცისკრებულ სამშობლოს დღას, სიხარულსა და აღმადგრენას. 1943 წლის მარტის ბურჟუიან დღეს ბრიანკის ფრონტზე დაეცა 30 წლის ს. ისიანი, რომელსაც „ველარ მოესწრო გამოხაფხული, ზეცის ამგვარი გამოდარება“.

ის, რაც ვთქვით ს. ისიანზე, თამადა შეიძლება ითქვას მ. გელოვანისა და ვ. უბილაკის მიმართ. პირველის ლირიული პოემა „შეგნაბადა“ და მეორის „ტობავარჩილი“ — მიძღვნილია ახალგაზრდობისადმი, „შენაბდას“ მთავარი გმირია ბორის ძნელაძე.

ომგადახდილი პოეტის შ. ამისულაშვილის შემოქმედებაში ფართო ადგილი უჭირავს ახალგაზრდობის თემას, ბრძოლის გრძელ გზაზე პოეტმა ნახა წარუმატებლობის მწარე დღეები და გამარჯვების სიხარული. მან მრავალი ლექსი უძღვნა ამ თემას. კომპაგვირულ პოეტს სწამს, რომ დადგება დრო, „დაყურდება რაინა და ცეცხლი... ხანძრის ნაკვალევს ჭვილიების სიმწვანე შესცვლის“. და თავად თუ ველარ შეესწრო „საუქუო გამოდარებას, დე, გამძლეობა სცადონ მაშინ ჩემმა პუკარებმა, მინც სიკვდილი მეყოლება დამარცხებულში“, — ამბობს პოეტი. „ორი ობელისკი“ ერთ-ერთი შესანიშნავი ლექსია არა მარტო შ. ამისულაშვილის შემოქმედებაში, არამედ ქართულ

**ალექსანდრე კოკაია**  
უმღერინან სიხაბაშკას — სიცოცხლისა და სიყვარულის დღმასწავლს



პოეზიაში, გულწრფელი პათოსი და დრამატიზმი, იღუპილი სევდა და ოპტიმიზმი ისეა შეხამებული ფაქიზ ლირიკასთან, რომ მკითხველს გულთან მიაქვს ძმის დაღუპვით გამოწვეული გულისტკივილი პოეტისა. პირად და კონკრეტულ განცდებზე დაწერილი ეს ლექსი განსოგადებულია და მამაცთა სიკვდილით დაღუპული ყველა მეომრის სადიდებელ ჰიმნად გაისმის. მეტად საინტერესოა პოემა „გაფანტული ბურუსი, რომელშიც ასახულია ომის შემდგომ დროინდელი სოფელი, მისი ახალგაზრდობა. ახალგაზრდა მწყემსების ცხოვრებას ეხება პოეტის მეორე პოემა „გომეწრის ხეობა“.

ომის ძნელი და გრძელი გზა—კავკასიის კარებიდან ბერლინამდე—გაიარა ოცი წლის ჰაბუქმა თ. ჯანგულაშვილმა. მან ლექსების წერა ომამდე დაიწყო და კიდევ გამოაქვეყნა ორი-ოდე ლექსი, მაგრამ მისი, როგორც პოეტის ბიოგრაფია იწყება ომის შემდგომ წლებშიც, როცა ე. გორგანელთან, ო. ჰელიძესთან და მ. ლებანიძესთან ერთად გამოსცა ლიტერატურული კრებული „სალაშურები“. ლექსში „ლენინურ კომკავშირის“ პოეტი ორიგინალური კუთხით ასახავს ახალგაზრდობის ამ ორგანიზაციის დიდებას. კომკავშირი ოცი წლისა იყო, როცა თხუთმეტი წლის ყმაწვილმა მისი კარები შეაღო. „შენს ფრთებქვეშ წამოვიზარდე, ფრთები გავეშალე ლაღადა... თუ შენთვის თავს არ გაეწირავთ, სიცოცხლე გვინდა რაღადა... შენ შეგვაყვარე სიცოცხლე—ღმილი სიჭაბუკისა, შენ შეგვაყვარე სამშობლო—ელვა სიცოცხლის შუქისა... შენ გლოცავ, გმირო ლენინის გვარისა“, — მიმართავს პოეტი კომკავშირს. ამ მხრივ არანაკლებ საინტერესოა პოეტის მეორე ლექსი „მოღის ახალგაზრდობა“.

ომის წლებში კავკასიის ფრონტის გაზეთ „მებრძოლში“ გამოქვეყნდა მ. ლებანიძის ლექსი „მეომრის ქული“, რომლის სიუჟეტი მეტად დამაფიქრებელი და დრამატულია. ამ ლექსმა საყოველთაო ყურადღება მიიქცია. აღსანიშნავია პოეტის ფრონტზე დაწერილი ლექსები. ფრონტის გზაზე ნანახი ცოცხალი სურათები ისე მიმზიდველად აქვს აღწერილი პოეტს, რომ რწმუნდები — მას უშუალოდ ზანუცდია და თავისი თვალით უნახავს ყოველი-

ვე. კარგია ლექსები „ტაჯიბეი ტაჯეტი“, „ბალადა სოფლის ექიმზე“, „ვარაზის სტუდენტობა“. ამ უკანასკნელში კარგად არის გადმოცემული განცდები სტუდენტობისა, რომელმაც პირველად შეაღო უნივერსიტეტის ფართო კარები.

ცალკე უნდა აღინიშნოს ოთარ ჰელიძის ლირიკა. პოეტი ნიქსა და უნარს არ იშურებს საბჭოთა ახალგაზრდის სრულყოფილი წარმოსახვისათვის. ამის მკაფიო მაგალითია პოემა „ქიტესა“. „ქიტესა“ ვულიდან მომდინარე სიმღერაა ომგადახდილ ჯარისკაცზე, რომელიც სიძნელეებს არ უშინდება, პირიქით, ეძებს მათ და სძლევს კიდევ. ქიტესა ქვათაძე საბჭოთა ახალგაზრდობის წარუშლელი სახე და ტიპური წარმომადგენელია. „ქიტესა“ ოთ. ჰელიძის დიდი, პოეტური გამარჯვებაა.

აღ. აბაშელმა რამდენიმე მაღალმხატვრული ლექსი მიუძღვნა მომავალ თაობას. მათ შორის აღსანიშნავია „მუღმივი გაზაფხული“, „იციო ბრძოლა გმირული“, „ფრთები“, „ჩვენს უბანში“, „ჩვენი ქვეყნის არწივებს“. „როგორ უხდება მზიან გაზაფხულს ატმის და ნუშის აყვავილება... ისე ზეიმობს მუღმივი გაზაფხულს ახალგაზრდობა კომკავშირული“. პოეტი მარად მოკავშივე მზეს ადარებს ჩვენი ქვეყნის ქალგაყვებს.

კომკავშირის ოცდაათი წლის თავზე პოეტი წერს ლექსს „ახალგაზრდებო, საღამო თქვენდა“. პოეტს ხამართლიანად მიაჩნია ახალგაზრდობა კომუნისტების მშენებელ მთავარ ძალად:

„ახალგაზრდებო! ეს ხომ თქვენა ხართ, ეს ხომ ფეთქება თქვენი გულისა! თქვენ ჩვენი ქვეყნის აღმაფრენა ხართ, ლალი სიმღერა გაზაფხულისა... ბრძოლის საყვირის ხმაზე მოხვედით, მკერა, ჩვენს დიდ გზას რომ არ ასცდებით, და ძველ თაობას, სახელმოხვეცილს, თქვენ ღირსეულად შეენაცვლებით“.

მართლაც, კომკავშირმა თავის რიგებში აღზარდა ასიათასობით საუკეთესო მშრომელი, რომლებიც მტკიცედ ადგანან პარტიის მიერ დასახულ გზას — კომუნისტური საზოგადოების აშენების გზას.





# ყოვლად ზამთარი

1

სახლი, სადაც ოთახი ვიჭირავე, ორსართულიანი იყო. ფანჯარა მეორე სართულიდან ქუჩას გადაპყურებდა. ოთახში ერთი რკინის საწოლი, ერთი მუშამბაგადაფარებული სასადილო მაგიდა და ორიც წაბლისფერი სკამი იდგა.

სახლის პატრონი ლექსო, ერთი კაფანდარა ბერიკაცი იყო. მისი შვილი შოფრად მუშაობდა კოლმეურნეობაში — ვანო ერქვა;

პირველად რომ მოვედი აქ და ოთახი ვთხოვე, ლექსომ ამხედ-დამხედა და მითხრა:

— ოთახი კი მაქვს, მაგრამ, რა ვიცი, როგორი ბიჭი ხარ?

გამეცინა:

— აბა, თავის ქებას ხომ არ დავიწყებ, ძია კაცო; თუ კარგი მასპინძელი იქნება, მეც...

ლექსომაც გაიცინა:

— წამო, შვილო, ნახე, თუ მოგეწონება — დადექ, თუ არადა, შენ იცი, — მითხრა ბოლოს.

სახლი სოფლის შუაფულში იდგა. იქაურობა ისე იყო ხეხილით დაბურული, კაცი ბევრს ვერაფერს დაინახავდა, მხოლოდ დაღესტნის მთები ჩანდა აღმოსავლეთით. კოლმეურნეობის კანტორა ხუთასიოდე მეტრით იყო დაშორებული. კანტორის წინ გრძელი საწყობები იდგა. მათ უკან ავტომანქანების გარაჟი მოეთავსებინათ, იქედან დილასადამოთი ძრავების გუგუნი მოისმოდა. იქვე იყო ელექტროწისქვილი, სამხერხაო და სხვა სახელოსნოები.



დილით ყოველთვის ადრე მივდიოდი კანტორაში. ეზოში ნაბდისქუდიანი გლეხები იდგნენ: გარაჟიდან გამოსულ მანქანას ელოდნენ მინდვრებში წასასვლელად. ხელები და სახე მზისაგან ჰქონდათ დაწითლებული. ყველანი ერთდროულად მესალმებოდნენ, თუმცა ბევრს ჯერ კიდევ არ ვიცნობდი.

მეორე სართულზე ავიდიოდი. აქ ბულალტერია იყო, ოთახში ქალაღის სუნი ტრიალებდა. ფანჯრებს ვაღებდი და სამუშაო მაგიდასთან ვჯდებოდი. ჩემს შემდეგ ილიკო მოდიოდა. დერეფანში ფეხის ხმას რომ გავიგონებდი, ვიცოდი, ილიკო იყო, ჩვენი მაგიდები ისე ახლოს იდგა, თითქმის ერთმანეთს ეხებოდა. თუ რაიმე დაგვჭირდებოდა, ფეხზე აუღდგომლად გადავწოდებდით ხოლმე ერთმანეთს.

ჩვენს პირდაპირ მთავარი ბულალტერი იჯდა. ხნიერი კაცი იყო, ზედმეტი ჯდომისაგან თეძოები დამახინჯებოდა და სიარულის დროს ოდნავ კოჭლობდა კიდევ.

კვირა დღე იყო, შინ ვიყავი და წვერს ვიპარსავდი.

ვილაცამ კარზე დააკაკუნა.

— მობრძანდით!

კარი გაიღო და ოთახში ბეგლარი შემოვიდა.

— გამარჯობა! — მომესალმა.

— გავიმარჯოს!

— დღეს არ გამოჩენილხარ, რა მოხდა?

— ეს-ესაა, ავდექი.

— ოჰო! — გაივირვა და საათს დახედა, — უკვე თერთმეტი საათია?!

— ათზე ავდექი.

ბეგლარმა მაგიდასთან მიდგმული სკამი გამოსწია და დაჯდა. ხელში სიგარეტი უბოლავდა.

— დღეს არაფერს დალევდი? — მკითხა ღმილით და თან სიგარეტი მოქაჩა.

— თუკი რამე იქნება...

— რატომაც არ იქნება, ცეცხლივით ღვინო მაჭვს!

— ის ღვინო სხვა დროისთვის იყოს.

გუშინ პირველი ხელფასი ავიღე, უნდა დაეხარჯო?

— ის ღვინო ესლა დავლიოთ, ეგ ფული სხვა დროისთვის დაგვჭირდება.

— დამეხარჯება...

— თუ გინდა ახლავე გადადე ცალკე — კარგი.

ბეგლარი ჩამოსვლისთანავე გავიცანი, ლექსოს მეზობლად ცხოვრობდა. უშამოდ გაზრდილი ბიჭი იყო და კარგად იცოდა ცხოვრების ფასი. ერთი წლის წინათ დაემთავრებინა უნივერსიტეტი და თავის სოფელში დაბრუნებულიყო. სკოლაში ბიოლოგიის მასწავლებლად მუშაობდა. ჩვენ ახლა უკვე ერთი თვის ნაცნობები ვიყავით.

მე პირი დავიბანე და ხალათი გადავიცივი. შუა ივნისი იყო და გვარიანად ცხელოდა.

— ცოტა ხორცი დაგვჭირდება, — თქვა ბეგლარმა, — ბაზარში ჩავიაროთ. იქნებ რამე იყოს.

კვირაობით სოფლის ბოლოს ბაზრობა იმართებოდა. მეზობელი სოფლებიდანაც აქ მოდიოდნენ. იქვე კახეთის გზატკეცილი გადიოდა და მგზავრები ხილს, ქათამს და კვერცხს ყიდულობდნენ.

კანტორის გვერდზე ასფალტიან გზას გავყევით ბაზრამდე.

— აგერ, კახიცი აქ ყოფილა, — თქვა ბეგლარმა.

კახი ფიზკულტურის მასწავლებელი იყო. მეზობელ სოფელში ცხოვრობდა, სკოლაში მოტოციკლეტით დადიოდა.

— კახი! — დაუძახა ბეგლარმა.

კახი მოტოციკლეტს ქოქავდა. მოიხედა, დაგვინახა და გავვიღიმა.

— შენთან მოვიდიოდი, — უთხრა ბეგლარს, — ხვალ კომკავშირის რაიკომში ხარ დაბარებული.

— რაზე?

— არ ვიცი, გუშინ მდივანი შეგხვდა, ორშაბათს აუცილებლად ჩამოვიდესო.

— კარგი, ჩავალ, ახლა სად მიდიხარ?

— თელავში... ცოტა საქმე მაჭვს.

კახიმ მოტოციკლეტი დაქოქა, მობრუნდა, მერე ზედ გადააღაჯა და დაჯდა.

— ამ ზაფხულს საით აპირებ? — შეკითხა ბეგლარი.

— შეიძლება მათელშეთში ავიდე.

— ჰო, იქ გირჩენია, დათვებზეც ინადირებ, — გაიციხა ბეგლარმა.

კახიმ გაზი მოუმატა და უფრო აახმაურა მოტოციკლეტი. ეს თითქოს იმის ნიშანი იყო, მეჩქარება, მალე უნდა წავიდეო.

— ჩემი სადღეგრძელო დალიეთ!

— მართო სადღეგრძელო არ გიშველის, — ვუთხარი.

კახიმ ლიმილით მოგვხედა და მოტოციკლეტი დაძრა.

— კარგად, ბიჭებო! — ხელი ასწია.

— კარგად!

კახი წავიდა. ჩვენ დახლებსაკენ გავემართეთ. ყველგან ხილი და მწვანელი ელაგა. ღვინოც იყო გადმოდგმული ორძირებითა! და ტიყებით. ბოძზე გატყავებული ცხვარი ეკიდა.

— აბა, ერთი კარგი ნაჭერი აგვირჩიე, — უთხრა ბეგლარმა ნაბდისქუდიან თუშს, ხელები ქონით რომ ჰქონდა დაპოხილი.

თუშმა ბარკალს ჩამოაჭრა. ჩამონაჭერზე ძარღვში დარჩენილი სისხლის ცუარი ჩამოვორდა.

ხორცი აგვიწონა. ფული გადავიხადეთ და გამოვბრუნდით.

ასფალტი რომ გადმოვჭყორით, ბეგლარს ვილაც ხნიერი კაცი შეხვდა. ცოტა ხანს მასთან შეეჩერდით. ისტორიის მასწავლებელიაო, გამაცნო.

იოსები ერქვა.

იოსებმა ბაზარში შეუხვია. ჩვენ კი შინ წავედით.

— გამარჯობა, კატო დეიდა! — მივესალმე ბეგლარის დედას.

— გავიმარჯოს, შვილო, როგორა ხარ? — მითხრა და წინსაფარზე ხელები შეიმშრალა.

— არა მიშავს, კატო დეიდა, ვეჩვევი სოფლის ცხოვრებას. თქვენ როგორ ბრძანდებით?

— კარგად, შვილო, გმადლობთ.

ბეგლარის დედა ჯაფისაგან ნაადრევად დაბერებული ქალი იყო. თმა ერთიანად გათეთრებოდა, სახე დანაოჭებოდა.

— დედაჩემო, ბაღში გავვიშალო, — უთხრა ბეგლარმა.

— ახლავე, შვილო, ცოტა ხანი მომითმინეთ...

ბეგლარმა ქადრაკი გამოიტანა. აივანზე დაესხედით.

— ამას კი სიამოვნებით ვითამაშებ, — ეთქვი მე, — ვანომ ნარდის თამაშით შემეიკლა.

— ნარდს ვერ ვითამაშობ, შემზიზილა, — მითხრა ბეგლარმა.

თითო პარტია ვითამაშეთ, მერე ბაღში გავედით და სუფრას მივუჯექით. მთელი დღე ვსვამდით. ვამბობდით სადღეგრძელოებს და ვსვამდით. მართლაც კარგი ღვინო იყო.

სალამოხანზე ავდექით. ბეგლარს დავემშვიდობე და ჩემი ოთახისაკენ წავედით. გზას ვხედავდი, მეტს არაფერს. ეზოში ლექსო შემხვდა.

— ლექსო ძია, მთვრალი ვარ... მთვრალი!

— მერე რა, შვილო, — მითხრა ლექსომ დინჯად, — ღმერთმა შეგარგოს!

2.

მეორე დღით გვიან ავდექი. კანტორის ეზოში რომ მივედი, აღარავინ იყო. გლეხები უკვე წასულიყვნენ. დერეფანში ხალხი ხმაურობდა. ზოგი შედიოდა თავმჯდომარის კაბინეტში, ზოგი გამოდიოდა. აგრონომები, ზოოტექნიკოსები, ფერმის გამგეები და ბრივადირები იყვნენ. ყოველ დილა-საღამოს დაინახავდით აქ, მერე გაიკრიფებოდნენ და კანტორაში თავმჯდომარის მოადგილე მალხაზი, მდივანი, ბუღალტერიის მუშაკები და მე ვრჩებოდით. თავმჯდომარეც მიდიოდა მინდორში თუ ფერმებში და დღის ბოლოს ბრუნდებოდა.

— გუშინდელი ნაქეიფარი ჩანხარ, — მითხრა ილციომ.

ალმასი წიკლაური  
უთოვლო ზამთარი

1 ორძირა — ხის პატარა კასრი.





— ჰო, რაზე შემატყეთ?

— სახე გაქვს შესიებული.

უჯრა გამოვწიე და ფორმები ამოვალაგე. იმდენი სამუშაო მქონდა, შუადღემდე მეყოფოდა. მერე ალბათ კიდევ რალაც გამოჩნდებოდა... თუ არადა, ფერმებში წავიდოდი.

ოთხი საათი ისე გავიდა, თავი არ ამიღია. სამუშაო მართლაც მეყო შესვენებამდე. შედგენილი ფორმები მდივანს შევუტანე, თავმჯდომარეს ხელი მოაწერიინე-მეთქი.

შესვენებაზე ყველანი შინ მიდიოდნენ. კანტორაში მართო ილიკო რჩებოდა. შორს ცხოვრობდა და დილით გამოიყოლებდა ხოლმე სადილს, ან შესვენების დროს პატარა ბიჭი მოუტანდა ცხელ კერძს.

მე სასადილოში ვსადილობდი. გემრიელ კერძებს ამზადებდნენ.

კანტორიდან გამოვედი და კახეთის გზაზე გავედი. სასადილოც იქვე იყო; ძირითადად მგზავრებს ემსახურებოდა.

სასადილოში შევედი. ჩართული მაცივარი გრიალებდა. მებუფეტე მიტოპურს ჭრიდა დახლზე.

კართან ახლოს ვიღაც მთვრალი კაცი მიჯდომოდა მაგიდას და კბილებს აკრაჭუნებდა.

— წადი შინ, მთვრალი ხარ, — უთხრა მიტომ.

— უპ, — აღმოხდა მთვრალს, უფრო გააკრაჭუნა კბილები და მუშტი მაგიდაზე დაარტყა.

— წადი ახლა, გესმის?! — დაუყვირა.

მთვრალი წამოდგა და ბურტყუნით გავიდა.

— შენი სისხლი დაიქცა! — მიამახაძიტომ.

— ვინ არის ეგ კაცი? — შეიკეკაახე.

— ლოთია. აი, ზევითა ცხოვრობს. ხელ-ფეხი და ჯანი არ აკლია. შრომაკი ეზარება.

„ოფლისმღერელი და დიდი სინდი-

სის პატრონი არც შენ მყავს, არც გავიფიქრე.

— ბორჯომი ხომ არა გაქვს?

— არა, ბორჯომს ჩვენთას რა უნდაცივი ლიმონათი მაქვს.

— შოიტა, საჭმელი რა გაქვთ?

მიტომ კერძები ჩამოთვალა.

— ბულამა გამოწერე და სალათაც მომიტანე ძმრით.

მიტომ ჩეკი გამოწერა. მე საშხარეულოდან კერძი ავიღე. ლიმონათი, პური და სალათა მიტომ მომიტანა, იგი მებუფეტეც იყო და ოფიციალტიც.

ვვამდი და თან ფანჯარაში ვიყურებოდი... სასადილოს წინ ავტობუსი გაჩერდა. ბეგლარი ჩამოვიდა. საჭმელს თავდავანებე და კარისკენ წავედი. დაუძახებე. ბეგლარი გაცინებული წამოვიდა ჩემკენ, ეტყობოდა, კმაყოფილი იყო რადაციო.

— რაო, რა მოხდა? — კვითზე და მაგიდასთან დავსხედით.

— პიონერთა ბანაკში ძგზავნიას.

— ბიჭოს, საით?!

— შუაშთაში.

— ძალიან კარგია! — ძოვუწონე, — დაისვენებ და ჰაერსაც გამოიცვლი. ხელფასიც ხომ გექნება?

— რა თქმა უნდა... ძაგრამ ხელფასის დარდი სულაც არა მქვს. მთავარია, ამ სიცხეს დავეშალო საღმე.

— აწყობილა შენი საქმე და ეგ არის. როდის მიდიხარ?

— ხვალ.

ძალიან კმაყოფილი იყო, მეც გამხებარდა.

— შექამე რამე, საჭმელს მოვატანინებ, — ვუთხარია.

— ეხლა-ღა ვისადილე რაიონში:

ვისადილე, ფული გადავიხადე და გამოვედით.

— შენ კი ჩაიხრუტევი ამ სიცხეში, — სინანულით მითხრა ბეგლარმა.

— რას იზამ!..

მე გარაჟისკენ ჩავუხვიე — იქნებ მანქანა იყოს რამე და ფერმებში წავიდემეთქი, ბეგლარი კი შინსაკენ გაუდგავს.

გარაჟში სამი მანქანა იყო დარჩენილი. ზამთარა მანქანის ქვეშ შემძვრალი იყო და ხრახნს უშვებდა თუ უჭერდა ქანჩის გასაღებით, ვერ გავიგე. სანდროს მანქანა ლომკრატზე შეეყენებინა და საბურავები მოეხსნა. ჟორას კაპოტი აეხადა და ხელებს მორტოთან აფათურებდა. მანქანა პირდაფენილს ჰგავდა.

რომ მივედი, ბიჭები ლაპარაკში იყვნენ გართულნი.

— შენ სულ მაგრე გულადმა გდება მოგიწევს მანქანის ქვეშ, — უთხრა ჟორამ ზამთარას.

— მერე რა ჩემი ბრალია!

— შენი ბრალი ის არის, რომ სიარული არ იცი.

ზამთარა მანქანის ქვეშიდან გამოძვრა და ქანჩის გასაღები გვერდზე მიადგო.

— სადაც კარგი გამომუშავება და კარგი რეისია, შენ ვიშვებენ; რაც ახალი მოგა გარაჟში — შენ გაძლევენ და, კიდეც ბევრს ლაპარაკობ?! ყველაფერში ხელს გიწყობს თავმჯდომარე. მეც რომ მაგრე..

— რატომაც არ უნდა შემიწყოს ხელი, — შეაწყვეტინა ჟორამ, — შეიდი შეილი მყავს; ოჯახში ცხრა სული ვართ. მარტო ერთ ყიდვავზე ცხრა წყვილი ფეხსაცმელი უნდა ვიყიდო! აბა, იანგარიშე, სად წავა, შე ბოთე, შენა!

— ნოე სად არის? — ვკითხე ჟორას. ნოე გარაჟის უფროსი იყო.

— არ არის აქ, „გუტაბში“ წავიდა ნაწილებისათვის. რად გინდა?

— მანქანა მინდოდა, ფერმებში ვარ წასასვლელი.

— მანქანები არ არის, მერაბ, გენაცვალე, — მითხრა ჟორამ, — მე ავე ყველაფერი მოხსნილი მაქვს. სანამ გავწმენდ და დავაყენებ, კიდეც დადამდება. ამ ბოთეს, — მიმითითა ზამთარაზე, — რედუქტორი აქვს ჩაშლილი. სანდროს კიდეც, შენც ხედავ... მიტე მანქანა არ არის, ყველა წასულია.

მე ისევ კანტორაში დავბრუნდი და საღამომდე საანგარიშო მანქანა ვაჩაზ-

ჩახე. ვერაფერი სახალისო იყო. მაგრამ რას გავაწყობდი!

### 3.

კვირას საუცხოო ამინდი დაიქირა, ვიფიქრე — თელავში წავალ, იქიდან ბეგლართანაც შევივლი შუამოიმი და საღამოს ისევ დავბრუნდები-მეთქი.

შთავარ გზატკეცილზე გავედი. დიდხანს ველოდე მანქანას — არც ერთი საბარგო არ გამოჩენილა. ავტობუსები ხალხით იყო სავსე და არ აჩერებდნენ. შოფერი ხელებს გაშლიდა და მხრებს აწურავდა, მანიშნებდა, რა ვქნა, ადგილი არა მაქვსო. მსუბუქი ავტომანქანების მძღოლები ჩემკენ არც კი იყურებოდნენ.

თანდათან მგზავრობის ხალისი მეკარგებოდა. მერე წასვლაც გადავიფიქრე.

ერთხანს ვიწრიალე ოთახში, წიგნის კითხვაც დავაპირე, მაგრამ ვული ვეო დაუფლე. ზაფხულის მზიანი დღე იყო და სადმე გარეთ ყოფნა მინდოდა.

გადავწყვიტე, სოფელს მაინც გავცელოდი. ქუჩას გავყევი და სოფლის ბოლოს ამოვეყვი თავი. მერე ტყისკენ მიმავალ ბილიკს დავადექი, დღეზე გადავედი. დღეში ბუერას ფოთოლი მოვწყვიტე, ნაპირები შემოვუყარე და ჯამივით გავაკეთე. სმისას ბუერას სუნის მცემდა და ძალიან მსიამოვნებდა.

ტყე-ველიანში ავედი. გაზეთი ბალახზე დავფინე და ჩრდილში წამოვწყეჩი. ალაზნის ქალას მჭრქალი ბურუსი დასდებოდა და გარკვევით არაფერი ხანდა. დადესტნის უთოვლო მწვერვლებს შაბიამნის ფერი ელო.

სამხრეთიდან ორი რეაქტიული თვითმფრინავი გამოჩნდა წყვილად. თვითმფრინავები ისე ძალდა იყვებენ, ხმაც კი არ ისმოდა. თეთრ ვერცხლისფერ წერტილებად მოსჩანდნენ და გამალყიას მიიწვედნენ წინ.

მოწაფეობის დროს საავიაციო კლუბში დავდიოდი: პარაშუტისტობას ვსწა-

ალექსი წიკლაური

უთოვლო ზამთარი



ვლობდი და თან მფრინავობაზე ვოც-  
ნებობდი. კარგა ხანს ვსწავლობდი იმ  
კლუბში, მერე ქიდაობამ გაძიტაცა.  
ერთი წელი ვიარე და ორი ილეთიც ვერ  
ვისწავლე ხეირიანად. ოფლისაგან ამჟა-  
ვებულ დარბაზში რომ შევდიოდი, სუ-  
ლი მეხუთებოდა, სანამ შევეჩვეოდი.  
როცა შევატყე, ჩემგან არაფერი გამო-  
ვიდოდა, თავი დავანებე. ისე წამოვე-  
დი იქიდან, ჩემი საჭიდაო დაბალყელი-  
ანი წალებიც აღარ წამოძლია — ვარ-  
დერობში დავტოვე.

რას არ მოვეცილე ხელი, მაგრამ ცურ-  
ვის გარდა, წარმატება არაფერში მქო-  
ნია. ცურვაზე ჩვენი სკოლიდან ხუთნი  
დავდიოდით: ორი გოგო და სამი ბიჭი,  
ბოლოს მე და ლია შემოვრჩით. ლია  
პირველად ერთბეწო, გამხდარი გოგო  
იყო, მერე ერთბაშად აიყარა ტანი. გა-  
კვეთილების შემდეგ მივდიოდით ვარ-  
ჯიშზე. ჩვენი საცურაო აუზი ფიზკულ-  
ტურის პარკში იყო. სწრაფად ვიხდი-  
დი ტანსაცმელს და, როცა უკვე სახტომ  
კოშკურზე ვიყავი: ასული, ლია მაშინ  
გამოდიოდა გასახტელოდან. ძალიან  
უხნდებოდა წითელი კოსტუმი და ლურ-  
ჯი საცურაო ქუდი.

სამუალო რომ დავამთავრეთ, ლია  
იმავე წელს მოეწყო სამედიცინოზე.  
მე უნივერსიტეტში ვაბარებდი, მაგრამ  
ვერ მოვხვდი. ერთი წლის შემდეგ სა-  
სოფლოზე ჩავაბარე გამოცდები და ჩა-  
მრიცხეს კიდევ.

მზე გადაიხარა. წამოვდექი და ზევით  
შევუყევი ბილიკს. ტყიანში, მომადლო  
აღვიღზე, ციხის ნანგრევი დავლანდე და  
იქით წავედი.

ნანგრევს გარშემო შემოვუარე. ყო-  
რედან დიდი ჯოჯო გამოძვრა და ყელ-  
ყელობით უკან ამედევნა. მოვიხედა-  
ვდი, გავჩერდებოდი და ისიც გაჩერ-  
დებოდა თავაწეული. ვუყურებდი და  
ისიც მიყურებდა, თან ყელი უფეთქავ-  
და. ბოლოს ქვა ვესროლე და დავა-  
ფრთხე.

ნანგრევებზე ავედი და კედელ-კე-  
დელ გავეყევი, მერე კედლის თავზე  
ჩამოვჯექი და ფეხები დაბლა ჩავკიდე.

დიდხანს ვიჯექი ასე. ბოლოს ჩამოვე-  
დი და ტყეში ხეტიალს მივეყევი. ლორ-  
თქო ბალახი მუხლზე მწვდებოდა და  
ფეხებზე მეხვეოდა.

როცა დაბინდდა და ალაზნის ველ-  
ზე სიგარეტის ბოლივით ნაზი ნისლი  
ჩაწვა, მაშინლა წამოვედი სოფლისკენ.  
მივდიოდი და, თითქოს თან მომყე-  
ვებოდა ტყის სინედლე და სურნელება.

კლუბს ჩავუარე, ვიფიქრე, კინოში  
შევივლი-მეთქი, მაგრამ ძველი სურათი  
იყო და გულმა აღარ გამწია. სოფლის  
კლუბის იდილიამ და ძველმა სურათმა  
მოწყენილობა აღმიძრა რატომღაც.

ოთახში შუქი არ ამინთია. გაუხნელი  
წამოვწექი ლოგინზე და თვალები დავ-  
ხუტე.

მერაბი იწვა გულაღმა და ფიქრობ-  
და... არ უნდოდა წარსულის გახსენება,  
მაგრამ ფიქრი თავისთავად მოდიოდა.

ის სახლიც კი გაახსენდა, პირველად  
რომ ცხოვრობდნენ. ალაყაფის კართან,  
კედლის პირას ქუთრი ოზმანა ჯდებო-  
და ხშირად და ქარვის კრიალოსანს მა-  
რცეღავდა. ცალი თვალი დალიბრული  
ჰქონდა. „რატომა აქვს ძია ოზმანას  
ერთი თვალი თეთრი?“ — ეკითხებოდა  
ხშირად დედას.

მათი ქუჩა ფართო და ხმაურიანი იყო.  
მერაბი ხედავდა, როგორ ჩატარებდ-  
ნენ ხოლმე გერმანელ ტყვეებს ჯარის-  
კაცები. — სამუშაოზე მიჰყავდათ. მათ  
წელზე საღებავაცილი და დაჭყლეტი-  
ლი კარდალები ეკიდათ. გაახსენდა საა-  
ვადმყოფო, პალატა... დედა... დედა  
ღრმად და აჩქარებით სუნთქავდა.

მერე კუბო, პროცესია და სასაფ-  
ლაო... ამ უკანასკნელის გახსენება დიდ-  
ხანს სტანჯავდა.

მამა არ ახსოვდა მერაბს.  
ერთ-ერთ სურათში მამას დრაპის პა-  
ლტო აცვია, შლაპა ახურავს. ოდნავ  
ილიმება. დედა მარჯვნივ დგას, მამას-  
თვის მკლავში მკლავი გაუყრია და იცი-  
ნის... მამა ამ დროს უკვე იწყინებია...  
ეს სურათი ბაღშია გადაღებული. წამ-  
თარია. უკანა მხარეს ხეები მოჩანს. ნამ



გებს დათოვლილი ტოტები ძირსა აქვს დახრილი.

მეორე სურათი ფრონტიდანაა გამოგზავნილი. მამა ოფიცრის ტანსაცმელშია, ფეხზე დგას და ღურბინდით იყურება საღაც, წინ, იქვე დამტვრეული ყუთი ვდია და მის ირგვლივ ქვეშების დიდი ვაზნებია მიმოფანტული.

დედის სიკვდილის შემდეგ ერთ-ერთ შორეულ ნათესავთან, გიორგისთან იზრდებოდა. გიორგი ქარხანაში მუშაობდა ამწყობ ზეინკლად. ხელმოკლედ ცხოვრობდა. ცოლი და ორი შვილი ჰყავდა... ოჯახი ახლა ხუთი სულისაგან შედგებოდა და უფრო ძნელი გახდა რჩენა. გიორგი ხანდახან ორ ცვლაში მუშაობდა ზედიზედ.

მერე ცხოვრება ქარიშხალივით მოვარდა. ყველაფერი იცვლებოდა. თბილისში ძველ უბნებს ანგრევდნენ და მის ადგილას ახალ შენობებს დგამდნენ. ის სახლიც დაანგრირეს, საღაც ადრე დედა და მერაბი ცხოვრობდნენ.

#### 4

კახეთში ალოობა იენისის ბოლოს იწყება. ამ დროს კახელ გლეხს შინ ვერ ნახავ.

სოფლები ნახევრად ცარიელდება... დილით გასული თავმჯდომარეები საღამოთი, ბინდისას ბრუნდებიან კანტორაში.

მინდვრებში დილიდან ჩამოცხება ხოლმე, როცა მზე ჯერ კიდევ არაა ამოსული. შუადღისას ისეთი ხვატი დგება, რომ სუნთქვა გეკვრება და ასე გგონია, საღაც უჰაერო სივრცეში იმყოფები. გეჩვენება, თითქოს მზე დაბლა ჩამოდის და საცაა გამდნარი ფოლადივით ჩამოიდგრება. ამ დროს აღარც ჩრდილი გშველის და არც წყალი. ალაზანი ისეთი ჩუმი და ღუნე ხდება, სათქოს მასაც უჭირდეს დინება. ჰაერი კრთის და ცახცახებს. ოფლი დგარად ჩამოგდის, თითქოს დნებოდე, თვალეები ტკივილს გიწყებს და გულისრევას გრძნობ.

მესამე დღე იყო, რაც კომბაინები სამკალად გაიყვანეს. მეორე დღესვე

კანტორის დარაჯს, მოხუც ნიკოს გულმა აღარ მოუთმინა, მანქანას დაუჭრა და ყანებში წავიდა, — უნდა ვნახო, როგორი მოსავალიაო. საღამოთი კანტორის დერეფანში შექხვდა:

— როგორი ყანებია, ნიკო პაპა? ვკითხე.

— ჰო, ჰო! — გაიკვირვა, — იგეთია, რომა, ბურთი რომ შეაგლო ზედა, გავორდება.

— ხვალე უნდა წავიდე და ვნახო, — ვთქვი.

— ჰო, ჰო! რა არი, კაცო, რა არი! ოღონდაც წვიმა არ მოვიდეს და!..

გრძელი საწყობის კარი ყურთამდე იყო გაღებული. სავსე მანქანები მოგრილებდნენ, ხორბალს ცლიდნენ და კვლავ უკან მიდიოდნენ.

შესვენებამდე ვიმუშავე, მერე ილიკოს ვუთხარი, მივიღივარ-მეთქი და კანტორიდან გამოვედი.

საწყობთან მივედი და შიგ შევიხედე: კოლმეურნეები მანქანას ცლიდნენ. ისეთი მტვერი იდგა, ძლივს ჩანდა მანქანაც და აღამიანებიც.

მერე სასწორის ჩრდილს შევეფარე და დაველოდე, სანამ დაცლიდნენ. იქვე, პირდაპირ სამჭედლო იყო და იქიდან გრდემლის ძვარა-ძვური ისმოდა. გამიკვირდა, ამ სიციხეში ჰაჯო სამჭედლოში როგორ მუშაობს-მეთქი. გულმა აღარ მომითმინა და იქითკენ წავედი.

ჰაჯო ბოშა იყო. მჭედლად მუშაობდა და საღაც აქვე ჰქონდა სახლი სოფელში. ის კი არ ვიცოდი, საიდან, ან როგორ მოხვდა აქ. ეტყობოდა, დიდი ხანია საქართველოში ცხოვრობდა, ქართული კარგად იცოდა.

სამჭედლოში შევედი. ჰაჯომ ქურიდან ჩაყვითლებული რკინა მარწუხით გამოათრია და გრდემლზე დაავლო. მერე მოჰყვა ძვარაძვურს დიდი ჩაქუჩით და როცა რკინა გალურჯდა, ისევ უკან შეაბრუნა აალებულ ლადარში.

— ამ სიციხეში საბერველთან როგორ მუშაობ? — ვკითხე.

ალექსი წიკლაური  
უთოვლო ზამთარი



ჰაჯომ მარწუხი წყლიან გეჯაში ჩააყუდა, შუბლზე ჩამოფხატულ შავ კეპზე ხელი აიკრა და შემომხედდა:

— მაშ, რა ვქნა? სასწრაფოა, კომბანინებს ნაწილები უტყუდება!

მის სახეზე ოფლი და მური ერთმანეთში იყო არეული.

ერთ ხანს შევყურებდი. მერე სული შემეხუთა, გამოვედი და ისევ საწყობებისაკენ გავემართე. ვანოც მოსულ-ოყო: კაბინის კარი გამოვლო. გვერდზე ვადმოხრილიყო და მანქანა უკუსვლით შეჰყავდა საწყობში.

— მეც მოვდივარ, — ვუთხარი.

— წამო, რა...

— ისე, მაგარი სიცხეა ქვევით?

— ისრუტება ყველაფერი.

გლეხებმა მანქანიდანვე ჩამოაპირქვეყეს ტომრები და ცარიელები ისევ ძარაზე დაყარეს.

ვანომ ცარიელი მანქანა სასწოროზე შეაყენა, აწონა, მერე მეც ჩავჯექი კაბინაში და დავიძარი.

— ბარემ მამაჩემს საჰემელი გავუყოლიოთ, თორემ მშიერი იქნება, — თქვა ვანომ და მანქანა შინისაკენ მიაბრუნა.

ლექსო დიდი ხანი იყო, შინ აღარ დამენახა.

„სად არის მამაშენი?“ — ვკითხე ერთხელ ვანოს.

„მამაჩემი გავეყარა“ — მითხრა დიმილით.

„სად წავიდა?“

„ვენახში გადასახლდა.“

ვანო სწრაფად შევარდა შინ. ცოტა ხნის შემდეგ საგზლით გატენილი ჩანთა გამოიტანა და მომაწოდა:

— დაბლა დაიდგი.

გზატყეცილზე რომ ჩავედით, ვანომ მანქანა წყაროსთან გააჩერა:

— ცოტა წყალიც ჩაუვმატოთ: — თქვა, კაბინიდან ჩახტა და ვედროს ხელი მოავლო. მეც ჩამოვედი.

— ჰაიტ, შე მამაძაღლო! აქ რას აკეთებ? — დაუტატანა ვანომ წყაროში მოტყუშპალავე პატარა ბიჭს.

ბიჭი ადგილიდან მოწყდა და გაიქცა, თან უკან იყურებოდა.

— ვისია? — ვკითხე ვანოს.

— უორასია. საითაც გაიხედე, ყველგან მაგის ბალებს დაინახავ.

— შვიდი შვილი ჰყოლია თურმე.

— ჰო, მალე მერვეც ეყოლება.

ვანომ ვედრო აავსო. მე ოფლიან სახეზე წყალი შევისხი, იქნებ გამაგრილოს-მეთქი, მაგრამ არაფერი ბედენა იყო.

წყაროსთან ავტობუსი გაჩერდა. მგზავრები წყლის დასალევად ჩამოვიდნენ.

— ეს ბუნებრივი წყალია? — იკითხა ვიღაცამ.

— მა, ხელოვნური წყალი სად გავიგია? — მიუგო ვანომ.

მგზავრებმა გაიცინეს.

წყაროსთან რიგი დადგა. ზოგი სვამდა, ზოგმა კისერი შეუშვია. ერთმა მელოტმა კაცმა ცხვირსახოცი დაასველა და თავზე დაიდო.

ვანომ ვედროში დარჩენილი წყალი გარედან შეასხა რადიატორს. მერე კაპოტი დახურა და კაუჭებით დაკეტა.

მანქანაში ჩავსხედით, მთავარი გზიდან გადავუხვიეთ და მინდვრებისაკენ დავეშვიით...

გზა არხს მიჰყვებოდა. კაბინიდან თავი მქონდა გამოყოფილი, ცხელი ქარი რბილად მცემდა სახეში.

ერთ ხანს არხს მივყვებოდი. მერე ხილზე გადავედით და პირი ალაზნისაკენ ვიბრუნეთ. ვენახები და ვენახები... მთელი მინდორი ვენახებად იყო ქცეული. შაბიამანასხურები ვაზი ლურჯად ხასხასებდა.

ვანომ მანქანა გააჩერა. ჩამოვედი. ვენახის კიდეს გავუყევით და ისლით გადახურულ ფანჩატურს მივადექით. ფანჩატურში არავინ დაგვხვდა. ცალ მხარეს ტახტი იყო მოწყობილი ფიცრებისაგან და ზედ დატყეპნილი თივა ეყარა. კუთხეში ვედრო, დოქი და ალუმინის შემურული პატარა ქვაბი იდგა.

— ნეტავ, სად იქნება? — თქვა ვანომ.

— ალბათ ვენახშია სადმე, — ვუთხარი.

ვანომ ჩანთა ტახტზე დადო და დაიძახა:

— მამაჩემოო!  
— ჰო-ჰო! — მოისმა საღაც ვენახის შუაგულში; იქითკენ წავედით, მალე ნაბდის ქუდს მოვკარი თვალი.

ლექსო მწკრივებს შორის იდგა და ვენახს რწყავდა. ვახებს შუა პატარა რუები გაჰყავდა თოხით.

— საქმელი მოვიტანე, — უთხრა ვანომ.

— გამარჯობა, ლექსო ძია! — მივესალა.

— გაგიმარჯოს! — ვახის ფოთოლივით გარუჯული ხელი ჩამომართვა. — როგორა ხარ?

— კარგად, ლექსო ძია. თავად როგორა ხარ?

— კარგად, რა მიშავს...

ლექსოს შარვლის ტოტები მუხლებამდე აეკარწახებინა და ცხელ მიწაზე ისე დაბიჯებდა ფეხშიშველი, ვითომც არაფერიო. სახე, კისერი და წვივები ჩაწითლებული ჰქონდა და ბრინჯაოსაგან ჩამოსხმულს ჰგავდა. ხალათი მზეს მთლად გადაეთეთრებინა მხრებზე. ვიდექი და შევეუბრებდი. მიკვირდა, მის სახეზე ერთი წვეთი ოფლიც რომ ვერ შევნიშნე.

— ჩქარა წავიდეთ, თორემ დაგვიანდება, — მითხრა ვანომ, — რას დაფიქრებულხარ?

ლექსოს დავემშვიდობე და მანქანისაკენ წავედით.

კაბინაში სიცხემ სული შემიხტოთა. ხილზე გადავედით და ისევ არხს გავყევით. გზაზე ხორბლით დატვირთული მანქანები გვხვდებოდნენ. ნელა მიდიოდნენ.

ოციოდე კილომეტრის გავლის შემდეგ ჩვენს წინ პურის ყანები გადაიშალა.

ვანომ კალოსთან გააჩერა მანქანა. კალოზე ხვავის პატარა-პატარა მთები დაედგათ და მანქანებით ანიავებდნენ. ყიჟინა, მანქანების გუგუნის, მტვერის და სიცხის აღმური ერთმანეთში ირეოდა. ადამიანს შორიდანვე შეეხუთებოდა სული.

მანქანიდან ჩამოვედი და გლეხებს

მივესალა. ისინი ტომრებს ავსებდნენ პირს უკრავდნენ და მანქანაზე აწყობდნენ. ვანო ჩრდილში ჩამოჯდა. მის წინ ორი მანქანა იდგა რიგში. მე სანიავებელი მანქანებისაკენ წავედი. წინ ბერიკაცი შემხვდა. მოკუზული იყო, დონიჯ-შემოყრილი მოდიოდა.

— გამარჯობა, ძია კაცო!

— გაგიმარჯოს! — მითხრა და ცერად ამომხვდა.

— მოხუც კაცს ამ სიცხეში აქ რა გინდა?

— მა, შინ რა გამაძლებინებს.

— მაინც, რას აკეთებ?

— ეყარაულობ... შენ რა, ვახეთში უნდა გაგვეწერო? — მკითხა ბოლოს. გამეცინა.

— არა ძია კაცო, მე ხომ კორესპონდენტი არა ვარ.

— მაშ, რა ხარ? — მკითხა.

— ეკონომისტი ვარ, თქვენ კოლმეურნეობაში ვმუშაობ.

— ჰოო... რაღაც აქაური არა ჩანხარ და, იმაზე გკითხე.

ისევ გამეცინა „ნეტა რაზე მეტყობა. აქაური რომ არა ვარ? ალბათ ფიზიკური შრომის დალი არ მამჩნევია და ამთსავით მზით არა ვარ გარუჯული“.

კალოს შემოგუჟარე და ვანოსთან მივედი. ვანო ისევ ჩრდილში იჯდა. ერთ-მა შოფერმა ხორბლით დატვირთული მანქანა მოაგდო კალოზე.

— ვანო! — დაუძახა.

— რა გინდა? — წამოიწია ვანომ.

— დათიკოს საბურავი გაუსკდა... კომბაინი გაჩერებულია... არიქა, თუ ძმა ხარ, მიდი!..

ვანო გველნაკბენივით წამოვარდა და კაბინას ეცა. მეც სწრაფად მოუუჯექი გვერდზე...

ნამჯაზე საბურავების კვალი კარგად ემჩნეოდა. ვანო კვალს მიჰყვა და მალე გაჩერებულ კომბაინსაც მოვკარი თვალი. კომბაინერი სიგნალს იძლეოდა, თითქოს გვეძახოდა: აქეთ-აქეთო, ჩვენც მივედით. ვანომ ბუნკერის მილს მარჯ-

ალექსი წილაური  
უთოვლო ჯამთარი



ვედ გაუსწორა ძარა. მე კაბინის უკანა ფანჯრიდან ვიყურებოდი. კომბაინერმა ბუნკერი ვახსნა და ხვავი წყალივით წამოვიდა ძარაში. კომბაინერმა რალაც დაიძახა, სიტყვები ძრავების გუგუნში ვერ გავარჩიე. პირტიტველა ბიჭი იყო, ჩაშავებულ სახეზე კარგა სქლად დასდებოდა მტვერი. ვანომაც დაუძახა რალაც. ბიჭმა გაიცინა და თეთრი კბილები გამოაჩინა. მერე კომბაინერმა მალლა აშვერილი ბერკეტები სწრაფად მისწომოსწია... კომბაინი შეირბა, აძიგძიგდა და დაიძრა. ვანომაც ნელი სვლით მიაცილა მანქანა, ისე რომ ბუნკერის მილს არ ასცდენოდა. კომბაინი მიდიოდა და ნთქავდა ყანას.

ძარა რომ აივსო, ვანომ ხელი ასწია და ბიჭმაც დაკეტა ბუნკერი. ჩვენ კალოსკენ დავიძარით. გზაზე დათიკოს მანქანას ჩავუარეთ. დათიკოს სათადარიგო საბურავი დაეყენებინა და საბოლოო ქანჩსლა უჭერდა.

— ჩქარა, საცაა გაივსება ბუნკერი!  
— დაუძახა ვანომ.

კალოზე მანქანა მალე დაცალეს. ორი გლეხი ძარაში იდგა და ღონიერად უსვამდა ნიჩბებს, სახეზე ჩამონადენ ოფლს სახელოებით იწმენდნენ. ვანო ისევ მანქანის ჩრდილში წამოწვა.

— შემოვფარე შენც, — მითხრა.  
— შემოვფარო კი არა, წყალი მწყურია.

— წყალი?  
— ჰო.  
— აგე, იმ მოხუც კაცთან მიდი და დავალევიანებს.

მოხუცი ფარდულთან იდგა, ხელები ისევ წელზე ჰქონდა შემოწყობილი.

— ძია კაცო, წყალი არა გაქვთ?  
— წყალი, როგორ არა... ინდე, — და ფარდულში მდგარ მოზრდილ კასრზე მიმითითა, — ოღონდაც ბევრს ნუ დაღევ.

— გენანებათ?  
— არა, შვილო კი არ გვეხანება... სიტხვა და ბევრმა წყალმა ოფლი იცის.  
— ჯანდაბას... წყურვილს ისევ ოფლი მირჩევნია, — თქვი, ალუმინის

დიდი ტოლჩა ავაცეს და სულმოდუნოდ დაელო.

წყალი ისეთი თბილი იყო, ვერ ვიგრძენი, როგორ ჩაიარა ყელში.

გლეხებმა ხორბლიანი ტომრებით დატვირთეს მანქანა. მე მალლა ავედი და ტომრებზე წამოვჯექი.

ვანომ ისევ არხის ნაპირს დააყოლა მანქანა, თუმცა იქით სხვა გზაც ჩანდა. ასფალტი კი ყველას მიეტოვებინა, რაც გან გულდონი ისე იყო გამდნარი, შავად ბრწყინავდა. ყველა არხის მახლობლად სვლას ამჯობინებდა — წყალი რომ აუღულდებოდათ, შორს წასვლა აღარ დასჭირდებოდათ.

სანამ სოფელში მივდიოდით, ძრავაში სამჯერ მაინც აფუხფუხდა წყალი. ვანო რადიატორის სახურავს ჩვარს შემოახვევდა ხოლმე და ისე მოაბრუნებდა. მერე რომ ახდიდა, ხელს შეუშვებდა და განზე გახტებოდა... რადიატორიდან ამოვარდნილი ორთქლი სახურავს მალლა შეისვრიდა და ვანოს ისე დაეღრიჯებოდა ოფლიანი, გაუპარსავო სახე, რომ სიცილს ძლივს ვიკავებდი.

— ოჰ, გააჭირა საქმე! — იტყოდა ხოლმე, — მალე მაინც დაღამდეს.

როგორც იქნა, მივედი სოფელში. ვანომ მანქანა საწყობის კართან გააჩურა და ჩამოვედი. კანტორაში აღარ ავსულვარ, შინ წავედი. ძლივს მივლასსებდი, თავებზე მეხვეოდა და თვალები მტკიოდა.

მთელი დამე არ დამძინებია, ვიწექი ლოგინში და ვფიქრობდი. ცხელოდა. საბანი გადავიძრე და ლოგინზე თავისუფლად ვტრიალებდი. ასჯერ მაინც ვიკვალე გვერი — არა და არ დამეძინა. მთევარიანი დამე იყო. ქუჩაში ბოძზე დაკიდული მრგვალი ნათურა ბატარა მთევარესავით ანათებდა; ფანჯრის ოთხკუთხედი ისახებოდა მოპირდაპირე კედელზე. მინდვრებიდან ჭრიჭინების გაბმული ჭრიალი ისმოდა.

შუადამე კარგა ხნის გადასული იყო, მანქანის ღმუილი რომ მოახლოვდა და ბოლოს ჭიშკართან მიყუჩდა. მერე კაბინის კარმაც გაიჯახუნა. წამოვდექი

და ფანჯრიდან გადავიხედე. ვანო იყო. ეზოში შემოვიდა, კიბე აიარა და მერე აივანზე გაისმა ფრთხილი ნაბიჯის ხმა.

დიდხანს არ გაჩერებულა შინ, მაშინვე გამოვიდა. მე ისევ ფანჯრიდან ვიყურებოდი. სინათლეზე კარგად დავინახე, ხელში პური და ყველი ეჭირა და გამალბებით ილუქებოდა. კვლავ ჩაჯდა მანქანაში, დაქოქა და მოაბრუნა. მოსახვევამდე ვადევნე თვალი. მერე კი მუხრუჭის წითელი ნათურა აინთო და მანქანაც გაუჩინარდა...

„ღმერთო ჩემო, ამ ხალხს ძილისათვის კი არა, ჰურის საქმელადაც არ სცალია თურმე!“ — გავიფიქრე და ისევ ჩავწექი ლოგინში.

### 5

ბეგლარი თვის ბოლოს ჩამოვიდა შუამთიდან. ერთი თვე ისე გავიდა, ვერ მოვახერხე წავსულიყავი მასთან, თუმცა შევპირდი, ხშირად ვინახულებ-მეთქი.

კანტორიდან გამოსული შინისაკენ მივდიოდი.

— მერაბ! — მომესმა.

მოვიხედე. ბეგლარი იყო, გაღიმებული მოდიოდა, მკლავზე ლაბადა ჰქონდა და გადაკიდებულ.

ერთმანეთს მივესალმეთ.

— ეგ რა მოგსვლია? როგორ გამხდარხარ?

— ეჰ, თუ ძმა ხარ! ბავშვების ხელში კაცი დაისვენებს — მითხრა. ჯერ ისედაც სუსტი ბიჭი იყო და ახლა მთლად ფერმკრთალი მეჩვენა.

— მაინც, რა იყო ისეთი? — შევეკითხე.

— ჩემს ღღეში არ მინახავს ასეთი ცეკლი ბავშვები. ისეთი ვადარეულები არიან, ვერ წარმოიდგენ. სულ ოთხმოცდაათი ბავშვი იყო, რომ მოედებოდნენ ამ ტყეს, ხან იქით გავრბოდი და ხან აქეთ... აბა, რას იზამ, ძალაუნებურად უკან უნდა სდიო!... სხვისი ბავშვები გაბარია. ყოველთვის საფრთხეში ხარ, ან ხეზე არ ავიდეს და არ ჩამოვარდეს, ან მკვახე ნაყოფი არ შეჭამოს და ავად არ გახდეს.

— მართლაც კი საწვალელები ყოფილა... კიდეც რამდენ ხანს უნდა იყო იქ?

— რას ამბობ, რაღა წამიყვანს. დამთავრდა პირველი ნაკადი, მეორეზე სხვები გავზავნეს.

— კიდეც კარგი!..

ალაყაფის კარს მივუახლოვდი.

— ძალიანა ვარ გამხდარი? — შემეკითხა ბეგლარი.

— ერთი კვირის ნაშინშილარს ჰგავხარ, მეტს არა, — ვიხუმრე.

გაიქინა.

— დედაჩემი რომ დამინახავს, გავიქდება.

— ვიცი, ახლა რაც მოგიხდება.

— რა?

— ერთ საათში გამოგვიღი და მიტოსთან წავიდეთ.

— ამ სიტყვები წვეთს ვერ დავლევ!

— ნუ გეშინია, სადამოთი აგრილდება.

ბეგლარს აღარაფერი უთქვამს.

დაახლოებით ერთი საათის შემდეგ სასადილოსთან ვიყავით. სასადილოს წინ ორი ცისფერი „ვოლგა“ იდგა.

— ეტყობა, შიგ ვილაც დიდი ხალხია, — თქვა ბეგლარმა.

სასადილოში შევედით. კარის პირდაპირ ჩასუქებული „ძიები“ შემოსხლოდნენ სუფრას. ჩვენი თავმჯდომარის მოადგილე მალხაზიც მათთან იყო: ჭიქა მალა აეწია, სადღეგრძელოს ამბობდა. ზურგით იჯდა კარისკენ და ჩვენი შესვლა არ გაუგია. ჩვენკენ მხოლოდ ერთმა მსხვილულგაშა „ბიძამ“ მოიხედა. უღარდელი, კმაყოფილი სახე ჰქონდა. ასეთ „ბიძებს“ ყოველთვის ბლომად აქვთ ფული ჯიბეში, კაციშვილმა არ იცის, საიდან და როგორ.

მე და ბეგლარმა ფარდაჩამოფარებულ კუთხეში დავიკავეთ მაგიდა. მითრე მაშინვე ჩვენთან გაჩნდა.

— რას მიირთმევთ? — შევეკითხა.

— ორი ბოთლი „წინანდალი“, დანარჩენი შენ იცი... — ვუთხარი.





— თქვენ გენაცვალოთ ჩემი თავი!.. მწვადს ესლავე შევაწვევინებ, — მაშინვე გატრიალდა. ცოტა შეჭიკჭიკებულნი ჩანდა, ალბათ იმ „ძიებმა“ შესთავაზეს ერთი-ორი ჭიქა.

ფარდის იქით „ძიებიც“ ჩანდნენ, სამხარეთლოს სარკმელიც და დახლის ნახევარიც.

ერთ-ერთი მერინახე მალხაზისკენ დაიხარა და ხმადამლა უთხრა რაღაც. მალხაზმა თავი ასწია და სკამზე გასწორდა.

— მაგ საქმისა მე ვიცი, — თქვა, — თქვენ ოღონდაც მზად იყავით... მთავარია ვაგონი.

— ვაგონის საქმეს მე მოვაგვარებ. ეტყობოდა, ღვინო, მოჰკიდებოდათ: უკვე ხმამაღლა; მოურიდებლად დაიწყეს საუბარი.

— აქ რაღაც კომბინაცია ეწყობა, — თქვა ბეგლარმა.

— ჯანდაბას მაგათი თავი!  
— შენ მალხაზს არ იცნობ...  
— ვითომ ეგეთი კაცია? არა მგონია!...

— ჰმ, ჯერ კიდევ არ იცნობ, — გაიმეორა ბეგლარმა:

— ჯანდაბას მაგათი თავი!  
მიტომ კარგა ხანს დაიგვიანა: „ძიებს“ ორი ბოთლი გაუხსნა და საქმელიც მიუტანა.

ბეგლარმა ფარდა ბოლომდე გასწია და მიტოს დაუძახა:

— ჩვენც მოგხედე!.. ხომ არ დაგავიწყდით?

მიტომ მოიხედა და „ახლავეო“ დაგვიძახა. დანარჩენებმაც მოიხედეს. მალხაზმა რომ დამინახა, ღიმილი შეაცივდა პირზე, რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ მე მაშინვე თვალი მოვარიდე.

მიტომ ღვინო მოიტანა. ჭიქები შევავსე. ბეგლარმა საესე ბოთლი ხელში შეატრიალა და ეთიკეტს დააქვერდა.

— იშვიათი რამეა, — თქვა ბოლოს.

— მართლაც კარგი ღვინოა და სახელიც კარგი აქვს... აბა, ჩვენს სუფრას გაუმარჯოს, — ვთქვი და ჭიქა მივუჭახუნე.

ჩვენ რომ პირველი ბოთლი დავცა-

ლეთ, მალხაზი და მისი ამფოსონები შინლა წამოიშალნენ სუფრიდან და სასადილოდან გავიდნენ.

— შენ როგორ გგონია, მალხაზს რა განათლება ექნება? — მითხრა ბეგლარმა.

— რა ვიცი... ალბათ, უმაღლესი.

— არავეთარაი.

— ჯანდაბას მაგისი თავი, უკვე შემზიზილდა, თუმცა ჩემთვის არაფერი დაუშავებია, მაგრამ მაინც მძაგს.

— ძალაუწებურად გეზიზღება ასეთი ხალხი... ხომ ნახე, როგორ იქცეოდნენ.

ჭიქები ისევ შევავსე. ბეგლარი ერთ წერტილს მიაშტერდა და რაღაცაზე დაფიქრდა.

— ერთი მითხარაი, კმაყოფილი თუ ხარ შენი საქმიანობით, უფრო სწორად, სპეციალობით? — მკითხა.

მეც ჩავფიქრდი:

— როგორ გითხრა... მე მგონია — კი.

— მე კი — არა.

— სამუშაოზე ამბობ უარს, თუ სპეციალობაზე? — ვკითხე.

— ორივეზე.

— რომ შეიძლებოდეს, სიამოვნებით გაგიცვლიდი.

— ვითომ?... თუმცა, შენ რომ მასწავლებელი იყო და მე სოფლის მეურნეობის სპეციალისტი, აჯობებდა. ისე კი, ჩემი სპეციალობა არც შენთვის იქნებოდა დიდი ბედენა.

გამეცინა.

— რატომ გაიცინე? — მკითხა ბეგლარმა.

— იმიტომ, რომ ერთი წლის წინათ მეც სწორედ ეგრე ვფიქრობდი.

— რას ფიქრობდი?

— ეპ, გრძელი ამბავია.

— მაინც, რას ფიქრობდი?... მიდი, მოყევი.

— რას და... ინსტიტუტი რომ დავამთავრე, განაწილებაზე არ მოვაწერე ხელი, ვიცოდი, სოფლის მეურნეობის სამინისტროში ადგილები იყო და იქ ვითხოვე სამუშაო... უარით გამომის-



ტუმრეს. ბევრი ვეცადე, მაგრამ არაფერი გამოვიდა. დიდხანს ვბრახობდი, ქალაქელმა კაცმა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი რად დავამთავრე-მეთქი. თუმცა ეს იმის ბრალია, რომ ჩემს ცხოვრებაში ყველაფერი ბრმად და განუსჯელად ხდებოდა... ერთი წელი, თითქმის უსაქმოდ ვიხეტიალე თბილისში. ცოტა ხანს კიროვის ბაღში ვმუშაობდი აგრონომის ადგილზე. თვეში სამოც მანეთს მაძლევდნენ. ისეთ საქმეს მავალეზდნენ, მეყვავილეთ თავისუფლად გაუძღვებოდა... ერთი წლის შემდეგ ისევ მივაკითხე სამინისტროს. ვიცოდი, ისევ ჰქონდათ ადგილები... კვლავ უარი მტკიცეს. ბოლოს მინისტრთან შევედი. ჩვენთან, სამინისტროში ვერ მოგაწყობო, მითხრა. რატომ-მეთქი? იმიტომ, რომ ჯერ კიდევ არ ხარ სპეციალისტიო. მაშ, რა ვარ-მეთქი?.. ვაიცი. დაჯექიო, — მითხრა. დევჯექი. მე რა ვარო, — მკითხა. — მინისტრი ბრძანდებით-მეთქი. შენოდენა რომ ვიყავი, როგორ გგონია, რას ვაკეთებდიო? მაგას ვერ გეტყვით-მეთქი. მაშ, მე გეტყვიო: შენოდენა რომ ვიყავი სოფელში აგრონომად ვმუშაობდიო. ცხოვრება, ბიძიკო, დაბლიდან იწყება და არა მალდიდან, როგორც შენ ვინდაო. შენ რომ, სულ ცოტა, ერთი წელი მაინც გქონდეს კოლმეურნეობაში ნამუშევარი, განა ახლა უარს გეტყვდიო... ხმა ვეღარ ამოვიღე. თუ ვინდა, ესლავე დავრეკავ და, სადაც გსურს, იქ მოვინახავ ადვილსო. თანახმა ვარ-მეთქი. იგი ტელეფონის ყურმილს დაწვდა, თან გაღიმებული შემომყურებდა... ხუთ წუთში ყველაფერი გადაწყდა, მარტო გამომგზავრება იყო საჭირო. აბა, ახლა მოუსვი და ერთ წელიწადზე ადრე თვალთ არ დამენახო, ეს ისე უბრალოდ და გულში ჩამწვდომად მითხრა, ძლივს მოვახერხე მადლობის თქმა. იმ წუთში ისეთი გრძნობა მქონდა, თუნდაც ათი წლით უკაცრიელ კუნძულზე გადავსახლდებოდი. იმ კაცის ხატრით... ბეგლარი დაფიქრებული მისმენდა.

ბოლოს, — მოდი, ყველა კაი კაცს გაუშვარჯოს! — თქვა ბოლოს.

— გაუმარჯოს! კიდევ მინდოდა მეთქვა რაღაც, მაგრამ ვერაფერი მოვიგონე, — გაუმარჯოს! — გავიმეორე და ღვინო გადავკარი.

მამინვე შევავსე ჭიქები და მეორე ბოთლიც დაიცალა. მიტოს გავხედე: დახლის უკან იდგა და ბოთლებს მაკივივარში აწყობდა.

— მიტო! — დაუძახე.

მიტომ მოხივდა.

— ორი ბოთლი კიდევ გავგიხსენი.

— ერთი... — დაუძახა ბეგლარმა.

— ორი, ორი, — თითებოთაც ვანიშნე.

მიტოს ყოყმანი დაეტყო, აღარ იცოდა, ვისთვის დაეჯერებინა.

— უფროსი რომელი ხართ? — იბოვა ბოლოს გამოსავალი.

— მე ვარ, — დამასწრო ბეგლარმა, — ერთი! — მერე მე მომიბრუნდა, — მეტი არ გვინდა.

მიტომ ერთი ბოთლი მოგვიტანა და გავგიხსნა.

— აბა, სადღეგრძელო გვითხარი... — შევთავაზე მიტოს.

ჯერ უარზე იყო, რაღაც მოიმიზეხა.

— ერთი ჭიქა არაფერს ვიხამს.

მიტომ ჩვენი სადღეგრძელო დალია. მოჰყვა რაღაც აზღაუბდას, რომ მე და ბეგლარი ძალიან კარგი ბიჭები ვართ და რომ ძალიან დიდი ხატრი აქვს ჩვენი. მერე მადლობა გადაგვიხადა და ისევ თავის საქმეს დაუბრუნდა.

— მაშ, გამოდის, რასაც ვაკეთებთ, კიდევაც უნდა მივყვეთ ბოლომდე, არა? — თქვა ბეგლარმა.

— რა თქმა უნდა, ბოლომდე და ამავე დროს კეთილსინდისიერადაც. ეს სჯობია, თუ ის სჯობია, ახლა ზედმეტი ამაზე ლაპარაკი.

ადრე ბეგლარისთვის არასოდეს შემომჩნევია რაიმეზე გულის აცრუება. აშკარად მივხვდი, დადლილი იყო და ამიტომაც მოსდიოდა ასეთი ფიქრი.

ალექსი წილაშვილი  
 უთოვლო ზამთარი

— კარგი კაცი ყოფილა, — თქვა



— დადლილი ხარ, — ვუთხარი, — ბავშვებმა, ეტყობა, ისე გაგაწვალეს, გახსენებაც აღარ გინდა.

— შეიძლება, — თქვა და ისევ შემომხედა, თითქოს ახლა მიხვდა, მართლა ასე რომ იყო.

— შეიძლება კი არა, ევრეა. ვადადლილზე ყველაფერი მოსაბეზრებლად გეჩვენება.

ცოტა ხანს დუმილი ჩამოვარდა. სასადილოში მგზავრები შემოვიდნენ.

— ჩვენი მასწავლებლებიდან ხომ არავინ გინახავს? — მკითხა ბეგლარმა.

— იოსები ვნახე ამწინაზე. ველარ ვიცანი, თვითონ მომესალმა.

— კახი ალბათ მათეთშეთში წავიდოდა.

— აღარაფერი გამივია, ალბათ... მიდი, თქვი რამე.

— არ შემიძლია. ისევ შენ მოიფიქრე რამე.

— სიცოცხლეს გაუმარჯოს! — ვთქვი მე.

— დიდებული სადღეგრძელოა! — სახე გამოუცოცხლდა ბეგლარს, — გაუმარჯოს სიცოცხლეს! — ჭიქა მომიჭახუნა.

მეტე აღარ დავვიღევია. სასადილოდან გამოვედით. მშვენიერი საღამო იყო. დღისით სიცხისაგან გათანჯული არემარე ახლა სულს ითქვამდა. ნელა მივეყვებოდით ქუჩას და ვსაუბრობდით. სოფლის კიდიდან გარმონის ხმა ისმოდა. ეს ხმა ხშირად მომისმენია საღამოობით, მაგრამ ის კი არ ვიცოდი, ვინ უკრავდა.

— ნეტა ვიცოდე, ვინ უკრავს ამ გარმონს? — ვთქვი.

— ეგ ჰაჯოა, — მითხრა, — ბოშა ჰაჯო. ბაიანს უკრავს.

— ჰაჯო?! — გამიკვირდა.

— ჰო, ჰაჯო, თქვენი მჭედელი. არ იცნობ?

— ჰაჯოს როგორ არ ვიცნობ, მაგრამ...

— როგორ უკრავს რომ იცოდე, წამო, წავიდეთ, თუ გინდა.

— ახლა გვიანია. აქაც კარგად გამიჩინეს... — რა ისმის... იქ რაც გინდა, იმას დააკვრევენ.

— სხვა დროს ვესტუმროთ. ბეგლარს ღამე მშვიდობისა ვუსურვე და შინ წავედი. დროდადრო უნებურად ვჩერდებოდი და ბაიანის წვრილ, სასიამოვნო ხმას ვუსმენდი.

6

შაბათს ხელფასი ავიღე. მოლარემ ახალ დასტას შემოახია ლენტი და ფული დამითვალა. ტუცინა ათმანეთიანები იყო სულ, საღებავის მძაფრი სუნი ასდიოდა.

შინ აღარ წავსულვარ, კანტორიდან გამოსულე პირდაპირ ბაქნისაკენ გავუყევი გზას.

სოფლის ბოლოს პატარა ბაქანი იყო. მატარებელი აქ ძალიან ცოტა ხანს ჩერდებოდა, მგზავრი ძლივს მოასწრებდა ასვლას, ან ჩამოსვლას.

მატარებელი ნახევარი საათის შემდეგ ჩამოდგა, ვაგონებში ძალიან ცხელოდა — ბიჭბუჭობა სახურავებზე ამცვრალიყო.

ავედი თუ არა, მატარებელიც დაიძრა...

საღამოს რვა საათზე უკვე თბილისში ვიყავი. ქუჩებში ხალხი კანტიკუნტად დადიოდა. ქალაქი დაცარიელებულს ჰგავდა. ყველა მიხვდებოდა, აგვისტოს თავისი ვაეტანა.

ლიასათვის მინდოდა დამერეკა და ჯიხურში შევედი.

ნომერი აკრიფი, დაველოდე... ყურმილი არავინ აიღო.

იქნებ შეცდომით სხვაგან მოვხვდით თქი და, ხელახლა აკრიფე ნომერი... იგივე განმეორდა. ყურმილი დავკიდე და ჯიხურიდან გამოვედი.

„იქნებ საავადმყოფოშია... შეიძლება დღეს მორიგე იყოს“, — გამიელვა და ისევ შევბრუნდი.

საავადმყოფოში დავრეკე. ვიდაც მოხუცმა ქალმა მიპასუხა.

— ლია ინასარიძეს სთხოვეთ, თუ მანდ არის, — ვუთხარი.

— ვი-ის?  
— ლია ინასარიძეს! — ჩავძახე ხმა-  
მალა. ხმა ძალიან კარგად ისმოდა, მაგ-  
რამ ალბათ მოხუც ქალს ყურს აკლდა.  
— ეხლავე...  
მსუბუქად მივეყრდენ კედელს და  
დაველოდე.  
— ალოო! — გაისმა ტელეფონში  
წკრიალა ხმა.  
— გამარჯობა, ლია!  
— გაგიმარჯოს, რომელი ხარ?  
— აბა, თუ მიხვდები?!  
— მერაბ! დაკარგულო!... როდის ჩა-  
მოხვედი?... საიდან რეკავ?... — მომაცა-  
რა სხაპასხუპით.  
ახლს ჩამოვედი, ჯერ შინ არ მიე-  
სულვარ. შენ რა, მორიგე ხარ ამდამ?  
— ჰო, ღღეს მორიგე ვარ. გამოიარე,  
რა!..  
— ახლავე...  
სწრაფად გადავჭერი ქუჩა. გაჩერე-  
ბასთან ტროლეიბუსს დაველოდე.  
მესამე გაჩერებაზე ჩამოვედი და სა-  
ავადმყოფოსკენ ჩავუხვიე.  
კარებში თეთრხალათიანი დარაჯი გა-  
დამელობა:  
— არ შეიძლება, — მითხრა.  
— ექიმთან მივდივარ.  
— ყველა წასულია.  
— მორიგე ექიმთან მივდივარ.  
— არ შეიძლება.  
— სასწრაფო საქმეა.  
— გეუბნები, არ შეიძლება-მეთქი,  
ამხანაგო! — თან ხელში გასაღებების  
ასხმულა შეათამაშა.  
კარებიდან კიბის საფეხურების რი-  
გი მოჩანდა. ვილაცა კიბეზე ჩამოდი-  
ოდა — მიწყნარებულ შენობაში ფეხის  
ხმა ისმოდა. ეს ქალის ფეხსაცმელის  
ქუსლი ხვდებოდა კიბის საფეხურებს  
და მჭახე ხმას გამოსცემდა. ვიფიქრე,  
საავადმყოფოს მუშაკი იქნება ვინმე და  
ლიასთვის დავაძახებინებ-მეთქი. კიბე-  
ზე თეთრხალათიანი ქალი გამოჩნდა —  
ლია იყო. დამინახა, გაიღიმა და სწრა-  
ფად წამოვიდა ჩემკენ. მოვიდა, ორივე  
ხელი სახეზე ჩამომისვა ნაზად და ბავ-  
შევივით მომეკრა.

— დაკარგულო... რა უსინდისო ხარ!  
შემოდო.  
დარაჯს აღარაფერი უთქვამს. აღარც  
მე მიმიხედავს მისკენ.  
მე და ლიამ დერეფანი გავიარეთ და  
საავადმყოფოს პატარა ბაღში გავედით.  
მერხზე ჩამოვსხედით. ჩვენს პირდა-  
პირ მოხუცი კაცი იჯდა. სხვა მერხები  
ცარიელი იყო.  
— რომ იცოდე როგორ მომენატრე!  
— მითხრა ლიამ.  
— მეც მომენატრე.  
— არაფერიც, რომ მოგნატრებოდი,  
ასე არ დაიკარგებოდი.  
— კახეთში ყოფნას თუ დაკარგვა  
ჰქვია...  
ლიამ შემომხედა და გაიღიმა.  
— როგორ გაშავებულხარ, — მითხ-  
რა ბოლოს.  
გამეცინა.  
— მაინც რას აკეთებ იქ? — მკითხა.  
— არაფერს, არაფერსაც არ ვაკე-  
თებ.  
— მაშ, ტყუილად ხარ?  
ტყუილად არა, მაგრამ რასაც იქ  
ხალხი შრომობს, იმასთან შედარებით  
ჩემი მუშაობა არაფერად მიმჩნია.  
დაბინდდა. ჩვენ კი ისევ ვსაუბრობ-  
რობდით.  
— აჰ, აღარ შემიძლია ასე გიყურო,  
— ვთქვი, — ნეტავ მალე წავიდოდეს  
ეს კაცი.  
— ეგ აქ უნდა იჯდეს მთელი ღამე.  
— სიცილით მითხრა.  
— უთხარი, დიდხანს ჯდომა გარეთ  
არ შეიძლება-თქო, დაგიჯერებს, ექიმი  
ხარ.  
— არაფერიც... მაგისტვის სუფთა  
ჰაერზე ყოფნა სასარგებლოა.  
ბაღში ჩამოხედდა. ფანჯრებიდან  
გამოსული სხივები აქა-იქ იჭრებოდა  
ფოთლებში. მოხუცი წამოდგა, გვერ-  
დით ჩავვიარა.

ალექსი წიკლაური  
უთოვლო ზამთარი



— წავალ, ავადმყოფებს დავხედავ და ისევ მოვალ, — თქვა ლიამ.

— კარგი, მხოლოდ არ დაიგვიანო.

ლია წავიდა. მე კი ვიჯექი და ვფიქრობდი... ჩვენს შორის აღარ იყო ის ბავშვური გატაცება, როცა მხოლოდ გიყვარს და სხვას არაფერს ფიქრობ. ჩვენს სიყვარულში ცხოვრების პასუხისმგებლობით გამოწვეული განსჯა არ სებობდა უკვე. ლიას ყოველი სიტყვა, ყოველი მოძრაობა გადაქმნიდა მომავალში, იმ დროში, ერთად რომ ვიცხოვრებდით. აღრე მის სულში მაინცდამაინც არ ვიხედებოდი ღრმად. ახლა მივხვდი: თურმე რაც დრო გადის, მით უფრო აფასებ ადამიანს.

ლია მალე მოვიდა და ისევ გვერდით მომიჯდა.

— ამდენი ხანი რომ არ გამოჩნდი, ვიფიქრე, დავაფიყდი-მეთქი.

— მძაბრე... ამის შემდეგ ხშირად გინახულვებ.

— რა მოწყენილი ვიყავი, რომ იცოდე!

— ამხელა ქალაქში რატომ უნდა მოიწყინო? მაშ, მე რაღა ვქნა?

— დიდ ქალაქში უფრო მოიწყენ უმეგობროდ, ვიდრე პატარა სოფელში. ეს უკვე გამოცვალე.

— მართალი ხარ... მაგრამ როგორ მოვიქცეთ?

— შენთან წამოვალ.

— სად? სოფელში?

— ჰო, ხომ წამიყვან?

— არა, ასე არ გამოვა.

— რატომ?

— შენთვის აქ სჯობია. აქ მეტ პრაქტიკას მიიღებ და ცოდნასაც გაიღრმავებ. თანაც მე ხომ მალე უნდა დავბრუნდე, სულ რაღაც ერთი წლის შემდეგ, მანამდე კი ხშირად გინახულვებ.

— მატყუარა.

— აბა, ტყუილი როდის ვითხარი!

— ხანდახან გამოურევ ხოლმე.

მერე კიდევ დიდხანს ვისხედით ხმა-ამოუღებლად.

ფანჯრებში თანდათან ქრებოდა შუქი. უკვე გვიანი იყო. წამოვდექი.

— არ მინდა შინ წასვლა, — მინდა ამაღამ სადმე ასეთ პატარა ბაღში მერხზე წამოვწვე და დავიძინო.

— განა არ მოგენატრა შენი ოთახი?

— მითხრა ლიამ.

— იქ ახლა ყველაფერი მტვრით იქნება სავსე.

ლიამ გაიცინა.

— იმიტომ არ გინდა შინ მისვლა? — მკითხა.

— ჰო, იმიტომ... მტვერი დაგროვდებოდა. სამი თვის მტვერი.

— რა ჰქენი, იცი? ფრთხილად შედი, ხელი არაფერს დააკარო, ფრთხილად ჩაწექი ლოგინში და დაიძინე.

— კარგი, ასე მოვიქცევი. ხვალ რა გავაკეთო?

— რა ვიცი.

— რა იცი კი არა, რამე მოიფიქრე, შენ უფრო პრაქტიკული ხარ.

— კარგი, — თქვა ლიამ, — ხვალე გეტყვი. შენც მოიფიქრე, — მკერდზე მომადო თავი და გაირინდა.

— წავედი, — ვთქვი.

— კარგი წადი.

— შენც დაიძინე ახლავე, ხვალ უფრო ხალისიანად იქნები.

— ნუ გეშინია, ძილს არ დავიკლებ, — გაიცინა, — ხომ არ გშოი?

— არა.

— იქნებ არაფერი გიჭამია, რაც ჩამოხვედი?

— არა, არცა გშოია.

— კარგი ნამცხვარი მაქვს, წავალ ჩამოგიტან.

ლიამ გაიწია, მაგრამ არ გავუშვი:

— არაფერი მინდა.

— ნიგვზიანი ნამცხვარი!..

— ხომ იცი, ეგეთი რაღაცეები არ მიყვარს.

ლია საავადმყოფოს კარამდე მომყვა.

— ხვალამდე! — დავემშვიდობე.

— კარვად იყავი.

მივეყვებოდი დაცარიელებულ ქუჩას და ვფიქრობდი: „დღეს რატომღაც უფრო სხვანაირი მეჩვენა ლია. აღრე, თითქოს არ ყოფილა ასეთი. მჯეროდა, რომ შეეძლო მეგობრობა, შეეძლო ერთგუ-

ლება. „მეინდე მას, — ვეუბნებოდი თავს, — მიენდე ლიას, იგი არასოდეს გადალატებს“.

ჩემი ოთახის კარი გავაღე. ფრთხილად შევედი შიგ, ისე როგორც ლიამ დამარიგა, ხელი არაფრისთვის მიხლია, სამი თვის დაძინებული მტვერი რომ არ გამეღვიძებინა. ოთახში შუქი ავანთე. მერე სამზარეულოშიც გავედი. სააბაზანოში წყალი ჩხრიალებდა, წასვლის წინ აბაზანის ონკანი ღრიჯოდ დამჩრჩენოდა, დავკეტე. ტანსაცმელი გაეხადე. შუქი ჩავაქრე და ფრთხილად, ძალიან ფრთხილად ჩავწექი ლოგინში.

7

ერთ საღამოს მე და ბეგლარი აივანზე ვისხედით და ჭადრაკს ვთამაშობდით. უცბად, ბაიანის ხმა შემოგვესმა... ბეგლარმა პაიკს ხელი შეუშვა:

— შინც როდის ვესტუმროთ ჰაჯოს, პა? — იკითხა.

— თუ გინდა ახლავე... ავდექით. ბეგლარმა პაიკები წამოკრიფა, ჭადრაკი შეინახა.

ქუჩაში გავედით.

— რაღაც უხერხული კია, ასე მისვლა, — ვთქვი.

— არაფერიც... კიდევაც გაუხარდება.

— მოიცა, რაღაც მოვიფიქროთ.

— მოდი, არაფერი არ გვინდა. ვითომ უბრალოდ მივსეირნობთ...

ხრემოყრილ გზაზე გავედით. უკვე სოფლის განაპირას ვიყავით, ტყის მხარეს. აქა-იქ ახლად ნაგები სახლები ჩანდა.

ბაიანის ხმა დაბალი ქოხის ეზოდან ისმოდა. ქოხს გავუსწორდით, თან ეზოსკენ ვიყურებოდით. ქუჩის მხარეს ფიცრის მესერი იყო გავლებული. ეზოში ცეცხლი ენთო. ზედადგარზე ქვაბი იდგა, ეტყობოდა, ვახშამს ამზადებდნენ. დედაკაცი ქვაბს უტრიალებდა. ბევრგვებიც იქვე ისხდნენ ცეცხლთან. ჰაჯო ცალკე იჯდა და უკრავდა.

სანამ ქოხს გავცდებოდით, ჰაჯომ მოგვკრა თვალი. მაშინვე წამოდგა და

მოგვესალმა. ჩვენც მივესალმეთ. ჰაჯოს ბაიანი ღვედით მხარზე გადაეკიდა და გულ-მკერდს მთლიანად უფარავდა.

— შემოდით! — დაგვიძახა ჰაჯომ, — ცოტა ხანს დაესხდეთ. ხომ არსად მიგეჩქარებთ?

— ისე გამოვისეირნეთ, კარგი საღამოა, — უთხრა ბეგლარმა.

ეზოში შევედით. ჰაჯომ ცოლს თავის ენაზე რაღაც უთხრა. ქალმა დაბალი სკამები მოგვიტანა. გრძელი ნაოჭებიანი კაბა წვივებს ნახევრამდე უფარავდა.

ჰაჯოს თხოვნა არ დასჭირებია. თითქოს მიხვდა, რისთვისაც ვიყავით მისულები. მხარზე ღვედი შეისწორა და დაკვრა დაიწყო...

ჯერ მოლდავურ მელოდიებს უკრავდა. თვითონ გვიოხრა, ეს მოლდავური იყო.

მერე ორი რუსული სიმღერა შეასრულა დიდებულად. მთელი ყურადღებით ვუსმენდი და ვფიქრობდი, ერის სულსა და ხასიათს მუსიკასავით არაფერი იცადმოსცემს-მეთქი.

— აბა, ერთი, „სიმღერა თბილისზე“ დაუკარი, — შეაპარა ბეგლარმა.

— რომელი?... „ჩაივლი მტკვართან ხეივანს?“ — იკითხა ჰაჯომ.

— ჰო.

ჰაჯომ ნელა გასწია ბაიანს და გაისმა ნაცნობი ჰანგი... მე მის ღილაკებზე მოძრავ შავ თითებს დავაკვირდი. უცნაური იყო: დღისით ეს დაკოჟილი ხელები რკინას ჭედდნენ, ახლა, ამ წუთში კი ნაზ და მგრძობიარე მუსიკას ამეტყველებდნენ.

ჰაჯომ დაკვრა დაამთავრა და ღიმილით შემომხედა:

— კარგი სიმღერაა, ძალიან მიყვარს! ჰაჯომ ბაიანი მუხლებზე დაიდო.

— პაპიროსი ხომ არ გაქვთ? — გვკითხა, — დღეს ველარ ვიყიდე.

ბეგლარმა სივარეტის კოლოფი ამოიღო ჯიბიდან.

— ის საძირკველი რისია, სახლს ხომ

---

ალექსი წილაშვილი  
უთმოვლო ჯამთარი



არ აშენებ? — ჰკითხა და სიგარეტი მი-  
აწოდა.

ქოხის გაგრძელებაზე ბეტონის საძირ-  
კველი იყო ამოყვანილი.

— ჰო, ვაპირებ, — თქვა ჰაჯომ და  
ასანთი გაჰკრა.

— ეგ კარგი მოგიფიქრებია, — უთხ-  
რა ბეგლარმა.

— ეჰ, მე რომ ჰკუთით მოვქცეულიყა-  
ვი, აქამდე აშენებულ იც მექნებოდა.

ბეგლარმა აღარაფერი ჰკითხა. აღარც  
ჰაჯომ თქვა რამე.

ერთ ხანს ჩუმად ვისხედით. ჰაჯო და  
ბეგლარი სიგარეტებს ეწეოდნენ. მე  
ბავშვებს ვუყურებდი. სამნი იყვნენ:  
ორი ბიჭი და ერთი გოგო. გოგონა ბი-  
ჭებზე უფროსი იყო, თორმეტ-ცამეტი  
წლისა იქნებოდა.

— მარიანა, როგორა ხარ? — ჰკითხა  
ბეგლარმა გოგონას, — ჩვენს სკოლა-  
ში სწავლობს, — მითხრა მერე.

— ყოჩაღ!

ჰაჯოს უცებ ხველება აუვარდა. დიდ-  
ხანს ახველებდა. მერე სული მოითქვა.

— გაციებულნი ვარ, — თქვა, — გუ-  
შინ ოფლიანი გამოივდი სამჭედლოდან.

— ჰაჯო, საიდან მოხვდი ამ სოფელ-  
ში? — შევეკითხე.

— კარგა ხანია კახეთში ვარ. ამ სო-  
ფელში კი ორი წელია ვცხოვრობ...  
შარშანწინ რომ აქედან არ წავსული-  
ყავი, ახლა უკვე სახლი მექნებოდა!

— სად წახვედი? — შევეკითხე.

— ისევ ხეტიალი დავიწყე... შარშან-  
წინ მოსავალი არ მოვიდა, გვალვა იყო,  
ვიფიქრე, ასეთი ცხოვრებითაც არაფე-  
რი გამოდის, ისევ ძველი გზა სჯობია-  
მეთქი... ძალიან კი შევეცდი.

— ბოლოს ისევ ჩვენ სოფელში მოხ-  
ვედი, არა? — უთხრა ბეგლარმა სიცი-  
ლით.

— ჰო, ნიკოს სიტყვები ამიცხადდა.

— რომელი ნიკოსი? — ჰკითხა ბეგ-  
ლარმა.

— ნიკო პაპა, დარაჯი რომ არის.

— რაო, რა გითხრა?

— მაშინ, საბოლოო ანგარიში რომ  
გამისწორებს და ბუღალტერიიდან გამო-

ვედი, ნიკო დერეფანში შემხვდები...  
მიდიხარ არა, ჰაჯო? — მკითხა. ჰო, მივ-  
დივარ-მეთქი. იცოდე ისევ აქ მოხვა-  
ლო. არა, ნიკო პაპა, აქ აღარ მოვალ-  
მეთქი. ვნახოთო... ისიც იცოდე, აგორე-  
ბულ ქვას ხავსი არ ეკიდებო, — და-  
მაწია, კიბეზე რომ ჩამოვდიოდი. ამის  
გავონებაზე ნაბიჯი შევანელებ და დაე-  
ფიქრდი. მაშინვე ვიგრძენ ამ სიტყვების  
სიმართლე, მაგრამ რაკი ერთხელ ვა-  
დავწყვიტე, უნდა წავსულიყავი. იმ სა-  
ლამოსვე ავიყარე ჩემი ცოლ-შვილით  
და დავადექი გზას... ერთი წელი ვიხე-  
ტიალე და ბოლოს მართლაც ისევ აქ  
მოვედი, — ჰაჯომ სიგარეტის ნამწვი  
რამდენჯერმე მოქაჩა და გადაავლო. —  
თქვენი ხალხი სხვანაირია, — ვანაგრ-  
ძო მერე, — ძალიან სხვანაირი. სადღა  
არ ვყოფილვარ, მაგრამ თქვენი ხალხი  
სულ სხვანაირია. ცხოვრების დიდი გა-  
მოცდილება აქვს...

ჰაჯო გაჩუმდა.

— დაუტარი რამე, — უთხრა ბეგ-  
ლარმა.

ჰაჯომ მხარზე ღვედი მოირგო:

— ეს ბოშური საცეკვაოა.

სწრაფი, და წყვეტილი მუსიკა იყო.

— ახლა მარიანამ უნდა იცეკვოს.  
მარიანა! — დაუძახა ჰაჯომ.

გოგონა ადგილიდან არ იძვროდა. დე-  
დასთან იჯდა ცეცხლის პირას.

— მარიანა! — ისევ დაუძახა ჰაჯომ  
და თავის ენაზე რაღაც უთხრა.

მარიანა წამოდგა: ჯერ ცალი ფეხით  
აცეკვდა, მერე მეორეც ააყოლა. ბოლოს  
ორივე ფეხის შიშველი ტერფები სწრა-  
ფად დაარტყა მიწას და ხელებიც აამოძ-  
რავა. მერე მოჰყვა აქეთ-იქით ხტუნვა  
და ტანის რხევას, თან ხელებს შლიდა  
და ილიმებოდა... ბოლოს ერთ ადგილზე  
გაჩერდა და მთელი ტანით შეირხა,  
თითქოს გააყრყოლო. ასე ირჩეოდა  
რამდენიმე ხანს, მერე თავი დაგვიკრა  
და გაიქცა. ჰაჯომაც შეწყვიტა დაკვრა.

უკვე ჩამოზნედა. ქალმა ზედღდა-  
რიდან ქვაბი აიღო და ქოხში შეიტანა.  
ცეცხლის ალმა უფრო გაანათა ეზო.

— წავიდეთ, — წამიურჩულა ბეგლარმა.

ჩვენ წასასვლელად წამოვდექით, ჰაჯომ გვთხოვა, მოიცადეთო, მაგრამ აღარ დავჯექით. ბეგლარმა რამდენიმე ცალი სიგარეტი დაუტოვა ჰაჯოს.

ეზოდან რომ გამოვვდიეთ, ჰაჯოს კვლავ აუვარდა ხველებმა.

— მაგრაა გაცივებული, — ვთქვი.

— რის გაცივებული... რაც ვიცნობ, სულ ეგრე ახველებს, — მითხრა ბეგლარმა.

— მართლა?

— აბა, რა... შენ, მართლა გაცივებული ხომ არ გგონია?

— რა ვიცი, ეგრე თქვა და...

— ეჰ, ვინ იცის, მაგას რა აქვს გამოვლილი.

— რა მხიარულია და რა ნაღვლიანი თვალები აქვს.

— მაგათ ვერაფერს გაუგებ, — თქვა ბეგლარმა.

8

კანტორიდან მოსულმა პირი დაგიბანე და ის იყო, სახეს ვიმშრალეზდი, რომ ქუჩაში მანქანა გაჩერდა, მერე გაბმული სიგნალი გაისმა. ფანჯარა გამოვადე და გადავიხედე: ჟორა იყო, კაბინიდან თავი გამოიყყო და ეზოსკენ იყურებოდა.

— ვანო სად არის? — მკითხა.

— არ ვიცი, არ დამინახავს.

— დღეს შენთვის არაფერი უთქვამს?

— არაფერი. რა უნდა ეთქვა?

— გეტყვის. ჩემზე უთხარი, უკვე წავიდა-თქო, — მითხრა და მანქანა დაძრა.

ვერაფერი გავიგე. ცნობისმოყვარეობამ შემიპყრო და ვანოს მოსვლას მოუთმენლად ველოდი.

ცოტა ხნის შემდეგ ვანოც მოვიდა. მანქანა ეზოში შემოიყვანა, სანამ მერამეს ვეტყოდი, დამასწრო:

— ჟორა ხომ არ ყოფილა აქ?

— ჰო, იყო, გეძებდა, მერე დაგიბარა: უკვე წავედიო.

— შენ რას აკეთებ, ხომ არსად მიდიხარ?

— არა.

— ჩვენთან წამოდი, ბიჭები ალაზანზე მივდივართ პურის საჭმელად.

„აი, თურმე რა ყოფილა... — გავიფიქრე, — ვიცი, რაც პურის ჭამა იქნება. აქ რაც არ უნდა დიდი ქეიფი იყოს, უბრალოდ, „პურის ჭამას“ ეძახიან.“

— მამაჩემო, ბიჭები ალაზანზე მივდივართ და ხომ არაფერს გავვატანდი? — დაუძახა ვანომ.

ლექსო დილით ამოვიდა ვენახიდან და დღეს მთელი დღე შინ იყო. წვერი გაეპარსა და გარუჯული სახე უპრიალებდა.

— რატომაც არ გავატანო, რა.. მა, ვილას გავატანო?! —

ვანო მანქანას უტრიალებდა, კაპოტი ჰქონდა ახდილი.

— მოდით, ერთ-ერთი მომეხმარეთ, — თქვა ლექსომ.

— მიდი, რა, ღვინო ჩაასხით მე არ მცალია, — მითხრა ვანომ.

მე და ლექსო მარნისაკენ წავედით.

მარანში სასიამოვნო სივრცით იყო. კუთხეში მექანიკური საწნახელი იდგა. ორძირები და კასრებიც ბლომად ეწყო. კედლის ერთ მხარეს ნივრისა და ხახვის გალები ეკიდა, მეორე მხარეს — ორწიმიოები და წელამილები.

ლექსომ იატაკს თვალი მოავლო. მერე ერთ-ერთ ქვევრის სარკველთან დაიხარა, ნაპირები მოუწმინდა. ქვევრისა და სარკველი ბირები ერთმანეთზე სანთლით იყო მოგოზილი. ლექსომ სანთელი მოაშორა და ფრთხილად მოხადა სარკველი... ღვინოს კარგა სქლად დასდებოდა თეთრი ბრკე. ლექსომ ბრკე ცალ მხარეს მოაგროვა და ამოიღო. ღვინის ზედაპირს შუქი რომ მოხვდა, ალაპლაპდა, თითქოს იატაკმა თვალი გაახილაო.

ლექსო ადგა, განჯინიდან თიხის ჯამი გამოიღო. ჯამს ნაპირები მოსველებული ჰქონდა. ლექსომ ჯერ მიურ-მოურია ჯამი ქვევრში, მერე შეავსო:

---

ალექსო წიკლაური  
შთოვლი ჯამთარი





— ერთი ვნახოთ, როგორია, — თქვა, მაღლეგრძელა და დალია.

მერე ისევ შეავსო ჯამი და მომაწოდა. გამოვართვი და ხელისგულზე დავიდგი.

— შენ გაგიმარჯოს, ლექსო ძია! შენს მარჯვენას გაუმარჯოს! — ჯამი ნელა ავწვიე, გამოვცალე და ვივარძენი, როგორ დამაყარა ენაზე ხორკლი.

— როგორია? — მკითხა ლექსომ და გაიღიმა.

— ისეთია, მკვდარს გააცოცხლებს! მსგავსი არაფერი დამიღვებია ჩემს დღეში.

— გვიან მოკრეფილსაა, ცალკე მქონდა დაყენებული... ფერიც კარგი მისცემია, ხუთჯერ გადავიღე.

მე და ლექსომ ღვინის ჩასხმა დავიწყეთ ორძირაში. ლექსო ორშიმოთი იღებდა ღვინოს, მე ორძირა მეკავა. დიდი ორძირა იყო, თორმეტხელადიანი.

ლექსო ლაპარაკის გუნებაზე დადგა. მეც მომეკიდა ღვინო და ხალსიც მომემატა.

— ე, ეხლა რა არი, შენ ადრე უნდა გენახა ღვინის სმა! — მითხრა ლექსომ.

— ასეთ ღვინოს ახლა იშვიათად შეხვდები, ლექსო ძია.

— ადრე სულ ასეთი ღვინოები იყო. სმაც მაგარი ვიცოდით. სულ ხელადებიოთა ვსვამდით.

— ხელადებით როგორღა სვამდით?

— აბა, იმას ჰქონდა გემო. ეხლა რომ ჰქვებიოთა სვამთ, ეგ რა არი! ხელადით რო დალევდი, ღვინოს იგრე გაჰქონდა ყელში რაკრაკი, როგორც წისქვილის ღარბერაში წყალსა.

— ეყოფა, გაივსო!

— აბა, კარგი დრო გაატარეთ! გამოვედი და ორძირაც გამოვიტანე. ლექსო მარანში დარჩა.

ვანოს დედამ ჩანთაში ჩაწყობილი და კიდევ ცალკე გახვეული რაღაცეები გამოვიტანა. მე და ვანომ ყველაფერი კაბინაში მოვათავსეთ.

გასვლისას ბეგლარს დავუძახეთ.

— სხვა ვინ მოდის? — ვკითხე ვანოს.

— სულ კარგი ბიჭებია, ერთი თორმეტნი ვიქნებით.

ბიჭები საწყობის წინ იცდიდნენ, ექვსნი იყვნენ: ორი აგრონომი, ორი ზოოტექნიკოსი და ორიც შოფერი. ძარაზე ავიდნენ, თან გახვეული რამე-რუშეები აიტანეს.

— ყორა სად იქნება? — ვკითხე ვანოს.

— ყორა ალაზანზეა, თევზი უნდა დაიჭიროს, სანამ ჩვენ ჩავალთ.

ალაზნის ველზე დავეშვიტე. გზა ვენახებს შუა მიდიოდა. დიდი არხიც გადავჭყერით.

— მაინც ვინ მოიფიქრა ალაზანზე „პურის ჭამა“?

— ჩვენ... თითქმის ყოველ წელიწადს ჩამოვდივართ ხოლმე ზაფხულობით.

— კარგი წესი გქონიათ.

— აბა, დღე და დამე მუშაობა, მართლა ის კი არ არის!

გადავჭერით პატარა არხი და ტყეანი დაიწყეთ. ალაზანიც სადღაც ახლოს იყო უკვე. ვანომ მიმართულება შეცვალა, ზევით წავიდა. ტყეს რომ გასცდა, მერე ისევ ალაზნისაკენ დაიჭირა გეზი.

მაღე მდინარეს მივადექით. წყალგაღმა ყორას მოვკარი თვალი. იმ დროს დავინახე, ბადე რომ ისროლა. შარვლის ტოტები მუხლებამდე აეკარწახებინა. მანქანა იქვე, წნორებთან ეყენა. ბიჭები გამოდმიდან გაეხმაურნენ. ყორამ ტუჩებზე ხელი მიიღო — ჩუმად, თევზება არ დამიფრთხოთ. ბიჭებმა სიცილი დაიწყეს.

— აბა, ჩამოდით, — თქვა ვანომ, — ვინც ცურვა იცით, თვითონ გადით, მე ჰქვევით უნდა წავიდე, ფონი ვნახო.

ყველანი ჩამოვედით, ტანსაცმელი გავიხადეთ და მანქანაში დავაწყეთ.

გაღმა რომ გავედით, ყველანი ყორას შემოგხვივდნენ. წყლიან ვედროში რამდენიმე ლოქო დაცურავდა.

— ხელს ნუ მიშლით, — თქვა ყორამ, — ნუ ხმაურობთ. თევზი მართლა ყრუ ხომ არ გგონიათ!

ყორა ხუმარა ბიჭი იყო. იმასაც ამ-

ბობდნენ, ანეგლოტებს თავად იგონებ-  
სო.

ვანო ქვევით მოაღდა ნაპირს. მანქა-  
ნას წყალი ძარამდე მისწვდა.

ბიჭები ბანაობდნენ. ზოგი ისევ გალ-  
მა მხარეს გავიდა. მე ყორასთან დაგრ-  
ჩი. აღმა შევეყვით მდინარეს. ერთ აღ-  
გილს წყალი მდორედ იშლებოდა ნა-  
პირზე.

— აი, ასეთ ადგილებშია თევზი, —  
თქვა ყორამ და ბადე ისროლა, ბადემ  
წყლის ზედაპირზე შესაბანი მოაღინა და  
მდინარეში გაუჩინარდა... მეერ ყორამ  
თანდათან უკან დაიწია და ნელა გამო-  
ათრია ბადე ლამიან ნაპირზე... ორი  
მოზრდილი ლოქო მოჰყოლოდა შიგ.

მერე ყორას ბადე გამოვართვი და  
სამი თევზი დავიჭირე.

— გვეყოფა, წავიდეთ, — მითხრა  
ყორამ.

თევზიანი ვედრო მანქანებთან მივი-  
ტანეთ. ვანო ორძირას თოკს აბამდა.

— რასა შვრები? — ჰკითხა ყორამ.

— ახლავე გაიგებ.

ვანომ ორძირა კბოდედან მორევში  
ჩაუშვა. თოკის მეორე ბოლო ხეზე და-  
ახვია და ჭაკვანძა.

— ე თოკი არ გაწყდეს და, ბოდბე-  
ლი კაცივით არ მოგივიდეს, — იხუმრა  
ყორამ.

— ნუ გეშინია.

— რა ღვინოა რომ იცოდე! — წავ-  
ჩურჩულე ყორას.

— აბა ლექსო ცუდს რას გამოგზავ-  
ნიდა!

მზე ჩავიდა. ბიჭებმა შეშა შეაგრო-  
ვეს და ცეცხლი დანათეს. ვანომ ქვაბის  
ჩამოსაკიდი გააკეთა. ყორამ ჯერ თევზი  
მოამზადა მოსახარზად, მერე სამწვადე  
ხორცი დაჭრა და შამფურზე ააგო. ეტ-  
ყობოდა, ეხერხებოდა ასეთი რამეები.

ქვაბში თევზიც იხარშებოდა და ცეცხ-  
ლის ალზე მწვადიც იწვოდა. ბიჭები  
მხიარულად იყვნენ. ყველას ცალ-ცალკე  
რალაცეები წამოედო! შოთი პურები,  
მრგვლად მოხარშული დედლები, მო-  
ხარშული კვერცხი, თუშური ყველი...

ერთი სიტყვით, მშვენიერი სუფრა გა-  
შალეს მოლზე.

ვანომ ღვინო ჩამოსახა ბოთლებში.  
ყორა თან მწვადს წვავდა, თან ოხუნ-  
ჯობდა:

— კაცო, რა მომივიდა წელან, იცი?

— რა? — შევეკითხეთ.

— რალაცას მოიგონებს ახლა, —  
თქვა ვანომ.

— მოვიგონებ კი არა, მართლა!..  
რომ მოვდიოდი... ვენახებს გამოვცდი  
და ქვევით ყარღაჯისკენ ვიყურებოდი,  
ან რა ეშმაკმა გამახედა იქით... ერთიც  
ვნახით, შორს მინდორში ვილაც დგას  
და თეთრ თავსაფარს იქნევს... ეე, ეგ  
უთუოდ ქალია და თავისკენ მიხმობს-  
მეთქი, გავფიქრე. აბა, გოყვარდეს, გა-  
დავუშვი ეს მანქანა ამ ოღროზოღროზე.  
მივედი და რას ეხედავ... ჭრელი ძროხა  
დგას და კუდს იქნევს. გამოვბრუნდი  
გაწბილებული.

ყველამ სიცილი დაიწყო.

— ხომ ვითხარით, რალაცას მოიგო-  
ნებს-მეთქი, — თქვა ვანომ.

ყორამ მწვადი შეწვა, მერე ქვაბი-  
დან ლოქო ამაოლაგა.

— აბა, რალას უყურებთ? — გვითხ-  
რა.

ჭიქები შევავსეთ.

— კარგ ღვინოს ჩამოსხმის დროსაც  
ემჩნევა, — თქვა ყორამ, — შეხედეთ,  
როგორ იმტვრევა და ლაწალუწით ჩა-  
დის ჭიქებში, თითქოს მარგალიტი ცვი-  
ოდეს.

თამაღობა ყორას მივულოცეთ, იგი  
ჩვენზე უფროსიც იყო და სიტყვამოს-  
წრებულიც.

...შუალამე დიდხინის გადასული იყო.  
ჩვენ კი ისევ ვსვამდით.

— უნდა გავათენოთ, — თქვა ყორამ,  
— ძილი არ იყოს!

ყორამ „მრავალკამიერი“ წამოიწყო.  
ბიჭები აპყვნენ. მე ერთ ხანს ვმღერო-  
დი, მერე გავჩუმდი და ვუსმენდი. ბი-  
ჭებმა თანდათანობით აუწყეს ხმა. ყვე-  
ლანი მღეროდნენ, ყველა ხმა შეერთდა

ალექსი წიკლაური  
უთოვლო ჯამთარა



და სიმღერა თითქოს გუგუნში გადა-  
ზარდა.

— ახლა კი მართლა კარგად გამოგ-  
ვივიდა, ხანდახან არ გამოგვდის ხოლმე,  
— თქვა ყორამ, როცა სიმღერა დაამ-  
თავრეს.

მანქანა ცალი თვალით მკრთალადღა  
გვინათებდა სუფრას. დილის შუქმა იმ-  
ძლავრა.

თენდებოდა...

ალაზნის ველზე გაწოლილი იისფე-  
რი ნისლი უცებ მოჩვენებასავით გაქ-  
რა. ყორამ და ვანომ მანქანები დაქო-  
ქეს და სოფლისაკენ დავიძარი.

9

რთველი რომ მოილია, ლექსო მაშინ-  
და „გადმოსახლა“ ვენახიდან. უსაქ-  
მოდ მაინც ვერ ნახავდით. ბალში, ან  
მარანში ტრიალებდა ყოველთვის. ვა-  
ნო საღამოობით გვიან ბრუნდებოდა და  
ახალ-ახალი ამბები მოჰქონდა. თუ შინ  
ვიყავი, ყოველთვის მიმიწვევდა ნარ-  
დის სათამაშოდ, ან ტელევიზორის სა-  
ყურებლად. მე ზოგჯერ ბეგლართან  
მივდიოდით. საღამოობით მე, კახი და  
ბეგლარი სკოლის დარბაზში მაგიდის  
ჩოგბურთს ვთამაშობდით. მათ გარდა,  
სოფლის სხვა ბიჭებსაც ვიცნობდი, მაგ-  
რამ ყველასთან საერთოს როგორ ვა-  
მონახავ!

კახი კარგი სპორტსმენი იყო. ბევრ  
სახეობაში თანრივიც ჰქონდა მიღებუ-  
ლი. ამ ზაფხულს მფათუშეთში აპირებ-  
და წასვლას, მაგრამ მერე ტურისტების  
პატარა ჯგუფთან ერთად ხევსურეთში  
ასულა. ქისტეთიც მოუვლია და იქაურო-  
ბა ძალიან მოსწონებია. დაუსრულებ-  
ლად ყვებოდა ლამაზ ქისტ გოგონებზე,  
ცხენებზე და მალალ ციხეებზე.

— დიდებულია ქისტეთი! — იმეორებ-  
და ხშირად.

— კარგი ერთი, ნუ გამაგიჟე მაგ შენი  
ქისტეთი! — ეტყოდა ხოლმე ბეგლა-  
რი.

მე და ბეგლარი, როცა ჩოგბურთის  
სათამაშოდ მივდიოდით, კახი ყოველ-  
თვის ფიზკულტურის დარბაზში გვხვდე-

ბოდა. პატარა ბიჭს ავარჯიშებდა ობ-  
ძზე და რგოლებზე.

— რა უნდა გამოვიდეს მაგ ბიჭისა-  
გან? — ვკითხე ერთხელ.

— ცნობილი კალათბურთოელი, — მი-  
პასუხა.

— კი მაგრამ ყოველთვის ღერძზე და  
რგოლებზე რომ ვარჯიშობს?

— ახლავე გიჩვენებთ, — თქვა კა-  
ხიმი. კარადიდან ბურთი გამოიღო და  
ბიჭს გადაუდგო:

— გია ისროლე კალათში.

ბიჭმა ბურთი იატაკზე აათამაშა, მე-  
რე უცებ აიტაცა, შეტრიალდა და კა-  
ლათისკენ ისროლა. ბურთი ჯერ ფიც-  
რის დაფას მოხვდა, შემდეგ ასხლტა და  
კალათში ჩაეშვა.

— ახლა აქედან ისროლე, — უთხრა  
კახიმ და ადგილი უჩვენა.

ბიჭმა კვლავ ისროლა ბურთი. ბურ-  
თი ფოლადის რგოლზე შეგორდა და  
კალათში ჩაეშვა.

— ახლა აქედან, — შორი მანძილი  
უჩვენა კახიმ.

ბიჭმა პირდაპირ ტყორცნა... ბურთი  
სუფთად ჩაეშვა კალათში.

— საიდანაც უნდა ისროლოს, იშვი-  
ათად ააცდენს, — გეითხრა კახიმ ხმა-  
დაბლა, — მაგრამ რა არის, იცით...  
ეტყობა, მალალი არ ვაიზრდება, ამი-  
ტომაც ვავარჯიშებ, იქნებ ამან უშვე-  
ლოს რამე.

— საინტერესოა, — ვთქვი.

კახი ყოველთვის დიდი მონდომებით  
ავარჯიშებდა ვიას. მარტო მის გულის-  
თვის რჩებოდა გაკვეთილების შემდეგ.  
ვარჯიშს მთელი ორი საათი ჰქონდა  
დათმობილი.

ჩვენ ჩოგბურთის მაგიდას ვშლიდით  
და დაღამებამდე ვთამაშობდით. კახი  
კარგად თამაშობდა და ხშირად გვამარ-  
ცხებდა მე და ბეგლარს.

ბეგლარს გაკვეთილების გეგმების წე-  
რა ეჭავებებოდა ჭირივით. პირდაპირ  
ყელში ჰქონდა ამოსული, როგორც  
თვითონ იტყოდა ხოლმე.

— ასეთი მომამბურებელი არა მგო-  
ნია, რამე იყოს კიდევ. — ამბობდა, —



გემის მიხედვით გაკვეთილის ჩატარება არ შეიძლება, გაკვეთილის მსვლელობის დროს ახალი მომენტები ჩნდება და წინა დღით შედგენილი გეგმა წყალში იყრება.

მე არ ვიცი, კონკრეტულად, ამ საკითხში რამდენად მართალი იყო ბეგლარი, მაგრამ ერთი კი ცხადია, რომ ყველა საქმეს ახლავს წვრილმანი, ზედმეტი დეტალები.

ასეთი ზედმეტი წვრილმანებით იყო საესე ჩემი სამუშაოც. ილიკოს რომ ვეტყვოდი, ეს ასე კი არა, ასე უნდა იყოს-მეთქი, მხრებს აიჩჩავდა, რა ვიცი, დიდი ხანია ასე ვაკეთებთო, მეტყობა.

მაღხანი საერთოდ ყოველგვარი სიასლის წინააღმდეგი იყო. დიდი ხანია, აღარაფერს ვეკითხებოდი. არ ყოფილა შემთხვევა, რაიმე საკითხი დამოუკიდებლად გადაეჭრას. ამის შეცვლის უფლება არა მაქვს, — ამბობდა ყველაფერზე, — მიზრძანდით თავმჯდომარესთან, რას გეტყვის...

ცუდია, როცა ვინმე გძულს, ეს გრძნობა ბევრი რამით შეიძლება იყოს გამოწვეული. თუ სიძულვილი ძლიერია, ზიზღში გადადის და გტანჯავს. ზიზღი ძალაუნებურად ვლინდება შენს მოქმედებაში, შენს ქცევაში. ყოველთვის ცდილობ, ამოშალო ეს გრძნობა შენი სულიდან, მაგრამ ვერაფერი მოგიხერხებია... კარგად იცნობ საკუთარ თავს და ეჭვიც არ გეპარება შენს კეთილდღეობაში. ხშირად გიფიქრია სიკეთეზე ადამიანთა ცხოვრებაში, ღრმად გაქვს შეგნებული, რომ უნდა იცხოვრო მხოლოდ სიკეთით, ცხოვრების მიზანიც ხომ ისაა, რომ ყველამ ბედნიერად გავატაროთ სიცოცხლე.

ცხოვრებაში ბედნიერება არ არსებობს, თუ ერთი ადამიანი ბედნიერია, ხოლო მეორე — უბედური. სიცოცხლე ერთია და ყველანი ამ ერთი სიცოცხლით ვცხოვრობთ. ყველანი უკვდავნი ვართ მანამდე, ვიდრე ამქვეყნად ერთი ჩვენგანი მაინც ცოცხლობს, ვისაც ამის შეგნება გააჩნია, ის სხვაზე უფრო მეტს

ფიქრობს, ვიდრე საკუთარ თავზე. ზოგიერთს კი პირიქით ესმის: სანამ ცოცხალი ვარ, — ფიქრობს იგი, — კარგად ვიყო, როცა მოგვედები, წყალსაც წაუღია ქვეყანაო... სწორედ ასეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა მაღხანი. ამაში ღრმად ვიყავი დარწმუნებული.

— ისე, როგორი კაცია მაღხანი? ერთხელ ლაპარაკის დროს სხვათაშორის ვკითხე ილიკოს.

— რა ვიცი, — მითხრა, — ცოტა ხელუკუღმართია.

„მაგ საქმის მე ვიცი... მთავარია ვაგონი“, — უნებურად გამახსენდა ეს სიტყვები.

— მერე როგორ ცხოვრობს რომ იცოდე! — დასძინა ილიკომ.

— როგორ?

— მაგის სახლში რომ შეხვიდე, უნივერსალი გეგონება.

10.

შვიდი ნოემბრის წინა დღეს მე და ბეგლარი, კახიმ თავის სოფელში დაგვაბატიყა. მეორე დღეს გვიან გამოვყევი ავტობუსს თბილისისაკენ. ღამით გამოვიარეთ სოფლები. მგზავრები ჩუმიდ ისხდნენ, ეტყობოდა, ყველას სიამოვნებდა ღამით მგზავრობა. თბილისიდან კახეთისაკენ ზედიზედ მიჰქროდნენ თვალმანათებული „ვოლგები“ და „მოსკვირები“.

მთიდან ვაზიანის დაღმართზე დავეშვივით. აქედან კარგად გამოჩნდა ფუნიკულორის ელნათურები, ქალაქი არა ჩანდა, მაგრამ მის თავზე სივრცე იყო განათებული. მე ფანჯრის მხარეს ვიჯექი, ფიქრი და ოცნება ერთმანეთში ირეოდა. სადღაც წამიკითხავს, ქალაქს ზღვას აღარებენო. „კარგი შედარებაა, მაგრამ სოფელი? — გავიფიქრე — სოფელი რაღას უნდა შეადარო? ალბათ მდინარეს, ამ ზღვას რომ ერთვის და კვებავს“... უცებ ფუნიკულორის პლატოდან მამზალების კონა გამოიშალა და ქალაქს თავზე გადმოეფრქვია.

ალექსი წიკლაური  
უთოვლო ჯამთარი



— რა დიდებული ფეირვერკია! —  
წამოიძახა ვილაცამ. მართლაც ლამაზი  
სანახავი იყო. ახლა ერთი სული მქონ-  
და, როდის მივიდოდით...

ნახევარი საათის შემდეგ შევედით  
ქალაქში. თბილისი მზიან დღესავით იყო  
განათებული. შუქი ერთიორად მომა-  
ტებოდა. ქუჩები და აივნები დროშე-  
ბითა და მწვანე ყვავილწულეებით  
იყო მორთული. საითაც გაიხედავდი,  
ყველაფერი ქათქათებდა.

ავტობუსიდან ჩამოვედი და ქუჩას  
გავუყვები. მერე საპარიკმახეროსაკენ  
შევუხვიე. აქ ერთი ნაცნობი პარიკმა-  
ხერი მუშაობდა. გურგენა ერქვა. სტუ-  
დენტობის დროს მთელი ჩვენი ჯგუფის  
ბიჭები მასთან დავდიოდით. გურგენას  
ყოველთვის საკუთარი კლიენტები ჰყავ-  
და. სხვა პარიკმახერები ფოიეში რომ  
ისხდნენ და კლიენტს ელოდებოდნენ,  
გურგენასთან სამი კაცი მაინც იდგა  
რიგში.

„ახლა თუ მეორე ცვლაშია...“ — გა-  
ვიფიქრე და საპარიკმახეროში შევედი.  
გურგენა თავის სარკესთან იდგა და  
სამართებელს ლევდზე ფხას უყენებდა.  
„კიდევ კარგი!“..

— გამარჯობა, გურგენ! — მივესალ-  
მე.

გურგენამ მოიხედა.

— ვა, გაუმარჯოს! — მობრუნდა და  
ხელი ჩამომართვა, — სადა ხარ, რომ  
აღარ ჩანხარ?

— რა ვიცი.. ქალაქში აღარა ვარ.

— რათა?

— სოფელში ვმუშაობ.

— ვაჰ, ვიძახი, სად არი-მეთქი!

— ისე როგორა ხარ, გურგენ?

— ე, ვარ, რა... დაჯექი, — სამართე-  
ბელი დაკეცა და სარკის წინ დადო.

მეც პიჯაკი გავიხადე და დავჯექი.  
გურგენამ ხელები დაიბანა.

— სოფელში რად წახვედი?

— აბა, ეგეთი საქმე ვისწავლე. კოლ-  
მეურნეობაში ვმუშაობ.

— ე, ცოდვა ხარ ქალაქელი კაცი  
სოფელში.

— რას იზამ...

დაკეცილ-დაუთოებულ  
ლი ამოალავა.

• — აღარც ის ბიჭები ჩანან, აღრე  
რომ მოდიოდნენ ხოლმე.

— ყველანი დაიფანტნენ, სოფლებში  
და რაიონებში გაგზავნეს.

გურგენამ ზეწარი გაშალა და მემო-  
მახვია.

— ეს კისერი ვინ გააკეთა? — მკი-  
თხა.

— იქ, სოფელში...

— ე, მართლა სოფლელებია, აი. ეს  
რა უქნია?

— რა?

— ერთი მხარე მაღლაა, მეორე —  
დაბლა.

— ძალიან?

— ისე ძალიან არა, მაგრამ მაინც...

გურგენამ კისრის შესწორება დაიწ-  
ყო. დიდხანს უტრილა ელექტრომან-  
ქანითა და მაკრატლით.

— აბა ეხლა ნახე! — მითხრა, როცა  
მორჩა. უჯრიდან ოთხკუთხედი სარკე  
ამოიღო და კისერთან მომიტანა.

— როგორია? — თან სარკეში მიყუ-  
რებდა.

— იშვიათი!

გურგენამ კმაყოფილებით გაიღიმა  
და ოქროს კბილები გამოაჩინა.

— თავი დაგბანო? — მკითხა.

— რა ვიცი, დაბანილი კი მაქვს.

— მოიცა, დაგბანო, უფრო გესია-  
მოვნება, — ზეწარი მომხსნა.

თმა ჯერ ცხელი წყლით დამისველა,  
მერე საპონი წამისვა. დიდხანს აქაფებ-  
და საპონს. მერე წყალი თანდათან  
გაანელა და ბოლოს ნელ-თბილით ჩა-  
მომბანა თავი... კარგად იცოდა თავისი  
საქმე.

თმა შემიმშრალა და ისევ მომახვია  
ზეწარი. ახლა პირის პარსევას შეუდგა.  
დიდხანს მისვამდა საპონს სახეზე. სა-  
მართებელი ოდეკალონში გაავლო და  
ბამბით გაწმინდა. მერე პულვერიზა-  
ტორი მოიმარჯვა — ოდეკალონის დაპ-  
კურება დააპირა.

— არ გინდა.

— ვა, სულ დამავიწყდა, რომ ოდე-კალონს არ ხმარობ, — მითხრა.

— ჰო, წყალი სჯობია.  
— მეც ეგრე ვაკეთებ ხოლმე. ცივი წყალი და მორჩა!..

ცივი წყლითა და საპნით მე თვითონ დავიბანე სახე.

პიჯაკი და პერანგიც ჩავიცვი. ფული ამოვიღე და მარმარილოს მაგიდაზე დავუღე.

— საღოლ! — მითხრა. თან საათს ახედა კედელზე, — ვა, უკვე თერთმეტის ნახევარია, აი. ესლა მეც — შაბაშ!

— კარგად, გურგენ! — დავემშვიდობებ.

— იცოცხლე, კარგად!  
საპარიკმახეროდან გამოვედი. იქვე ტელეფონის ჭიხური იდგა.

„სჯობია ამალამვე დავრეკო ლიასთან, — გავიფიქრე, — ეცოდინება, რომ ჩამოვედი“.

ჭიხურში შევედი და ნომერი ავკრიფე...

სწრაფად გავჩნდი გაჩერებასთან. „ლია მარტოკაა შინ... რა ბედნიერებაა“, მოუთმენლად ველოდი ავტობუსს.

ავტობუსი მალე მოვიდა. ხალხი მიაწყდა. რამდენიმე ქალი გავატარე და მერე ავედი.

სწორედ იმ შენობასთან იყო გაჩერება, ლია რომ ცხოვრობდა. ავტობუსიდან ჩამოვედი და სადარბაზო კარისკენ გავემართე. ძველისძველი არქიტექტურული შენობა იყო, თეთრი მარმარილოს კიბის საფეხურები შუაგულზე ისე მოცვეთილიყო, თუ ფრთხილად არ ახვიდოდი, ფეხი დაგიცურებოდა.

კიბის ცალ მხარეს ავყევი. მესამე სართულზე გავჩერდი და ზარი დავრეკე... კარი გაიღო. ბინის თბილმა და სასიამოვნო სურნელმა დამკრა სახეზე. ლიამ გაიღიმა. თეთრზოლებიანი საშინაო კაბა ეცვა, ქათქათა ფოლაქებიანი შევედი თუ არა, მაშინვე ხელში ავი-

ყვანე, შემოვატრიალე, მერე თვალბეშვი ჩავეხდე და ვაკოცე.

— როგორა ხარ, ჰა?  
— კარგად. რატომ გუშინვე არ ჩამოხვედი?

— გუშინ უნდა ჩამოვსულიყავი, მაგრამ...

— მაგრამ, რა?  
— ამხანაგმა დამპატიყა. ხათრი ვერ გავუტეხე, ეწყინებოდა.

დივანზე დავსხედით.  
— ნუთუ უკვე გყავს იქ ასეთი ამხანგები? — გაიცინა ლიამ:

— უნდა ჩამოხვიდე ერთხელ და ნახო... მართლა, რთველზე რატომ არ ჩამოხვედი?

— უხერხული იქნებოდა.  
— რატომ იქნებოდა უხერხული?  
— რას იტყვოდნენ, ვინ არისო?

— არაფერსაც არ იტყოდნენ. გაიგებდნენ, ვინცა ხარ.  
— რას ეტყოდნი?.. ჩემი საცოლუაო.. — გაიცინა ისევ.

— მერე რა? ტყუილი ხომ არ იქნებოდა?

— მაინც სოფელია, ხომ იცი...  
ოთახში თბილოდა. ტელევიზორი ჩართული იყო, უკანასკნელ ცნობებს გადმოსცემდნენ. ახალგაზრდა დიქტორი ბიჭი ძალად იბოხებდა ხმას და თავს აქეთ-იქით აქანავებდა.

— ლია დაუწიე, რა... რა დროს ეგ არის!

წამოვდექი და პიჯაკი გავიხადე. ლია ფეხზე იდგა. კვლავ ხელში ავიყვანე და დივანზე დავსვი.

— ჩვენ ასე მარტო არასდროს შეგხვედრივართ ერთმანეთს, — ვთქვი. როდის ჩამოვლენ თქვენები?

— ხვალ.  
— რა ბედნიერებაა!

— მე გუშინ საღამოს გელოდი, — მითხრა ლიამ.

— ვიცი, მაგრამ რა მექნა... ადამიანს ამხანაგის ხათრიც ხომ უნდა ჰქონდეს!

ალექსი წიკლაური  
„უთოვლო ზამთარი“

გადმოცემა დამთავრდა. ლია წამოდ-  
გა და ტელევიზორი გამორთო.

— ლია, ფირფიტები დაუტკრათ და  
ვიცეკვოთ.

— არა გშია? — მკითხა.

— ცოტათი.

— ჯერ ჭამე და მერე დაუტკრათ.

— კარგი. მაშინ მოვიტან რამეს.

— რა უნდა მოიტანო?

— დასალუვი. ისე არ ივარგებს.

— არაფერი ვინდა, ყველაფერი  
მაქვს.

— მინდა, მე მოვიტანო. ერთ ბოთლ  
კონიაკს წამოვიღებ, — წამოვდექი.

— რად ვინდა კონიაკი ამ შუალაში-  
სას? მაშინ, ტკბილი წამოიღე რამე.

— კარგი, შამპანურს წამოვიღებ.

პიჯაკი ჩავიცვი და გამოვედი. სასურ-  
სათო მალაზია ქუჩის მეორე მხარეს  
იყო. იმ დროს მივედი, დაკეტვას რომ  
აპირებდნენ. ერთი ბოთლი შამპანური  
და შოკოლადი ვიყიდე.

სანამ მოვიდოდი, ლიას უკვე გაეწ-  
ყო სუფრა.

— ლია, ასე არა!

— მაშ, როგორ?

— მაგხელა მაგიდასთან რა გვინდა.  
ყურნალების მაგიდა მოვიტანოთ და  
აქ, დივანთან დავსხდეთ.

ლიამ ყურნალების მაგიდა მოიტანა  
და სუფრას თეთრი ქაღალდი გადააფა-  
რა. ცოტა-ცოტა ყველაფერი დავაწყეთ  
შედ. დივანზე დავსხედით.

— აი, ასე, ხომ კარგია?

— შესანიშნავია!

შამპანური გავხსენი და ჭიქებში და-  
ვასხი.

— შვიდ ნომბერს გაუმარჯოს! —  
ვთქვი.

— გაუმარჯოს! — მიბასუხა ლიამ.

ჭიქები ერთმანეთს მივუჭახუნეთ.

— ეს ჩემი გაკეთებული კერძია, —  
მითხრა, — ნახე, რა გემრიელია!

— ფერი კი მართლა კარგი აქვს,  
მაგრამ ეს რა გიქნია?

— რა?

— იმდენი დაფნის ფოთოლი ჩაგი-  
ყრია, დაგიმწარებია.

— დაფნის ფოთოლი სულ უფრო  
აქვს.

გამეცინა.

— მეც იმიტომ ვითხარი.

— კარგი ერთი, ნუ ხუმრობ, — თქვა  
ლიამ, — ისე, ხომ გემრიელია?

— გადასარევი! როგორ გააკეთე?

— ნუ დამცინი.

— არაფერსაც არ დაგცინი. ნახე,  
როგორა ვჭამ...

ლიამ მაგნიტოფონი ჩართო.

ცოტა ხანს ვცეკვავდით, მერე ფან-  
ჯარა გამოვადე.

— ლია, შეხედე, როგორაა ქუჩა გა-  
ნათებული! იმდენი შუქია, პირდაპირ  
თვალს მოგჭრის.

მე და ლია ფანჯრის რაფაზე ვიყა-  
ვით დაყრდნობილი და გაჩახახებულ  
ქუჩას დავყურებდით. გარედან სასიამო-  
ვნო სივრცე შემოდოდა, თითქოს  
ჩვენთან ერთად ოთახიც ისუნთქავდა  
ღამის ნოტიო და სუფთა ჰაერს. ქუჩა-  
ში აღარავინ იყო, სიჩუმე სუფევდა.  
ხანდახან ლამპიონების შუქით აელვა-  
რებული ტაქსი თუ გაიქროლებდა  
სწრაფად...

დავსხედით. ჭიქები ისევ შევავსე.

— ლია, შენ მშობლებს გაუმარჯოს!  
ბედნიერი ხარ, ასეთი კარგი მშობლე-  
ბი რომ გყავს. მათ ეს ყველაფერი ალა-  
ლი, პატიოსანი შრომით აქვთ შექმნი-  
ლი. ყველა რომ ასეთი იყოს, მაშინ  
მშვიდად და ბედნიერად ვიცხოვრებ-  
დით.

ლია ვალიმბული მიყურებდა. უხ-  
მოდ მომიჭახუნა ჭიქა და ორივემ ბო-  
ლომდე დავლიეთ.

— ჭამე, — მითხრა.

— აღარ მინდა.

ლიას წელზე მოვხვიე ხელი და ჩემ-  
კენ მოვიზიდე.

— ლია... — ვთქვი ცოტა ხნის შემ-  
დეგ ხმადაბლა.

ლიამ თვალი გაახილა და შემომხედა.

— ვიცეკვოთ, — ვუთხარი, — ცოტა  
ხანს კიდევ ვიცეკვოთ.

...დლით გამეღვიძა თუ არა, ლიას

სახეზე დახვდეთ. მერე შიშველ მხრებზე ფრთხილად შეეახე ხელი. იგრძნო ხელის შეხება, ძილბურანში მყოფმა ინსტიტუტურად მოიწია ჩემკენ და სახე მკერდზე მომადო...

11

მეუშაობა რომ დამთავრდებოდა ილიკო სათვალეს მოიხსნიდა და დაღლილ თვალეზში ხელისგულებს ამოისვამდა.

— ესეც ასე, — იტყოდა, — ეს დღეც დასრულდა!

მერე პალტოებს ვიცვამდით და შინ მივდიოდით.

მე მარტოკა გავუყვებოდი ქუჩას. ნელა მივდიოდი და ვფიქრობდი ჩემთვის. ხანდახან გზაზე იოსები მხედებოდა. მივივრდა; სკოლიდან ასე გვიან რატომ მოდის-მეთქი. მერე დავაკვირდი და მივხვდი, რომ იოსები ერთსა და იმავე დღეს მხედებოდა — ოთხშაბათობით. ბეგლარისაგან გავიგე, ამ დღეს გახანგრძლივებულ ჯგუფს ამეცადინებდა.

მე და იოსები ხან უბრალოდ ვესალმებოდით ერთმანეთს, ხან კი შევჩერდებოდით და იოსები მეკითხებოდა, როგორ მიდიოდა ჩემი სამსახურის საქმე, ან ხომ არ მომწყინდა უკვე სოფელში ყოფნა. დინჯი და დაფიქრებული კაცი იყო, ასე, ორმოცდათხუთმეტის მინც იქნებოდა.

ცნობილია, რომ სპეციალობა ადამიანებს, ცოტა თუ ბევრად, თავის დაღს ამჩნევს. ზოგიერთებს უმეტესად ჩაცმა-დახურვაზეც ეტყობა ეს. რომ არ მცოდნოდა და ვინმეს ეკითხა იოსებზე, აბა, გამოიცანი ეს კაცი რა საგნის მასწავლებელიაო, — მაშინვე ვუპასუხებდი: ისტორიკოსია-მეთქი.

იმ ოთხშაბათ საღამოსაც ჩვეულებრივად შემხვდა. ილიაში ტყავის ძველი საქაღალდე და წიგნები ამოეჩარა.

— ახალი წესი შემოგიდიათ, გაკვეთილების შემდეგ დამატებით მეცადინეობთ, თურმე, — ვუთხარი.

— განა მარტო თქვენ... ჩვენცა გვაქვს გეგმა, — გაიცინა იოსებმა, — არც ერთი მოსწავლე ოროსანი არ უნ-

და იყოს! — თან ჯიბიდან პაპიროსის კოლოფი ამოიღო და გამომიწოდა.

— გმადლობთ, არ ვეწევი.  
— ბედნიერი ყოფილხართ, — მითხრა, — ამ ბოლო დროს გული ვერა მაქვს კარგად, მაგრამ ამას მაინც ვერ ვეღვევი.

კოლოფიდან სიგარეტი ამოიღო და შუაზე გადატეხა. ნახევარი ისევ ჩააბრუნა კოლოფში, ნახევარი მუნდშტუკში გააჩქო.

როცა იოსებმა ასანთს გაჰკრა და ორივე ხელი ტუჩებთან მიიტანა მოსაკიდებლად, ილიიდან რაღაც მოგრძო საგანი დაუტურდა და დაბლა დავარდა. მე ასაღებად დავიხარე. მოწითალო ჟანგიანი საგანი იყო, სატევიარისმაგვარი, წვერი წატეხილი ჰქონდა.

— გმადლობთ! — მითხრა და მოწიწებით გამომართვა.

— რა არის ეს, ბატონო იოსებ?

— ბრინჯაოს ორლესულია. დღეს გავკეთილზე მქონდა.

— ეტყობა, ძალიან ძველია.

— ჰო, აქ ნაბოვნია... ბრინჯაოს ხანას განეკუთვნება.

— ეგ რომელ საუცუქნეში?..

— დაახლოებით, მეორე ათასწლეულს ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

ისევ გამოვართვი ორლესული და ხელში ინტერესით შევატრიალე.

— რა მიმივა!

— რა თქმა უნდა... ბრინჯაოა.

— მეორე ათასწლეული... ესე იგი, ოთხიათასი წლის წინანდელი. აუჰ, რა საინტერესოა!

რაღაც სხვანაირი განცდა დამეუფულა უცებ. ოთხიათასი წლის წინათ ადამიანის ხელით ნაკეთები საგანი მეჭირა.

ორლესული იოსებს გავუწოდე. მან გაზეთში გაახვია და ილიაში ამოიღო.

— ძალიან უჭირთ მოსწავლეებს... მიუხედავად იმისა, რომ ათასნაირ თვალსაჩინოებას ვიყენებ, მაინც უჭირთ ისტორიის შესწავლა, — თქვა.

ალექსი წიკლაური  
უთოვლო ჯამთარი



— ძნელი საგანია, — წამომცდა.

— ამის გარეშე მაინც არ შეიძლება. ვინც თავისი ერის ისტორია არ იცის და თავის მიწა-წყალს არ იცნობს, ის რა კაცია!

იოსებში მართალი იყო, ეს მწარედ ვიგრძენი.

— უნდა გამოვტყდე, ბატონო იოსებ, სწორედ ეგაა ჩემი ნაკლიც, არც თუ ბევრი მიმოგზაურია და ჩემი ერის ისტორიაც არ ვიცი კარგად. ადრე, რატომღაც, არ ვიყავი ამით დაინტერესებული და ჩემმა სპეციალობამაც არ შემიწყო ხელი.

იოსები ერთ წამს ჩაფიქრდა.

— სპეციალობას რა მნიშვნელობა აქვს? — თქვა ბოლოს.

— ახლა მაინც გვიანაა...

— რა არის გვიან? — გაკვირვებით შემომხედა.

ამ სიტყვებზე ჩემში, თითქოს დიდი ხნის დაგუბებული რალაც დაიძრა და ჩემდა უნებურად გამიყოლია. რალაც ახალი ძალა ვიგრძენი, რომელმაც ახალი ვნება გამოიწვია და ამალეღვა.

— მე დიდად დავალებული ვიქნებოდი თქვენგან, ბატონო იოსებ, თუ ცოტა დანშარებას გამიწევდით და მხოლოდ სახელმძღვანელოებზე მიმითითებდით.

იოსები ადგილზე შექანდა და გაბრწყინებული სახით შემომხედა.

— დიდი სიამოვნებით! — თქვა დიმილით, — თუკი მოისურვებთ, ჩემი ბიბლიოთეკის კარი ყოველთვის ღია იქნება თქვენთვის.

ჯიბიდან ისევ ამოიღო სიგარეტის კოლოფი... ის ნახევარი სიგარეტიც ხუთი წუთის წინ რომ შეინახა, მუნდ-შტუკში გაარჭო... როცა ასანთით სიგარეტს უკიდებდა, შევნიშნე, რომ თითები უკანკალებდა... მისი სულიერი ცხოვრება ჩემთვის უკვე ნათელი გახდა. მივხვდი, ისეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომელთაც სურთ ის კარგი, რასაც თვითონ ხედავენ და გრძნობენ, სხვასაც დაანახონ და გაუზიარონ.

— როცა გენებოთ, მაშინ მობრძან-

დით, — მითხრა, — მე საღამოობით ველთვის შინა ვარ. სახლი იცით, ბეგლარი გამოიყოლეთ. ფოსტის ზევითა ცეცხვრობ.

— დიდი მადლობა, ბატონო იოსებ! აუცილებლად მოვალ... კარგად ბრძანდებოდეთ, — დავემშვიდობე.

მეორე დღეს სამუშაოდან რომ დაბრუნდი, მაშინვე ბეგლართან წავედი.

— იოსებთან უნდა გამომყვე, — ვუთხარი.

— იოსებთან რაღა გინდა? — შემომხედა.

— ისტორიის სახელმძღვანელოები უნდა მომცეს და, სახლი არ ვიცი.

— რა ისტორიის სახელმძღვანელოები?! — გაუკვირდა ბეგლარს.

— ჩვენი ქვეყნის ისტორია უნდა შევისწავლო.

ბეგლარი გაკვირვებული მიყურებდა, ვერ გაეგო — ვხუმრობდი, თუ მართლა ვეუბნებოდი. მერე მოგუყევი წინა დღით იოსებთან შეხვედრის ამბავი და მაშინ კი დარწმუნდა.

— წავიდეთ, — თქვა, — რაკი ასე გაგადაგიწყვეტია!..

— რახან ვთქვი, კიდევაც უნდა შევასრულო, საფუძვლიანად უნდა შევისწავლო.

— კაი ნებისყოფა კი უნდა ისტორიის შესწავლას, — თქვა ბეგლარმა.

— მაგისი არ მეშინია.

ბეგლარმა პალტო ჩაიცვა და გამომყვა. ფოსტას გვერდზე ავუარეთ. მოასფალტებული ქუჩა მიდიოდა. ორივე მხარეს ორსართულიანი სახლები იყო ჩამწყობებული.

— ოჯახში ვინა ჰყავს? — შევეკითხე ბეგლარს.

— ამჟამად ცოლია და თვითონ... ისე ორი შვილი ჰყავს — გოგო და ბიჭი. გოგო გათხოვილია, ბიჭი კი ჯარშია.

ალაყაფის კართან შევჩერდი.

— აი, ეს არის იოსების სახლი, — მითხრა ბეგლარმა.

პატარა კარი შიგნიდან იყო ჩარახული.

— იოსებ მასწავლებლო! — დაუძახა ბეგლარმა. ისიც „იოსებ მასწავლებლს“ ეძახდა. ადრე ბეგლარი მისი ნამოწაფარი ყოფილა და ახლა ეს ჩვევაც იყო, პატივისცემაც.

არავინ გამოსულა. ბეგლარმა ხელი გადაჰყო, კარი გააღო. ეზოში შევედით.

— იოსებ მასწავლებლო! — კიდევ დაიძახა ბეგლარმა.

პირველ სათულზე კარი გაიღო და იოსები გამოჩნდა.

— ოო, მობრძანდით! — გვითხრა ღიმილით. კარი ფართოდ გააღო და გვერდზე დადგა.

მე და ბეგლარმა კართან დაფენილ ტილოზე ფეხები გავიწმინდეთ.

— შემოდით, შემოდით! — გვითხრა იოსებმა.

იოსებს პიჯამოს ზოლებიანი შარვალი და რუხი ფერის შინაქსოვი თბილი სვიტერი ეცვა. ფეხები ფლოსტებში ჰქონდა წაყოფილი. შინ შევედით. ღუმელი გახურებული იყო და სასიამოვნოდ თბილოდა. იოსების ცოლი მეორე ოთახიდან გამოვიდა და მოგვესალმა. გამხდარი, სანდომიანი სახის ქალი იყო. სკამები შემოგვთავაზა. მე და ბეგლარმა პალტოები გავიხადეთ და დავსხედით. იოსებმა გვერდითი ოთახის კარი ღიად დატოვა.

— იქით ღუმელი არ გვიდგია და სითბო გავიდეს! — თქვა.

ღია კარიდან მოპირდაპირე კედელზე წიგნებით სავსე თაროები მოჩანდა. „ალბათ ესაა იოსების ბიბლიოთეკა“, — გავიფიქრე.

კარგა ხანს ვისხედით თბილ ოთახში, ვლაპარაკობდით. იოსებმა შვილის სურათი გვაჩვენა, ჯარიდან გამოგზავნილი.

— როგორ გასუქებულა! — თქვა ბეგლარმა.

ბიჭს ჰკვიანური გამოხედვა ჰქონდა. სახის მოყვანილობით ძალიან ჰგავდა მამას.

ცოტა ხნის შემდეგ იოსების ცოლმა თხელი ჰიქებით ჩაი შემოგვიტანა.

ჩაი რომ დავლიეთ, იოსებმა მეორე ოთახში გავიყვანა.

— გუშინდელი ნათქვამი ხომ არ გადაიფიქრეთ? — მეითხა ღიმილით.

— პირიქით.

— კარგია! მჯერა თქვენი. გარეთ უკვე ბნელოდა. იოსებმა შუქი აანთო, მერე სათვალე გაიკეთა და თაროებს შეხედა.

— ახლა ისეთ სახელმძღვანელოებს შეგიჩვენებ, რომ უფრო გაგიადვილებათ პირველ ხანებში, — მითხრა და თაროდან ორი წიგნი გადმოიღო. ერთი ლურჯყდიანი, ხოლო მეორე, ძველი — თეთრყდიანი.

— დაწყება ამით სჯობს, — მიმიითხრა ძველ წიგნზე, — ეს ერთგვარ წარმოდგენას მოგცემთ ცალკეულ ეპოქებზე, აქ უფრო ზოგადადა საკითხები განმარტებული. ამ მეორეში კი ათასი წვრილმანი და ზღვა მასალაა, ამისათვის წინასწარ უნდა იყოთ მომზადებული.

იოსებმა წიგნები მაგიდაზე დააწყო. კიდევ ეძებდა რაღაცას თაროზე.

— ზო... ჯერჯერობით ეს ორი წიგნი წაიღეთ, — ძებნას თავი დაანება და მოტრიალდა, — ეხლა ერთი რამე დამახსოვრეთ, ისტორიის შესწავლას თავისი ხერხი აქვს. ძალიან არ უნდა უკირიკიტო, თქვენ ახლა ღიდი ხართ და განზოგადოების უნარი გავაჩნიათ. მოსწავლეებს იმიტომ უჭირთ, რომ მათ განზოგადოების უნარი ჯერ კიდევ არა აქვთ განვითარებული. ცალკეულ თარიღებსა და მოვლენებს ბრმად სწავლობენ... პირველი წაკითხვით მიინცდამიინც ნუ შეეცდებით, დამახსოვრეთ ცალკეული დეტალები. ეცადეთ ზოგადი წარმოდგენა მიიღოთ; მხოლოდ ეპოქებსა და საუკუნეებს უნდა მიაქციოთ ყურადღება. მეორე წაკითხვისას უკვე წვრილმანების დამახსოვრება იწყება. კარგია, თუ პატარ-პატარა ამონაწერებსაც გააკეთებთ, ადამიანი ყველაზე მეტად გადაწერის დროს იმახსოვრებს ფაქტებსა და მოვლენებს. გარ-

ალექსი წიკლაური  
 შთოვლო ზამთარი



და ამისა, მუზეუმები და ძეგლები უნდა დაათვალიეროთ გულმოდგინედ. თავისუფალ დროს ბევრი უნდა იმოგზაუროთ.

მე და ბეგლარი მოწაფეებივით ხმა-ამოუღებლად ვისხედით. იოსებმა სიგარეტს რომ მოუკიდა, მერე მაგიდის უჯრა გამოსწია და იქიდან პატარა გასაღები ამოიღო.

— შინ პატარა მუზეუმი მაქვს, — თქვა ღიმილით, — ახლა გაჩვენებთ. მე და ბეგლარი ახლოს მივედით... კარადის თაროებზე უანგიანი საგნები ეწყო: შუბის წვერები, ცულები, ძველებური ორლესულები, თიხის ჭურჭლის ნატეხები და სამკაულები.

— ეს ყველაფერი აქ ნაპოვნია, — თქვა იოსებმა, — საფლავის თხრისას, თუ ვენახში მუშაობის დროს პოულობენ და მაშინვე ჩემთან მოარბენინებენ. მეც ვინახავდი და აი, ნახეთ, რამდენი შევკაროვე... რა თქმა უნდა, ამის შინ შენახვის უფლება არა მაქვს, მაგრამ აქ ისეთი არაფერია, რომ მეცნიერებისათვის უცნობი იყოს. ვიდრე პენსიაზე არ გავსულვარ, მექნება, რადგან ძალიან მეხმარება გაკვეთილებზე, მერე კი აუცილებლად ჩავაბარებ.

იოსებმა კარადის კარი დაკეტა და გასაღები ისევ უჯრაში ჩაღო. მერე სათვალე მოიხსნა და მითხრა:

— თუ რამე გაუგებარი იყოს, ნუ მოგერიდებთ, ყოველთვის მომმართეთ.

— მე მგონია, ერთ წელიწადზე მეტი არ დამჭირდება სწავლა — ვთქვი.

იოსებს გაეღიმა.

— ნუ აჩქარდებით, — მითხრა, — მთავარია, დაკვირვებით იმუშაოთ. საერთოდ, ახალგაზრდებს ყველაფერი გეჩქარებათ, გგონიათ სწრაფად გავადრო, მალე მოხუცდებით და ვერაფერს მოასწრებთ. ასე არაა. ადამიანი იმდენ ხანს ცოცხლობს, რომ ბევრი რამის მოსწრება შეუძლია; ოღონდ მთავარია გულმოდგინედ მუშაობდეს.

ცოტა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა. მე და ბეგლარი წასასვლელად მოვემზადეთ. იოსებიც წამოდგა.

— მოგზაურობა თუ გიყვარება, — მითხრა.

— ძალიან!..

— ისტორიული ძეგლები უნდა დაათვალიეროთ აუცილებლად. მართო წიგნები არაფერს მოგცემთ... თქვენ თუ ამ საგანს მართლა კარგად შეისწავლით, დამერწმუნეთ, სულ სხვა თვალთ შეხედავთ ცხოვრებას. ადამიანს სულიერად ისე არაფერი ამაღლებს, როგორც საკუთარი ერის ღირსეული წარსულის ცოდნა.

მე და ბეგლარმა პალტოები ჩავიცვით და გამოვედით. იოსები ალაყაფის კარამდე მოგვყვა.

გარეთ ციოდა. ქუჩას ბოძებზე დაკიდული მრგვალი ლამპიონები ანათებდნენ. ასფალტი მოყინული იყო და ფრთხილად მივამიჯვბდით დაღმართზე.

— ძალიან ჭკვიანი კაცი ყოფილა, — ვთქვი.

— იშვიათი კაცია, — მიასუსხა ბეგლარმა, — ამ ბოლო დროს გულის ტკივილს უჩივის; მენანება.

— ჰო, მეც მითხრა გუშინ.. ასეა, ვინც ამქვეყნად გულით ცხოვრობს, მას ყოველთვის სტკივა გული.

12

წვიმიანი დღე იყო. შესვენების შემდეგ სამუშაოს მივუჯექი. მაგიდაზე საქალაღე მქონდა გაშლილი და გასული წლის შედეგებს წლევანდელთან ვადარებდი. ილიკოს მთელი დღე თავი არ აუღია, საანგარიშოზე ციფრებს აჯამებდა. ხანდახან მთავარი ბუღალტერი შეირხეოდა და სკამს ააჭრიალებდა.

თავმჯდომარე თბილისში იყო წასული. საღამოს უნდა ჩამოსულიყო. გელოდით.

ბუღალტერიის კარი გაიღო და მღივანმა თავი შემოყო.

— მალხაზი გეძახის, — მითხრა.

მაშინვე ავდექი და გავედი. კაბინეტში რომ შევედი, მალხაზმა სათვალეს ზემოდან გამომხედა. ხელში რაღაც ქალაღლები ეჭირა.

— რა არის ეს?! — მომახალა მკვახედ და გაუგებრად.

— რა არის? — კითხვითვე მივუგე.

— რა არის და, ამის გულისთვის გავილანძღვებით, ჩემო ძმაო!

— რის გულისთვის?! გამიკვირდა და ახლოს მივედი.

— რის გულისთვის და აი ამ შენი შეცდომით შედგენილი ფორმების გულისთვის. უკან დაგვიბრუნეს! — ქალღლების დასტა ხელში შეატრიალა. ვიცანი, ჩემი შედგენილი ფორმები იყო, ერთი კვირის წინ გაუგავხვანე სამინისტროში.

— არაფერი მესმის... გამარკვევთ წესიერად, სად არის შეცდომა? — ვუთხარი წყნარად.

— მე რა უნდა გაგარკვიო, ეს შენი საქმეა... თუ მუშაობა არ იცი, ჩემო ძმაო, მაშინ!.. — აუწია ხმას.

— რა, „მაშინ“?!

— მაშინ ის, რომ დაწერე განცხადება და მიბრძანდი! — თქვა ძალიან უბრალოდ.

— ?!...

— დიახ, ასეა წესი! აქ საბავშვო ბაღი არა გვაქვს!

— წესი ასე კი არა, წესი ისეა, რომ წესიერად ელაპარაკოთ თანამშრომელს.

— მე ხელმძღვანელი ვარ და ჭკუას ნუ მასწავლი, როგორ მივიქცე!.. აქ კოლმეურნეობაა, ამხანაგო! — წამოიყვირა.

— დიახ, კოლმეურნეობაა და არა კერძო საკუთრება! — ველარ მოვითმინე.

— რაო?! შენ რაებს ლაპარაკობ! — წამოუწითლდა ისედაც აჭარხლებული სახე.

— მგონი, გასაგებად ვთქვი.

— მიბრძანდი აქედან!.. ხელს ნუ მიშლი! — წამოხტა და ხელი მკრა.

მერე აღარ მახსოვს რა ვუთხარი. მარტო ის მახსოვს, რომ ვგრძნობდი, საშუალება მქონდა პირში მეთქვა მისთვის სიმართლე. სიმართლე იმისა, რაც

ამდენი ხანი ჩემში ზიზღსა და სიძულვილს იწვევდა მის მიმართ.

ილიკო შემოვიდა და გამოყვანა. მკლავში წამავლო ხელი და ისე მიწეწეოდა. ბულალტერიაში რომ შევედი, ყველანი შეშინებული შემომტყეოდნენ, ხმას არავინ იღებდა. ცოტა ხანს ვიჯექი ხმაამოუღებლად. მერე განცხადება დაწერე გამათავისუფლეთ-მეთქი და მდივანს დავუტოვე, რომ თავმჯდომარესთვის შეეტანა.

მუშაობა აღარ შემეძლო. შინ წავედი. თავს ძალას ვატანდი, ყველაფერი სიზმარს ჰგავდა და თანაც ისე მოულოდნელად და სწრაფად მოხდა, გონს მოსვლა ვერც მოვასწარი. „ნუთუ ამის მეტი ფასი არ უნდა ჰქონდეს ადამიანს ცხოვრებაში?“ — ვფიქრობდი. „შენ თუ მუშაობა არ იცი, ჩემო ძმაო!...“ შხამივით ჩამაწვეთა ეს სიტყვები. ასეთებმა მარტო ის იციან, ნერვები როგორ მოვიშალონ და გზა-კვალი ავიბნინონ.

ოჰ, როგორ მძულდა ყველაფერი, რაც ჩემს ირგვლივ იყო.

ისე ვიყავი დაბნეული, სახლს გავცდნოდი. უკან მოვბრუნდი. კიბეზე რომ ავედი, ვიგრძენი საშინლად ვიყავი დაღლილი.

ოთახში შევედი და ლოგინზე წამოვწექი. ვერ მოვისვენე, წამოვდექი, ეზოში ჩავედი და პირი დავიბანე. ამან ცოტა დამამშვიდა. ბეგლართან წასვლა დავაპირე, მაგრამ გამახსენდა, რომ სკოლიდან არ იქნებოდა დაბრუნებული.

საწოლის ქვეშედან ჩემოდანი გამოვათრე და ჩალაგება დავიწყე. უცებ იოსების წიგნები მომხვდა ხელში, გავჩერდი. „ესენი ახლავე უნდა წავუღო“.

ყველაფერს თავი მივანებე და წავედი. პალტოს საყულო აწეული მქონდა და რომ არავინ დამენახა, თავდახრილი მივყვებოდი ქუჩას.

ალექსი წიკლაური  
უთოვლო ჯამთარი



ქუჩიდან დაეუძახე. კარი იოსების ცოლმა გამოიღო.

— მობრძანდით. იოსები შინ არის, — მითხრა.

ვცილობდით მხიარული სახე მიმელო, რომ ქალს არაფერი შეემჩნია.

იოსები თავის სამუშაო ოთახში მაგდასთან იჯდა და რაღაცას წერდა. რომ შევედი, წამოდგა, სათვალე მოიხსნა და ხელი ჩამომართვა.

— დაბრძანდით, — სკამი დამიდგა, — პალტო გაიხადეთ.

— გამდლობთ. მალე უნდა წავიდე. წიგნები მოგიტანეთ.

— დაბრძანდით ცოტა ხანს.

წიგნები მაგიდაზე დავაწყე და დაეჭევი. იოსები ჯერ წიგნებს დააცქერდა, მერე მე შემომხედა გოცებით. მხოლოდ სამი კვირა იყო გასული მის შემდეგ, რაც წიგნები წავიდე.

— ასე მალე?! —

— არა, ბატონო იოსებ, ასე მალე რას მოვასწრებდი... მივდივარ აქედან და ამიტომ... — თვალი ვერ გავუსწორე, ისე ვთქვი.

— რატომ?!.. რა მოხდა?! — მკითხა.

ყველაფერი მოუუყვიე, რაც მოხდა. იოსები ყურადღებით მისმენდა. ოთახში ვაიარ-გამოიარა. მერე ისევ დაჯდა, სიგარეტს მოუკიდა.

— არ ესმით, — თქვა, თან ღრმად ამოისუნთქა და პაპიროსის კვამლი ამოაყოლა, — ბევრს არ ესმის ეს ცხოვრება... — მერე თითქოს თავისთვის ლაპარაკობსო, ღინჯად განაგრძო, — ჩვენ უფროს თაობას, უფლება არა გვაქვს, ახალგაზრდას უხეშად მოვექცეთ, ხელი ვკრათ და გზიდან გადავავდეთ. პირიქით, ხელი უნდა შევუწყოთ და სწორ გზაზე დავაყენოთ. ეს ჩვენი ვალია... დიახ, ჩვენი ვალია, რადგან ახალგაზრდა თაობის სიცოცხლის მიზეზი ჩვენა ვართ — უფროსი თაობა. ჩვენ პასუხისმგებლები ვართ თქვენს წინაშე. ბევრმა ეს არ იცის. ასევე თქვენ ოქნებით მომავალი თაობის წინაშე პასუხისმგებელი. ვინც რას დაეთესო, იმას მოვიმკით.

საერთოდ, ამ კაცთან ყოველთვის სულიერ სიმშვიდეს ვგრძნობდი, და ახლა მით უმეტეს: რაღაც ახლობელი, მშობლიური და თბილი განვიცადე ამ მყუდრო ოთახში. მისმა სიტყვებმა უცებ ისე შეცვალა ჩემი განწყობილება, თითქოს სითხეში ლაკმუსის წვეთი ჩააგდესო.

— რატომ არ ასწავლიან ასეთ რამეს სკოლაში ან უმაღლეს სასწავლებლებში, ბატონო იოსებ?..

ჩაფიქრდა.

— კაი კაცობას სხვა ვერ გასწავლის, — თქვა მან. — კაი კაცობა თვითონ უნდა ისწავლო. თვითონ უნდა მიხვდეს და დაინახოს. ამისათვის კი ფიქრი, შრომა და დაკვირვება საჭირო. მთავარი მაინც ფიქრია. ღრმად უნდა დაუფიქრდეს და მიხვდებოდეს... ვინც საკუთარ თავს გაუბრუნებს და არ შეუძლია საკუთარ თავთან მსჯელობა, ის კაი კაცობას ვერასოდეს ისწავლის. ასეთებს მხოლოდ ეგოისტური ინსტიქტები უვითარდებთ.

— მაღხაზე გაუნათლებელი კაცია და მე სწორედ ამას ვაბრალებ... —

— მთავარი არც ეგ არის, — თქვა იოსებმა, — მამაჩემმა წერა-კითხვაც არ იცოდა, მაგრამ უკეთილშობილესი ადამიანი იყო.

კვლავ დაფიქრებული მიაშტერდა ერთ წერტილს, მის მეტყველ სახეს აშკარად ემჩნეოდა წყენა.

— წავიდე, ბატონო იოსებ, — წამოვდექი.

— რა გეჩქარებათ? გაგეხადათ პალტო, ჩაი მაინც დაგველია, — მითხრა.

— გამდლობთ, ბატონო იოსებ... თქვენი ძალიან დიდი მადლობელი ვარ ყველაფრისათვის. ყოველთვის მეხსოვებით.

ცოლ-ქმარს დავემშვიდობე და შინ წავიდე.

გავიღვიძე თუ არა, უსიამოვნო გრძნობამ გამკრა გულში. გუშინდელი დღე გამახსენდა.

ასეთ შემთხვევაში დილით ყოველ-

თვის განიციდი ცხოვრების პასუხის-  
მგებლობით გამოწვეულ რაღაც შიშს.  
მერე გადის წუთები და ხვდები, რომ  
ეს მოჩვენებაა, მხოლოდ დამეული  
კომპარების ნაშთია, რომელიც თანდა-  
თან იფანტება.

მერე იბან პირს... იმშრალე სახეს  
და იყურები სარკეში... სარკიდან შენი  
ორეული მოგჩერებია... ერთ ხანს უყუ-  
რებ შენს იმედთან სახეს და კვლავ  
ვეუფლებს რწმენა საკუთარი თავისად-  
მი. შენც ისეთივე ხარ, როგორც სხვა  
ადამიანები, შენც ისეთივე უფლება  
გაქვს იცხოვრო, როგორც მათ. ის, რაც  
დამით იფიქრე, ყველაფერი მცდარია  
და უცებ იფიქრებ.

სანამ მე პირს ვიბანდი ეზოში, ვა-  
ნოს დედას საუბრე შემოეტანა. არ მინ-  
დოდა, მაგრამ ძალათი ვჭამე, რადგან  
ეწყინებოდათ.

მერე კანტორაში წავედი. ბულალტე-  
რიაში ყველანი მაგიდებს უსდნენ.  
თავმჯდომარე გუშინვე ჩამოსულიყო,  
როგორც გავიგე, მალხაზს ყველაფერი  
მოეხსენებინა. მდივანსაც უკვე გადაე-  
ცა ჩემი განცხადება. მე არაფერი გამი-  
კეთებია, მართო ის ფორმები შევას-  
წორე და გადავეცი ხელმეორედ გასაგ-  
ზავნად.

— ნერვიული ყოფილხარ, — მითხრა  
მთავარმა ბულალტერმა, — საერთოდ,  
ნერვიულები ხართ ახლანდელი ახალ-  
გაზრდები. ასე როგორ შეიძლება, უნ-  
და მოგეთმინა.

მე ხმა არ გამიცია.  
შესვენებამ მოატანა და ჯერ კიდევ  
არ იყო პასუხი. შესვენების შემდეგ ის  
იყო, შესვლა დავაპირე, რომ მდივანმა  
მითხრა, თავმჯდომარე გეძახისო.

კაბინეტში შევედი. თავმჯდომარე  
მარტოკა იჯდა და რაღაცას წერდა.  
სწრაფად ამოძრავებდა ხელს, თან  
დროდადრო ნაწერს კითხულობდა.

— დაჯექი, — მითხრა ისე რომ ჩემ-  
კენ არ გამოუხედავს.

მაგიდაზე ქაღალდები ჰქონდა გაშ-  
ლილი. ჩემი განცხადებაც იქვე იდო.

წერა დამთავრა და განცხადებას  
დახედა.

— ეს განცხადება შენია? — იკითხა.

— დაიხ, მე დაწვერე... ალბათ გაი-  
გებლით, რომ...

— საჭირო არაა, ყველაფერი ვი-  
ცი, — შემაწყვეტინა. — გათავისუფ-  
ლებას რატომ თხოულობ?

— ჩემი აქ მუშაობა აღარ შეიძლება.

— მე არ გიშვებ აქედან, — მითხრა.  
კალამი აიღო და განცხადებას კუთხეში  
ირიბად დააწერა: „უარი ეთქვას“. მე-  
რე ქვეშ ხაზი გაავლო, თარიღი დაუს-  
ვა და ხელი მოაწერა. — მიდი ახლა,  
დაჯექი და ჰკვიანად იმუშავე, — მითხრა  
და განცხადება გადმომიღო.

აქამდე რატომღაც ისე მეჩვენებო-  
და, თითქოს ყველას ჩემი ჯავრი სჭირ-  
და. მაგრამ ახლა მივხვდი, რომ მალხა-  
ზის გარდა აქ არავინ არაფერ შუაში  
იყო. უშბოდ გამოვედი კაბინეტიდან.

— რა გითხრა? — წამოხტა მდივანი  
ქალი.

განცხადება ვაჩვენე.

— რა კარგია! — წამოიძახა და ტაში  
შემოჰკრა.

13.

ზამთარი ისე გავიდა, თოვლი არ მო-  
სულა.

როცა კარგი ამინდია, დილით ალაზ-  
ნის ველზე იისფერი ნისლია ხოლმე  
გაწოლილი. მერე ტყით დაბურული  
შავი ფერდობები იწყება. მის ზე-  
მოთ — ზვიადი მთების თეთრ მწვერ-  
ვლებზე, მაღლა კი — ლურჯი ცის ფო-  
ნი მოჩანს.

ზამთარში თავისებური ცხოვრება  
იყო სოფლად. იშვიათადღა დაინახავ-  
დით ვინმეს აჩქარებულად მიმავალს.  
გლეხები დინჯად დააბიჯებდნენ ქუჩებ-  
ში. მძღოლებმა და მექანიკოსებმა მან-  
ქანა-ტრაქტორები დაშალეს და სახე-  
ლოსნოებში რემონტს შეუდგნენ.

დილით, სანამ კანტორაში მუშაობა  
დაიწყებოდა. ნიკო პაპას ყველა ღუმე-

---

ალექსი წიკლაური  
უთოვლო ზამთარი



ლი გახურებული ჰქონდა. ეს ძალიან გვსიამოვნებდა და დილიდანვე ყველანი მხიარულ გუნებაზე ვდგებოდით. მერე ნიკო პაპას ქება-დიდებას მოვეყვებოდით. განსაკუთრებით ქალები ლოცავდნენ.

ღუმელების დანთება სულაც არ იყო ნიკო პაპას მოვალეობა. ამ ოთხმოცი წლის კაცს შეეძლო, დილით ადრე ამდგარიყო და შინ ისე წასულიყო, უკანაც არ მოეხედა. მაგრამ კეთილი იყო საქმით იცნობა.

ნიკო პაპას თავმჯდომარე უყვარდა ძალიან.

— ჰო, ჰო, რა კაცია, კაცო! ეგეთი კაცი არ იქნება... ლადო რომ არ იყოს, დაიღუპებოდა კოლმეურნეობა, — მეტყოდა ხოლმე.

ლადო მართლაც ჰკვიანი და უბრალო კაცი იყო. ნიკო პაპა ტყუილად არავის შეაქებდა.

მხოლოდ ერთი რამ არ მოსწონდა კოლმეურნეობის საქმიანობაში. ზაფხულში, როცა სილოსის ჩადება დაიწყეს, ნიკო პაპამ თქვა:

— ახლა ამდენი სიმინდი უნდა ჩაღებეს და ჩაოხრდეს.

— რათა, ნიკო პაპა? — შევეკითხე.

— აბა, სილო, რა საქონლის საჭმელია.

— ყველაზე კარგი ეგაა, — ვუთხარი.

— რა კარგი, დამპალია კაცო!

— არ არის დამპალი, ნიკო პაპა, მარილს აყრიან და ისე დებენ... როგორც წნილი, ეგრეა.

— რას მელაპარაკები, კაცო, სუნი მაინც როგორი აქ!

— სუნი კი ვერა აქვს კარგი, მაგრამ...

— დამპალი სიმინდია, კაცო, დამპალი!

— მაგის სპეციალისტებმა ჩვენზე კარგად იციან, — ვუთხარი ბოლოს.

მაინც არ დაიჯერა.

ახალწლის შემდეგ ორი ძროხა მოკვდა ფერმაში. ნიკო პაპამ რომ გაიგო, სილოსს დააბრალა. სილოთი მოიწამლებოდნენ, თქვა.

ერთხელ ნიკო პაპას ისიც გავახსენე,

როგორ უწინასწარმეტყველა მანამდე ისევე ამ სოფელში დაბრუნება.

— შენ რა იცი? — მითხრა ღიმილით.

— ვიცი, ნიკო პაპა, თვითონ მითხარი... მაინც რა იცოდი, ისევე აქ დაბრუნდებოდა?

— ეე, რო მიდიოდა, ე ქოხი აქ არა რჩებოდა? ვიცოდი, გაუტკებოდა და ბოლოს ისევე მააკითხავდა... ერთი წელი მე შევეუნახე ი ქოხი, აი, ეზოში საქონელი და რამეს არ ვუშვებდი... კაცმა ადვილად გული არაფერზე არ უნდა გაიტეხოს. ობობას ასჯერ რომ ჩამოუწყვიტო ქსელი, ას მეერთედ ისევე იმ ალაგას გააბამს... ადამიანიც ეგეთი უნდა იყოს.

ნიკო პაპამ ანდაზებით იცოდა ლაპარაკი.

ერთ დილითაც, ჩვეულებისამებრ, ყველაზე ადრე მივედი კანტორაში. ბულალტერიაში ღუმელი გაციეებული დამხვდა. მერე კანცელარიაში შევედი. არც იქ იყო დანთებული. გამოკვირდა. ალბათ დაავიწყდა-მეთქი, — გავიფიქრე.

სარდაფში ჩავედი და დაპრილი შეშა ამოვიტანე. მერე ღუმელის წინ ჩავიჩოქე. ის იყო დანთებას ვაპირებდი, რომ მარო შემოვიდა, თან ცრემლებს იწმენდდა ცხვირსახოცით.

— რა ამბავია?! — წამოვდექი, — რა მოხდა?!

ამ დროს ილიკოც შემოვიდა სახე-დაღვრემილი.

— ილიკო, რა მოხდა?! — ვკითხე.

— ნიკო პაპა აღარ არის, — მითხრა.

თითქოს გულში ჩამწყდა რაღაც. ღუმელს თავი მივანებე და მაგიდასთან მივედი.

— ეჰ, — ამოიოხრა ილიკომ და თავის მაგიდას დააშტერდა, მერე ნელა დაეშვა სკამზე.

— კი მაგრამ, როგორ?... გუშინ კარგად იყო, — ვთქვი ძლივს გასაგონად.

— წუხელ, თურმე, უცებ გამხდარა ცუდად, — თქვა ილიკომ.

ყველანი უხალისოდ შევუდექით მუშაობას. ვწერდი, თუ ვანგარიშობდი,

განუწყვეტლივ თვალწინ მედგა ნიკო პაპას თოვლივით თეთრი თმა-წვერი. ვერაფრით ვერ ვუტრიალებოდი იმ აზრს, რომ ის ცოცხალი აღარ იყო.

სანამ შესვენება დაიწყებოდა, ლადო შემოვიდა ბულალტერიაში.

— წავიდეთ, პატივი ვცეთ, — გვითხრა.

ყველანი წამოვდექით და უკან გავყვივით. კიდევ ვიღაცეები შეგვიერთდნენ. გზაზე ჰაჯო შეგვხვდა და ისიც დაგვემგზავრა.

მე და ჰაჯო უკან მივდიოდით. ჰაჯო თავდახრილი მოაბიჯებდა, ხმას არ იღებდა...

— მოკვდა მოხუცი... — თქვა ცოტა ხნის შემდეგ, — გუშინწინ ჩემთან იყო. გეგოვ, რომ სახლს ვაშენებ... ჰო, როგორ უხაროდა... ჩემზე მეტად მას უხაროდა, — უცებ ხმა შეეცვალა და გაჩუმდა.

მე ჰაჯოს შეეხედე. თავი მდლა ჰქონდა აწეული და ქუთუთოებს სწრაფად ახამხამებდა.

14

მე და ვანომ თორმეტი საათისათვის დავამთავრეთ ფერმების ჩამოვლა, ახლა უკვე სოფელში ვბრუნდებოდით. მეფრინველეობის ფერმას გვერდზე ჩავუარეთ. ფერმის ეზო თეთრი ქათმებით იყო მოფენილი. ზევით თათარი ჰასანა საქონელს მიერეკებოდა ცივგომბორის ქედისაკენ. შორიდან მოგვესალმა. წოწოლა, შავი ფაფახი ეხურა.

მზიანი, ნათელი დღე იყო. მიწას ორთქლი ასდიოდა. ტყის პირებში რამდენიმე ადგილას ფურისულებსაც მოვკარი თვალი.

გზაზე მანქანა გამოჩნდა, ჩემკენ მოდიოდა.

— ზამთარაა, — იცნო ვანომ, — ეტყობა ცარიელი ბიდონები მიაქვს ფერმებში.

მოგვიახლოვდა. მართლაც ის იყო.

ვანომ და ზამთარამ გვერდიგვერდ გააჩერეს მანქანები, ორივე კაბინის

ფანჯრებს ჩამოეყრდნო და ლაპარაკი დაიწყო.

— იმისა რა ჰქენი? — ჰკითხა ვანომ.

— ისევ ისეა.

— მერე?

— რა ვიცი, აბა, როგორ იქნება!

— შე კაი კაცო, ამდენი ხანი გამივია?

— ეგრეა და, რას იზამ.

ვუსმენდი, მაგრამ ვერაფერი გავიგე. საერთოდ, შოფრების საუბრიდან იშვიათად თუ რამეს მიხვდები. ხშირად ზმნებითა და ზედსართავი სახელებით ლაპარაკობენ ერთმანეთში.

— ხვალ ხომ იცი, რაც უნდა გავაკეთოთ? — უთხრა ბოლოს ვანომ.

— ხვალ კვირაა, რა უნდა გავაკეთოთ? — თქვა ზამთარამ.

— ჰაჯოს უნდა მივეხმაროთ. ბიჭებმა მოვილაპარაკეთ.

— ჰოო... მოვეხმაროთ, მერე რა, — თქვა ზამთარამ და მანქანა დაძრა.

ჩვენც დავიძარით.

— სახლის აშენებაში ხომ არ უნდა მიეხმაროთ? — ვკითხე ვანოს.

— ჰო.

— მერე, რატომ არ მითხარი მეც?

— რა ვიცი.. იქნებ დრო არა ჰქონდეს-მეთქი.

— ამალამ თბილისში წასვლას ვაპირებდი, მაგრამ რახან ეგრეა, დავრჩები. იმ დროს მივედი, კანტორაში შესვენება იყო დაწყებული. ყველანი შინ წასულიყვნენ, მარტო ილიკო სადილობდა ბულალტერიაში.

— მოდი აქ, ახალი ამბავია, — მითხრა ილიკომ.

— რა ახალი ამბავია?

— მოადგილის შტატი გაუქმდა.

— ვისი მოადგილის?

— თავმჯდომარის მოადგილის, მინისტრთა საბჭოს დადგენილება გამოსულა.

— მაღაზნა გაიგო უკვე? — ვკითხე.

— კი, — გაიღიმა ილიკომ.

---

ალექსი წიკლაური  
უთოვლო ზამთარი



— კარგი ამბავია, — ვთქვი, — კარგი და დროული.

— ჰო, იქ „ზევით“ კარგად იციან, ვინ რისი გამკეთებელია, — თქვა ილიკომ.

— რა თქმა უნდა... მაგრამ ჩვენც ხომ ვიცოდით?

— კი ვიცოდით, — მომიგო ილიკომ, — მაგალითად, მალხაზი რას აკეთებდა? იჯდა მარტო დილიდან საღამომდე და კაბინეტს თამბაქოს ბოლით ავსებდა.

— ამას მხოლოდ ახლა ვამბობთ, მაშინ კი არავინ ხმას არ ვიღებდით.

ილიკომ გაკვირვებით შემომხედა.

— ბევრ რამეში თვითონ ხალხი ვართ დამნაშავე, ბატონო ილიკო. თავის დროზე რატომღაც არ გვინდა ვთქვათ სიმართლე. როცა დავზარალდებით, მაშინ ვამბობთ: ისე კი არა, ასე უნდა ყოფილიყო. ხშირად სიმართლეს ვერ ვამბობთ იმიტომ, რომ არ გვინდა ვაწყენინოთ ვიღაცას, ანდა გვეშინია მისი.

— მართალი ხარ, — მითხრა ცოტა ხნის დუმილის შემდეგ.

კანცელარიაში ტელეფონის ზარი აწყრიალდა, კარი ღია იყო. გავედი.

— ალო!

— ელპარაკეთ თბილისს, — მითხრა ტელეფონისტმა ქალმა რაიონიდან.

„ნამდვილად ღია იქნება“ — გამივლვა. ახლა ყოველ შაბათს რეკავს ხოლმე.

— გისმენთ... გამარჯობა ღია!

— როგორა ხარ? — ხმა შორეული, მაგრამ მკაფიო იყო.

— კარგად, ძალიან კარგად, შენ?

— კარგად, დღეს ხომ ჩამოხვალ?

— ღია... „რა ვუპასუხო?“

— დღეს ვერ მოვდივარ, გენაცვალე.

— რატომ?

— ხვალ ერთ კაცს უნდა მივეხმაროთ, სახლს ვუშენებთ.

— კარგი ერთი, ნუ ხუმრობ!

— მართლა ვეუბნები.

— ვინ არის ეგეთი, რომ შენი მისხარება სჭირდება?

— ბოშა.

— ოჰ, ახლა ბოშები..

— რას იზამ... შენ ის მითხარი, მანდ რა ამბებია?

რალცამ გაიჩხიკინა. თითქოს გაგეთიშეს, მაგრამ ისევ აღდგა ხაზი.

— ალო!..

— ღია... იმ შაბათს აუცილებლად ჩამოვალ.

— ცუდი ბიჭი ხარ. ნახვამდის!

— კარგად იყავი! არ მოიწყინო.

დილით მე, ვანო, ბეგლარი და ზამთარა ერთად წავედით ჰაჯოსთან.

— სახლს კი აუუშენებთ, მაგრამ, ვინ იცის, ჰაჯოს რა აქვს გულში, — თქვა ზამთარამ.

— რა უნდა ჰქონდეს გულში? — ვკითხე.

— რა იცი, ხვალე არ მოუსვას აქედან და ე სახლი კი აქ დარჩეს.

— ჰაჯო აქედან აღარ წავა, — ვუთხარი.

— რას გაუგებ, დღეში მაგას ცხრა ბარასკევი აქვს. გაიციანა ზამთარამ.

— თუკი არ დავეხმარებით და ხელს არ შევეუწყობთ, ცხრა კი არა, ათი პარასკევიც მოუვა, — უთხრა ვანომ.

ამ ლაპარაკში კიდევაც მივადექით ჰაჯოს ქოხს. ბიჭები უკვე მოსულიყვნენ — სულ რეანი ვიყავით.

კედლები დაახლოებით, მეტრნახევრის სიმაღლემდე იყო ამოყვანილი აგურით. ჩვენ ჯერ ფიცრის ხარაჩოები დავაყენეთ ოთხივე მხრიდან. ყორამ ბრეზენტის წინსაფარი გაიკეთა და უკანა კედელთან დადგა ხარაჩოზე. მერე შევეული გაუშვა.

— იცი კალატოზობა, რომ მანდ ახველი? — ჰკითხა ზამთარამ.

— ეე, პატარა ბიჭო, შენ ჯერ დაბადებული არ იყავი, მე სახლებს ვაშენებდი, — უთხრა ყორამ.

— რამდენი წლისა ხარ, რო?..

— რამდენის ვიქნები, შენი აზრით?

— რა ვიცი, ერთი, ოცდაცამეტის-ოცდაათოთხმეტისა, ეგერ.

— რაც მეტისა ვიყო?..

— მაინც, რამდენისა?

— რატომ ორმოცისაც არა ვარ.

— სულ არ გეტყობა, — გაიოცა ზამთარამ.

მე და ბეგლარმა ფიცრის დიდ გობში დულაბის გაკეთება დავიწყეთ. წინა მხარეს მეორე კალატოზი დადგა ხარაჩოზე, გივი ერქვა, წოწოლა ბიჭი იყო. ვანო და ზამთარა ვედროებით დულაბს აწვდიდნენ კალატოზებს. ჰაჯო ავტურებს ერთმანეთზე აწყობდა, რომ ადვილად ასაღები ყოფილიყო. დანარჩენები ეზიდებოდნენ და ხარაჩოებზე ყრიდნენ.

ქორა და გივი ძალიან სწრაფად მუშაობდნენ. ძლივს ვასწრებდით. — აბა, დულაბი! — დაიძახებდა ქორა, როცა ზამთარა დაუგვიანებდა.

ორი საათი ისე გავიდა, არ შეგვისვენია.

მერე ქორამ და გვიმ პაპიროსები გააბოლეს. ჩვენც შევისვენეთ.

— ლამი არ გვეყოფა, — თქვა ვანომ.

ლამი მართლაც ცოტა იყო.

— ქორა. ლამი არ გვეყოფა, რა ექნათ? — დაუძახა ისევ ვანომ.

— გვეყოფა, განა საღამომდე უნდა ვიმუშაოთ? — მოუქცია ჰაჯომ კახურად.

— დღეს ეს კედლები სულ უნდა მორჩეს, — უთხრა ქორამ.

— მე ჩავიდოდი ალაზანზე, მაგრამ ერთი გრამი ბენზინი აღარ დგას, — შეწუხდა ზამთარა.

— ბენზინი ჩემ მანქანაშია, შლანგით ამოიღე, — შესთავაზა ქორამ.

— ჩემშიაც უნდა იყოს დარჩენილი ცოტა, — თქვა ვანომ.

— მაშინ, ერთი კაცი კიდევ წამოვიდეს.

ბეგლარი გაჰყვა.

— არ დაიგვიანოთ! — დაუძახა ქორამ.

მე და ვანო დულაბს ვედროებით ვაწვდიდით. ორი საათის შემდეგ ბიჭებიც მოვიდნენ ალაზნიდან. ძარა სავსე იყო ლამით. სწრაფად ჩამოვაცალეთ

და ზამთარამ ისევ გარაქში წაიყვანა მანქანა.

შუადღისას ვისადილეთ. მერე ისევ შევეუდექით მუშაობას. ქორა ისე იყო გართული საქმით, რომ ხმას არ იღებდა. ბიჭებმა გახუმრება სცადეს, მაგრამ ქორამ ყურადღებაც არ მიაქცია, ახლა მაგის დრო არ არისო.

ხუთი საათისათვის დავამთავრეთ კედლების ამოყვანა. ქორა და გივი ხარაჩოებიდან ჩამოვიდნენ და წინსაფრები მოიხსნეს.

— ახლა ზევიდან მარტო ბეტონის გვირგვინსა უნდა შემოვლება, — თქვა ქორამ.

— ბარემ ახლავე შემოვავლოთ, — უთხრა ზამთარამ.

— ჯერ არ შეიძლება, პატარა ბიჭო, სანამ კედლები არ დაჯდება, — დაარიგა ქორამ.

ეზოში ონკანთან ხელპირი დავიბანეთ. მერე ჰაჯომ ვახშამზე მიგვიწვია ქოხში. პატარა მაგიდას მჭიდროდ შემოვუსხედით. სუფრა არც თუ ისე დარიბული იყო — გაზაფხულის ქორთვა მწვენილი, თუშური ყველი და მშრალად მოხარშული ხორცი ბლომად ელაგა. ჰაჯომ და მისმა ცოლმა ღვინიანი ბოთლებიც ჩამოდგეს სუფრაზე.

პირველად ჰაჯომ აიღო სავსე ჭიქა. ყველანი ერთად გვადღებდნენ და მადლობა გადაგვიხდა.

— ნამდვილი კახელი ხარ, — შენიშნა ქორამ ხუმრობით, — მარტო ნაბდის ქუდილა გაკლია.

ჰაჯომ გაიცინა.

ყველანი მადიანად შევექცეოდით ვახშამს, თან ღვინოს ესვამდით.

ჯერ კიდევ არ იყო დაღამებული, ვახშამობა რომ დავამთავრეთ და ქოხიდან გამოვედით.

— თქვენ გენაცვალეთ! — გვითხრა ჰაჯომ და ყველას საითთაოდ ჩამოგვართვა ხელი.

საღღაც დაღუსტნის მთებთან ცამ დაიქუხა.

ეს უკვე გაზაფხული იყო!..

## ილია ჰეკია

თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის რექტორი

### საქმილივეილო საქვე კეთილბა

უნივერსიტეტი ეროვნული კულტურისა და მეცნიერების უმაღლესი კერაა, მისი უშრეტეი წყარო. ამ როლს ჩვენი უნივერსიტეტი დღემდე ჩინებულად ასრულებდა. მან შეუწყო ხელი ძველი კულტურული ტრადიციების აღორძინებასა და ახალი ქართული კულტურისა და მეცნიერების აღმოცენებას. უნივერსიტეტის ნახევარსუკუნოვანი მოღვაწეობის შედეგად ქართულ ნიადაგზე მტკიცედ დამკვიდრდა სამეცნიერო კვლევები თანამედროვე მეცნიერების თითქმის ყველა დარგში, ქართველ მეცნიერთა შრომებმა მსოფლიო აღიარება ჰპოვეს და ჩვენი ხალხი მაღალ კულტურულ ეროვნებათა რიგებში ჩადგა. რასაკვირველია, ეს არა მარტო უნივერსიტეტის დამსახურებაა. მის გვერდით საქართველოში დღეს არსებობს მეცნიერებათა აკადემია, რომლის მიღწევები ფართოდაა აღიარებული. საქართველოში არსებობს აგრეთვე მრავალი უმაღლესი სასწავლებელი და საკვლეო-სამეცნიერო ინსტიტუტი, რომელთაც დიდი წვლილი შეაქვთ თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების საქმეში. მაგრამ უნივერ-

სიტეტის როლი და ადგილი ჩვენი ხალხის ცხოვრებაში ამით სრულებით არ მცირდება. პირიქით, მისი ამოცანები კიდევ უფრო იზრდება და ფართოვდება.

უნივერსიტეტს ევალება პირველ რიგში ზრუნვა ისეთი დარგების განვითარებაზე, რომელნიც თანამედროვე მეცნიერების და კულტურის ფუნდამენტს ჰქმნიან. ფიზიკა-მათემატიკური, საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებათა ყველა დარგში კადრების მომზადება და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მაღალ დონეზე წარმართვა უნივერსიტეტის მთავარ ამოცანას წარმოადგენს.

ცნობილია, რომ უნივერსიტეტი პირნათლად ასრულებდა თავის ამ საპატიო მოვალეობას ქვეყნის წინაშე. ამით მან დაიმსახურა ჩვენი ხალხის დიდი სიყვარული და პატივისცემა. ამიტომაც მთელი ხალხი დიდი საზეიმო განწყობილებით რომ ემზადება უნივერსიტეტის არსებობის 50 წლისთავის აღსანიშნავად.

ეს დღესასწაული მრავალმხრივ არის ღირსშესანიშნავი. უნივერსიტეტი ერთხელ კიდევ გადაავლებს თვალს განვლილ პერიოდს, კრიტიკულად შეაფასებს გა-

კეთებულს, მის მიერ განვილო გზას და ამის ფონზე უფრო აშკარად გამოჩნდება ის, რაც მას აქვს გასაკეთებელი. უფრო სწორად დაისახება მისი განვითარების პერსპექტივები.

ჩვენს უნივერსიტეტს არასოდეს არ აკლდა პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დიდი ზრუნვა. მხოლოდ ამ ზრუნვის შედეგია ის მნიშვნელოვანი მიღწევები, რითაც დღეს ჩვენ სამართლიანად ვამაყობთ. მაგრამ პარტიისა და ხელისუფლების ზრუნვა განსაკუთრებულად იგრძნობა ამ საიუბილეო წელს. ჩვენი ხალხი დიდი აღფრთოვანებით შეხვდა ცნობას იმის შესახებ, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიღებული საკავშირო უმაღლესი სადირექტივო ორგანოების მიერ ჩვენი უნივერსიტეტის მშენებლობის თაობაზე. ამ დადგენილების საფუძველზე მუშავდება წი-

ნადადება, რომლის მიხედვით უკვე 1969 წლიდან უნდა გაიშალოს უნივერსიტეტის ახალი კორპუსების მშენებლობის დიდი პროგრამა.

უკვე მიმდინარე, საიუბილეო წელს დამთავრდება უნივერსიტეტის ახალ ტერიტორიაზე 13 სართულიანი შესანიშნავი კორპუსის მშენებლობა. ეს და სხვა მრავალი ღონისძიებანი, რომელნიც ტარდება მთავრობის რესპუბლიკური საიუბილეო კომიტეტის ინიციატივითა და თაოსნობით, რომელსაც პირადად ამხ. ვ. პ. მკავანაძე მესვეურობს, საწინდარია იმისა, რომ უნივერსიტეტის ისტორიაში ახალი მნიშვნელოვანი ეტაპი დაიწყება, რომელიც არანაკლებ ნაყოფიერი და შედეგიანი იქნება, ვიდრე მისი სახელოვანი განვლილი წარსული.

უნივერსიტეტში კეთდება საშვილიშვილო ეროვნული საქმე, რომელიც ოქროს ასოებით ჩაიწერება ქართველი ხალხის ისტორიაში.



1918 წლის 26 იანვარს (ძვ. სტილით), — დავით აღმაშენებლის ხსოვნის დღეს, — ჩვენმა საზოგადოებამ იღვესასწაულა ისტორიული თარიღი — ეროვნული უმაღლესი სასწავლებლის — თბილისის უნივერსიტეტის დაარსება, რომლის ორგანიზატორი და სულიწამდგემელი იყო დიდი ქართველი მეცნიერი ივანე ჯავახიშვილი.

უნივერსიტეტის პირველ რექტორად არჩეულ იქნა ცნობილი ქართველი მეცნიერი კიმიკოსი პეტრე მელიქიშვილი.

პაპი შანიძე

# თბილისის უნივერსიტეტის დაარსების ისტორიიდან

ქართული უმაღლესი სასწავლებლის ნატურა ახალი ამბავი არ არის. საქართველოს მოწინავე წრეების საუკეთესო წარმომადგენლები დიდი ხანია ოცნებობდნენ, რომ როგორმე მოხერხებულიყო ეროვნული უმაღლესი სკოლის დაფუძნება თბილისში, მაგრამ მეფის მთავრობა არა თუ ამის საშუალებას არ იძლეოდა, არამედ იმისიც კი ეშინოდა, რომ აქ რუსული უმაღლესი სასწავლებელი დაეარსებინათ. ამიტომ მთელი ჩვენი ახალგაზრდობა უმაღლესი ცოდნის მისაღებად რუსეთის ვრცელი იმპერიის ქალაქებში მიემუშურებოდა, სადაც ყველგან, რუსეთშიც და იმპერიის სხვა ნაწილებშიც (უკრაინაში, ბალტიის მხარეს, იმპერიის ფარგლებში მოქცეულ პოლონეთში) სწავლება რუსულ ენაზე იყო. სად არ ჰნახავდით ქართველ სტუდენტს: პეტერბურგში, მოსკოვში, კიევში, ხარკოვში, ოდესაში, ვარშავაში, რიგაში, ტარტუში (რომელსაც 1893 წლამდე დორპატი ანუ დერპტი ერქვა, შემდეგ კი იურიევი), იაროსლავში, ყაზანში, ტომსკში და სხვაგან. საზღვარგარეთაც საკმაოდ იყვნენ ქართველი სტუდენტები: გერმანიაში, ავსტრიაში, შვეიცარიაში, საფრანგეთში, ბელგიაში, ინგლისში.

რუსეთის ქალაქთაგან ჩვენები უფრო პეტერბურგსა და მოსკოვს ეტანებოდნენ, მაგრამ კლიმატური პირობების გამო ბევრი ოდესას ირჩევდა, სადაც უნივერსიტეტში მოღვაწეობდნენ ქართველი პროფესორები ვასილ პეტრიაშვილი და პეტრე მელიქიშვილი.

ადვილად წარმოსადგენია, თუ რამდენად ძნელი იყო ჩვენი ახალგაზრდობისათვის უმაღლესი განათლების მიღება იმ დროინდელ პირობებში.

ამიტომ საქართველოს თავკაცები ბევრს კამათობდნენ და წერდნენ, თუ რა ტიპის უმაღლესი სასწავლებელი აჯობებდა ჩვენთვის. უმეტესობა მაინც უნივერსიტეტის მომხრე იყო. ამისათვის ერთგვარი სამზადისიც კი მიდიოდა.

ილია ზურაბიშვილის მოგონებიდან ჩანს, რომ ნიკოლოზ ცხვედაძე რომ აგებდა იმ შენობას, რომელშიც ამჟამად უნივერსიტეტის მთავარი კორპუსია, ეს შენობა იმთავითვე განკუთვნილი ყოფილა არა გიმნაზიისათვის, არამედ უნივერსიტეტისათვის. შენობის აგება რომ მეტად გაჭიანურდა და თანაც სულ მეტსა და მეტ თანხებს მოითხოვდა, ცხვედაძის მიმართ იმატა საყვედურებმა, რომლებიც თანდათან უფრო ხმამაღლა გაისმოდა. ერთხელ მან

ველარ მოითმინა და მითროლოვარე ხმით მიმართა თავის თანამოსაუბრეთ: „რას ჩამაცვიდით თქვენი გიმნაზიით? თითქო მასზე ჩამოწყვეტილიყოს მთელი ქვეყნის ბედი! ნუთუ უკეთესის, უფრო დიდი რამის წარმოდგენის უნარი დააკარგვით? ნუთუ სამუდამოდ გამოეთხოვეთ იმ იმედს, რომ ოდესმე ქართველებს შეიძლება თავიანთი უმაღლესი სასწავლებელი ჰქონდეთ? მე რომ ვარაუდში მარტო გიმნაზია მქონდეს, ხვალვე გადავხურავდი შენობას და შეგძლოდ მოგეთავსებინათ შიგ თქვენი გიმნაზია, რაც დაიტყვეს გიმნაზიას, რაც ვაკეთებულა. მაგრამ სად მოათავსებთ უმაღლეს სასწავლებელს, ვინიცობაა დადგა ის სანეტარო წამი?“ ი. ზურაბიშვილი განაგრძობს: „ეს ისეთი ხეაშიადის გამოღვენება იყო, რომ ყველანი გაეშრით. აი თურმე რა ასულდგმულეებდა მას ამდენი ხნის განმავლობაში და რა უდიდესი ძალის ენერჯიას ავითარებდა დაბრკოლებათა დასაძლევად!“ („დროშა“, 1868, № 5). აქედან ჩანს, რომ შენობა, რომელსაც ილია ჭავჭავაძის მეთაურობით ჩაეყარა საფუძველი, შენობა, რომელიც ნ. ცხვედაძის ხელმძღვანელობით, შეუენელებელი შრომითა და ჯაფით რის ვაი-ვაგლახით დამთავრდა 1903 წელს ვითომ სათავადაზნაურო გიმნაზიისათვის, ნამდვილად განკუთვნილი იყო ქართული უნივერსიტეტისათვის.

ილია ჭავჭავაძე 1907 წელს დაეცა მზაკერული ხელით გასროლილი ტყვიით წიწამურში. მთელი განათლებული ქართველობა ზარმა მოიცვა. ჩვენდა სანუგეშოდ კიდევ რჩებოდნენ და განაგრძობდნენ თავის მოღვაწეობას დიდი აღამიანები, ქართველი ერის მოქირანახულენი: აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ვეჟა-ფშაველა და სხვები. სწორედ ამ წელს მაისში პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის პროფესორთა სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე სამაგისტრო დისერტაცია დაიცვა ამავე ფაკულტეტის პრივატ-დოცენტმა (1903 წლის 1

იანვრიდან) ახალგაზრდა ნიჭიერმა ქართველმა მეცნიერმა ივანე ჯავახიშვილმა, რომელსაც საქართველოს ახალმა ისტორიამ დიდი ილიას დიდი ეროვნული საქმის მეთაურობის განგრძობა დააკისრა. დისერტაციის თემა იყო „სახელმწიფო წყობილება ძველ საქართველოსა და ძველ სომხეთში“.

იმავე 1907 წელს ივანე ჯავახიშვილმა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე დააარსა „ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრე“, რომლის სხდომებზე სტუდენტები მოხსენებებს ქართულად კითხულობდნენ და ეჩვეოდნენ, ერთი მხრით, სამეცნიერო საკითხების კვლევა-ძიებას და, მეორე მხრით, გამართულ სჯა-ბაასსა და კამათს ქართულ ენაზე. ძნელი იყო მაშინ ქართულ ენაზე სჯა-ბაასი სამეცნიერო თემაზე ძველი ტერმინების დაიწყებისა და ახალ ცნებათათვის საჭირო ტერმინების უქონლობის გამო. თვითონ ივანე ჯავახიშვილი ლექციებს პეტერბურგის უნივერსიტეტში ზოგჯერ ქართულად კითხულობდა, სემინარებში მუშაობას კი ხშირად ქართულად აწარმოებდა — იმის მიხედვით, თუ როგორი იყო მსმენელთა შედგენილობა (ესმოდა ყველას ქართული, თუ არა). საკვირველი ამბავია, მაგრამ ეს უშუქველი ფაქტია.

საჭირო იყო მეცნიერული ტრადიციების აღდგენა და „სტუდენტთა სამეცნიერო წრეს“, რომლის სხდომებს ესწრებოდნენ არა მარტო პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტები, არამედ ჩვენი სტუდენტები სხვა იქაური უმაღლესი სასწავლებლებიდანაც, სხვათა შორის, სწორედ ამ ნაკლის გამოსწორება დაუსახა მიზნად მისმა დამაარსებელმა და ხელმძღვანელმა. მოხსენებათა ერთი ნაწილი, რომლებიც აქ წაიკითხეს, დაიბეჭდა თბილისში

**აპაკი შანიძე**  
თბილისის უნივერსიტეტის ლაპარაკის ისტორიიდან

1915 წელს „კრებულის“ სახით ივანე ჯავახიშვილის რედაქციით.

ამავე სამეცნიერო წრემ შეადგინა ბიბლიოგრაფია 1852-1910 წლებში გამოსული ქართულ პერიოდულ გამოცემებში დაბეჭდილი წერილებისა და დაბეჭდა I ტომი 1916 წ. იოსებ ყიფშიძის რედაქციით.

ამავე „სამეცნიერო წრემ“ 1911-12 წელს მოაწყო ანექტა ქართველ სტუდენტებს შორის, რომლებიც ვაზნეულნი იყვნენ რუსეთსა და დასავლეთ ევროპაში. ანექტის მიზანი იყო, გამოკვეთიყო ქართველ სტუდენტთა რიცხვი, მათი განაწილება სპეციალობათა მიხედვით, ქონებრივი მდგომარეობა, სასწავლო დატვირთვა, ყოფა-ცხოვრების პირობები და სხვა. ანექტამ ბევრი რამ გამოარკვია: თუ წინათ გამტყვებული იყო აზრი, თითქოს ქართველობა უმთავრესად იურიდიულ ფაკულტეტს ეტანებოდა, პასუხ-შევიგებულნი ანექტის ფურცლების საშუალებით, რომლებიც წრეს დაუბრუნდა, ცნობილი გახდა, რომ ქართველი სტუდენტები დიდი ინტერესით ეწაფებოდნენ მეცნიერებისა, ხელოვნებისა და ტექნიკის სხვადასხვა დარგის სპეციალობას. ეს კიდევ უფრო აშკარად მეტყველებდა, რომ უნივერსიტეტის დაარსების საკითხი ჩვენში დიდი ხანია, რაც მომწიფებულა, თანაც სრულიად დროულია ამაზე ზრუნვა და სრულიად შესაძლებელიც არის მისი განხორციელება სათანადო პირობებში. ივანე ჯავახიშვილს შეკრებილი ჰქონდა ცნობები პროფესორ-მასწავლებელთა შესახებაც, რომლებიც სხვადასხვა ქალაქში მოღვაწეობდნენ. მას იმედი ჰქონდა, რომ ისინი საჭიროების შემთხვევაში მოაშურებდნენ სამშობლოს და აქ განაგრძობდნენ სამეცნიეროსა და საპედაგოგო მოღვაწეობას.

1914 წელს რომ I მსოფლიო ომი ატყდა, ამას მოჰყვა რევოლუციის სულისკვეთებით განწყობილი მასების ამოძრავება და ამის გავლენით მეფის მთავრობა იძულებული გახდა, გამოე-

ცა დეკრეტი, რომლითაც მოსახლეობას ნება ეძლეოდა უმაღლესი სასწავლებლები დაეარსებინა კერძო თანხობით. ამასთან დაკავშირებით ი. ჯავახიშვილმა თათბირი მოაწყო თავისი მოწაფეების ვიწრო წრეში უმაღლესი სკოლის დაარსების შესახებ საქართველოში.

1917 წ. თებერვალში დაემხო თვითმპყრობელობა. ბოლშევიკურმა პარტიამ ვ. ი. ლენინის მეთაურობით დარაზმა მუშები მომავალი დიდი ბრძოლებისათვის. ყველაფრიდან ჩანდა, რომ რევოლუციის გაფართოება და გაღრმავება დაგვირგვინდებოდა მუშათა კლასისა და დაჩაგრულ ერთა განთავისუფლებით. ყველანი მოცული ვიყავით დიად სოციალურ-პოლიტიკურ ცვლილებათა მოლოდინის ამბებით.

შორს მჭვრეტელი ივანე ჯავახიშვილი, გამჭირიანი გონების პატრონი, სპეციალობით ისტორიკოსი, რომელმაც სხვა მრავალ შესანიშნავ გამოკვლევება გარდა, დაწერა „გლეხთა მოძრაობის ისტორია საქართველოში XIX საუკუნეში“, კარგად ხედავდა, თუ საით მიიძარებოდა რევოლუციის ზვირთები და რა შედეგები უნდა მოჰყოლოდა მათ საზოგადოდ და კერძოდ ჩვენთვისაც. ამიტომ მან თავის ბინაზე, რომელიც მოთავსებული იყო ლახტის ქუჩაზე (№ 9, ბ. 5) მარტის პირველ რიცხვებში გამართა თათბირი თბილისის უნივერსიტეტის დაარსების შესახებ. ამ ისტორიულ თაბირს დაესწრნენ: ივანე ჯავახიშვილი, იოსებ ყიფშიძე, მიხეილ ყაუხჩიშვილი (სიმონის უფროსი ძმა, ინჟინერი), შალვა ნუცუბიძე, ელენე ჩიჯანავაძე და ამ სტრუქტურების ავტორი. მოწვევის ინიციატორმა თათბირის მონაწილეებს გააცნო ფაქტები, რომლებიც იმის მომასწავებელი იყო, რომ შესაძლოა მალე განხორციელდეს ქართველი ერის დიდი ხნის ნატვრაო. აქვე მან ჩაიკითხა სია იმ მეცნიერებისა, რომლებიც მუშაობდნენ პეტროგრადში, მოსკოვში, ხარკოვში, ოდესაში და სხვაგან და რომლებიც, მისი ღრმა რწმენით, არ დაყოვნებდნენ, მონაწილეობა მიეღოთ

ეროვნული უნივერსიტეტის დაფუძნების საქმეში. კრებამ ერთხმად მიიღო დადგენილება, შეესდგომოდით სამზადისის უნივერსიტეტის დასაარსებლად საქართველოს დედაქალაქში, რომელიც იმ დროს მეფის მთავრობის პოლიტიკის დასაყრდენი ცენტრი იყო ბატონობისათვის ამიერ და იმიერკავკასიაში მეფის ნაცვლის („ნამესტნიკის“) ტახტით დღევანდელ პიონერთა სასახლეში.

ამის შემდეგ ი. ჯავახიშვილი მალე გამოეშურა თბილისს, რომ აქ დასახული გეგმა პრაქტიკულად განხორციელებინა. მისში აქ ვაჟინდით ი. ყიფშიძეცა და მეც.

თბილისში ამ დროს მოღვაწეობდნენ კარგად ცნობილი მეცნიერები ე. თაყაიშვილი, კ. კეკელიძე, ს. გორგაძე, ფ. გოგიჩაიშვილი, ქუთაისში გვეგულებოდა დ. უზნაძე. ამათან მოლაპარაკებითა და სხვებთან მიწერ-მოწერით ი. ჯავახიშვილმა გამოარკვია, რომ შეიძლება მალე შემდგარიყო მცირე, მაგრამ საკმაოდ ძლიერი ჯგუფი თავდადებული მეცნიერებისა, რომლებიც მზად იყვნენ, გვერდში ამოსდგომოდნენ ივანე ჯავახიშვილს და მასთან ერთად ეზრუნათ უნივერსიტეტის დაარსებისა და მოწყობის საქმისათვის. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ დიდად სახელგანთქმული ქიმიკოსი, კარგად ცნობილი რუსეთსა და დას. ევროპაში, საკმაოდ ხანში შესული ოდესელი პროფესორი პეტრე მელიქიშვილი დიდი სიამოვნებით შეხვდა მის მოწვევას. ამან დიდად გაგვახარა ყველანი და აღგვაფრთოვანა, რადგანაც ბევრი იყო მტრულად განწყობილი ქართული უნივერსიტეტის ყიდვისადმი და გადაამჭრელი ზომებსაც იღებდნენ, რომ ეს საქმე ჩაფუჭულიყო და ქართული უნივერსიტეტის ნაცვლად დაარსებულიყო „სახელმწიფო უნივერსიტეტი“, სადაც სწავლება რუსულად იქნებოდა.

პირველ ხანებში ქართული უნივერსიტეტი განზრახული იყო როგორც კერძო სასწავლებელი და მისი ქონებ-

რივი სახსრების საშროვნელად საზოგადოებაც კი დაარსდა, რომელსაც ხელი უნდა შეეწყო დიდი ეროვნული საქმისათვის

უნივერსიტეტის ხელისშემწყობ საზოგადოებას შემოწირულება მოსდიოდა სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენელთაგან, მუშებისაგან, დაწყებული მწერლებით და საზოგადო მოღვაწეებით გათავებული. ქართველი ხალხის აღფრთოვანება მეტად ამხნეებდა ქართული უნივერსიტეტის მესვეურებს, რომლებიც არ ზოგადდნენ თავის ძალ-ღონეს, რომ ყოველგვარი დაბრკოლება გადაეღახათ.

1917 წლის ოქტომბერში იგრილა დიდმა რევოლუციამ, დროებითი მთავრობა გარეკეს და საბჭოთა წყობილება დამყარდა. სამოქალაქო ომი კიდევ გრძელდებოდა, მაგრამ ლენინის პარტიამ შეძლო სახელმწიფოს დიდი ნაწილის ხელში ჩაგდება და მისი ახალი გზით წარმართვა. ამ დიდმა ისტორიულმა ამბებმა ქართული კულტურის მტრებს გზა-კვალი აუბნია, იმედები გაუცრუა და ჩვენ კი შეგვიწყო ხელი, რომ ქართველი ერის დიდი ხნის ოცნება განხორციელებულიყო.

ოქტომბრის რევოლუციის გადამწყვეტი დღე მოახლოებული იყო, როცა იოსებ ყიფშიძე და მე გავემგზავრეთ პეტროგრადში, რომ იქაური საქმეების ლიკვიდაცია გვეყო და გამოგვეტანა ჩვენი პირადი ბიბლიოთეკები, აგრეთვე ივანე ჯავახიშვილის მდიდარი ბიბლიოთეკაც და ბინის მოწყობილობა (სხვათა შორის, საუცხოო საწერი მაგიდა).

27 ოქტომბერს დილით ჩასულვს ახალი პოლიტიკური ვითარება დაგვცვდა პეტროგრადში: მუშათა შეიარაღებულ რაზმებს დროებითი მთავრობა დამეხო, კერენსკი გაქცეულიყო და სადღაც პეტროგრადს იქით აგროვებდა სრული განადგურებისაგან გადარჩენილ საკონ-

---

**აპაპი შანიძე**  
თბილისის უნივერსიტეტის ლაბორანტი ისტორიკოსი





ტრრეველუციო ძალებს სატახტო ქალაქზე შემოსატევებლად. მაგრამ პეტროგრადის ბოლშევიკთა ორგანიზაციების სიფხიზლემ ყოველგვარი საშუალება წაართვა კონტრრეველუციას, რომ ისევ წამოეყო თავი და ძველი მდგომარეობა აღედგინა.

სწორედ ჩემს თვალს წინ მოხდა, რომ ზარბაზნები მიაყენეს საიუნიკრო სასწავლებელს (პეტროგრადის მხარეს), სადაც იუნიკრები ჩამსხდარიყვნენ და არ ჰნენდებოდნენ. გაანადგურეს სხვა წერილ-წერილი ბუდეებიც კონტრრეველუციისა პეტროგრადში და მის მიდამოებში. სარეველუციო ტალღა სატახტო ქალაქიდან სწრაფად გავრცელდა მოსკოვსა და სხვა ქალაქებში.

სამოქალაქო ომი ბევრგან იყო გაჩაღებული, რკინის გზა ზოგან არ იყო თავისუფალი, მაგრამ მე დაუბრკოლებლივ დაეებრუნდი თბილისს ნოემბრის პირველ რიცხვებში; თან წამოვიღე ცოტა რამ ჩემი ბიბლიოთეკიდან. იოსებ ყიფშიძე ცოტა ხანს კიდევ დარჩა, მოაგვარა ბიბლიოთეკების გადმოგზავნის საქმე, დაბრუნდა დეკემბერში და მიიღო ცხოველი მონაწილეობა უნივერსიტეტის ორგანიზაციის საქმეში.

მთელი პირადი ბიბლიოთეკა ი. ჯავახიშვილისა, იოსებ ყიფშიძისა და ჩემი წიგნების უმეტესობა წამოვიდა ერთი ვაგონით, რომელსაც ახლდა მეორე ვაგონი, რომელშიც ეწყო გიორგი ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკა და ანისის გათხრების დღიურები ნიკო მარისა და ფოტოსურათები, ჩანახატები და სხვა ძვირფასი მასალა ანისიდან კავკასიის არქეოლოგიური ინსტიტუტისათვის, რომელიც თბილისში იყო დაარსებული. ამ ორმა ვაგონმა, როგორც ვაგიკეთ, ჩრდილო კავკასიამდე მოაღწია, მაგრამ სამოქალაქო ომის რკალში მომწყვდეულიყო და დაიღუპა სრულიად. ამით დიდი ზარალი მოუვიდა თბილისის უნივერსიტეტს და ანისის გათხრების მდიდარ დოკუმენტაციას.

1917 წლის 26 ნოემბერს შედგა წინასწარი სხდომა მომავალი უნივერსი-

ტეტის პროფესორთა კოლეგიის სხდომას თავმჯდომარეობდა ივანე ვახიშვილი და ესწრებოდნენ: ე. თაყაიშვილი, კ. კეკელიძე, დ. უზნაძე, ფ. გიჩაიშვილი და ა. შანიძე. სხდომამ დაწყებდა უნივერსიტეტი გახსნილია 1918 წლის იანვარში პირველად ერა ფაკულტეტის შედგენილობით. ამ ფაკულტეტს სახელად სიბრძნისმეტყველებისა უნდა დარქმეოდა, რომელსაც უნდა ჰქონოდა განყოფილებანი: ჰუმანიტარულ, მათემატიკურ და საბუნებისმეტყველო დარგებში. თავდაპირველად განზრახული იყო მხოლოდ ჰუმანიტარული საგნების წაითხვა, როგორცაა საქართველოს ისტორია, ქართული ლიტერატურის ისტორია, ძველი ქართული ენა, ფილოსოფია, პედაგოგია და პოლიტიკური ეკონომია; აღმოსავლურ ენათაგან: სანსკრიტი (ძველი ინდური), არაბული და სპარსული; ახალ ენათაგან: გერმანული, ფრანგული და ინგლისური. დასახელებული იყვნენ აგრეთვე პირები, რომლებიც წაიკითხავდნენ ლექციებს ამა თუ იმ საგანში. ამას გარდა, დასახელებული იყვნენ აგრეთვე პირები, რომლებიც უნდა მომზადებულიყვნენ საპროფესორო მოღვაწეობისათვის ახლო მომავალში (ასპირანტურა).

ამ დროისათვის თბილისის უნივერსიტეტის გახსნის საკითხი უკვე პრაქტიკული განხორციელების სტადიაში იყო. პროფესორთა კოლეგიის პირველ სხდომას (26 ნოემბერს) არაოფიციალური ხასიათი ჰქონდა. მას მოჰყვა კიდევ ექვსი ასეთივე სხდომა, რომლებზედაც ირჩეოდა საორგანიზაციო ხასიათის საკითხები: სამეცნიერო კადრების შერჩევისა, შენობისა, ბიბლიოთეკისა, საფინანსო ბაზისისა, მოწყობილობისა და სხვა. ამ სხდომებზე, ზემოთ აღნიშნული პირების გარდა, მონაწილეობას იღებდნენ შ. ნუცუბიძე და პ. მელიქიშვილი.

პროფესორთა კოლეგიის პირველი ოფიციალური სხდომა შედგა 1918 წლის 13 იანვარს ყოფილი სათავადაზ-

ნაურო გიმნაზიის ერთ გაუმთბარ ოთახში. ამ სხდომაზე უნივერსიტეტის რექტორად, ივანე ჯავახიშვილის წინადადების თანახმად, ავირჩიეთ პროფესორი პეტრე მელიქიშვილი, ფილოსოფიური ფაკულტეტის დეკანად — ივანე ჯავახიშვილი, ხოლო ამ ფაკულტეტის პროფესორთა საბჭოს მდივნად — იოსებ ყიფშიძე. ამის შემდგომ უნივერსიტეტის გახსნამდე იყო კიდევ ორი სხდომა (17-სა და 21 იანვარს), რომლებშიც მონაწილეობა მიიღეს ა. ბენაშვილმა და გ. ახვლედიანმა. უნივერსიტეტი გაიხსნა 26 იანვარს, დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს (მაშინ ჩვენში ჯერ კიდევ ძველი სტილით იყო წელთაღრიცხვა; ახლით ეს იქნებოდა მთებერვალი). გახსნაზე მოწვეული იყვნენ პრესისა და სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები, რომლებიც გულთბილად შეხვდნენ საქართველოს პირველი უმაღლესი სკოლის დაარსებას.

თავდაპირველად უნივერსიტეტის განკარგულებაში იყო მხოლოდ სამი დიდი ოთახი დღევანდელი მთავარი კორპუსის მეოთხე სართულში სამხრეთის ფრთაზე, სადაც ომიანობის დროს სამხედრო ლაზარეთი იყო მოთავსებული (ლაზარეთი ამ დროს უკვე აღარ მოქმედებდა და დაგვიცალეს). ცარიელი კედლების გარდა უნივერსიტეტს პირველად არაფერი მიუღია. უნდა გვეზრუნა საჭირო ინვენტარისა და განათებისათვის, რადგანაც პირველ ხანებში ლექციები საღამოობით იკითხებოდა. მეცადინეობის დაწყება მოხერხდა მხოლოდ პირველ თებერვალს.

ლექციების პირველი განაწილება ასეთი იყო: საქართველოს ისტორია (ი. ჯავახიშვილი), ქართული სამართლის ისტორია (ი. ჯავახიშვილი), ქართული ლიტერატურის ისტორია (ი. ყიფშიძე), ფსიქოლოგია (დ. უხნაძე), ენათმეცნიერების შესავალი (გ. ახვლედიანი), ფილოსოფიის შესავალი (შ. ნუტუშიძე), არქეოლოგია (ე. თაყაიშვილი), საეკლესიო ისტორია (კ. კეკელიძე), პოლი-

ტიკური ეკონომია (ფ. გოგიჩაიშვილი), ძველი ქართული ენა (ი. ყიფშიძე), ძველი სომხური ენა (ა. შანიძე), სანსკრიტი (გ. ახვლედიანი), არაბული ენა (ა. შანიძე), სპარსული ენა (იუსტ. აბულაძე), ფრანგული ენა (ელისაბედ ორბელიანი), გერმანული ენა (ილია ყიფშიძე), ინგლისური ენა (ვანდა ღამბაშიძე).

როგორც ვხედავთ, უნივერსიტეტმა თავისი არსებობა დაიწყო მცირე ძალებით, მაგრამ დიდი მონდომებით და მას თავიდანვე კარგი მომავალი უჩანდა, ჯერ კიდევ არ იყვნენ ჩამოსული სხვადასხვა ქალაქიდან მეცნიერები, რომ გვეფიქრა სხვა ფაკულტეტებისა და განყოფილებათა გახსნაზე. ამას გარდა, არც გავაჩნდა სოლიდური მატერი-ალური ბაზისი. მთავარი წყარო, რომელიც ასაზრდოვებდა უნივერსიტეტს პირველ სემესტრში, იყო შემოსავალი სტუდენტთა სწავლის გადასახადისაგან და შემოწირულებანი. მართალია, შემოწირულება უნივერსიტეტს მრავალი მხრიდან მოსდიოდა, მაგრამ მაინც იგი საკმარისი არ იყო, რომ უნივერსიტეტის არსებობას მტკიცე ფინანსური საძირკველი ჰქონოდა მსხვილი მეცნიერების მოსაზიდად. მოწყობილობის შესაძენად და სხვა და სხვა. მთელი პირველი სემესტრის განმავლობაში უნივერსიტეტი კერძო დაწესებულება იყო. მხოლოდ მეორე სემესტრიდან გადავიდა იგი სახელმწიფოს ხელში.

1918 წლის შემოდგომაზე ფილოსოფიურ ფაკულტეტს გამოეყო მათემატიკურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, რომლის მოწყობაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ნიჭიერ მათემატიკოსს ანდრია რაზმაძეს. იმავე წლის ოქტომბრიდან საკითხი დაისვა, რომ გამოყოფილიყო სამკურნალო ფაკულტეტი, რომლის ორგანიზაციაში ახლო მონაწილეობა მიიღო პროფ. ა. ნათიშვილმა ქართველ მკურნალთა და ბუნე-

**აპაკი შანიძე**

თბილისის უნივერსიტეტის ლაზარების ისტორიიდან



ბისმეტყველთა საზოგადოების მონაწილეობით. სამათემატიკო-საბუნებისმეტყველოსი და სამედიცინო საგნების ერთ ფაკულტეტზე გაერთიანებამ გასტანა 1919 წლის მაისამდე, როდესაც ისინი ერთმანეთს გაეშინნენ. ამ დროისათვის უნივერსიტეტს, საუბედუროდ, გამოავლანა ერთი მის მთავარ დამაარსებელ-საგანი იოსებ ყიფშიძე, მაგრამ შემოემატა ახალი სამეცნიერო ძალები: ი. ბერიტაშვილი მოიწვიეს ფიზიოლოგიის კათედრაზე, ხოლო ა. თვალჭრელიძე — ბინერალოგია-პეტროგრაფიისაზე.

არ შევჩერდები უნივერსიტეტის განვითარების დანარჩენ ეტაპებზე. ვიტყვი მხოლოდ, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იგი გაიზარდა, მოღონიერდა და გადაიქცა მძლავრ სამეცნიერო დაწესებულებად, რომელსაც მრავალი კათედრა აქვს და რიგინად მოწყობილი ლაბორატორიები და კაბინეტები. მართალია, მისი განვითარების გზები ია-ვარდებით არ ყოფილა მოფენილი, მაგრამ მრავალი დაბრკოლება გადალახულ იქნა და დღეს, ორმოცდაათი წლის თავზე, დიდი ზემოთ ვდღესასწაულობთ მის ნახევარი საუკუნის არსებობას და მის უდიდეს ღვაწლს სამეცნიეროსა და საპედაგოგო საქმეებში.

უნივერსიტეტის ფაკულტეტებიდან თანდათანობით გამოიყო რამდენიმე ინსტიტუტი: სოფლის მეურნეობისა, პოლიტექნიკური, სამედიცინო, პედაგოგიური. უნივერსიტეტისა და მისგან გამოყოფილი ინსტიტუტების თანდათანობით ზრდამ და განვითარებამ უზრუნველყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაარსება 1941 წელს.

50 წლის განმავლობაში უნივერსიტეტმა საქართველოს მისცა მრავალი სპეციალისტი, მათ შორის მრავალი განთქმული პროფესორი და აკადემიკოსი. არ

შეიძლება არ აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტში აღიზარდნენ სახელგანთქმული მეცნიერები, როგორც იყვნენ ისტორიკოსები ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი და ენათმეცნიერი ვ. თოფურია, ახლაც ჯანმრთელად არიან და დიდი წარმატებით მოღვაწეობენ ენათმეცნიერები ა. ჩიქობავა, თ. გამყრელიძე, ისტორიკოსები: გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, ლიტერატურათმცოდნეები ა. ბარამიძე, გ. ჯიბლაძე, არაბისტი გ. წერეთელი, თურქოლოგი ს. ჯიქია, მათემატიკოსები ვიქტორ კუპრაძე, ნიკო ვეკუა, ეკონომიკოსი პ. გუგუშვილი, ზელოვნების ისტორიკოსი შ. ამირანაშვილი, მწერლები და პოეტები: გრიგოლ აბაშიძე, ირაკლი აბაშიძე, იოსებ ნონეშვილი და მრავალი სხვა.

პირველი რექტორი ჩვენი უნივერსიტეტისა იყო გამოჩენილი ქიმიკოსი პროფესორი პეტრე მელიქიშვილი, დღეს უნივერსიტეტის რექტორია სახელგანთქმული მათემატიკოსი აკადემიკოსი ილია ვეკუა, რომელმაც უმაღლესი განათლება თვით ამ უნივერსიტეტში მიიღო.

ქართველი ერი დიდი ზემოთ აღნიშნავს უნივერსიტეტის არსებობის ორმოცდაათი წლისთავს, იმ უნივერსიტეტისას, რომელიც დიდი მოსახვევი შეიქნა ჩვენი კულტურული აღორძინების საქმეში.

თბილისის უნივერსიტეტმა ძალიან ბევრი გააკეთა ამ ორმოცდაათი წლის მანძილზე და იმედი გვაქვს, რომ მომავალში იგი კიდევ უფრო მეტის გაკეთებას შესძლებს ჩვენი ერის საკეთილდღეოდ.

გაუმარჯოს ჩვენს უნივერსიტეტს და საუკუნო ხსენება და დაუჭნობელი დიდების გვირგვინი მის დამაარსებელს დიდ ივანეს!

ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანებისა და კავკასიის ტერიტორიაზე ქართველი ხალხის მეთავეობით ძლიერი მრავალეროვანი სახელმწიფოს შექმნასთან ერთად საქართველოში არსდება უმაღლესი განათლების მძლავრი კერები — იყალთოსა და გელათის აკადემიები.



პრ. ჩიქობავა

## თბილისის უნივერსიტეტი და ქართული საეკონომიკო საგრომონეტარო აკადემია

ზოგი რამ ისტორიიდან. მიმდინარე წლის 26 იანვარს შესრულდა 50 წელი მას შემდეგ, რაც გაიხსნა თბილისის უნივერსიტეტი, პირველი უნივერსიტეტი ქართული კულტურის ისტორიაში. უნივერსიტეტი დაარსდა ქართველ მეცნიერთა ჯგუფის ინიციატივით; საქმის მოთავე და სულის ჩამდგმელი ივანე ჯავახიშვილი იყო.

უნივერსიტეტი თავისებურ უმაღლეს სასწავლებელს გულისხმობს: უნივერსიტეტში გვაქვს ერთობლივ როგორც ჰუმანიტარული, ისე მათემატიკური და საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი (ლათინური universitas „ერთობლიობა“, „კომპლექსი“).

ძველ საბერძნეთსა და რომში უნივერსიტეტები არ ყოფილა. უნივერსიტეტები შუა საუკუნეებში შეიქმნა — იტალიაში, ინგლისში, საფრანგეთში...

ყველაზე ძველ უნივერსიტეტად ითვლება უნივერსიტეტი ბოლონიაში (იტალია, 1152 წ.), შემდეგ მოდის ოქსფორდის უნივერსიტეტი (1168 წ., ინგლისში), პარიზის უნივერსიტეტი (1200 წ.), ნეაპოლისა (1224 წ.), კემბრიჯისა (ინგლისში, 1229 წ.)... პრადისა (ჩეხეთში, 1358 წ.), კრაკოვისა (პოლონეთში, 1364 წ.), ვენისა (1365 წ.), ჰაიდელბერ-

გისა (გერმანიაში, 1386 წ.), ლაიფციგისა (გერმანიაში, 1409 წ.), ფრეიბურგისა (გერმანიაში, 1457 წ.)..

ყველა ამ უნივერსიტეტში სწავლება ლათინურ ენაზე იყო — იტალიაშიც, ინგლისშიც, საფრანგეთსა თუ გერმანიაში...

შუა საუკუნეებში უნივერსიტეტები საკორპორაციო წესზე იყო აგებული. უნივერსიტეტში ჩვეულებრივ ოთხი ფაკულტეტი არსებობდა: ზოგად-საგანმანათლებლო (სადაც „შვიდი ხელოვნება“ ისწავლებოდა: გრამატიკა, რიტორიკა, დიალექტიკა; არითმეტიკა, გეომეტრია, ასტრონომია, მუსიკა); ეს ფაკულტეტი საშუალო სკოლის მაგისტრობას ეწეოდა; ვინც ამ „ფაკულტეტს“ დაამთავრებდა, აგრძელებდა სწავლას ან თეოლოგიურ (ანუ ფილოსოფიურ) ასდა სამედიცინო ან კიდევ იურადიკულ ფაკულტეტზე (ბოლონიის უნივერსიტეტს სახელი მოუხვეჭა იურიდიკულმა ფაკულტეტმა, ვენის უნივერსიტეტი ცნობილი გახდა სამედიცინო ფაკულტეტით...).

რუსეთის ყველაზე ძველი უნივერსიტეტი, მოსკოვისა, 1755 წ. დაარსდა (ორასი წლის იუბილე 1955 წელს გადაიხადა); 1803 წლიდან არსებობს ვილ-

ნოს უნივერსიტეტი, 1804 წელს გახსნა ტარტუს და ყაზანის უნივერსიტეტებში, 1805 წელს — ხარკოვისა, 1819 წელს — ლენინგრადისა, 1834 წელს — კიევისა და ა. შ.

მეფის რუსეთში 1917 წელს 11 უნივერსიტეტი არსებობდა. საბჭოთა კავშირში ამჟამად უნივერსიტეტთა რიცხები ითხ ათეულს აჭარბებს.

მეფის რუსეთში არა ერთხელ აღუძრავეთ საკითხი თბილისში, როგორც კავკასიის სამეფისნაცვლის ცენტრში, უმაღლესი სასწავლებლის გახსნის თაობაზე. საბუღალტრო ლიტერატურაში ნაჩვენებია, რომ პირველი ასეთი ცდა 1857 წელს ეკუთვნის: მეფისნაცვლის ბარიათინსკის დავალებით კავკასიის ოლქის მზრუნველს ბარონ ნიკოლაის შეუდგენია ლ ი ც ე უ მ ი ს პროექტი; ლიცუმში ორი ფაკულტეტი უნდა ყოფილიყო: იურიდიკულ-პოლიტიკური და მათემატიკური (გ. გამყრელიძე, თბილისის უნივერსიტეტი, 1948 წ. გვ. 15). ცდას შედეგი არ მოჰყოლია.

1861 წელს, ალექსანდრე II-ის ქუთაისში ყოფნისას, შემდეგ 1871 წელს ალექსანდრე II-ის კავკასიაში ყოფნისას უმაღლესი სასწავლებლის გახსნა უთხოვიათ მეფისათვის. მესამედ 1880 წელს — ალექსანდრე II-ის მეფობის 25 წლის თავზე... კვლავ 1901 წელს — ნიკოლოზ II-ის დროს, — რუსეთთან შეერთების 100 წლის თავზე — უთხოვიათ, — უშედეგოდ.

მეფის მთავრობა შიდა რუსეთშიც კი (მაგალითად, ვორონეჟში) „თავს იკავებდა“ უმაღლესი სასწავლებლის, მეტადრე უნივერსიტეტის გახსნისაგან — კრამოლას გააძლიერებს! კავკასიაში უნივერსიტეტის გახსნას როგორღა მისცემდა დასტურს.

1912 წელს მეფისნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გახსნის თაობაზე უშუამდგომლია (სასოფლო-სამეურნეო, ქიმიური, მექანიკური და ეკონომიკური განყოფილებებით). ამის თანხმობა მიუღიათ... პროექტიც განუხილავთ, სახელ-

მწიფო სათათბიროშიც წარუდგინათ (1914 წელს) და იმავე წლის 4 მარტის პოლიტექნიკუმის შენობისათვის საძირკველიც ჩაუყრიათ... (გ. გამყრელიძე, იქვე, გვ. 23).

თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მუშაობა დაუწყია 1917 წელს (იქვე, გვ. 30).

ეს იყო საბუღალტრო უმაღლესი სასწავლებელი, რუსეთის სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებელი, სწავლებაც მხოლოდ რუსულ ენაზე იყო.

თბილისის უნივერსიტეტი დაარსდა, დაარსდა როგორც ქართული უნივერსიტეტი, და იგი შეიძლება ყოფილიყო მაშინ (1917 წელსაც და 1918 წლის იანვარშიც!) მხოლოდ კერძო უნივერსიტეტი.

ეს გარემოება უნდა გვეკონდეს ვალისწინებელი, როცა ვლაპარაკობთ, თბილისის უნივერსიტეტის გახსნა ითავა ივანე ჯავახიშვილმა: საქმე მარტოს კ არ იყო, რომ საკითხი აღეძრათ — დაესაბუთებინათ, უნივერსიტეტი საჭიროაო, ანდა პროექტი შეედგინათ — უნივერსიტეტში ესა და ეს ფაკულტეტები უნდა იყოს, მუშაობა უნივერსიტეტში ასე და ასე წარიმართოსო, ერთი სიტყვით, განმარტებითი ბარათი შეედგინათ და უნივერსიტეტის დებულება დაემუშავებინათ.

პატარა საქმე არც ეს გახლდათ. და მაინც ამოცანა გაცილებით უფრო რთული იყო: ვინ უნდა ასწავლოს? პროფესორ-ლექტორთა პირველი შემადგენლობა ვინ უნდა იყოს, როგორ დაიძებნოს?

სად უნდა იმუშაოს უნივერსიტეტმა? ბიბლიოთეკა-ლაბორატორიები როგორ შეიქმნას?

რა სახსრებიდან გაიცეს პროფესორ-ლექტორთა გასამრჩელო, ანდა სხვა ხარჯები რით დაიფაროს?

თებერვლის რევოლუციის შემდეგ, 1917 წლის მარტის პირველსავე რიცხვებში შედგა პეტროგრადში (აწინდელ ლენინგრადში) თათბირი ივ. ჯავახიშვილის ბინაზე (თათბირს დასწრებიან: იოსებ ყიფშიძე, შ. ნუტუბიძე, აკ. შა-



ნიძე, სილიბისტრო ლომია, ელენე ჩი-  
ჯავაძე... გ. გამყრელიძე, იქვე, გვ. 31).  
ამას მოჰყვა საჯარო სხდომები, საჯა-  
რო მოხსენებები — უნივერსიტეტის  
შესახებ ივანე ჯავახიშვილისა (თბილის-  
ში 1917 წ. 12 მაისს, ქუთაისში — 17  
მაისს), დაარსდა „ქართული უნივერსი-  
ტეტის საზოგადოება“, დამუშავდა სა-  
ზოგადოების წესდება, საზოგადოებამ  
დაიწყო ზრუნვა სახსრების შეგროვე-  
ბაზე...

უნივერსიტეტის პროექტი. განხილუ-  
ლი და მიღებული უნივერსიტეტის სა-  
ზოგადოების მიერ, სათანადო განმარ-  
ტებითი ბარათითურთ წარედგინა  
„ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტს“  
 („მსზპკომ“-ს, ეს იყო „დროებითი  
მთავრობის“ წარმომადგენელი ამიერ-  
კავკასიაში)... კომიტეტმაც პროექტი  
„დროებითს მთავრობას“ გადაუგზავ-  
ნა... (იქვე, 33-36)...

უნივერსიტეტის პროექტი დასკენი-  
სათვის დროებითმა მთავრობამ გადას-  
ცა აკად. ნიკო მარს, როგორც კავკასიის-  
მცოდნეობის საკითხებში უდიდეს აუ-  
ტორიტეტს.

ნ. მარის დასკვნა არსებობს (ვრცელი  
სტატია «О Кавказском университете  
в Тифлисе» დაიბეჭდა რუსეთის აკადე-  
მიის მოამბეში, «Известия Акад.  
Наук», 1918, გვ. 1496—1516..): თბი-  
ლისის ქართული უნივერსიტეტი თუ  
შეიქმნება, უნდა გადაუდებლივ გაიხს-  
ნას „კავკასიის უნივერსიტეტიც“, რო-  
გორც სახელმწიფო უნივერსიტეტიო.

ქართული უნივერსიტეტის დამაარსე-  
ბლები ივ. ჯავახიშვილი, იოს. ყიფშიძე,  
ა. შანიძე პეტერბურგის უნივერსიტე-  
ტის აღზრდილები იყვნენ, და იმ სკო-  
ლიდან გამოვიდნენ, რომელსაც ნიკო  
მარი ხელმძღვანელობდა.

ხელმძღვანელმა, რბილად რომ ვთქ-  
ვათ, არ დაუჭირა მხარი იმ დიდ საქმეს,  
რაც მის ხელმძღვანელობით აღზრდი-  
ლებმა წამოიწყეს.

ცნობილი ქართველოლოგი ნ. მარი  
ქართული უნივერსიტეტის დაარსების  
წინააღმდეგ გამოვიდა, როცა მის მხარ-

დაჭერას გადამწყვეტი მნიშვნელობა  
ჰქონდა. ქართულ უნივერსიტეტს კავ-  
კასიის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
რუსული უნივერსიტეტი დაუპირისპი-  
რა. მოწაფეები წამოვიდნენ, იაფეტუ-  
რი თეორია დაზარალდა! „მე“ წინ  
დადგა, „ჩვენ“ დაიწყებდას მიეცა.

საბჭოთა წლებში არ დარჩენილა არც  
ერთი მოკავშირე რუსუბლოცა, რომ იქ  
უნივერსიტეტი არ გაეხსნათ, მაგრამ  
ეს იყო შემდეგ (და არა 1918 წელს)!  
უნივერსიტეტების გახსნა უკვე სახელ-  
მწიფო ღონისძიება იყო და არა —  
კერძო ინიციატივის შედეგი.

როცა საქმე გამარჯვებით მთავრდება,  
მობანე და ტაშისმკვეთი საქმებარი  
არაა. როცა რთული მდგომარეობაა ან  
გაურკვეველი, მხარის დაჭერით თავს  
ძნელად თუ ვინმე შეიწყუბებს ჩვენში.

ქართული კულტურის, ქართული მე-  
ცნიერული აზროვნების მომავლის  
დიდი და მტკიცე რწმენა იყო საჭირო,  
რომ ისეთ ვითარებაში, როგორც მა-  
შინ იყო, კერძო ქართული უნივერსი-  
ტეტის დაარსებისათვის პასუხისმგებ-  
ლობა ეკისრათ უნივერსიტეტის მოთა-  
ვეებს.

„ისეთებიც ხომ იყვნენ, მათ შო-  
რის მეცნიერნიც კი, — წერდა ივ. ჯა-  
ვახიშვილი 1938 წელს, უნივერსიტე-  
ტის ოცი წლის თავთან დაკავშირე-  
ბით, — რომელთაც მთელი ეს გეგმა  
და დაწყებული საქმე თვით ქართველე-  
ბისთვისავე დამლუპველად ჰქონდათ  
პრესაშიც კი აღიარებული. კულტურუ-  
ლი დაქვეითების მეტი არაფერია საქა-  
რთველოს მეცნიერული აზროვნებისა-  
თვის ამ გეგმის განხორციელებისაგან  
მოსალოდნელიო და იმავე დროს იგი  
პეტერბურგში (აწუ ლენინგრადში) დიდი  
გაჭირვებითა და ხანგრძლივი მუშაო-  
ბით შექმნილი სომხურ-ქართული ფი-  
ლოლოგიის ერთად ერთი კერის გავე-  
რანებას უდრისო“ („კომუნისტი“, 1938,  
30 მაისი).

**ა. ნ. ჩიქოვანი**

თბილისის უნივერსიტეტი და ქართული  
სამეცნიერო აზროვნების აღორძინება



\* \* \*

**ახე იწყებოდა...** 1918 წლის 26 იანვარს ქართული უნივერსიტეტი გაიხსნა; ფაკულტეტი იყო ერთი: სიბრძნის-მეტყველებისა (ანუ ფილოსოფიური). 1918 წლის გაზაფხულის სემესტრზე (1 თებერვლიდან — 12 ივნისამდე) ლექციები იკითხებოდა მხოლოდ ჰუმანიტარულ საგნებში (როგორცაა: საქართველოს ისტორია, ქართული სამართლის ისტორია, მსოფლიო ისტორია, არქეოლოგია, პოლიტიკური ეკონომია, ფილოსოფიის შესავალი, ფსიქოლოგია, ენათმეცნიერების შესავალი... და ენები: ძველი ქართული ენა, სანსკრიტი, არაბული, სომხური, სპარსული, ფრანგული, გერმანული, ინგლისური...)...

ლექციები იკითხებოდა სადამოხობით, ხუთი საათიდან ცხრა საათამდე, უნივერსიტეტის ახლანდელ პირველ კორპუსში.

პროფესორ-ლექტორთა შემადგენლობა 1918 წლის დასაწყისისათვის 18 კაცს ითვლიდა, მათგან შვიდი პროფესორი იყო, დოქტორისა ანდა მაგისტრის ხარისხის მქონე (პეტრე მელიქიშვილი, **ივანე ჭავჭავაძე**, იოსებ ყიფშიძე, ანდრია ბენაშვილი, კორნელი კეკელიძე, დიმიტრი უზნაძე და ფილოზე გოგიჩაიშვილი); ხუთი — პროფესორის მოადგილე, მაგისტრანტი (ანდ. რაზმაძე, სიმ. ავალიანი, შალ. ნუცუბიძე, გ. ახვლედიანი, აკ. შანიძე), ორი — მეცნიერი ხელმძღვანელი (იუსტ. აბულაძე, ექვთ. თაყაიშვილი); ოთხი — ლექტორი, ევროპულ ენათა (ელ. ორბელიანისა, არტ. ლასტი, ილ. ყიფშიძე, ვანდა დამბაშიძისა).

1918 წელს, უნივერსიტეტის გახსნისას მისში 386 სტუდენტი ირიცხებოდა. იმავე წლის სექტემბერში სტუდენტთა რიცხვი რამდენიმე ასეულს უდრდა (ამ სტრუქტურების ავტორს მატრიკული რომ მიეცა სექტემბერში, მისი ნომერი იყო 536).

დასწრება თავისუფალი იყო: არავინ კითხულობდა, ვინ მოვიდა ლექციაზე, ვინ არ დასწრებია (სიის ამოკითხვა

უნივერსიტეტისათვის დიდ ხანს უცხო).

და მაინც აუდიტორიები სავსე იყო. სტუდენტთა შემადგენლობა ასაკობრივ თავისებურად გამოიყურებოდა: ორმოცი წლისა თუ მეტი ხნის მსმენელი, ხანში შესული ჭაღარა სტუდენტი არც თუ იშვიათი იყო.

მსმენელთა შორის ისეთებიც იყვნენ, რომელთაც მიღებული მქონდათ უმაღლესი განათლება, და მაინც ჩაირიცხნენ სტუდენტებად, რომ ქართულ ენაზე მოესმინათ საგნები.

ამჟამად თბილისის უნივერსიტეტში რამდენიმე ათასი სტუდენტი სწავლობს, 14 ფაკულტეტზე: იმდენი ფაკულტეტი გვაქვს, რამდენიც პროფესორი და პროფესორის მოადგილე გვყავდა უნივერსიტეტის გახსნისას.

გასული 50 წლის მანძილზე თბილისის უნივერსიტეტში შეიქმნა არა ერთი სამეცნიერო მიმდინარეობა — მათემატიკასა და ბუნებისმეტყველების სხვადასხვა დარგში, ჰუმანიტარულ მეცნიერებებში.

თბილისის უნივერსიტეტის სამეცნიერო ავტორიტეტიც ამას შეესაბამება.

ზაქაფინა ნაკადული, ძლივს შესამჩნევი სათავეში, იქცა მდინარედ, რომელიც უნივერსიტეტთა რუკაზე ჯეროვნად აისახება.

\* \* \*

მაგრამ თბილისის უნივერსიტეტის ზრდა-განვითარება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იმით, თუ რამდენი ფაკულტეტი ჩამოყალიბდა უნივერსიტეტში, რამდენი სპეციალისტი მოუმზადა მან ქვეყანას, რამდენი პროფესორი მუშაობს მასში და რა სამეცნიერო ავტორიტეტი აქვს უნივერსიტეტს მოპოებული.

თბილისის უნივერსიტეტის წიაღში ჩაისახა საბჭოთა საქართველოს თითქმის ყველა უმაღლესი სასწავლებელი:

**პოლიტექნიკური ფაკულტეტის** საფუძველზე 1928 წელს შეიქმნა ინდუსტრიული ინსტიტუტი (ამჟამად — პოლიტექნიკური ინსტიტუტი და რკინიგზის ტრანსპორტის ინსტიტუტი).



აგრონომიული ფაკულტეტის ნიადაგ-ზე 1930 წელს შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.

სამკურნალო ფაკულტეტის საფუძველზე ჩამოყალიბდა 1930 წელს სამედიცინო ინსტიტუტი, შემდეგ — ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტიც და ქიმიკ-ფარმაცევტული ინსტიტუტიც.

ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი დაარსდა 1933 წელს, როგორც უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის გამონაყოფი და ა. შ.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაარსებაც 1941 წელს შეუძლებელი იქნებოდა, უნივერსიტეტს რომ საამისო ნიადაგი არ შეემზადებინა: თბილისის უნივერსიტეტში შეიქმნა არაერთი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომლებიც ამჟამად ჩვენი აკადემიის წამყვან სამეცნიერო დაწესებულებებს წარმოადგენენ.

ასეთებია: მათემატიკის ინსტიტუტი, ფიზიოლოგიის ინსტიტუტი, გეოლოგიის ინსტიტუტი, ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი, ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი... უნივერსიტეტში მომზადდა აგრეთვე კადრები სხვა დარგებისთვისაც.

როცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემია ჩამოყალიბდა 1941 წელს, პირველი შემადგენლობის 16 ნამდვილი წევრიდან 13 წევრი თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი იყო.

უნივერსიტეტის მუშაობა ქართულ ენაზე საუნივერსიტეტო კურსების დამუშავებას გულისხმობდა.

ამისათვის კი სხვადასხვა დარგის ტერმინოლოგია უნდა შექმნილიყო. იტჯავახიშვილის თაოსნობითა და ხელმძღვანელობით სამეცნიერო ტერმინოლოგიის დამუშავებას ჩაეყარა საძირკველი.

თბილისის უნივერსიტეტში შეიქმნა პირველი საუნივერსიტეტო კურსები მეცნიერებისა და ტექნიკის, აგრონომისა და მედიცინის ყველა ძირითად დარგში: ქართულად ამეტყველდა უმალღესი მათემატიკა და ფიზიკა, ფიზიოლოგია და გეოლოგია, ქიმიკა და ბოტანიკა, მასალათა გამძლეობა და პათოლოგიური ფიზიოლოგია...

ჩვენ შევეჩვიეთ იმას, რომ საუნივერსიტეტო კურსები ქართულად იკითხება, შევეჩვიეთ იმდენად, რომ გვიჭირს იმის გათვალისწინება, რამდენად ძნელი იყო ეს მაშინ, გვაიწყდება ისიც, თუ რა დიდი მნიშვნელობაც ჰქონდა ამას ქართული სამეცნიერო აზროვნების აღორძინებისათვის.

თბილისის უნივერსიტეტის დაარსება, პირველი ქართული უნივერსიტეტის შექმნა მოასწავებდა ქართული სამეცნიერო აზროვნების აღორძინებას. ქართული კულტურის ისტორიის თვალსაზრისით ესაა ყველაზე არსებითი.

უნივერსიტეტის ფუძემდებლის ივანე ჯავახიშვილის სახელთან განუყრელად არის დაკავშირებული ქართული უმალღესი განათლებისა და ქართული კულტურის განვითარების ეს ჭეშმარიტად სახალხო საქმე, დიდი საქვეყნო საქმე.



IV საუკუნის ბერძენი ფილოსოფოსი და რიტორი თემისტოხოს ფაზისის ფილოსოფიურ-რიტორიული სკოლის (კოლხეთის აკადემიის) შესახებ წერდა, რომ არა მარტო მან, არამედ მამამისმაც „თავისი განთქმული ფილოსოფია სწორედ იქ შეიძინა“.



სიონ ყაუხივილი

საქართველოს ისტორიის ბერძნული  
წყაროების ახალი ფონდი

მე რომ ვწერ ახალი ფონდიო, ეს იმას  
კი არ ნიშნავს, რომ ამ ფონდის მასა-  
ლები ჩემ მიერ არის აღმოჩენილი. ამ  
მასალების არსებობა დიდი ხანია ცნო-  
ბილია (მე ვლაპარაკობ ათონის ივერთა  
მონასტრის არქივში არსებულ სიგელ-  
გუჯრებზე), ხოლო გამოქვეყნებული  
არ არის და, მაშასადამე, ისტორიოგრა-  
ფიაშიც გამოყენებული არა ჩანს.

ათონის მონასტრის არქივში დიდძა-  
ლი სიგელ-გუჯრები მოიპოვება, სახელ-  
დობრ ე. წ. ხრისობულები ანუ ოქრო-  
ბეჭედნი, ბიზანტიელ კეისართა მიერ  
ბოძებული სიგელები, რომლებითაც  
ივერთა მონასტერს ესა თუ ის მამული  
უმტკიცდება, ამა თუ იმ გადასახადისა-  
გან განთავისუფლება ებოძება და  
რომლებითაც გადაწყვეტილია სხვადას-  
ხვა საკითხები ივერთა მონასტრის შე-  
სახებ.

ივერთა მონასტრის ეს მასალები ჯერ  
კიდეც ამ ასი-ასოცი წლის წინათ მოი-  
ხილა და შეისწავლა არქიმანდრიტიმა  
პ ო რ ფ ი რ ი უ ს პ ე ნ ს კ ი მ, რომელ-  
მაც თავის ცნობილ წიგნებში („საქრი-  
სტიანო ათონი“, „მოგზაურობა ათონის  
მთაზე“ და სხვა) მოათავსა კიდევაც  
ცნობები იმ სიგელ-გუჯრების შესახებ,  
რომლებიც მან იპოვა ათონის ივერთა

მონასტრის არქივში; ზოგიერთი ამ სი-  
გელ-გუჯრის შინაარსიც მოიყვანა რუსუ-  
ლად, ნაწყვეტები მოათავსა ამ ბერძ-  
ნულ სიგელ-გუჯრებიდან და სხვა, მაგ-  
რამ თვით სიგელ-გუჯრების ტექსტები  
მას არ გამოუქვეყნებია. ეს ტექსტები  
ინახება საბჭოთა კავშირის მეცნიერე-  
ბათა აკადემიის არქივში და ჩვენ ჩვენი  
სამუშაო გეგმით ამ წელს და მომდევნო  
წლებში გათვალისწინებული გვაქვს ამ  
ბერძნული სიგელ-გუჯრების ტექსტის  
გამოქვეყნება ქართული თარგმანითა  
და გამოკვლევებით. ამ წერილში კი მე  
მსურს მკითხველ საზოგადოებას წინას-  
წარვე ვაცნობო, თუ რა მნიშვნელობი-  
საა ეს სიგელ-გუჯრები საქართველოს  
ისტორიის საკითხებისათვის.

ეს სიგელ-გუჯრები შეიცავენ მასა-  
ლებს X საუკუნიდან თვით XIX საუ-  
კუნემდე, ხოლო ჩვენს ინტერესს შეად-  
გენს სიგელ-გუჯრები, ვიდრე XIV საუ-  
კუნემდე, 1350-იან წლებამდე; ამ წლე-  
ბამდე ათონის ივერთა მონასტერი ქარ-  
თველების ხელში იყო, ხოლო ამის შემ-  
დეგ მას ბერძნები დაეპატრონენ. ნება  
მომეცით ზოგიერთი ეს მასალა გააცუ-  
ნოთ.

958 წლის თარიღით გამოცემულია  
ხრისობული (ე. წ. „ხრისობულოს ლო-

გოს“) ათონის ივერთა მონასტრის მამულების შესახებ. ეს ხრობიბული გაცემულია კეისარ კონსტანტინე VI მიერ და ეხება ივერთა მონასტრის მამულებს ეგრეთ წოდებულ ათო-ზე. როგორც ჩანს, ეს ათო ის სამფლობელო ერთეულია, სადაც თავდაპირველად იყენენ დაბინავებულნი ქართველები, სანამ ისინი 970-იან წლებში ცნობილ დიდ ივერთა მონასტერს ააშენებდნენ.

აქვე უნდა მოვახსენო მკითხველებს, რომ ქართველები თავდაპირველად ათონზე არსებულ ე. წ. ათანასეს ლავრაში იყენენ შეფარებული და თავიანთი საკუთარი მონასტერი ააშენეს 979 წლის შემდეგ. როგორც საყოველთაოდ ცნობილია, 970-იან წლებში ბიზანტიის მთავრობას აუჯანყდა მსხვილი ფეოდალი ბარდა სკლიაროსი, რომელმაც დიდ გეპირეებში ჩააგდო თვით სატახტო ქალაქი, რომელსაც ის უახლოვდებოდა და გაარესას უპირებდა. ბიზანტიის დედოფალმა თეოფანომ, რომელსაც ჰყავდა ორი მცირეწლოვანი ვაჟი (ბასილი და კონსტანტინე), თხოვნით მიმართა ქართველთა მეფეს დავით კუროპალატს დახმარებოდა ბიზანტიას ბარდა სკლიაროსის აჯანყების ჩაქრობაში. დავით კუროპალატმაც 12000 ჯარისკაცი გაუგზავნა ბიზანტიას თორნიკე ერისთავის სარდლობით. ბარდა სკლიაროსის აჯანყება ჩაქრობილ იქნა 979 წელს. ეს ამბავი საყოველთაოდ ცნობილია, სხვა არა იყოს რა, აკაკი წერეთლის პოემის „თორნიკე ერისთავის“ წყალობით.

979 წელს მოპოვებული გამარჯვების გამო ქართველები დაჯილდოებული იქნენ, მეტი წილი ნადავლისა ქართველებს მიეცა და ამან გახადა შესაძლებელი ამ გამარჯვებით მოპოვებული თანხების წყალობით საკუთარი მონასტრის აშენება: გარდა ამ თანხებისა, კონსტანტინეპოლის მთავრობამ სპამშენებლო მასალებიც გაუგზავნა ქართველებს ათონის მთაზე და საუკეთესო ოსტატებიც.

მასასადამე ქართველებს საკუთარი მონასტერი ე. წ. „ივერთა მონასტერი“

აქეთ 979 წლის შემდეგ. ხოლო მინამდვილად შეფარებული იყენენ სხვაგანაც, კერძოდ ათანასის ლავრაში და იმ საფანეში, რომელსაც სიგელ-გუჯრებში ეწოდება „ათო“.

გავყვეთ დოკუმენტებს. ამ დოკუმენტებში ბევრი რამ სადავო საკითხი ჩანს დაკავშირებული ივერთა მონასტრის მამულებთან. ასე, მაგალითად, 982 წლის თარიღით გადმოცემულია „წერილობითი დადასტურება“ (ბერძნულად ამას ჰქვია „ენგრაფოს ასფალია“), რომელშიაც სწერია:

„ჩვენ ციხე-სიმაგრე იერისოს მცხოვრებლები ამ წერილობით დადასტურებას გაძლევთ თქვენ უსათნოეს მონაზონს იოანე იბერს და ღვთივ სათნო კაცს იოანე სინგელოზს და თქვენგან დამოკიდებულ კეთილმოწყობილ სამეფო სავანეს კოლოვოს, რადგან ის თქვენ გექვემდებარებათ. რამდენადაც ეს კეთილმოწყობილი სავანე მოცემული გაქვთ თქვენ ოქრობეჭდული სიტყვიტა („ხრობიბულის ლოგოს“) და დამოწმებულია თქვენი კეთილმოწყობილი ლავრისათვის, რომელიც დაარსებულია ყოველადწმინდა ღვთისმშობლის სახეზე და ეწოდება კლიმენტის სავანე, გეძლევათ ესე მოწმობა იმისათვის, რომ თქვენ ხართ ამის მფლობელი. სიგელს ხელს აწერენ ამ დროს მმეფობი ბასილი და კონსტანტინე, და ამ წერილობითი დადასტურების დოკუმენტის პირს ხელს აწერს 75 მოწმე.“

საქმე გახლავთ შემდეგი: ორი წლის წინათ, 980 წელს, იოანე იბერმა, ე. ი. ექვთიმე ათონელის მამამ, თავის ლავრას შეუერთა ორი სავანე, იერისოში არსებული იოანე კოლოვუს სავანე და ათონზე არსებული კლიმენტის სავანე, და ესენი შეუერთა ბასილი კეისრის სიგელის ძალით. რაც შეეხება იმას, რომ აქ დასახელებული არის იოანე სინგელოზი, ეს დასტურდება აგრეთვე

**სიგონ ჯაზახიოვილი**  
საპარტიველონ ისტორიის ბერძნული  
წყაროების ახალი ფონდი.



ბასილ კეისრის სხვა ხრისობულითაც, სადაც იოანე სინგლოზის სახელს მიწერილი აქვს თორნიკე. მაშასადამე, ჩვენ საქმე გვაქვს იმ სიგელთან, რომელშიაც იხსენიებიან ივერთა მონასტრის დამაარსებელი იოანე იბერი და თორნიკე ერისთავი.

მკითხველისათვის ნათელი უნდა იყოს ამ სიგელის მნიშვნელობა, სადაც ივერთა მონასტრის დამაარსებელი იოანე და თორნიკე (თორნიკე ერისთავი) იხსენიებიან.

ავლობთ კიდევ მაგალითად, 1079 წლის სიგელი. ამ სიგელის ტექსტს თავში აწერია: „ნიკიფორე ბოტანიატის სიგელი 1079 წლისა“. სხვათა შორის, ეს ის კეისარია, რომელსაც ცოლად ჰყავდა ჩვენი მეფის ბაგრატ IV-ის ასული მარიამი. ამ სიგელში კეისარი ივერთა მონასტერს. შემდეგს აუწყებს: ივერთა ლავრამ სახელმწიფო ხაზინიდან ყოველწლიურად უნდა მიიღოს 8 გირვანქა ოქრო და 16 ოქროს სოლიდი. აქედან 4 გირვანქას მიიღებს კეისრის საკუთარი საუნჯიდან და ამიერიდან ივერთა სავანე თავისუფალი იქნება ყოველგვარი გადასახადისაგან და იგი თესალონიკის ქვემდებარეობისაგან თავისუფლდება.

ჩვენ შეგვეძლო კიდევ სხვა ხრისობულების შინაარსიც მოგვეყვანა, მაგრამ რაც მოვიყვანეთ, ისიც საკმარისია იმისათვის, რომ მკითხველი მიხვდეს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ივერთა მონასტრის არქივში არსებული სიგელ-გუჯრები.

1353 წლამდე ივერთა მონასტერი ქართველების ხელში იყო, ამის შემდეგ ქართველები გააძევეს ბერძნებმა. პ. უსპენსკი ამის შესახებ წერს: „ქართველებმა მათე საუკუნის ბოლოს აიშენეს მთაწმინდაზე საკუთარი მონასტერი, რომელიც ჩვენ დროსაც არსე-

ბობს და ჰქვია ივერთა მონასტერი“. დროიდან მოკიდებული, ვიდრე 1353 წლამდე, ან ცოტა უფრო გვიან, ამ მონასტერში მუდამ ცხოვრობდნენ მხოლოდ ქართველი ბერები. პატრიარქმა კილისტოს I, რომელიც პატრიარქობდა 1350-1362 წლებში, ივერთა მონასტერში ბერძენი ბერები ჩააყენა, იმიტომ რომ ისინი ქართველებს აღმატებოდნენ რაოდენობითაც და სასულიერო თვისებებითაც. ამ ბერებმა 1492 წლიდან თანდათან განახლეს ამ სავანის გაფართოება და გამდიდრება, მართო რუსეთისა და მოლდავეთის თავადთა და მეფეთა წყალობით კი არა, არამედ ქართველი მეფეების წყალობითაც:

ა. XVI საუკუნის დასაწყისში სამცხისა და კლარჯეთის მფლობელებმა, სახელდობრ ათაბაგ ყვარყვარე III შვილმა ქაიხოსრო პირველმა და მისმა ვაჟმა მზეჭაბუკმა სავანის შიგნით ააშენეს დიდი მაღალი კოშკი.

ბ. 1619 წელს ივერთა მონასტრის კარიბჭესთან აგებულ იქნა წყლის აუზი, სადაც წყალი მოდიოდა შორიდან, არხონტ შერმაზან ივერის თაოსნობით.

გ. 1540 წელს კახეთის მეფემ ლეონმა და მისმა შვილმა ალექსანდრემ განუახლეს ათონის ძმებს შეწირულებანი.

ამგვარად ჩვენ ვხედავთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ ბერძენები დაეპატრონენ ივერთა მონასტრის მართვა-გამგეობას, ქართველი მეფეები და მთავრები მაინც ყურადღებას არ აკლებდნენ.

აი, ასეთია ნიმუშები იმ დოკუმენტებისა, რომლებიც ათონის ივერთა მონასტერში მოიპოვება (დღესაც იქ არის) და რომელთა ბერძნულ ტექსტების პირები საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის არქივში ინახება (ლენინგრადში).



## უნივერსიტეტი და ლიტერატურული ახალგაზრდობა

ჩვენი კორესპონდენტი რევაზ მიშველიძე ეწვია საქართველოს სსრ მწერალთა კავშირის მდივანს, კრიტიკოს ბესარიონ ჟღენტს და რამდენიმე შეკითხვით მიმართა.  
ქვემოთ ვებეჭადეთ ამ საუბრის ჩანაწერს.

— ჩვენი სახელოვანი უნივერსიტეტის ორმოცდაათი წლისთავის ზეიმზე თქვენთვის რომ ეთხოვათ მოხსენების წაკითხვა თემაზე — „უნივერსიტეტი და ქართული ლიტერატურა“, როგორ ააგებდით ამ მოხსენებას?

— უნივერსიტეტის ლიტერატურულ ტრადიციებზე საუბრისას მე ძირითადად სამ მომენტზე შევიჩერდებოდი:

უპირველეს ყოვლისა, ქართული მწერლობის განვითარებას უნივერსიტეტმა ხელი შეუწყო იმით, რომ მან აღზარდა მთელი თაობები ეროვნული ინტელიგენციისა. ხოლო ლიტერატურის განვითარება კი, მოგახსენებთ, ბევრად არის დამოკიდებული მკითხველის გემოვნების, მისი კულტურის, მისი სულიერი მოთხოვნების დონეზე.

მეორე: უნივერსიტეტის კედლებში დამოუკიდებელ მეცნიერებად ჩამოყალიბდა და სწორ მეთოდოლოგიურ საწყისებზე დადგა ქართული ფილოლოგია.

მესამე: უნივერსიტეტის ახალგაზრდა შემოქმედთა წრემ თავისი სისტემატური მუშაობით ხელი შეუწყო მწერალთა მთელი თაობის აღზრდას და დღეს ჩვენ ქართულ საბჭოთა ლიტერატურას ვერ წარმოვიდგენთ გარეშე იმ წვლილისა, რაც შეიტანა მასში უნივერსიტეტში აღზრდილმა ახალგაზრდა შემოქმედებებმა თაობამ.

არც ერთ უნივერსიტეტს და უმაღლეს სასწავლებელს ჩვენს ქვეყანაში არ ჰქონია ისეთი დიდი ლიტერატურული გაერთიანება და არ მიუცია ეროვნული მწერლობისათვის ისეთი სა-

ინტერესო ლიტერატურული ცვლა, როგორც მისცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურულმა წრემ.

— თქვენ, როგორც ამ წრის დამაარსებელი და უცვლელი ხელმძღვანელი, რას ვგეტყვოდით მისი შექმნის ისტორიაზე?

— ომისშემდგომი წლები იყო. მწერლობის წინაშე ახალი ამოცანები და გზები ისახებოდა. ამ გზების მიგნება და მისი შემოქმედებითი გათვალისწინება ახალბედა ლიტერატორისათვის ადვილი როდი გახლდათ. უნივერსიტეტის ახალგაზრდული ლიტერატურული ცხოვრება ქართურ ხასიათს ატარებდა. ადვილი ჰქონდა ცალკეულ დაბნეულობას, სწორი იდეური პრინციპებიდან ზოგჯერ უნებლიე გადახვევასაც კი. მწიფდებოდა უნივერსიტეტში შემოქმედებითი გაერთიანების შექმნის საკითხი. ინიციატივა მაშინდელმა რექტორმა ნიკო კეცხოველმა აიღო. მან ერთ დღეს დამიბარა და წრის ხელმძღვანელობა შემომთავაზა. სიამოვნებით დავთანხმდი. ჩვენთვის ფრიალ სასიამოვნო იყო, რომ თავდაპირველად წრის სხდომებს სისტემატურად ესწრებოდა თვით პატივცემული რექტორი.

— თუ ვახსოვთ რომელი წელი იყო?  
— 1946-47 სასწავლო წელი.

— მოგახსენებთ, რომ ჩებოვი უარყოფითი აზრისა იყო ლიტერატურულ წრეებზე. მე მწამს მხოლოდ ინდივიდუალური მუშაობა შემოქმედისა, ხოლო წრეობანა სასარგებლოა მხოლოდ; რომელიც გნებავთ სამეცნიერო დარგისათვის და არავითარ შემთხვევაში მწერლობისთვის. ჩებოვის ეს აზრი, რა თქმა უნდა, ისე



როგორც თქვენ, ჩვენც საქაშათოდ მივგაჩნია, მაგრამ ჩეხოვი მაინც ჩეხოვია და ხომ ვერ გვეტყოდით, რით განსხვავდება უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრის მუშაობა, ვთქვათ იგივე, უნივერსიტეტის სტუდენტთა ქიმიის წრის მუშაობასაგან?

— როცა ჩეხოვი თავის ამ აზრს გამოთქვამდა, ქვეყანაში სუფევდა სულ სხვა საზოგადოებრივი ატმოსფერო და საქმე სულ სხვა წრეობანას შეეხებოდა. მაშინ არც მწერალთა კავშირი იყო იმ სახით, რა სახითაც ახლა არსებობს. ჩვენს ეპოქაში საქმე სხვაგვარად გააქვს. დღეს წარმოდგენილია ჩვენი მწერლების პირად თუ შემოქმედებით ცხოვრებაზე საუბარი, იმ კანონზომიერი და საჭირო ნენაყოფლობითი გაერთიანების გარეშე, რასაც მწერალთა კავშირი ჰქვია.

მაგრამ სანამ ახალგაზრდა ლიტერატორი პროფესიონალური მწერალი გახდებოდეს, მას (და მითუმეტეს მას) აუცილებლად სჭირდება თანამოაზრეთა წრეში ხშირი საუბარი, სჭირდება მრჩეველი, მსმენელი, მისი ნაწერების კოლექტიური შემფასებელი. ეს ყველაფერი კი საწერო მუშაობით მიიღწევა.

რაც შეეხება წრის მუშაობის სპეციფიკას, აქ რა თქმა უნდა, ლაპარაკია არა მეცნიერული მუშაობისათვის დამახასიათებელ ზუსტად განსაზღვრულ მეთოდებზე, არამედ კოლექტიური შემოქმედების იმპროვიზირებულ პრაქტიკაზე. ახალგაზრდა მწერლები კითხულობენ თავიანთ ნაწერებს, ახალგაზრდა ოპონენტები იქვე გამოთქამენ თავიანთ მოსაზრებებს. აზრთა გაცვლა-გამოცვლა, ცხოველი კამათი საგებლობის მიერ რას მოუტანს ორივე მხარეს.

**— ხელმძღვანელი რაღას აკეთობ?**

— წრის ხელმძღვანელი თავიანთ მეთვალყურის როლით ემყოფილება, მხოლოდ სხდომის დასასრულს შეაჯამებს კამათის შედეგებს და თავის სუბიექტურ მოსაზრებებს თუ სურვილებს გამოთქვამს, ისე რომ თავის შეხედულებას თავზე არავის ახვევს. ჩვენს წრეში მხოლოდ დარწმუნების მეთოდი დომინანტობს.

— თუ არ ვცდები, თქვენ წრის ძირითად და ნიშნულებას ახალგაზრდა შემოქმედთა ლიტერატურულ აღზრდაში ხედავთ; ხომ არ უოფილა უნივერსიტეტის წრის პრაქტიკაში შემთხვევა, რომ ნიჭიერი, მაგრამ „ლიტერატურულად გზასაცდენილი“ ახალგაზრდა სწორ გზაზე დაგიყენებიათ და თუ საიდუმლოება არ არის ვინ იყო ასეთი?

— ჩვენი წრის ყოფილ წევრებს კარგად ახსოვთ, რომ წრის სხდომები, განსაკუთრებით პირველ ხანებში, მძაფრ და რთულ ვითარებაში მიმდინარეობდა. ყველა ახალგაზრდა ლიტერატორს ერთნაირად სწორად როდი ჰქონდა წარმოდგენილი პიროვნების და საზოგადოების მწერლობისა და ცხოვრების, შინაარსისა და

ფორმის, მოდერნიზმისა და რეალისტების სხვა მთელი რიგი კარდინალური საკითხები.

გადიოდა დრო. თანდათანობით ესწავლობდით, ევრკვეოდით, კამათში ღვინდებოდა ქვემარტება და ბოლოს ყველაფერი თავის ადგილს იკვრდა. რაც შეეხება თქვენი შეიკთხვის ბოლო ნაწილს, ნება მომეცით „შემობრუნებულთა“ გვარების დასახელება ჩემზე, როგორც წრის ხელმძღვანელის, საიდუმლოებად დაეცხოვრო. მითუმეტეს, რომ ამ თქმას ახლა აზრი არა აქვს. სტუდენტ ლიტერატორებს კი არა, იმ სხდომებზე იქნებ მეც არ გამომიტყვამს ყოველთვის სწორი აზრი.

— **დღეს უკვე ყველაათვის ცხადია, რომ თქვენმა წრემ აღზარდა რამდენიმე სინატერტისო და თვალსაჩინო მწერალი. მათ თავიდან „პირველ სხიველებს“, ხოლო შემდეგ „ციცქრელებს“ უწოდებდნენ. ასე რომ, ამ თხოვთმები წლის წინათ უნივერსიტეტიდან ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში მოვიდა ფართად ნიჭიერი და ორიგინალური თაობა. რას გვეტყვით მათ შესახებ?**

— მათ შესახებ ახლა მათივე სამწერლო შემოქმედება ლაპარაკობს. ამ სახელდახელო საუბარში მათი ცალ-ცალკე დახასიათება კიდევაც გამიჭირდებოდა, იმდენად თვითმოყოფადნი და ორიგინალურნი არიან ისინი, როგორც ლიტერატორები.

— არა, ბატონო ბესო, მე მხოლოდ მათი პირველი სამწერლო ნაბიჯების გახსენებას გთხოვთ, რაც თქვენს თვალწინ მოხდა.

— მე ყოველთვის სიამოვნებით ვიკონებ ჩვენი წრის ყოფილ წევრების—დღეს უკვე თვალსაჩინო მწერლების, სამწერლო დებიუტებს. შეიძლება მათ თავიდანვე არ გააჩნდათ ყოველთვის სწორი შემოქმედებითი პრინციპები, მაგრამ დაკვირვებული თვალისთვის ძნელი შესამჩნევი არ იყო მათი ხალასი ნიჭიერება და ლიტერატურისადმი სიყვარული.

უნდა ითქვას ისიც, რომ ამ ახალგაზრდებთან მე მაკავშირებდა და მაკავშირებს დიდი სულიერი და შემოქმედებითი ნათესაობა. მაგრამ მწერლობაში მათი შემოსვლის შემდეგ ზოგიერთ მათგანთან დღესაც მაქვს მწკვევე ზოლუეიკა, რადგანაც მე სიყვარული მწერლობაში ისე მესმის, რომ მართალი უთხრა მწერალს და თუ ატყობ მის შემოქმედებაში რაიმე ნაკლს, გულწრფელად მიუთითო დაუყოვნებლივ.

— ახალგაზრდა მწერალთა წრის ამ პირველი „ილბლიანი“ გამოშვების შემდეგ, ჩვენს ლიტერატურას უნივერსიტეტმა კიდევ მისცა ახალი ნაკადი. მე შევეცდები ზოგიერთი მათგანი შეგახსენოთ: ლიანა სტურუა, ემზარ კვიციანიშვილი, რეზო ამაშუკელი, ლია ქავჭავაძე, გურამ დოჩანაშვილი, დილარ ივარდავა, გურამ ბათიაშვილი, იზა ორჯონიძე, ჭუმბერ თითუმერია, გიზო ზარნაძე, ბესიკ ხარანაული, გიორგი ლაბაძე.



მირონ ხერგიანი... წრის ახლანდელი წევრები — თედო ბექიშილი, გიორგი ბაქანიძე, გივი აღმაშენებელი, ჯარჯი ფხოველი, ვანო ჩხიკვაძე... შეიძლება თუ არა მათ ლიტერატურული თაობა ვუწოდოთ და რა ნიშნების მიხედვით?

— ახალგაზრდა მწერალთა ჯგუფისათვის ლიტერატურული თაობის სახელის მიყუთვნება ასე ილი არ არის. ახალგაზრდა, მოვესტებებით ხუთ წელიწადში ამთავრებს უნივერსიტეტს და ყოველ ხუთ წელიწადში რომ მოვეყვით და ვაცხადოთ; თაობა მოვიდა! თაობა მოვიდა! ეს შორის წაგვიყვანს და ძალიან ბევრი თაობები დაგვივარდობდება. ჩვენს ახალგაზრდა მწერლებს, და განსაკუთრებით თქვენს მიერ დასახელებულ ახალ ნაკადს, ჯერ კიდევ ბევრი მუშაობა მოუწევს ლიტერატურული თაობის სახელის მოსახვეჭად.

— ხომ არ გეჩვენებათ, რომ მათი ლიტერატურული ქადა შედარებით გვიან ცხვება.

— მწერლობაში ახალი ძალის გამოჩენისათვის არასოდეს არ არსებობდა იმდენი საშუალება, რამდენიც ახლა არსებობს. ლიტერატურაში რამდენი ჯგუფიც მოვა, ყველას თავის ყურნალს და აღმანახს ვერ მივცემთ, მაგრამ ჩვენ გვაქვს, „ცისკარი“, რომელიც არ არის ერთი რომელიმე თაობის ორგანო, იგი მთელი ლიტერატურული ახალგაზრდობის ორგანოა და ვალდებულია, თანაბრად გაუხსნას კარი და მისცეს გზა ყოველ ახალ საინტერესო დებიუტანტს მწერლობაში. გარდა ამისა, მწერალთა კავშირში არსებობს ახალგაზრდა მწერლებთან მუშაობის კომისია, რომლის უშუალო მოვალეობაა დიხმაროს ახალგაზრდა, ნიჭიერ ლიტერატორებს.

— თუ შეიძლება ორიოდ სიტყვით „პირველ სხივზე“.

— ახალგაზრდა მწერალთა წრის დაარსების ერთი წლის თავზე ჩვენ შევძელით აღმანახის გამოცემა, რომელსაც „პირველი სხივი“ ვუწოდეთ. „პირველი სხივი“ თავიდანვე ყოველწლიურ გამოცემად გვქონდა ჩაფიქრებული, მაგრამ ორმოცდაათიან წლებში მისი გამოცემა ხუთი წლით შეგვიფერხდა. ამის მიზეზი იყო ჩვენთან დამოუკიდებელი, ცნობილი მოვლენები და შეცდომები, და ისიც, რომ უნივერსიტეტის ლიტერატურულ წრეში კარგა ხანს არ გამოჩნდნენ ისეთი მკაფიო ნიჭიერების ახალგაზრდები, რომელთა ძალიან შეგვეძლებოდა დამოუკიდებელი აღმანახის გამოცემა. ამჟამად ეს დაბრკოლება დაძლეულია და უკვე გამოსაცემად გადავეცით „პირველი სხივის“ VIII ტომი, რომელსაც მკითხველი ჩვენი სახელოვანი უნივერსიტეტის საიუბილეო დღეებში მიიღებს.

— „პირველი სხივი“ უნივერსიტეტის სინამდვილეში სტუდენტთა პირველი ნაბეჭდი ლიტერატურული აღმანახია?

— დიახ.

— აი, ჩვენ ხელთ გვაქვს ცნობა, რომ ჯერ

კიდევ 1920 წელს უნივერსიტეტმა გამოსცა სტუდენტური აღმანახის „მომავლის“ წიგნი.

— უნდა მოვასწავლოთ რომ „მომავალი“ წმინდა და ლიტერატურული ორგანო არ იყო. სტუდენტთა სამეცნიერო-პოლიტიკური და ლიტერატურული აღმანახი გახლდათ. მის გამოცემას სისტემატური ხასიათი არ მიუღია და რამდენადაც ვიცი, არც რაიმე კვალი დაუჩენია ჩვენი ლიტერატურის განვითარებისათვის. თუმცა „მომავალში“ იმბეჭდებოდნენ, ისეთი მწერლები, როგორიც იყვნენ: დემნა შენგელაია, სავლე აბულაძე, ილია სიხარულიძე, ბაბილონა ხოსიტაშვილი, სიმონ გაჩეჩილაძე, პლატონ კეშელავა, ლეონ მეღიქეთებეგი და სხვები.

— ჩვენს უნივერსიტეტში პროფ. სერგი ჭილაიას ხელმძღვანელობით აღმანახ ჩამოყალიბდა უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრა, რომლის წევრი თქვენც ბრძანდებით. თუ იცით, აქამდე რატომ არ არსებობდა უნივერსიტეტში ეს კათედრა და როგორ გესახებათ მისი მომავალი?

— უახლესი ქართული ლიტერატურის კათედრის წარმოშობა უნივერსიტეტის ცხოვრებაში ფრიად დადებითი და მისასალმებელი მოვლენაა. მისი გამოცალკეება განაპირობა როგორც შესასწავლო საგნის — ქართული საბჭოთა ლიტერატურის სახის საბოლოოდ გამოკვეთამ და ჩამოყალიბებამ, ისე შევნიერთა ახალი კადრების მოშაზდებამ. ეკვი არ არის, რომ ეს ახალი კათედრა ხელს შეუწყობს უნივერსიტეტში ქართული საბჭოთა ლიტერატურის ისტორიის სწავლების მაღალ დონეზე დაყენებისა და თანადროული ლიტერატურის მეცნიერული შესწავლის რთულსა და საჭირო საქმეს.

— უნივერსიტეტს ჰქონდა ერთი შესანიშნავი ტრადიცია: მისი მაღალი კათედრებიდან ლექციები თუ სპეკულაციები სწორად თვითონ მწერლები კითხულობდნენ. ამჟამად მცირე გამოჩაღისის გარდა, ეს ტრადიცია დავიწყებულია, რატომ?

— როცა კონსტანტინე გამსახურდია უნივერსიტეტში დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ისტორიის კურსს კითხულობდა, იგი იყო არა მხოლოდ მწერალი, არამედ ფილოსოფიის დოქტორი და ლიტერატურის თეორეტიკოსიც. თქვენი ალბათ იცნობთ კ. გამსახურდიას შესანიშნავ ლიტერატურულ გამოკვლევებს. ასე, რომ მას ჰქონდა უფლებაცა და უნარიც, უნივერსიტეტში ლექციები წაეკითხა. რაც შეეხება სხვა მწერლებს, ჩვენ ამჟამად ცოტა გვაგულება ისეთი, რომელიც უნივერსიტეტის ლექტორის მოვალეობის შესრულებას შეძლებდა. სხვანაირად არ გამოივით; იმიტომ კი არა, რომ თით-

უნივერსიტეტიც მაღალი კატორღული ახალგაზრდობა



ქოს მათ სხვაზე ნაკლები განათლება ჰქონდეთ, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მწერლის აზროვნება სხვაგვარად არის მოწყობილი. იგი მხატვრული სახეებით აზროვნებს და ალბათ მას თავისი შთაგონება დროს არ მისცემს სრულფასოვანი, სისტემატური მეცნიერული კურსის მოსამზადებლად და წასაკითხავად. ნათქვამის დასადასტურებლად გოგოლის მაგალითის შეგახსენებთ: ცნობილია, რომ გოგოლი ლექციების წასაკითხად მიიწვიეს პეტერბურგის უნივერსიტეტში. მან დაიწყო და წაიკითხა კიდევ რამდენიმე ბრწყინვალე ლექცია, მაგრამ რადგანაც გოგოლი მწერალი, ხელოვანი იყო და არა მკვლევარი ან ისტორიკოსი, მალე შემოეღია მასალა და ერთ დღეს უბახვეული მივიდა უნივერსიტეტში იმის მომიზეზებით, რომ კბილი სტრეკა და ლექციებს ვეღარ წაიკითხავს. მიუხედავად ამისა, კარგი იქნება ზოგიერთი ჩვენი სახელოვანი მწერალი მოვილოდეს უნივერსიტეტში და წაიკითხავდეს არა რაიმე სრულ კურსს, არამედ თუნდაც რამდენიმე სპეციალურ ლექციას ფართო აუდიტორიის წინაშე.

— უნივერსიტეტის და საერთოდ მეცნიერული ინტელიგენციის, თუ სტუდენტი ახალგაზრობის, თემა ხომ არ არის ჩვენი მწერლობის

**მხატვრულ თვალთახედვის გარეთ დარჩენილი**  
 — გეთანხმებით. ქართული მხატვრული ზის დიდი ნაწილი ჯერ კიდევ სოფელს დასტრიალებს თავს. მხოლოდ უკანასკნელ ხანს ზოგიერთმა ახალგაზრდა მწერალმა შეძლო ქალაქის თემისათვის შეებედა და მაინც, ჩვენი მეცნიერული ინტელიგენციის თუ სტუდენტობის ცხოვრების გაშუქება ჯერ კიდევ რჩება ჩვენი მწერლობის ვალად.

— როგორ ხვდებიან ქართველი მწერლები მეცნიერების ტაძრის 50 წლისთავს?

— დიდი აღფრთოვანებით და სიყვარულით. ჩვენ მალე გამოცემთ უნივერსიტეტის იუბილისადმი მიძღვნილ სპეციალურ კრებულს. მწერლები ჩვენი პრესის, რადიოსა თუ ტელევიზიის საშუალებით აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ამ დიდი ეროვნული დღესასწაულის ღირსეულად ჩატარებაში.

— რას უსურვებთ უნივერსიტეტის ლიტერატურულ საზოგადოებას?

— უნივერსიტეტის ლიტერატურულ საზოგადოებას ვუსურვებ მეტ ენთუზიაზმს, უფრო საინტერესო და შინაარსიანი ლიტერატურული ცხოვრების გაშლას, ახალ-ახალ შემოქმედებით გამარჯვებებს.



მოწინავე ქართველი ინტელიგენციის ინიციატივით და ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის ნიკო ცხეველიძის უშუალო ხელმძღვანელობით შეგროვდა თანხა უნივერსიტეტის მშენებლობისათვის, მაგრამ შენობის აგება ოფიციალურად გაფორმდა თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიისათვის, თუმცა ნ. ცხეველიძე და მშენებელი არქიტექტორი ს. კლდიაშვილი წინასწარ ვარაუდობდნენ, რომ ეს შენობა ქართული უნივერსიტეტისათვის იყო განკუთვნილი.

უნივერსიტეტისათვის გამიზნული შენობის აგება 1908 წელს დამთავრდა, მაგრამ კიდევ მრავალი წელი გავიდა, სანამ შესაძლებელი გახდებოდა თბილისში უმაღლესი განათლების კერის დაარსება.



## საკრძო ჯორბენაძე

# ყველაზე მძიმე დღე იქნა ჩვენთვის ცხოვრებაში

ივანე ჯავახიშვილი ილია ჭავჭავაძის მასშტაბის მოღვაწეა. ქართული უნივერსიტეტის დაარსება ივანე ჯავახიშვილის უკვდავი და წარუხოციელი ამავთა ერის წინაშე.

უნივერსიტეტის გახსნისა და შემდეგ მისი აღმავლობის წლებს მართო სიხარული როდამოტუნია ივანე ჯავახიშვილისათვის. იყო წუხილის, წყენის, გულისტკენის, უმადურების წუთებიც, მაგრამ ამას დიდბუნებოვანი მეცნიერი მხნედ იტანდა, როცა დიდებული წამოწყების საერთო წინსვლასა და აღორძინებას ხედავდა.

უნივერსიტეტის გახსნისათვის გადახდილ ეპოქაში იყო ერთი დღე, რომელმაც კინაღამ ყველაფერი წყალში ჩაყარა. ესაა 1917 წლის 6 დეკემბერი, — ყველაზე მძიმე დღე ივანე ჯავახიშვილის ცხოვრებაში.

ივანე ჯავახიშვილი ჯერ პეტერბურგიდან ხელმძღვანელობდა ქართული უნივერსიტეტის გახსნის თადარიგს. იგი თანამოსაგრებთან ერთად აღდგენდა რუსეთისა და ევროპის უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე ქართველ სტუდენტთა რაოდენობას, რაც ოპტიმიზმისათვის სრულ საფუძველს იძლეოდა: თუ ქართველი კაცი ასე შორს ავზავინდა შვილს ცოდნის მისაღებად, — ქართულ უნივერსიტეტს თბილისში მით უფრო არ მოაკლდებოდა სწავლაზე მოწყურებული ახალგაზრდობა.

ივანე ჯავახიშვილს თავის უბის წიგნაკში ჰქონდა ჩანიშნული ყველა ქართველი მეცნიერის გვარი, რომელნიც სამშობლოში და მის გარეთ მოღვაწეობდნენ. მრავალ მეცნიერს, რომლებიც შემდგომ იქნენ მოწვეული უნი-

ვერსიტეტში, და პირველად ხვდებოდნენ ივანე ჯავახიშვილს, ავირევებდით, რომ მან ასე კარგად იცოდა თითოეული მათგანის მოღვაწეობის და ცხოვრების ფაქტები. ივანე ჯავახიშვილს სწამდა, რომ სამშობლოს დაცხილზე პატრიოტი მეცნიერები მოაშურებდნენ ერთ-ერთ უნივერსიტეტს.

1917 წლის მაისში იგი პირველ ორგანიზაციულ წარმონაქმნს აფუძნებს—უნივერსიტეტის დაარსების საზოგადოებას. შემოდგომაზე კი მთელს საქართველოში ნამდვილი სახალხო ენერჯია აზვირთდა უნივერსიტეტისათვის ფულადი სახსრების შესაგროვებლად. თბილისი უკვე ემზადება საუნივერსიტეტო ქალაქად გადაქცევისათვის. 1917 წლის 26 ნოემბერს პროფესორთა კოლეგიის პირველი წინასწარი სხდომაც შედგა. პროფესორთა კოლეგია მრავალ ისეთ ორგანიზაციულ-ტექნიკურ საკითხს იხილავდა, რომელსაც შემდეგ სჭირდებოდა დამტკიცება უნივერსიტეტის საზოგადოებისა და საფინანსო კომისიის სხდომაზე. სწორედ ამ მიზნით 1917 წლის 6 დეკემბერს შედგა ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების გამგეობისა და საფინანსო კომისიის გაერთიანებული სხდომა. მას ესწრებოდნენ კ. აფხაზი, ი. ლორთქიფანიძე, ექ. თაყაიშვილი, ე. ყიფიანი, მ. ჯამბაყურ-ორბელიანისა, ან. წერეთლისა, ა. ვირსალაძისა, ნ. ნაკაშიძისა, ვ. კახაძე, გ. გვახავა, პ. მელიქიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ი. ზურაბაშვილი. კრება მეტად მშვიდად და საქმიანად დაიწყო. ივანე ჯავახიშვილმა უაღრესად საფუძვლიანი მოხსენება წაიკითხა. მან კრებას აუწყა უნივერსიტეტის საგარეულო ხარჯთაღრიცხვა, აგრეთვე სრული ნუს-





ხა სიბრძნისმეტყველების ფაქტულტეტზე წასაყობი საგნებისა. კრების მშვიდი მსვლელობა მოულოდნელად დაირღვა. უმრავლესობამ საკითხი დააყენა: ხომ არ გადავლით უნივერსიტეტის გახსნა 1918 წლის სექტემბრისათვის? რა მოხდა?!

უნივერსიტეტის საზოგადოებამ ქონებრივი დახმარება თხოვა საქართველოს ეროვნულ საბჭოს, მაგრამ უარი მიიღო, ამან გააანელა ისედაც მძიმე ქონებრივი მდგომარეობა. ამას დაემატა ქვეყნის მძიმე პოლიტიკური და სამხედრო კონიუნქტურა, რამაც დააფრთხო უნივერსიტეტის საზოგადოება, რომელმაც ვერ გაბნა თავისთავზე აიღო უნივერსიტეტის გახსნის პასუხისმგებლობა. ამ ვითარებაში კრების უმრავლესობამ და მათ შორის პროფ. პ. მელიქიშვილმა იმ აზრს დაუჭირეს მხარი, რომ შექმნილი მძიმე ნივთიერი მდგომარეობისა და ტექნიკური მოუწყობლობის გამო, აგრეთვე ურთულესი პოლიტიკური სიტუაციის პირობებში, უმჯობესია უნივერსიტეტის გახსნა გადაიდოს სექტემბრისათვის, როცა მათი გულუბრყვილო რწმენით, ყველა „ეს დაბრკოლება თავიდან აცილებული“ იქნებოდა.“

6 დეკემბრის სხდომის ოქმში ვკითხულობთ: ივანე ჯავახიშვილი იმ აზრისაა, რომ „უნივერსიტეტი უექველად 1918 წლის იანვარში უნდა გაიხსნას. ამის შესახებ უკვე იყო გამოცხადებული, საზოგადოება ამის მოლოდინშია, პროფესორ-ლექტორებიც დათათბირებულნი არიან და შეუძლებელი მდგომარეობა შეიქმნება, თუ ეს დაბრკოლება არ იქნება განხორციელებულიო.“

საქმეს ვერც ივანე ჯავახიშვილის უსაზღვრო ავტორიტეტმა უშველა, ვერც რკინის ლოგის ძალამ.

„საბოლოოდ კრების უმრავლესობამ (წინააღმდეგნი იყვნენ ი. ჯავახიშვილი, მ. ორბელიანი და ნ. ნაკაშიძისა) ის აზრი გამოთქვა, რომ შეუძლებელია უნივერსიტეტის იანვარში გახსნა ნივთიერი უსახსრობის, ტექნიკურად მოუწყობლობის და გართულებული პოლიტიკური ვითარების გამო“.

ამით უნივერსიტეტის საზოგადოება არსებითად თვითღაშლას აწერდა ხელს.

პირველად დამარცხდა ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტის საზოგადოებაში მოღვაწეობისას.

ქართული უნივერსიტეტის | მომუღეთა ღვარძლიანი ხიზითი, ჩამქრალი ენთუზიაზმი, გაცრუებული იმედები, დაშლილი კულტურულ-სამეცნიერო დაწესებულება, ქონების შემდგომი დატაცება, საყუთარი უმწყობის პირდაპირი აღიარება, — ან რა მოჰყვებოდა უშუალო შედეგად უნივერსიტეტის გახსნის გადახანებას. მძიმედ განიცადა ეს გადაწყვეტილება ივანე

ჯავახიშვილმა. ამის შესახებ მოუწერა დეკემბრის სხდომის მონაწილეს გ. ჯ. ორბელიანს, რომლის მოგონებას პირველად ვაქვეყნებთ:

„1917 წ. მივიღოთი ვანო ჯავახიშვილი და მე უკანასკნელ სხდომაზე „ქართული უნივერსიტეტის დამხმარე საზოგადოებისას“. ვანო, როგორც ინიციატორი უნივერსიტეტის შექმნისა, — პორტველი სასვე ქაილდებით, ვრცელი მოხსენებით, მე როგორც წევრი კომიტეტისა.

ბნელი საღამო იყო, ჩვენ გულში კი სიხარული თამაშობდა, რადგანაც სრული იმედი გვექონდა, რომ მოხსენების შემდეგ გადაწყვილებოდა უახლესი დრო უნივერსიტეტის გახსნისა. ყველაფერი მზად იყო: ვანოს დაწერილებით ჰქონდა შედგენილი მოხსენება, ხარჯთაღრიცხვა და გაჩქარებული მიწერ-მოწერა რუსეთში და საზღვარგარეთ მყოფ პროფესორებთან... რომელთაც აქ ეპატრეებოდა. მალე შეიკრიბენ ყველა წევრები.

კოტე აფხაზმა-თავმჯდომარემ კომიტეტისა სთხოვა ვანოს წაეკითხა მოხსენება.

არაფერი დაეიწყებოდა მომხსენებელს, საოცარი სრული იყო.

ყველა აღტაცებაში მოიყვანა.

თავმჯდომარემ უდიდესი მადლობით მიმართა, მხოლოდ უნივერსიტეტის ეხლავე გახსნა შეუძლებლად ნახა უფულობის ცაბი.

სურათი შეიცვალა, ყველამ გზიერები დაუშო. ვანოს მღელვარება შეეცყო, მხოლოდ თავისებურად დინჯად შეეკითხა თავმჯდომარეს: — „მამ რატომ მამუშავეთ ტყუილად, იმდენად დამაიმედეთ, რომ პროფესორებიც კი გამოვითხოვეთ“.

დიდი ბოდიშები, დიდი მწუხარება, სექტემბერში გავხსნით, ცოტა მოთმინება უნდა ვიქონიოთო.

მანინ მე ვკითხე თავმჯდომარეს:

— პირველ სექტემბერში კი ნამდვილად გვექნება ფული?“

— ვერც მაგას ვიტყვი, — იყო პასუხი. დავიშალენით, გამოვთხოვეთ ერთმანეთს — წამოვლით სახლში.

ბნელი საღამო იყო და ჩვენს გულშიც ბნელია. ვანოს ჩემი ხელი ეჭირა. პატარა ხანს ვგრძნობდი მის კანკალს, მალე დამშვიდდა და მითხრა: —

— „არათურია, უნივერსიტეტი მაინც გავხსნითო“.

მართლაც, ივანე ჯავახიშვილი ვერ დაახნია საზოგადოების უმრავლესობის გადაწყვეტილებამ. მან შესანიშნავ გამოვლით მანვერს მიმართა. მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ მან კრებას შეატანინა ერთი დათქმა, რომელმაც გადაწყვეტი რომი შესრულა უნივერსიტეტის გახსნაში. ამ დათქმაში წერია:



— „თუ მაინც და მაინც პროფესორთა კოლეგია საჭიროდ დაინახავს და მოახერხებს სწავლის ამოვითვის დაწყებას. — უნივერსიტეტის საზოგადოება ეცდება ხელი შეუწყოს რითაც შეეძლება“.

აქ უკვე უნივერსიტეტის საზოგადოებას არ შეეძლო ეთქვა, რომ ხელს შეუშლიდა იანვარში სწავლის დაწყებას, თუმცა მან აშკარად მართო დატოვა ბრძოლის ველზე პროფესორთა კოლეგიის მცირერიცხოვანი გუნდი. ახლა სწორედ მართო ეს გუნდი, შიმშილისა და წერტილის ვითარებაში, სახსრების სიმცირის პირობებში, პირადი ქონებრივი პასუხისმგებლობით. მოახლოებული მიზნისაგან ქინიანი სვლით იწყებს 50 დღიან ფინალურ ბრძოლას პირველი ეროვნული უნივერსიტეტისათვის. გზა მეტად რისიკიანი იყო, მაგრამ ხალხის მხარდაჭერა წარმართავდა პროფესორთა კოლეგიის გაბედულებას. ივანე ჯავახიშვილს სწამდა: პირველი ძნელი ნაბიჯის გადადგმის შემდგომ ხალხი არასდროს არ გაწირავდა ნატარ უნივერსიტეტს.

1918 წლის იანვარში უნივერსიტეტის ვახსნით მართო ერთი ზედმეტ სემესტრი კი არ დამატებია მას, არამედ დაგვიანება მარცხის თანაბარი შეიძლება გამხდარიყო, არადა საფრთხე კი უკვე ვახსნით უნივერსიტეტის დახურვისა მეტად რეალური სჩანდა. ქართულ უნივერსიტეტს არ ჰქონდა თავლობის თვე. მეტიც, უმძიმესი იყო მისი არსებობის პირველი სემესტრი: 1918 წლის 3 აპრილს პროფესორთა საბჭოს სავანგებო სხდომა შედგა და იხილებოდა კიდევ ასეთი საკითხი: ოსმალთა შემოტევის გამო შეწყდეს თუ არა ლექციების კითხვა. საბჭომ დაადგინა: „უნივერსიტეტი არ დაიკეტოს. ლექციების კითხვა გაგრძელდეს. იმ სტუდენტთა და მსმენელთათვის, რომელნიც ომში წავლენ, ლექციები განმეორებულ იქნეს.“ ამასთანავე საბჭომ დააყენა საკითხი უნივერსიტეტის შენობის დაცვისა, და თანხი გადაწყვეტილება-

ში ჩაწერა: „საშინაო რევოლუციის მოახლოების დროს პროფესორები უნდა ეტრისტიკის შენობაში უნდა დაარჩინდნ და ხელი შეუწყონ მის დაცვას“.

აღსრულდა ივანე ჯავახიშვილის წინასწარ-პვერტა. ქართველმა ხალხმა ყველა განსაცდელს გამოატარა ახალი დროის მეცნიერების პირველი ეროვნული ტაძარი.

სიძნელები კიდევ უფრო სრულად წარმოგიდგენს ივანე ჯავახიშვილის როლს, 1917 წლის 6 დეკემბრის შემდეგ მის მიერ გადაღებული ნაბიჯის სიდიადეს. უკვე გვიან, უნივერსიტეტის ოცი წლისთავზე ივანე ჯავახიშვილი იგონებდა 1917 წლის 6 დეკემბრის დამხმარე საზოგადოების კრების გადაწყვეტილებას და მიუთითებდა, რომ მას შემდეგ, რაც უარი მივიღეთ იანვარში უნივერსიტეტის გახსნაზე, ლექტორთა კოლეგიის სახელით გამგეობის წევრებს ვთხოვე, რომ ამ დიდი საქმისათვის ხელი არ შევეშალათ და, თუ ქონებრივი დახმარება არ შეეძლოთ, ლექტორთა კოლეგიისათვის მაინც ნებაყოფილი მივცათ, რომ თვითნებ პირადი ქონებრივი პასუხისმგებლობით შეექმნათ საქართველოს დედაქალაქში კერძო უმაღლესი სასწავლებელი. გამგეობა ამაზეც ეკვივითა და ყოყმანით დათანხმდა. რა თქმა უნდა, ეს გაბედული ნაბიჯი იყო, რომელიც თუ მარცხით დამთავრდებოდა, შესაძლებელია მთელი ამ განზრახვისათვის სამუდამოდ სახელი გაეტეხა, ვითარცა სრულებით უნიადგო და განუხორციელებელ ამოცანას. მაშინდელი არაერთი სექტრიკოსისათვის მათი ავტორების ყბადასაღებ, დასაცინ მასალად გამხდარიყო, მაგრამ ეს გამბედაობა იმ დიდ ეროვნულ აღფრთოვანებისა და უმაღლესი მეცნიერების შექმნის იმ დიდ წყურვილზე იყო დამყარებული, რომელიც ქართველი ერის შეგნებულ ფართო წრეებში, ამ განზრახვამ გავონებისთანავე გამოიწვია და გამოამკლავნა“.

ქემარიალ, ხალხი არასდროს არ ცდება თავისი ერთგული შვილის არჩევაში.

დავით აღმაშენებლის მიერ დაარსებულ გელათის აკადემიას ქართველი მემკვიდრე „ახალ ათინას“ უწოდებს. ამ აკადემიაში აღიზარდა ბევრი გამოჩენილი ქართველი მოღვაწე და მწერალი.

ლიმიზირი ლოპხანიძე

# უცნობი

მ ო თ ხ რ ო ბ ა

ნაწვიმარი ქუჩა გადაჭრა, მესერთან მივიდა და ეზოში გადაიხედა: ჩამიჩუმი არ ისმოდა.

ხის ჭიშკარზე დააბრაახუნა — არავინ გამოჩენილა.

ერთ ხანს აცალა და ჭიშკარი ისევ შეანჯღრია. კიბის ქვეშიდან თეთრი ფინია გამოძვრა, გაკაპასებული ყეფით გამოქანდა, ღრიჭოში თავის გაყოფა სცადა და საკბენად მიეტანა. კაცმა ტალახიანი ჩექმა აუქნია შესაშინებლად. ძალლი გაიქცა, მაგრამ, როგორც კი იგრძნო, არ მომდევნო, მობრუნდა და უსაშველოდ აყეფდა. კაცს გუნებაში გაეღიმა.

„პატარა კაციც ასეა. საქმით არ ჩანს და ხმით კი ბუქს აყენებს, ერთი შემომხედეთ, ვინა ვარო. ეზოს ძალლი ამდენ აურზაურს როდი ატეხდა. თვითონ რომ პატარაა, მცირე ხმაურიც კი ქვეყნის დაქვევად ეჩვენება.“

— ცუვა, ცუვა! — დასამშვიდებლად მიუალერსა, მაგრამ ფინია გაწიწმატებული დარბოდა და ბრაზიანად ყეფდა.

ძალღს თავი ანება და გაბმით დააბრაახუნა ჭიშკარზე. ფინია ახლა უფრო გახელდა, სახლი წინანდებურად ჩაბნელებული იყო, გარეთ არავის გამოუხედავს.

„მეორედ მოვედი, შინ ისევ არ დამხვდა. საკვირველია, სად წავიდა?!“

გაბრუნება დააპირა.

— ვინ გნებავს? — მეზობელ ეზოდან გადმოსძახა ვილაცამ.

ერთბაშად არ გაპასუხებია. რატომღაც შეეყოვნდა.

— ვინ გნებავს-მეთქი?! — გაისმა უფრო ხმამაღლა.

კაცი შეტრიალდა: კიბეზე შუა ხნის ფაშფაშა ქალი იდგა და კუმტად აკვირდებოდა. კაცი უნებურად დააბნია ქალის ბრაზიანმა კილომ. დასვრილ ჩექმებზე დამნაშავესავით დაიხედა და წყნარად თქვა:

— ალიოშას ნახვა მინდოდა.

ახლა ქალი დადუმდა.

— სად არის ალიოშა?! — ხმას აუწია მოსულმა.

ძალლი ყეფით იკლებდა იქაურობას.

— ალიოშა წაიყვანეს! — ყრულ თქვა ქალმა და გაბრუნება დააპირა.

— ვინ წაიყვანა?! — გაუკვირდა კაცს.

— პოლიციამ!

— სად?

— ალბათ ციხეში. პოლიცია სხვაგან სად წაიყვანდა?! — გაუკვირდა ქალს.

კაცს აღარაფერი უკითხავს. უსიტყ-

ვოდ მოსცილდა მესერს და ქუჩაში გავიდა.

„ქალაქში ერთი ახლო ნაცნობი მყავდა და ისიც დაიჭირეს. ალბათ მალე თავისუფლად სუნთქვასაც აკრძალავენ“.

უხალისოდ მიაბიჯებდა.

ჩაქამებულ სახლებში ნელნელა ანთებდნენ სინათლეს. საღამო ჯიუტად შემოდინოდა ქალაქში. წვიმისაგან ვალუმპული შენობები მხრებჩამოყრილი იდგნენ და თვლემდნენ. ცაზე დოლაბივით ბრუნავდა შავი ღრუბლების მორევი. ცივი ქარი სისინით უვლიდა ქუჩებს.

საყვლო აიწია და გახუნებული, თხელი პალტო მჭიდროდ შემოიხვია ტანზე. ძველი კეპი წარბებამდე ჰქონდა ჩამოფხატული. ჰალარა წვერი უშნოდ გაბურძღვნიდა.

გააჟრჟოლა და უფრო მოიბუხა.

დღიდანვე ვერ იყო კარგად. სახსრები სტეხდა, რევმატიზმი აწუხებდა და ცუდ ამინდში თავებდს აწყევლინებდა.

„სამოცი წელია ამ უკუღმართ ქვეყანაზე დავეხეტები და ცხოვრებაში დღემდე ვერ მიპოვნია ჩემი ადგილი. არც რაიმე შემიქმნია, არც წამიხდენია. რა აზრი აქვს ასეთ სიცოცხლეს? ოცნებით კი ვარსკვლავებს ვწყვეტილი... ეჰ, ცხოვრებაში თურმე ისე არ ხდება, კაცს რომ ჰგონია!“

„სადაც დავიბადე, იქ რომ მეცხოვრა, იქნება ოჯახს მაინც მოვკიდებოდი, მიზანი შექნებოდა. მიზანი კი სიცოცხლის აზრია. თავიდან კარგს ვერაფერს ვეწეო და ასე დავერჩი ბოლომდე. ფეხი ვერასდროს მოვიკიდე და ვერავითარ საქმეს ვერ დავუდე გული. გვიან გავიგე: დღის გათენება არსებობის გარდა სხვა რამესაც ავალღებს კაცს. ნეტავი, მთელი სიცოცხლე ჯაჭვით ვყოფილიყავი დაბმული, ოღონდ მცოდნოდა, რომ ეს საქმისათვის საჭიროა. მაგრამ, ვაი რომ თავიდანვე სხვაგვარად წარიმართა ჩემი ცხოვრება!“

„ახლა რაღა ვარ?! წუთისოფლისაგან გათელილი უმიზნო, უთვისტომო ნაკაცარი, ფუტურო ხე ცეცხლს რომ ვერ

დაანთებს და მისგან ფიცარსაც ვერ გათლის კაცი, ცხოვრება ტანჯვისა და ბრძოლის გარეშე არ არსებულა, მაგრამ უნდა იცოდე, რისთვის იტანჯები. ეჰ, გვიანდა არის დარდი!“

ქარი შოლტივით სცემდა სახეში. დაწვებს უსუსხავდა და თვალებიდან ცრემლი სდიოდა.

ქუდი უფრო ჩამოიფხატა. აკაციების ჩრდილით ჩაბნელებული ქუჩა გაიარა და რკინიგზის ხაზზე გავიდა. ღამის ბინდბუნდში ნაწვიმარი ლიანდაგი შავად ლაპლაპებდა, შორს ნახევრად განათებული ვაგზალი მოჩანდა. იქით გაემართა.

ვაგზლის წინ ერთმანეთის გვერდით ჩამწკრივებული მატარებლები მოთმინებით ელოდნენ ორთქლმავლის შეკივლებას, რომ უნაპირო ტრამალზე ქშენით გაჭრილიყვენ, მაგრამ სემაფორს გზა გადაეკეტა მათთვის.

ერთბაშად მატარებელში ჩაჯდომა და შორს გამგზავრება მოუხდა. შეჩერდა და ვაგზალს გახედა:

„ჰო, მატარებელი დვას. ბილეთს ავიღებ და გავყვები“.

მოულოდნელად გადაწყვიტა და ჯიბე მოიჩხრია. ფული გადათვალა.

„მეყოფა. საქართველომდე ჩამიყვანს, იქ რაღაცას ვიღონებ. სულაც ფეხით ავალ ჩემს სოფლამდე. ცოტაოდენი რაღაც, შავი დღისათვის მაქვს გადანახული, ავდგები და დავხარჯავ.“

ისევ გაიტაცა ოცნებამ.

„მალე გაზაფხული აამწვანებს მთაბარს. ტყე შეიფოთლება, აყვავებულ ხეხილს ფუტკრები და ჩიტები შეესევნიან. ჩვენი სახლის წინაც აფეთქდება ბებერი ბალი. ნიაღვრებისაგან ვადარეული რიონის ბღავილით, ორბეთის სერს მისწვდება და წყალი დაფარავს რიყის ქვით ავსილ ჭიორის ჭალას“.

„ორმოცდამეათე ვაზაფხული მოდას, რაც ჩემი სოფელი არ მინახავს. ქოფთათანა ქვა ალბათ ისევ ისეა სერზე

**დომინარი ლოგუანიძე**  
უცნობი

წამოსკუბებული. რამდენჯერ მირბენია მის თავზე! არის კი მართლა ძველადგილას? აბა, სად წავიდოდა ამხელალოდი? მიწას შეზრდილი ერთი ვეება კლდია, ქვეყნის გაჩენის დღიდან იქ დევს ალბათ და ასევე დარჩება ბოლომდე. ვინ იცის, იქნებ მასაც მოსწყინდა ძველ ადგილზე ყოფნა, მთებს გამოეცქია და ზათქითა და ზრიალით ჩავორდა დაბლა, ქალაში“.

ბაქანზე ხალხი არ ირეოდა. მატარებელს წასვლისა არაფერი ეტყობოდა. სალაროებიც დაკეტილი იყო. მხოლოდ ბუფეტის კარი იყო ღია და იქედან სიმღერით გამოდიოდნენ მთვრალეები.

აღტაცება ერთბაშად ჩაუქრა. „ეჰ, რალა დროს ჩემი შორს წასვლაზე ფიქრია, სადაც არის, საიქიოს გზას დავადგები!“

ბუფეტისაკენ გაბრუნდა. ბაქანზე აუჩქარებლად დააბიჯებდა მაღლი, მხარბეჭიანი პოლიციელი.

უნებურად შეკრთა. რატომღაც სკეროდა: როგორც კი გვერდით ჩაუვლიდა, პოლიციელი მკლავში ხელს წაატანდა და შეუვლი, ცივი ხმით ეტყოდა: „მოქალაქე, კანონის ძალით, უნდა დაგაპატირო!“

თავი ჩალუნა და თითქმის სირბილით გაიარა ბაქანი.

ბუფეტის კარი ხელის კვრით შეაღო. შევიდა და უმალვე დახურა. ზურგით მიეყრდნო კარს. აჩქარებით სუნთქავდა. შუბლზე ხელი მოისვა, ოფლი მოიწმინდა.

დახლის პირდაპირ სამნი უსხდნენ მაგიდას. ხმაურზე მოიხედეს და ერთად შეხედეს შემოსულს.

კარს მოსცილდა და კუთხეში მდგომ თავისუფალ მაგიდას მარტო მიუჯდა.

მებუფეტეს არაფერი უკითხავს მისთვის. არც თვითონ ამოუღია ხმა. ცოტა ხნის შემდეგ ცხელი კერძი მიუტანა.

ქვემოდან ახედა.

— გინდოდათ რაზე? — წყნარად ჰკითხა მებუფეტემ.

— არაყი ხომ არ გაქვს?

— ბლომად.

— ჩვენებური, ჭაჭა...

მებუფეტემ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და დახლისკენ გაბრუნდა.

ბუფეტი თანდათან დაცარიელდა. დახლის პირდაპირ მსხდომნი წასვლას არ ჩქარობდნენ. მშვიდად ბაასობდნენ და ნელ-ნელა წრუბავდნენ ღვინოს.

ერთი ბოთლს მისწვდა და დაცლილი ჭიქები აავსო. მერე დახლიდარს გასაძახა.

— ლუკა!

მებუფეტეს თავი არ აუღია — წინ რეუული ეღო და საანგარიშოს აჩხაკუნებდა.

„სულ უფრო ფუჭდება ვაჭრობის საქმე. ხარჯი სჭარბობს შემოსავალს“, წყენით გაიფიქრა და საანგარიშო გვერდზე გადადო.

— ლუკა, ანგარიშს მერეც მოასწრებ, მუშტარი მაინც არ გაწუხებს, მოდი, ჩვენთან დაჯექი!

ლუკას უარი არ უთქვამს.

— ვისაც სამშობლოს ხილვა ენატრება, ღირსებოდეს. — თქვა ერთმა და მეინახეებს ჭიქა მიუჭახუნა.

„ღირსებოდეს!“ გაიმეორეს სხვებმაც და შესვეს.

— საქართველოდან კაცი ჩამოვიდა, — წამოიწყო ლუკამ და სუფრასთან მსხდომთ გადახედა.

კუთხეში მჯდომმა ყურები ცქვიტა.

— თბილისში გიმნაზიის შენობას აგებენო.

— გიმნაზიის?!

— ჰო, ასე მეფის მოხელეთა თვალის ასახვევად ამბობენ, თორემ მომავალში უნივერსიტეტად ყოფილა გამიზნული.

ბაქანზე ისევ დააბიჯებდა ზორზოხა პოლიციელი.

— როგორც იქნა, გვედრისა! — სიხარულით ჩაილაპარაკა ერთმა და ჭიქას მთელი ძალით მოუჭირა ხელი.

— ვინ აშენებსო?

— ხალხი, მთელი საქართველო. ილია უდგას სათავეში. ახლა მშენებლობისათვის ფულს აგროვებენ თურმე.

— მთავრობა?..

— მთავრობისათვისაც მიუმართავენ თხოვნით, მაგრამ ნებართვის გარდა, კაპიტი რა არის, ისიც არ გაუღიათ.

— რა უჭირს საქართველოს სამაგიერსო, უნივერსიტეტის ასაკებ ფულს და ნებართვას მეფეს სთხოვდეს? — თავშეკავებული სიბრაზით თქვა შუახნის კაცმა, სუფრის თავში რომ იჯდა.

— ვისაც რა შეუძლია, იმით ეხმარება, — დაახუსტა ლუკამ და სუფრასთან მსხდომთ გადახედა.

— ჩვენ...?

— ჩვენც შევეწევით! მერე რა, რომ სამშობლოდან სადღაც, შორს ვცხოვრობთ! — ფიცხვით მოჭრა თამადამ.

მოხუცმა ფული მაგიდაზე დატოვა და წამოდგა. უხმოდ ჩაუარა მოსაუბრეებს და ბუფეტთან მთვრალივით, ტორტმანით გავიდა. დარჩენილებმა თვალი გააყოლეს.

— ვინ არის? — ჰკითხა ლუკას თამადამ. — ჯაშუშ არ იყოს, ყურებდაცქვეტილი გვისმენდა.

— არა, კაცო, რას ამბობ! ერთი უთვისტომო, მარტოხელა კაცია, ასე ჩუმად შემოვა ჩემთან, საჭმელს შეჭამს, ფულს გადაიხდის და მიდის. ჯაშუშობის არაფერი ეტყობა, თუმცა ახლა ისეთი დროა, კაცს ვერ შეატყობ, გულში რა უდევს.

ქალაქი ნისლს დაეფარა.

ყინულავდა და ქოხში ისე ციოდა, როგორც გარეთ. ღუმელის კარი ღია იყო. ცეცხლი ალბათ ამ ორი კვირის წინათ ჩაქრა. იქნებ უფრო ადრეც — ნაცარი სველი იყო.

ქვეშაგებში წვერგაუპარსავი, თმაგაბურძნელი კაცი იწვა და კვნესოდა. თვალს უბეები დაწითლებოდა. ტუჩები დახეთქოდა სიცხისაგან.

— სადა ვარ?! — ხმამალა იკითხა

და მიმოიხედა, წამოიწია. წამოდგომა სცადა, მაგრამ ვერ შეძლო და ილაკვებზე დაეყრდნო.

კუთხეში წვიმის წყალი ყონავდა. თუნუქის ქანგიან მილს მიყვებოდა და ღუმელში გროვდებოდა.

მწოლიარემ გვერდი იცვალა და გამოცივებული თვალებით ერთ წერტილს დააშტერდა. უეცრად გამოცოცხლდა. თვალები გაუნათდა და შეტოკდა.

— გამარჯობა, ალიოშა! სადა ხარ, კაცო აქამდე?! ორჯერ ვიყავი შენთან და ვერ გნახე. მეზობელმა მითხრა, პოლიციამ წაიყვანაო. კარგია, გამოგიშვეს. სანახავად მინდოდა მოსვლა, მაგრამ შეუძლოდ შევიქენი, გავცივდი. დაჯექი, რაო, რა გვინდაო? რას გაჩუმებულხარ, შე კაცო, ლაპარაკს ხომ არ გადაგაჩვიეს მაგ ოხრიშვილებმა?!

დაიღალა და საწოლზე მიესვენა. თვალები დახუჭა და დაღუძდა. მძიმედ სუნთქავდა.

მოლანდებამ ისევ შეაკრთო. საბანი გადაიძრო და წამოჯდა.

— ლუკა, ჰაი, ლუკა? როგორ უთქვამს იმ ჩამოსულ კაცს, თბილისში გიმნაზიის შენობას აგებენო? — შეეხმიანა ოთახში ჩამოწოლილ სიცარიელეს. — რას დაღუძდი, მიაბზე, კიდევ რა მინდაო იმ კაცმა? გიმნაზიის აგებას ფული სჭირდება და ვისაც რამდენი შეგიძლიათ დაგვეხმარეთო? ვაი შენ, ჩემო თავო!

გააყრყოლა, ააკანკალა და მოიკრუნჩხა. ჩაწვა და მაგრად გაეხვია ძველ ქვეშაგებში. მაინც ვერ გათბა. კბილს კბილზე აცემინებდა.

„საქართველოში ახლა მაისის ბალი შემოსული იქნება უკვე. ამ ყინულეთში კი ქვას ხეთქს სიცივე, ლუკა, თუ კაცი ხარ, დაანთე ცეცხლი. შეშა მანდვე, ღუმელქვეშა“.

გულში ნათქვამი სიტყვები არავის გაუგია — ოთახი ცარიელი იყო. გამუ-

დმიბრი ლოპუანიძე  
უცნობი

რული ფანჯრის მინები ჭირხლს დაეფარა.

ბნელოდა.

კაცი ერთ ხანს ასე იწვა, გაუნძრევლად, თვალდახუჭული...

ავადმყოფმა საბანი გადაიძრო. ფაციფუტით წამოდგა, ტანსაცმელი ჩაიცვა. ღუმელთან მივიდა. ალიზის კედელს ხელის ფათურით შეეხო. ერთ ხანს რაღაცას ეძებდა...

კედლიდან მომცრო ქვა გამოიღო და შავად დარჩენილ ღრმულში გამხდარი, ღაძარღვული ხელი შეყო. საიდუმლო ხვრელიდან სპილენძის საღებავიანი პატარა ყუთი ამოათრია და ოთახში შიშით მიმოიხედა.

„აი, აქ არის მთელი ჩემი სიმდიდრე. შავი დღისათვის ვინახავდი, მაგრამ სიკვდილი ეშმაკსაც წაუღია!“

დატკეცილმა ფულმა მაღლა აიწია. ხელი გადაუსვა, თითი დაჰჭირა. ქალაღმა ხმელი ფოთოლივით გაიშრიალა.

„ისეთივეა, როგორც შევინახე. რამდენი ხანია, აღარაფერი მიმიმატებია! წყეული ფული! ეს აბრუნებს და აჩერებს კიდევ ქვეყნის ბორბალს. აი, გაუჭირეს მომგონი ამ ეშმაკის თანაზიარს!“

აკანკალებული თითებით გადათვალა:

„ხუთასი თუმანია. ეს არის და ეს!“

ყუთი გვერდზე მიაგდო. ფული ძველ ძონძში გაახვია, კართან ბორძიკით მივიდა. უჭირდა სიციხიან ავადმყოფს სიარული.

კარი გამოაღო. ოთახში კვამლივით შემოვარდა ნოტიო ნისლი.

წვრილი წვიმა შეუჩჩერებლად მოდიოდა.

გარეთ გამოსულს სიცივემ მთელ ტანში დაუარა. წვიმამ შუბლიდან ოფლი ჩამოურეცხა. დაბარბაცდა. რომ არ წაქცეულიყო, ჭიშკრის ბოძს მოეჭიდა. უკანასკნელი ღონე დაძაბა. საყელო აიწია, ქუდი შუბლზე ჩამოიფხატა და ქუჩაში გავიდა.

მკერდზე მარჯვენა ხელით მიეკრა ჭიქში გახვეული ფული...

ვაგზალში ხალხი ირეოდა. პირველი ლიანდაგზე ჩამომდგარი მატარებელი ქშინავდა, კიოდა და მგზავრებს ეძახდა.

ნაცნობ მუზეფეტესთან შევიდა. აქაც ბლომად იყო ხალხი. დახლიდარი სწრაფად ტრიალებდა, მინც ვერ ასდიოდა მუშტარს.

ხალხი გაარღვია, პირდაპირ დახლში შევიდა.

— აქ სად მოხვე... ოჰ, შენ ხარ?! წაღი, დაჯექი და მოგიტან, — უთხრა მუზეფეტემ და დახლისაკენ მიტრიალდა.

— არაფერი არ მინდა.

— ჰა!

— საჭმელი არ მინდა-მეთქი!

— აბა? რა მოხდა?!

— არაფერი. ის კაცი რომელ ვაგონშია?

— ვინ კაცი, კაცო? მოიცა, რას დამსგავსებინარ? მთელი კვირა არ ჩანდი, სად იყავი?!

— ვინ კაცი და, ვინც უნივერსიტეტისათვის შესაწირავს აგროვებს.

— ჰო, აგერ, მეორე ვაგონის ბოლო კუბეშია, მარტოა. მაგრამ შენ, შენ რა მოგვლია?... ეგ რა გიჭირავს ხელში?

— ეს... ეს არაფერია, — დაბნეულად ჩაიდუღუნა და დაფეთებული ვაგარდა ბაქანზე. ვიღაცას მხარი გაჰკრა — უწმაწურად შეიგინეს. უკან არ მიუხედავს. ხალხმა აღმაცერი მზერა გააყოლა მოურიდებლად მიმავალს და გზა უტია.

საფეხურზე, რაც შეეძლო, სწრაფად ახტა და ვაგონში შევიდა.

დერეფანი ბარგით და ხალხით იყო გაჭედილი. ორთქლმავალი გამაყრუებლად ჰკიოდა...

ძლივს მიაღწია კუბემდე. კარი ჯიქურ შეაღო და შევიდა. შიგ მყოფს არ მისალმებია.

დამხვდურმა უნდობლად შეხედა შემოსულს, რომელსაც ავადმყოფურ ბებრულ სახეზე სიციხის აღმური ასდიოდა. ძნელი გასაგები იყო, რას ითხოვდა იგი.

მგზავრი დაიბნა, შეშინდა კიდევ. მოსული გარეგნობით მათხოვარს ჰგავდა, გამოხედვაც არ ჰქონდა მთლად წმინდა, თვალებს მოუსვენრად ატრიალებდა.

— რა გნებავს? — როგორც იქნა, ხმა ამოიღო მგზავრმა.

— აჰა, ჩემს სახელზეც ეს იყოს ქართული უნივერსიტეტისათვის, — კალთაში ჩაუგდო ძონძებში გახვეული შეკვრა, — ხუთასი თუმანია, მეტი არ შე-

მეძლო; — მოიბოდიშა და გასასვლელი საკენ გაემართა.

— გვარი და სახელი მაინც მითხარი, რომ მკითხავენ, ვინ გამოგზავნაო, რა ვთქვა?! — მიაძახა კუბეში მყოფმა თითქმის სირბილით გასულ უცნობს.

— გვარი და სახელი რად გინდა, თქვი, შორს მყოფი ქართველი კაცისაგან არის-თქო და გათავდა, — დაუტოვა პასუხი და ვაგონიდან ჩავიდა.

მატარებელი უკანასკნელად აცახცახდა და დაიძრა.





მანანა ავალიშვილი

# ერთ ღამეს

მოთხრობა

აუჰ, რამისშორეზე გადაჭიმულა ნათესები! ვეგონება, ცას გადაბმინაო. რამოდენა ბლებია, მერე და, რა ჯიშინები, ქარვისფერები, სიტკბოთი სავსე!

რა ცხელია მიწა, წყურვილისაგან დახეთქილი, ძარღვებდაბერილი! სიმხურვალისაგან აალებული ცა თავზე დამხობია და უძირო სარკეში ახედებს.

სიმინდებს ჩამოუშვიათ მზისფერი თმები, სარძეო კბილები გამოუჩენიათ და მალულად იღიმებიან.

რა ფხიზელი თვალი უნდა გქონდეს, ის „მამაძაღვლები“ რომ არ გამოგებარონ, ან რა სმენა უნდა გქონდეს, ჩამიჩუმი გაიგონო.

ჰაი დედასა, ის ღრჯოლა მიტოი დააქერინა გიოსა და მერმე იმდენს ურტყამს, იმდენსა რომა, სუ ბღღვისნ გააცლის, კანჭებს აუჭრელებს.

წუხელია კენწეოროზე მოქცეულა, ბლის კურკებს აწყაპუნებდა და იცინოდა, ღონიერ ღრჯოლა კბილებს აჩენდა.

ოი, ის მოაგდებინა ხელში და მერე კარგ სიზმარსაცა ნახავს გიო, ძილში აღარ წამოიყვირებს.

ოი, ოღონდაც დააქერინა ის უღღერური და...

\* \* \*

მოსაღამოვდა. ველებს მუქი ქლიავისფერი დაეღო. ამოზიდა მთვარე,

რძისფერი, კრიალა. შარაზე თეთრი, გამჭვირვალე ქსოვილი დაფინა, სიჩუმემ ჩაიბუღა და ქსოვას შეუღდა.

გიო გზას მიჰყვებოდა მოღუნებული, მოშვეებული ნაბიჯით. უცებ ზურგსუკან ხმაური მოესმა, მოხედვა ვერ მოასწრო, რომ ვილაცამ გვერდით ჩაუქროლა.

— ეე, ვინ ხარ! — მკახედ გაისმა სიჩუმეში. გიო კარგად დააკვირდა გაქცეულს და...

ოჰ, ღმერთო, ღმერთო, ეხლა დაიჭერს და იმდენს ურტყამს, იმდენს, რომ წირვას გამოუყვანს.

გიოს სული შეუგუბდა დიდი სურვილისაგან. ადვილიდან მოწყდა და ჩექმების თხლაშათხლუშით გამოეკიდა. დაეწია, ქეჩოში წაავლო ხელი.

— გამიშვი, გამიშვი-მეთქი! — აყვირდა ბიჭი.

— იი, სად გაგიშვა? გაგიშვა კი არადა, მე ვიცი შენი! — ღრჭიალებდა გიო.

— არა, მაინც სად გარბიხარ, რო გარბიხარ, თვალებიდან ველარა ვხედავ თუ?

— გამიშვი რა...

— დახე ამას! — გიომ ვეება მუშტი უჩვენა.

— რა გინდა, რა? მთვარეს მივდეგ, ისიც მამდევს, აი მთელი გზა მივდეგდი

და მამდევდა... — ცრემლი შეეპარა ხმაში ბიჭს.

— მიდევდი მაგდევდა, არა?! — დაიჯღანა ეს ღვევივით კაცი და ბიჭს გამოაჯავრა.

— შენ რა იცი, ნახე, რა ლამაზია, მერედა, რამხელაა, — იხრჩობოდა ბიჭი.

მის თვალეში ჩაძირულიყო მთელი ეს ლამე, ცა ვარსკვლავებთანად, მუგუზღევივით უღვიოდა დიდი, ნაწვიმარი თვალეში.

გიო წახდა, გაკვირებული მისჩერებოდა ბავშვს.

— შენ თევდორეს მიტო არა ხარ?! — ფრთხილი, გაუმეღავენბელი საიდუმლოს კილოზე ჰკითხა.

— ჰო.

— რა ვიცი, რალაც ველარ გცნობ! ბიჭმა გაქცევა დააპირა, გიო წასწვდა და გულახდილად ჰკითხა:

— რამდენი წლისა ხარ, პა?

— თხუთმეტისა.

— მერე რატომ დასდევ მთვარესა?

მიტო შეკრთა, არ მოელოდა ამას. აღმოჩენასავით დაუწყო თვალეირება გიოს.

არა, ნამდვილად გიო იყო, ჩამოფხატული ბლუჯა წარბები და გახუნებული უღვაშები ეცა თვალში.

ის გიო იყო, მუქართა და ლანძღვაგინებით რომ აიკლო.

გიოა, მაგრამ...

— რატომ დასდევ მთვარესა?

— იმან არ იცის, რო...

გიოს გაეღიმა...

— რო იცოდეს, ისიც გამამეკიდება?! — მაშა!

— საიდან იცი?  
— ვიცი! — ჭიუტად თქვა ბიჭმა.  
გიო ახლოს მივიდა, ბიჭმა ქვემოდან შემოანათა თვალები.

გიომ ფრთხილად, კანკალით ჩამოუსვა სახეზე ხელი.

— როგორ აკვესებს თვალებს, მიტო!.. — სინანული გამოკრთა ხმაში.

ბიჭი არ შეტოკებულა, სუნთქვა შეეკრა. თვალეზე ეფარა დიდი, ვახეშეშებული, ხორკლიანი ხელისგული, ხმელი პურივით მაგარი, მაგრამ ისეთი თბილი, ისეთი ალერსიანი, რომ ბიჭს შიგნიდან რალაცა მოაწვა.

— წადი, მიტუა, გაიქე, და...

— ა?

— ჰო გაიქე, არ გაგასწროს, გამაეკიდე მთვარესა — დაუყვავა გიომ.

ბიჭი შეტრიალდა და გაქუსლა.

მირბოდა გადახნულ მინდორზე, მისდევდა მთვარეს, მოსდევდა მთვარე. სიხარული ღონეს უკარგავდა. ტრიალებდნენ გარშემო ხეები, მთები.

წინ უსწრებდა მთელ სივრცეზე გატყორცნილი ჩრდილი. ბრუნავდა ცა. ეხლებოდნენ ერთმანეთს ვარსკვლავები და წყდებოდნენ.

იდგა გიო, ალალ-მართალი ღიმილით სახეზე.

— ნეტა, შენ რა გიხარია, კაცო?

— არაფერი, ისე, ბიჭი თხუთმეტი წლისა როა და...

— და რა?

— მთვარეს რო დასდევს და უხარია.

— მერე შენ რა?

— არაფერი, ისე... — ამოიხრა გიომ და გული თან ამოაყოლა.





გარსონ მაკულარსი

ხე, კლდე, ღრუბლები

მ ო თ ხ რ ო ბ ა

იმ დილით წვიმდა. გაზეთების დამტარებელ ბიჭს შემოვლა უკვე დამთავრებული ჰქონდა, როცა პატარა კაფეს მიაღწია; კაფე მთელი ღამე მუშაობდა. თუმცა მისი პატრონი ლეო, ბრაზიანი და ძუნწი კაცი იყო, მაგრამ ნესტიან ცარიელ ქუჩებში წანწალის შემდეგ კაფე თბილი და ნათელი ეჩვენა ბიჭს. დახლთან რამდენიმე ჯარისკაცი და შალის ფაბრიკის მქსოველები ისხდნენ, კუთხეში ვიღაც ლუდის კათხას წამომხობოდა. ბიჭს თავზე ეხურა ისეთივე ქული, მფრინავები რომ ატარებენ. ხშირად, როცა ყავას სვამდა, კაფეს პატრონი მეგობრულად ელაპარაკებოდა. მაგრამ ამ დილით ლეოს არც კი შეუხედავს მისთვის. ბიჭმა ფული გადაიხადა და ის იყო, წასვლას აპირებდა, რომ უცნობმა ხმამ დაუძახა:

— შეილო, ჰეი, შეილო!

ბიჭი შემოტრიალდა. კუთხეში მჯდომმა კაცმა ლუდის კათხიდან სახე ამოიღო და ბიჭს თითი დაუქნია, აქ მოდიო. ძალიან ბედნიერი ეჩვენა იგი ბიჭს. მაღალი, ფერმკრთალი კაცი იყო, დიდი ცხვირი და ღია ფერის თმა ჰქონდა.

ბიჭი მიუახლოვდა. თავის ასაკთან

შედარებით პატარა ტანისა იყო. გაზეთებიანი მძიმე ჩანთის თრევისაგან ცალი მხარი დაბლა დაშვებოდა. მოცუცქნული, ჭორფლიანი სახე და მრგვალი, ბავშვური თვალები ჰქონდა.

— დიახ, მისტერ!

კაცმა ცალი ხელი ბიჭს მხარზე ჩამოადო, მეორეზე ნიკაპით დაეყრდნო და თვალებში ჩახედა. ბიჭმა უხერხულად დაიხია უკან.

— აბა, თქვი, რაა ყველაზე მნიშვნელოვანი და მთავარი?

კაფეში უეცრად სიჩუმე ჩამოვარდა. კაცმა ნელა ჩაილაპარაკა:

— მე შენ მიყვარხარ....

დახლთან გაიცინეს, ბიჭი იღუშებოდა. გვერდზე მიიწვედა. არ იცოდა, რა ექნა. ლეოს გახედა. ლეო დაღლილი, გამჭირდავი ღიმილით იყურებოდა. ბიჭმაც სცადა გაღიმება, მაგრამ კაცი სერიოზული და მოწყენილი იყო.

— თავის მობეზრება არ მინდოდა, შეილო, — თქვა მან. — დაჯე, ლუდი დავლიოთ, ავიხსნი რაღაცას.

ფრთხილად, ცალი თვალით გახედა კითხვად ქცეულმა მეგაზეთე ბიჭმა კაცებს — უნდოდა გაეგო, როგორ მოქცეულიყო, მაგრამ კაცები თავიანთ ლუდსა და საუზმეს დაბრუნებოდნენ. ბიჭს

<sup>1</sup> გარსონ მაკულარსი. თანამედროვე ამერიკელი ნოველისტია.

ვერ ამჩნევდნენ. ლეომ ყავა და ლუდის კათხა დადვა დახლზე. „არასრულწლოვანია“, — თქვა ბიჭზე.

ბიჭი სკამზე შეცოცდა. მფრინავის ჩაფხუტიდან გამოშვერილი პატარა წითელი ყურები უჩანდა. კაცი დინჯად უქნევდა თავს.

— მომისმინე, — თქვა მან, მერე უკანა ჯიბეს მისწვდა, რაღაც ამოიღო, ხელისგულზე დაიდო და ბიჭს გაუწოდა.

— კარგად შეხედე!

ბიჭი დაამტერდა, მაგრამ ძალიანაც რომ დაჰკვირვებოდა, დასანახი მაინც არაფერი იყო. კაცს დიდ, ჭუჭყიან ხელისგულზე სურათი ედო. ფოტოზე ქალის სახე უნდა ყოფილიყო აღბეჭდილი, ოღონდ ისე გადაცრეცილი, რომ მხოლოდ ქული და ტანსაცმელია ჩანდა.

— ხედავ? — შეეკითხა კაცი.

ბიჭმა თავი დაუქნია. კაცმა მეორე სურათი დაიდო ხელისგულზე. სანახიროზე იდგა ქალი. საბანაო კოსტუმი ეცვა. კოსტუმში ძალიან დიდი მუცელი აჩნდა.

— კარგად ნახე? — კაცი კიდევ უფრო გადაიხარა და ისევ შეეკითხა: — აქამდე გინახავს?

ბიჭი გაუნძრევლად იჯდა. ცერად მიშტერებოდა კაცს.

— ნამდვილად არა, ხომ? კარგი. — კაცმა სურათს შეუბერა და ისევ ჯიბეში ჩაიდო: — ცოლი იყო ჩემი.

— მოკვდა? — შეეკითხა ბიჭი.

კაცმა ნელა გაიქნია თავი. მერე ტუჩები ისე მოჭიმა, თითქოს სტვენას აპირებოდა და გაჭიანურებულად თქვა:

— ა-ა-რ-ა, გეტყვი.

კაცს წინ დიდი, ლუდით სავსე კათხა ედგა, დაბლა იხრებოდა, სახეს კათხის ნაპირს აყრდნობდა და ისევ ისვენებდა. შემდეგ ორივე ხელით გადმოხრია კათხას და ლუდს წრუპავდა.

— ერთხელაც იქნება, ჩაყვინთავ შენი დიდი ცხვირით ლუდში, ჩაგეძინება და დაიხრჩობი, — უთხრა ლეომ, — „ღირსშესანიშნავი გამვლელი იხრჩო-

ბა ლუდში“, არაჩვეულებრივი, გონებადამახვილებული სიკვდილია.

მეგავითე ბიჭმა სცადა ლეოსთვის ენიშნებინა, სანამ კაცი არ უყურებდა, ტუჩები აამოძრავა და უხმოდ შეეკითხა: — დავლიო?..

მაგრამ ლეომ მხოლოდ წარბები აზიდა და შეტრიალდა, ბეკონის რამდენიმე მოწითალო ნაჭერი ცეცხლზე დადო. კაცმა კათხა განზე გასწია. ვაიმართა. გრძელი მოღუნული ხელები დახლზე დააწყო. როცა პატარა ბიჭს უყურებდა, სევდიანი სახე ჰქონდა, თვალებს არ ახამხამებდა, მაგრამ შიგადაშიგ ქუთუთოები დელიკატური სერიოზულობით ჩამოაწვებოდა ხოლმე მის ღია მწვანე თვალებს. განთიადი ახლოვდებოდა. ბიჭმა ვაზეთების ჩანთის ღვედი გადინაცვლა მხარზე.

— სიყვარულზე გელაპარაკები, — დაიწყო კაცმა, — ჩემთვის ეს მეცნიერებაა.

ბიჭი ნახევრად ჩამოცურდა სკამიდან, მაგრამ კაცმა საჩვენებელი თითი ასწია, ამ მოძრაობაში იყო რაღაც ისეთი, რამაც ბიჭი უნებლიეთ შეაჩერა.

— თორმეტი წლის წინათ დავქორწინდი პირველად. ის ქალი სამი წელი, ცხრა თვე, სამი დღე და ორი ღამე იყო ჩემი ცოლი. მიყვარდა, დიახ! — შემდეგ აჯანკალებული, მისუსტებული ხმა ოდნავ დაიბოხა და დაუმატა: — მიყვარდა... მეგონა, მასაც ვუყვარდი. რკინიგზის ინჟინერი ვიყავი. მდიდრულად, კომფორტით ვცხოვრობდი. ექვციც არ მეპარებოდა, რომ კმაყოფილი იყო, მაგრამ იცი, რა მოხდა?

ლეომ შეიღრინა.

კაცს არ მოუშორებია ბიჭისთვის თვალი:

— დამტოვა. ერთხელ დამით შინ რომ დავბრუნდი, სახლი ცარიელი დამხვდა. წასულიყო.

— კაცს გაჰყავა? — ჰკითხა ბიჭმა.

---

ბარსონ მაკულარსი  
ხე, კლდე, ღრუბლები

კაცმა ნაზად გადაუსვა ხელისგული დახლს:

— ნამდვილად, შვილო. ასეთ შემთხვევაში ქალი მარტო არ ვარბის.

კაფეში სიწყნარე იყო, ქუჩაში — გამპოლავი, შავი და გაუთავებელი წვიმა მოდიოდა. ლეო შესაწავად დაგდებულ ბეკონის ნაჭერს დააწვა გრძელი ჩანაგლით.

— ესე იგი, თერთმეტი წელი ექმბდი მეძახვ, შე გამოშტერებულყო?

ერთი პირობა ლეოს შეხედა კაცმა: — ნუ ხარ ასე უხეში, ლეო, გთხოვ, შენ ხომ არ გელაპარაკები! — მერე ისევ ბიჭისაკენ შეტრიალდა. დამაჩერებელი, იღუმალი ხმით უთხრა: — მოდი, ყურადღებას ნუ მივაქცევთ ლეოს.

მეგახეთე ბიჭმა იჭვნულად დაუქნია თავი.

— ეს ამბავი ასე იყო, — განაგრძო კაცმა. — საშინლად მგრძნობიარე ადამიანი ვარ. ცხოვრებაში მუდამ ასეთი ვიყავი, ყველაფერი მოქმედებდა ჩემზე: მთვარის ნათელი, წარმტაცი ვოკონას მუხლისთავი და კიდევ ბევრი რამ. ერთ შეგრძნებას მეორე მოსდევდა. მაგრამ საქმეც ის იყო, რომ, როცა რამეს განვიცდიდი, არასოდეს არ მტოვებდა ფიქრი, ყველაფერი ცალცალკე იყო ჩემში. არ ვივსებოდი, გესმის? — თითქოს — არაფერი არ მთავრდებოდა. არასოდეს არ მიერთიანდებოდა გრძნობები. ქალები? საკმარისად მყავდა, მაგრამ ვერასოდეს ვერ მავსებდნენ. მე ის კაცი ვარ, რომელსაც სიყვარული არ განუცდილია.

კაცმა ძალიან ნელა მილულა ქუთუთოები — თითქოს ფარდა ჩამოშუვეს სცენის დამთავრების შემდეგო, როცა ხელახლა დაილაპარაკა, აღელვება დაეცყო, სიტყვას სეტყვასავით ისროდა, დიდი, პანტურა ყურების ბიბილოები უჟანკალებდა.

— მერე მეორე ქალი შემხვდა, მაშინ ოცდათერთმეტი წლისა ვიყავი, ის კი მუდამ იძახდა, ოცდაათისა ხარო. შევხვდით და, სამ დღეში დავქორწინდით. იცი, რა ქალი იყო? უბრალოდ, თქმაც

კი არ შემიძლია. რაც კი ოდესმე გინახავს მიცლია, ყველაფერმა იმ ქალის გარშემო მოიყარა თავი. აღარაფერი დამრჩა თავისუფალი, ყველაფერი შეავსო და დაამთავრა იმ ქალმა.

კაცი ანაზად შეჩერდა. გრძელ ცხვირზე ხელი ჩამოისვა და ხმას დაუწვია.

— სწორად ვერ ავიხსენი, რაც მოხდა. ასე იყო: მშვენიერი გრძნობებითა და პატარ-პატარა, ერთმანეთთან დაუკავშირებელი სიამოვნებით ვიყავი სავსე. იმ ქალმა კი ჩემს სულში ყველაფერი გააერთიანა. ჰო, ყველაფერი შეგვეერთე იმ ქალისათვის. მთლიანი გავხდი, გამიგე?

— რა ერქვა? — შეეკითხა ბიჭი.  
— დოდოს ვეძახდი, — აიმრიხა კაცი. — რა მნიშვნელობა აქვს!

— ეცადეთ დაგებრუნებინათ? — კაცს არ ესმოდა. — ალბათ წარმოიდგენ, რა მომივიდოდა, როცა მიმატოვა! ლეომ ბეკონი აიღო. ორ ნაჭერ ნაზუქში შეახვია. ვიწროთვალება, ნაცრისფერი სახე და პატარა, ლურჯად დაჩრდილული ცხვირი ჰქონდა ლეოს. ერთ-ერთმა მუშამ ანიშნა, კიდევ მინდა ყავაო და ლეომაც დაუსხა. იგი არასოდეს არ იძლეოდა ყავას ნისიად. მქსოველები ყოველ დღით საუზმობდნენ აქ, მაგრამ ლეო, რაც უფრო კარგად იცნობდა კლიენტებს, მით უფრო ცივად ექცეოდა მათ. ლეომ ისე ჩაკბინა ნაზუქი, თითქოს თავისთვის ენახებოდა.

— და მერე აღარ გინახავთ?  
ბიჭმა არ იცოდა, რა ეფიქრა კაცზე. ბავშვური სახე გაურკვეველობას მოეცვა. ერთმანეთში ირეოდა გაცეცხა და ეკვი. ახლად დაწყებული ჰქონდა გაზეთების ტარება. ჯერ კიდევ ეხამუშებოდა სისხამ დღით ქუჩებში სიარულის.

— როგორ არა! — თქვა კაცმა, — რა არ გავაკეთე! დაედოდი და ვეძებდი მის ადგილსამყოფელს. ვიყავი ტულუზაში — მის მშობლებთან, ყველა ქალაქი შემოვიარე, რომელიც კი ოდეს-

მე უხსენებია ჩემთან. ყველა ვნახე, ვისთანაც კი რამე საერთო ჰქონია. ტულუზა, ატლანტა, ჩიკაგო... მთელი ორი წელი დავეძებდი.

— მაგრამ აღიგავა პირისაგან მიწისა, — ჩაურთო ლეომ.

— ნუ უსმენ ლეოს, — ჩუმად თქვა კაცმა, — ის ძეხნის ორი წელიც დაივიწყეთ, მნიშვნელობა არა აქვს. მთავარი მერე მოხდა. უცნაური ამბავი შემემთხვა მესამე წელს.

— რა?

კაცი დაიხარა. ლუდის კათხა მიიწია ყლუბის მოსასმელად, ცხვირის ნესტოები აუთრთოლდა, როცა კათხასთან შეყოვნდა. სუნი შეიყნოსა. აღარ დალია.

— სიყვარული უცნაური რამაა. ჰერ მხოლოდ იმ ქალის დაბრუნებაზე ვფიქრობდი. მერე დრო გადიოდა, ვცდილობდი მისი სახის გახსენებას. მაგრამ იცი რა დამემართა?

— არა.

— საწოლში რომ ჩავწებოდი და მასზე ფიქრს შევეცდებოდი, გონება მიცარიელდებოდა. იძულებული ვიყავი სურათი ამომეღო, დამენახა.

— მითხარი, მაკ, — დახლისყენ გადმოიხარა ლეო, — შევიძლია წარმოიდგინო, რომ ამ სუბიექტის გონება ფიქრებისაგან დაიცალოს?

ნელა, თითქოს ბუზებს იგერიებდსო, ისე აიქნია კაცმა ხელი. მწვანე თვალები მეგაზეთე ბიჭის მოცუცნული სახისთვის დაეშტერებინა.

— მაგრამ ტროტუარზე უეცრად ნახანი შუშის ნატეხი, საკრავ ყუთში ჩაგდებული ფულის ხმა, ჩრდილი კედელზე დამით... წამსვე მახსენებდა მას. შეიძლება ეს ქუჩაში შემმთხვეოდა, მაშინ ან ვტიროდი, ან ბოძს ვურტყამდი თავს. მისმენ?

— შუშის ნატეხი?..

— ყველაფერი... დავწანწალებდი ქუჩებში, წინააღმდეგობას ვეღარ ვუწევდი მოგონებებს. ფიქრობ, კაცს შეუძლია გაექცეს ამას? მაგრამ მოგონებები პირისპირ არ მოდიან, მუდამ გვერდიდან მოძვრებიან ხოლმე — ჩუმად გვე-

პარებიან. ყველაფრის მაღლობელი ვეყავი, რასაც კი ვხედავდი და რაც კი მესმოდა. და უცბად, იმის მაგივრად, რომ მეძებნა იგი, თვითონ დამიწყო ძებნა. იგი მეძებდა, გესმის? და ისიც ჩემს სულში!

— სად იყავით მაშინ? — შეეკითხა ბიჭი.

— ოჰ! — ამოიკენესა კაცმა, — ძალიან ავად ვიყავი. თითქოს ჭირი მჭირდა. გამოგიტყდები, შვილო, ბევრს ვლოთობდი, ათასგვარ რამეს ჩავდიოდი. ყველაფერზე ვაწერდი ხელს. მიჭირს ამის თქმა, მაგრამ ასე იყო. ტვინი მეყინება გახსენებისას.

კაცმა თავი დახარა. შუბლი დახლს დაარტყა. რამდენიმე წამს ასე დარჩა დახრილი, ქერა, ღინღლიანი, დანაოქებული კისერი უჩანდა, გრძელი, თითებმობხრილი ხელისგულები ერთმანეთზე მლოცველივით შეეტყუებინა. მერე გაიმართა და გაიღიმა: სახე გაუნათლდა, აკანკალდა და თითქოს უფრო დაბერდა.

— მეხუთე წელს შემემთხვა ეს ამბავი. ამით დაიწყო ჩემი ფილოსოფია.

წამიერმა ბრაზმა ლეოს პირი მკვეთრად შეუქანა. — ჰო, არც ერთი არ გავახალგაზრდავებულვართ! — დაიყვირა მან. — მერე უეცარი გაშმაგებით აიქნია თავსახური, ხელში რომ ეჭირა, და იატაკს დაანარცხა. — შე გაქუცულო რომეო!

— რა მოხდა! — იკითხა ბიჭმა.

— მშვიდობა! — მოხუცი კაცის ხმა მაღალი და სუფთა იყო:

— ჰა?

— მეცნიერულად ძნელი ასახსნელია, შვილო, მშვიდობა! უცნაური და მშვენიერი სიცარიელე. პორტლენდში გაზაფხული იყო. ყოველ საღამოს წვიმდა. მთელი საღამოები ვიწიქი. ასე დაიწყო ჩემი მეცნიერება.

სინათლემ ოღნავ აალურჯა კაფეს ფანჯრები. ორმა ჯარისკაცმა ლუდის

**პარსონ მაკულერსი**  
ხე, კლდე, ღრუბლები



ფული გადაიხადა, კარი გააღო, ერთმა თმა გადაივარცხნა. სამი მქსოველი ჩუმად გადამხოზობდა საუზმეს. კედელზე ლეოს საათი წიკწიკებდა.

— ასე დაიწყო. ყურადღებით მისმინე! ბევრს ვფიქრობდი სიყვარულზე, გამოვიკვლიე მისი ყველა მიზეზი. მიზეზი, რაშიც ვცდებოდი; ჯერ კაცებს ეწყებათ სიყვარული. ვის იყვარებენ?

ბიჭს პატარა პირი ნახევრად ღია ჰქონდა. არ უპასუხია.

— ქალს, — განავრძო ისევ კაცმა. — მეცნიერებისა და ყოველგვარი მხარდაჭერის გარეშე, ტვირთად იღებენ დედამიწის ზურგზე წმინდა და ყველაზე საშიშ მოვალეობას — იყვარებენ ქალს. მერეა, სწორად იქცევიან, შვილო?

— დიახ, — ძლივს წარმოთქვა ბიჭმა.

— არა, შვილო! მცდარი მხრიდან უდგებიან. უმადლესი წერტილიდან იწყებენ. ხედები, რა საცოდაობაა? იცი, როგორ უნდა დაიწყოთ კაცებმა?

მერე ბიჭს გადასწვდა, ტყავის საყელო ჩაუბლუჯა. ოღონდ შეაქანა. უმოძრაო და სერიოზული მწვანე თვალებით დაშტერებოდა.

— იცი, როგორ უნდა დაიწყოთ, შვილო, სიყვარული?

სმენადქცეული ბიჭი უხმოდ იჯდა, ნელა გააქანია თავი. მოხუცმა კაცმა ჩაიხურჩულა:

— ხე, კლდე, ღრუბელი...

გარეთ ჯერ კიდევ წვიმდა — უნიათო, ნაცრისფერი და გაუთავებელი წვიმა მოდიოდა. ქარხნის საყვირმა ექვსი საათის ცვლის ნიშანი მისცა. მქსოველებმა ფული გადაიხადეს და წავიდნენ. კაფეში ლეო, მოხუცი კაცი და პატარა მეგახეთე ბიჭი დარჩნენ.

— სწორედ ასეთი ამინდი იყო პორტლენდში, როცა ჩემი მეცნიერება დაიწყო, — თქვა კაცმა, — ბევრს ვფიქრობდი. ბოლოს ფრთხილი და იჭვიანი გავხდი. ავიღებდი ხოლმე რამეს ქუჩაში და შინ მიმქონდა. ერთიდან მეორე საგანზე გადავდიოდი. დღითიღე ვიწაფებოდი სიყვარულში. პორტლენდიდან სანტიეგოს გზაზე.

— ო, გეყო! — წამოიყვრა უცნაოდ ლეომ. — გაჩერდი! გაჩუმდი!

მოხუც კაცს ისე ჩაებლუჯა ბიჭის საყელო. კანკალებდა; სახე გულახდილი, აღგზნებული და ველური ჰქონდა. — ექვსი წელია, ვხეტილობ, სრულყოფ ჩემს მეცნიერებას. უკვე ხელოვანი ვარ, შვილო, ყველაფრის შეყვარება შემომიძლია, სანამ გაფიქრებას მოვასწრებ, შემომიძლია გესმის? ვუყურებ ხალხით სავსე ქუჩას და საუცხოო ნათელი იღვრება სულში. ცაზე ჩიტს, ან გზაზე მგზავრს ვხვდები — ყველა და ყველაფერი ოღონდ მიყვარდა. მიხვდი, რას ნიშნავს ჩემი მეცნიერება?

ბიჭი არ ირხეოდა. დახლის კიდისათვის ჩაებლუჯა ხელები. ბოლოს შეეკითხა:

— მოძებნეთ ის ქალი?

— რაო? რა თქვე, შვილო?

— კიდევ თუ შეგიყვარდათ ქალი? — მოკრძალებით შეეკითხა ბიჭი.

მოხუცმა ბიჭის საყელოს ხელი შეუშვა. ერთ ხანს ბუნდოვნად, უაზროდ აცეცებდა თვალებს. მერე დახლიდან კათხა აიღო. ბოლომდე დასცალა ყვითელი ლუდი.

— არა, შვილო, იცი, ეს ბოლო საფეხურია ჩემს მეცნიერებაში. ჯერ კიდევ ვფრთხილობ. მზად არა ვარ.

— გეყო! — ყვიროდა ლეო, — გეყო!

მოხუცი კაცი ღია კარში იდგა.

— გახსოვდეს! — დილის ნოტიო ნათელით ჩარჩოშემოვლებული კაცი როგორღაც დაპატარავებულიყო, ავადმყოფური იერი დაჰკრავდა, მაგრამ სახეზე ნათელი ღიმილი ეფინა, — გახსოვდეს, მე შენ მიყვარხარ, — თქვა თავის ქნევით და კარი სწრაფად გაიხურა.

ბიჭი დიდხანს ხმას ვერ იღებდა. მერე ქული ჩამოიფხატა. ტუტყყიანი საჩვენებელი თითი ლუდის ცარიელი კათხის ნაპირს შემოავლო. ბოლოს ლეოს შეეკითხა, ისე რომ არც შეუხედავს:

— მთვრალი იყო?

— არა, მოუჭრა ლეომ.

ბიჭმა წკრიალა ხმას აუწია:

— აბა, ნარკომანია?

— არა!

ბიჭმა ლეოს დახედა. პატარა, ბრტყელ სახეზე სასოწარკვეთილება ეწერა. მომთხონი, მჭახე ხმა ჰქონდა:

— გიჟი იყო?

უცრად ბავშვს ხმაში ეჭვი შეეპარა: — პა, ლეო? ასეა თუ არა?

ლეოს არც უცდია პასუხის გაცემა. თოთხმეტი წელი ემსახურებოდა კაფეს ლეო. უკვე შეჩვეოდა სიგიჟისათვის კრიტიკულად ეცქირა. ბევრი უცნაური მოდიოდა ქალაქიდან კაფეში. ზოგჯერ

შემთხვევითი გამვლელიც შემოეხეტებოდა ხოლმე. ყველა მათგანის მანია იცოდა ლეომ, მაგრამ მაინც არ უნდოდა ბავშვის ცნობისმოყვარეობა დაეკამყოფილებინა. ფერმკრთალი სახე კიდევ უფრო ჩაეფერფლა და გაჩუმდა.

ბიჭს აღარაფერი დარჩენოდა, ქუდი შეისწორა. და როცა ასასვლელად შეტრიალდა, მხოლოდ ერთი შენიშვნა იკმარა, რომელზეც, მისი აზრით, ვერც ვერავინ გაიცინებდა და ვერც ვერავინ აიმრიზებოდა:

— ალბათ, ძალიან ბევრი უვლია ამ კაცს!

ინგლისურიდან თარგმნა **ჯონლო მებრეველა.**





ნოღარ ლომოური

# „ქართული ერის ისტორია“

ივანე ჯავახიშვილმა დიდი ხანია, რაც ქართველი ხალხის უდიდესი მადლობა და უღრმესი სიყვარული დაიმსახურა თავისი მრავალმხრივი მოღვაწეობით, უბადლო მოქალაქეობითა და მამულიშვილობით, დიდი მეცნიერული ერთეულით.

XX ს. პირველ ნახევარში, ილიასა და აკაკის შემდეგ, ჩვენ ხალხს არ ჰყოლია ასეთი დიდებული მოღვაწე, ერის ჭეშმარიტი მებაირახტრე, მისი ჭირვარამის მოზიარე და განკურნებისათვის დაუდგრომელი მებრძოლი, მისი წინსვლისათვის დაუღლელი მზრუნველი, ყოველგვარი ეროვნული წამოწყების წინამძღოლი, ქართული ეროვნული მეცნიერების პატრიარქი.

ძნელია დავასახელოთ ქართული პუშანტარული მეცნიერების ისეთი დარგი, რომლის თანამედროვე შენობა ივ. ჯავახიშვილის მიერ ჩაყრილ სამირკველზე არ იყოს აგებული, ხოლო ქართული უნივერსიტეტის დაარსებით ხომ მან საერთოდ თანამედროვე ქართული მეცნიერების არსებობა-განვითარებას მისცა დასაწყისი.

მაგრამ განსაკუთრებით დიდი და ფასდაუდებელია ივანე ჯავახიშვილის ღვაწლი ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებაში, მისი ახალი ეტაპის შექმნაში.

აკად. ნ. ბერძენიშვილი თავის დროს სწერდა: „ქართული ისტორიოგრაფიისათვის აქამდე უჩვეულო სიღრმითა და მოცულობით სრულიად ახლად დაამუშავა განსვენებულმა მეცნიერმა ჩვენი ისტორიის აურაცხელი საკითხები... დიდი ერთეულია, მაღალი მეცნიერული აღკურ-

ვილობა, ფართო ისტორიული პერსპექტივი, ბასრი კრიტიკული აზროვნება, სანიმუშო და მისაბამი მეცნიერული სინდისი, მუშაობით შეუხელებელი გატაცება, დიდი ნებისყოფა და მშობელი ხალხის კეთილშობილი სიყვარული, — ყველაფერი ეს ერთად ამკობდა განსვენებულ მოღვაწეს და საშუალებას აძლევდა მას ქართული მეცნიერების დაკორდებული ყამირი ძლიერი მკლავით ღრმად გადაეხნა“.

საქართველოს ისტორია შესასუქუნევიდინ მაინც გახდა საგანგებო შესწავლის საგანი. არა ერთ მეცნიერს დაუწერია ჩვენი ერის ისტორია ახალ დროში — XIX ს. და XX ს. დასაწყისში, მაგრამ ჭეშმარიტად მეცნიერული, კრიტიკული გამოკვლევა, დაფუძნებული პირველწყაროების ღრმა ანალიზზე, უცხოური წყაროების გამოყენებაზე, ურთიერთ-შეჯერებაზე, გამოკვლევა, რომელიც თანამედროვე ისტორიოგრაფიის ყველა მოთხოვნებს პასუხობდა, პირველად უდავოდ სწორედ ივ. ჯავახიშვილმა შექმნა.

როდესაც ლაპარაკია ივ. ჯავახიშვილის დიდ ღვაწლზე საქართველოს ისტორიის შესწავლაში, პირველ რიგში ასახელებენ მის მონუმენტურ გამოკვლევას „ქართველი ერის ისტორიას“, რომელიც ოთხი წიგნისაგან შედგება.

ივ. ჯავახიშვილის მოწადეებმა, მის მიერ შექმნილი მეცნიერული სკოლის მოღვაწეებმა უაღრესად წინ წასწიეს საქართველოს ისტორიის შესწავლა; მრავალი გამოკვლევა შექმნა, მრავალი საკითხი ახლად და ახლებურად, უფრო ღრმად და მრავალმხრივად იქნა შესწავლილი,



მაგრამ დღემდე ვერ შეიქმნა ისეთი დაწვრილებითი, სრული და მთლიანი, ამავე დროს ისეთი უდიდესი ნიჭიერებითა და ყოვლისმომცველი ცოდნით დაწერილი შრომა, როგორცაა ივ. ჯავახიშვილისეული „ქართველი ერის ისტორია“. ამიტომაც, რომ დღესაც ყველა მეცნიერისათვის, ვინც კი საქართველოს ისტორიის რომელიმე საკითხს იკვლევს ჩვენი ერის დასაწყისიდან ვიდრე XVI-მდე, ეს შრომა რჩება სამაგიდო წიგნად, ძირითად სახელმძღვანელოდ, გზის მეკვლედ და დასყრდენად. და ასეთად დარჩება იგი მუდამ.

მაგრამ „ქართველი ერის ისტორია“ მარტო მეცნიერთა კუთვნილება როდია. ძნელი წარმოსადგენია ქართველი კაცია, რომელსაც ეს წიგნი არ გადაეფურცლოს, გადაეფურცლოს და არ გაეტაცოს, არ მოხიბულუციოს მისი შესანიშნავი ქართულით, მისი სიღრმით. ამიტომ არის, რომ ყველა ჰუმანიტარი ქართველისათვის ეს წიგნები ახლობელია, ნამდვილი საუნჯეა, მისი ოჯახის განძივანია, რომელიც სასიებით დევს თაროზე „ვეფხისტყაოსნისა“ და ილიას თხზულებათა გვერდით. ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი სულიერი კულტურის სხვა დიდებულ ძეგლებთან ერთად, ეს წიგნებიც მარად დარჩება ჩვენში ხელობედ საგოგმანებ მარგალიტად, რომელიც თაობიდან თაობაში გადავა მემკვიდრეობით.

ამიტომ არის, რომ თუმცა ეს წიგნები არაერთხელ გამოცემულა, ისინი არასოდეს მალაზიის თაროებზე არ შერჩენილა და ყოველი გამოცემის გამოსვლის შემდეგ, სულ მალე კვლავ მწკავედ დამდგარა აუცილებლობა მათი ხელახალი პუბლიკაციისა.

„ქართველი ერის ისტორიის“ პირველი ორი წიგნი და IV წიგნის პირველი ნაწილი ივ. ჯავახიშვილის სიცოცხლეშივე დაიბეჭდა, თანაც I წიგნი ავტორის მიერვე იყო ორგანიზირებული. მეორე წიგნის ორი ვარიანტი — მოკლე და ვრცელი, ისევე როგორც IV წიგნის მეორე ნაწილი, მომზადებული დასაბეჭდად თვით ავტორის მიერ, გამოქვეყნდა მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ.

„ქართველი ერის ისტორიის“ ადრე დაბეჭდილი წიგნების ხელახალი გამოცემის, თუ გამოუქვეყნებელი წიგნების პუბლიკაციის კეთილშობილური საქმე ითავა ივ. ჯავახიშვილის ერთგულმა მოწაფემ და თანამოღვაწემ პროფ. ს. ყუბჩიშვილმა, რითაც მან თავის დიდ მასწავლებელს ამაგი დაუფასა, ქართულ საზოგადოებას შესანიშნავი საჩუქარი მიუძღვნა და თვითონაც მთელი ხალხის გულწრფელი მადლობა დაიმსახურა.

„ქართველი ერის ისტორიის“ ხელახლა გამოცემის საჭიროება მარტო იმით კი არ იყო გაპირობებული, რომ იგი ასე მალე ბიბლიოგრაფიულ იმეფობად იქცეოდა. ივ. ჯავახიშვი-

ლის არქივში მრავლად აღმოჩნდა ამ წიგნებზე დამუშავება-გადამუშავების დროს დიდი მეცნიერის მიერ თავმოყრილი დიდადი მასალა, მისი ცალკეული გამოუქვეყნებელი გამოსვლამოსხენებები და ზოგჯერ უბრალო შენიშვნები, მოსაზრებები. ყველა მათ უაღრესი მეცნიერული მნიშვნელობა აქვთ, ყველა ისინი დიდ ინტერესს იწვევენ, ყველა ახალი გამოცემა იგებოდა, ამ დამატებითი მასალით.

დღეს ჩვენს წინაშე არის „ქართველი ერის ისტორიის“ ოთხივე წიგნის ახალი, უკანასკნელი გამოცემა. შედარებით წინა გამოცემებთან, ეს პუბლიკაცია ბევრ ახალს შეიცავს. ყველა ტომს დათული აქვს ახალი დამატებები, თვით ტექსტის ცალკეული თავები შევსებულია ივ. ჯავახიშვილის არქივში დატული სათანადო შენიშვნებითა და დამატებითი მასალებით. ახალი გამოცემის III წიგნი ფაქტობრივად არის ამ წიგნის ავტორისეული ვრცელი რედაქციის მეორე გამოცემა, საგრძობლად შევსებული და ხელნაწერთან ხელახალი შედარების საფუძველზე შესწორებული. ამას გარდა მას დამატებული აქვს თავები ივ. ჯავახიშვილის წიგნიდან „საქართველოს ისტორია“. XI-XV საუკუნეები“, რომლებიც XII-XV სს. შეეხება. ამავე წიგნის პირველი თავები დამატების სახით დაერთო „ქართველი ერის ისტორიის“ II ტომს. ამავე მესამე ტომში მეორე დამატების სახით დაიბეჭდა ივ. ჯავახიშვილის ნაშრომი „სოციალური ბრძოლის ისტორია საქართველოში IX-XIII საუკუნეებში“.

სავანებო ინტერესს იწვევს I ტომის ერთი დამატების სახით დაბეჭდილი, ივ. ჯავახიშვილის აქამდე გამოუქვეყნებელი შესავალი ლექცია, წაითხული რეტირბურგის უნივერსიტეტში 1902 წ. 18 ნოემბერს, როდესაც იგი პირველად შეუდგა საქართველოს ისტორიის კურსის კითხვას. ამ ლექციაში განსაკუთრებით იქცევს ყურადღებას ივ. ჯავახიშვილის გალაშქრება საერთოდ აღმოსავლეთის ხალხთა და, კერძოდ, ქართველთა და სომეხთა ისტორიული წარსულის შესახებ, იმდროინდელ ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული არასწორი შეხედულების წინააღმდეგ.

ივ. ჯავახიშვილი თვალნათლივ ამაყდენებს მცდარობას იმ თვალსაზრისისას, რომ თითქოს აღმოსავლეთის ყველა კულტურის საერთო ნიშნებია ერთ წერტილზე გაყინვა, კარჩაეტილობა, წოდებათა და კლასთა უქონლობა, კლასობრივი ბრძოლის არარსებობა, სოციალური უძრობა. ამასთან ერთად, ივ. ჯავახიშვილი დიდი ერთგული ციოთ, აღმოსავლეთის ისტორიის შესანიშნავი ცოდნით სახავს აღმოსავლეთის ხალხების

**ნოდარ ლომოური**  
„ქართმელი ერის ისტორია“



ისტორიული განვითარების ნამდვილ სურათს და ქართველ-სომეხთა ადგილსა და როლს აღმოსავლური ცივილიზაციის განვითარებაში. მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის შესწავლამ დღეისათვის უდიდესი ნაბიჯი გადადგა წინ, ივ. ჯავახიშვილის ამ ლექციის დებულებების მთელი რიგი დღესაც არ კარგავს აქტუალობას.

„ქართველი ერის ისტორიის“ ამ ახალმა გამოცემამ უფრო უკეთ შეკრა, მეტი მთლიანობა

მისცა საქართველოს ისტორიის ამ შესანიშნავ გამოკვლევას, შეავსო ზოგიერთი ხარვეზი, რომელიც წინა გამოცემებს გააჩნდა, მკითხველს მიაწოდა დიდი მეცნიერის ზოგიერთი ახალი ნააზრევი.

ემკვს გარეშეა, რომ ამ ახალი გამოცემის დამთავრება შესანიშნავი საჩუქარია იმ დიდი ეროვნული დაწესებულების 50 წლიანი იუბილეისათვის, რომლის დაარსების ერთ-ერთი ქეშმარიტი მოამაგე და რაინდი ივანე ჯავახიშვილი იყო.



ადრინდელ შუა საუკუნეებში საუნივერსიტეტო განათლების კერებს ე. წ. აკადემიები წარმოადგენდნენ. ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში საქართველოს ტერიტორიაზე არსებობდა საყოველთაოდ ცნობილი კოლხეთის აკადემია. ძველი ბერძნული წყაროები ცხადყოფენ, რომ სახელგანთქმულ ქართველ ორატორებსა და მეცნიერებს აეტსა და ფართაჯს (VI საუკუნე) კოლხეთის აკადემია მქონდათ დამთავრებული.

# ჩინი L ქ ე ლ ე ნ ე რ ე ჯ ი

## ვაგნიჟი

წელს, ოქტომბერში, მთელს მსოფლიოში აღინიშნება აზერბაიჯანული ლიტერატურის კლასიკოსის ვაგიფის დაბადების 250 წლისთავი. ვაგიფი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მე-18 საუკუნეში. იგი ჯერ ყარაბაღის სახანოს დედაქალაქ შუშაში მასწავლებლობდა, მოგვიანებით კი, როცა უკვე განთქმული პოეტი გახდა, ყარაბაღის მფლობელმა იბრაჰიმ-ხანმა დაიახლოვა და სახანოს კარის გამრიგებლად დანიშნა, სადაც მან დიდი ადმინისტრაციული და დიპლომატიური ნიჭი გამოიჩინა.

ვაგიფი დიდად იყო დაახლოებული მეფე ერეკლე მეორესთან. იგი ხშირად ჩამოდიოდა თბილისში კავშირის დასამყარებლად და სახანოს საქმეებზე მოსალაპარაკებლად. პოეტს უშუალო შთაბეჭდილებების საფუძველზე რამდენიმე ლექსი აქვს დაწერილი საქართველოზე.

1796 წელს ქალაქი შუშა ალა-შაჰმად-ხანმა ააოხრა. იბრაჰიმ-ხანი გაიქცა და თავის ნაცვლად მთავარი ვეზირი ვაგიფი დატოვა. ვაგიფი დააპატიმრეს და სიკვდილით დასჯა მიუსჯეს. მაგრამ იმ ხანებში თვით ალა-შაჰმადი მოკლეს და სახანო იბრაჰიმ-ხანის ძმისწულმა მოჰამედ-ბეგმა ჩაიგდო ხელში. მან ბიძის მომხრენი დახოცა და, რა თქმა უნდა, პირველ რიგში ვაგიფი მოიშორა თავიდან. ხალხი განსაკუთრებით გლოვობდა საყვარელი პოეტის სიკვდილს.

1948 წელს „საბჭოთა მწერალმა“ გამოსცა ვაგიფის ლექსების პატარა კრებული სათაურით — „ლექსები საქართველოზე“, რომლის თარგმანი ეკუთვნის ქ. ჭიჭინაძეს.

ვაგიფმა ეს ლექსი მიუძღვნა ერეკლე მეფის ვაჟს ლეონ ბატონიშვილს.

## მუხაგბაგი ლეონ ბატონიშვილზე, პრეკლუს კიგე

მეფეს რა ტურფა ვაჟი ჰყავს, სინათლე ორთავ თვალისა,  
ჩრდილი ამო და მფარველი სრულიად გურჯისტანისა,  
სარდალი სახელმადალი, მტერთა დამცემი ზარისა;  
სამყაროს თავფურცელია სახელი ლეონ ხანისა,  
ღმერთი ჰფარვიდეს ლომგულსა, დასტურ, კაი ყმა არისა!

დგას ის ნიჭით და ღირსებით სხვა ქვეყნის ხანთა კიდევან,  
ვაჟყაცია და შეჰფერის თვით ფადიშაჰის დიდება,  
ღმერთსა ვთხოვ, ვარდი კოკობი წერას ნუმც გადვიკდება,

ყველას ჰხამს მისი ბრძანების მორჩილება და რიდება,  
სჯულის სვეტია იმისი ხაზები წარბ-კამარისა!

კარგად გავიცან: ბიჭია, ვით მოწყვეტილი მტევანი!  
მეკეთა მისი უბნობა, ქცევანი და შექცევანი,  
ვაშად ეტყობა მბრძანებლის და დარბაისლის ჩვევანი,  
სახით ანგელოს ვამსგავსე, დავასკვენ ესე რჩევანი:  
რა მშვენიერი მოყმეა, რა დიდებულის გვარისა!

მეფის სხვა შვილებს ვერ შევხვდით, შემთხვევა არ შეგვესწრობია,  
ეს რაკი ვნახეთ ასეთი, თუნდა ისინი გვცნობია!  
ესე ოჯახი შუქ-სხივით მნათობთა შენამობია;  
ვაგიფ, რომ ნახე მაინცა, ღმერთს მადლი უძღვენ, სჯობია.  
კაშკაშებს მეფის ოჯახი მსგავსად მზისა და მთვარისა!

აზერბაიჯანულიდან თარგმნა ზეზვა მელულაშვილმა.





**ა უ შ**

**მარლონ ბრანდო  
ბანაბრძოლას ბრძოლას**

ცნობილი ამერიკელი კინოსახიობი მარლონ ბრანდო აქტიურად მონაწილეობს ზანგების ბრძოლაში სამოქალაქო უფლებების მოპოვებისათვის.

ინგლისში მოგზაურობის დროს ლონდონის აეროპორტში უურნალობტებთან საუბარში ბრანდომ აღნიშნა, მარტინ ლუთერ კინგის ვერაგული მკვლელობის შემდეგ მე არ შემიძლია შორიდან ვუცქირო ადამიანური უფლებების მოპოვებისათვის მებრძოლთა. ბრანდომ განაცხადა, გადაწყვეტილი მაქვს თავი შევწირო ამერიკის ჩაგრული მოსახლეობის — ზანგების, ინდიელების, მექსიკელების ბრძოლას ადამიანური უფლებების მოპოვებისათვის.

მარლონ ბრანდოს გადაწყვეტილი აქვს მონაწილეობა მიიღოს მხოლოდ იმ ფილმებში, რომლებიც ხელს შეუწყობენ ამ ბრძოლას. იგი დათანხმდა იტალიელ რეჟისორს ჯილმოს პონტკორვოს ითამაშოს ფილმში „დაფერფლილი“, რომელიც ეძღვნება ლათინოამერიკელთა ბრძოლას უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ.

მარლონ ბრანდო მართლ არ არის. ბევრი ცნობილი ამერიკელი მსახიობი, მათ შორის გრეგორი პეკი, პოლ ნიუმენი, შირლი მაკლეინი იზიარებენ და მხარს უჭერენ ბრანდოს შეხედულებებს, ფინანსურად ეხმარებიან სამოქალაქო უფლებებისათვის მებრძოლთ.

**ბულგარეთი**

**ტოლსტოი და  
ბულგარეთი**

„ტოლსტოი და ბულგარეთი“ ასეთი სათაურით გაზეთ „ჩიტალიშტეში“ დაიბეჭდა გიორგი კონსტანტინოვის სტატია, რომელიც მიემდვნა დიდი რუსი მწერლის ლევ ტოლსტოის დაბადების 140 წლისთავს. სტატიაში მოთხრობილია იმის შესახებ, თუ როგორ მოხვდა ტოლსტოის ნაწარმოებები პირველად ბულგარეთში და რა გავლენა იქონია მწერლის შემოქმედებამ ბულგარულ ლიტერატურაზე.

„ლევ ტოლსტოი, — წერს სტატიის ავტორი, — ყველაზე მეტად ცნობილი და საყვარელი მწერალია ბულგარეთში. ტოლსტოის შემოქმედებამ დიდი გავლენა იქონია ბევრ ბულგარულ მწერალზე და მათ შორის ვაზოვზე, რომელ-

მაც ტოლსტოის გავლენით ბევრი საუკეთესო ნაწარმოები შექმნა. მათ შორის „მონობის ქვეშ“ და „კაზალარელი დედოფალი“.

1884 წელს „ბულგარულ ქრესტომათიაში“ პირველად დაიბეჭდა ნაწყვეტი ტოლსტოის რომანიდან „ომი და მშვიდობა“, შემდეგ ითარგმნა მისი მოთხრობები და ბოლოს რომანი „ანა კარენინა“.

**გერმანიის  
დემოკრატიული  
რესპუბლიკა**

**გეპერის ხსოვნას  
ემდგვნა**

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კინემატოგრაფისტებმა თავიანთი ახალი ნამუშევარი უძენეს იოჰანეს ბეპერის ხსოვნის ათი წლისთავს. კინოსტუდია „დეფა“ იღებს ახალ ფილმს ბეპერის რომანის „გამოთხოვებას“ მიხედვით.

**ანე ფრანკის ხსოვნას**

ახალგაზრდა ბერლინელი მოქალაქე გერჰარდ რომელი მუშაობს ანე ფრანკის ძეგლზე, რომელიც წარმოადგენს რელიეფური ფიგურებით გარშემორტყმულ კოლონას. გერმანიის



დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების 20 წლისთავთან დაკავშირებით ძველი დაიდგმება ქალაქ ტისინში, იმ სკოლის ეზოში, რომელიც ანე ფრანკის სახელს ატარებს. ანე ფრანკის ფიგურა გერმარდ რომელმა შექმნა ლენინგრადელი მოქანდაკის ბორის ვორობიოვის ქალიშვილის ფიგურის მიხედვით.

### ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა

#### წერილი ჰანოიდან

გაზეთ „ლუმინატეში“ დაიბეჭდა ცნობილი ფრანგი ურნალისტი ქალის მადლენ რიფოს წერილი, რომელშიც იგი წერდა: „მე კვლავ ჰანოიში ვარ. დავდივარ დანგრეულ ქალაქის ქუჩებში. კვარტალები აღდგენილია. ნანგრევების კვალი გაწმენდილია. დამწვარი სახლების ადგილას ახალი ბაღები გაუშენებიათ. აღდგენილია ყველაფერი, რისი გაკეთებაც სასწრაფოდ შეიძლებოდა. შეკეთებულ სახლებში კვლავინდებურად ჩქეფს სიცოცხლე. მშვიდობიან წუთებში ჰანოის მოსახლეობა ცდილობს დანგრეულის აღდგენას.“

გასულ კვირას ქუჩებში კვლავ სავსე იყო ბავშვებით. სამხრეთიდან უბრავე გამარჯვების ქარი. ვიეტნამელებს სწამთ გამარჯვების. ჰანოის ცაზე ხანდახან გამოჩნდებიან ამერიკის თვითმფრინავები და მაშინ ვიეტნამელები ამბობენ: „ამერიკელები ემზადებიან ახალი თავდასხმისათვის, მაგრამ ჩვენც ვემზადებით. ჩვენ ხომ

არასოდეს დავგიბომბავს ნიუ-იორკი, მაგრამ მზად ვართ გმირულად ვუპასუხოთ ყოველ მათ თავდასხმას“.

### იპოვნია

#### კოგო აბე — საზრანგეთის პრემიის ლაურეატი

საფრანგეთში არსებობს ლიტერატურული პრემია, რომელსაც აკუთვნებენ საზღვარგარეთელი მწერლების საუკეთესო ნაწარმოებს. ამასთანავე ფრანგულ ენაზე თარგმნილი უნდა იყოს ავტორის არა უმეტეს სამი წიგნისა.

პრემიის მიზანია, მკითხველი დაინტერესოს იმ ნიჭიერი საზღვარგარეთელი მწერლებით, რომლებიც ნაკლებად პოპულარულნი არიან საფრანგეთში. როგორც პრესა იტყობინება ეს პრემია მიენიჭა ცნობილ იაპონელ მწერალს კობო აბეს რომანისათვის „ქალი სილაში“ (რომანი დაიბეჭდა ურნალ „ინოსტრანაია ლიტერატურაში, № 5, 1966 წ.).

### ინფორმაცია

#### ბაირონი... აღიარეს

144 წლის წინათ დაიღუპა გენიალური ინგლისელი პოეტი ჯორჯ გორდონ ბაირონი, რომელმაც ბერძენი ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლაში დალია სული. მას შემდეგ თითქმის ერთნახევარი საუკუნის განმავლობაში ვესტმინსტერის საბატო, სადაც უკვადვეყოფილია ყველა ცნობილი პოეტის სახელი, სასტიკ უარს აცხადებდა დაეღაოთ თავი-

სუფლებისათვის მებრძოლი პოეტის ძველი და გაუკეთებინათ მემორიალური დაფა. მთელი ამ ხნის განმავლობაში ინგლისის ცნობილი პოეტები, მწერლები, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეები იბრძოდნენ „ჩაილდ ჰაროლდის“ და „ლონ უუინისა“ და „კაენის“ ავტორის სახელის უკვდავსყოფად, მაგრამ ამაოდ.

1924 წელს, როდესაც აღინიშნა პოეტის დაღუპვის 100 წლისთავი, ინგლისელმა საზოგადო მოღვაწეებმა ეპისკოპოს რაილის მკაცრი უარი მიიღეს ამის პასუხად გაზეთ „ტაიმსში“ გაიჭვანვა საპროტესტო წერილი, რომელსაც ხელს აწერდნენ რედარად კიპლინგი, თომას ჰარდი და სხვები.

მხოლოდ ახლახან, საზოგადოების დიდი ძალბატანების შედეგად, ვესტმინსტერმა შეცვალა თავისი გადაწყვეტილება. 1969 წლის 19 აპრილს, ბაირონის გარდაცვალების 145 წლისთავთან დაკავშირებით ვესტმინსტერის საბატოში გაიხსნება ბაირონის ძეგლი. ძეგლზე ამოკვეთილი იქნება წარწერა, რომელიც ბაირონმა ერთ-ერთი იტალიელის საფლავზე ნახა და საკუთარი საფლავისათვის ინტრა „გვედრებ მშვიდობას“.

#### ოლივიე არ შამპდარა

ოცდაათი წლის წინათ, ლონდონის ერთ-ერთ თეატრში, ანტრაქტის დროს ავანსცენაზე გამოვიდა შამპეტის კოსტიუმში ჩაცმული ლოურენს ოლივიე და განაცხადა: „ქალბატონებო და ჯენტლმენებო, სიამოვნებით მინდა გაცნობოთ, რომ ლატის („ჰამლეტის“ ერთ-

ერთი გმირი) შეეძინა ქალიშვილი. დარწმუნებული ვარ, რომ მომავალში იგი ბრწყინვალე მსახიობი იქნება...”

ლერტის როლს ასრულებდა ცნობილი მსახიობი მაიკლ რედგრივი.

ოლივიე არ შეშვდარა. ვანესა დღეს ინგლისის ერთ-ერთი ცნობილი მსახიობია. მაგრამ მას იცნობენ არა მარტო როგორც მსახიობს. ამასწინათ ლონდონის გაზეთებმა გამოაქვეყნეს ვანესას ფოტო, როდესაც იგი ერთ-ერთ შიტიინგზე პროტესტს აცხადებს ვიეტნამის ბინძური ომის წინააღმდეგ.

## ი ტ ა ლ ი ა

**ფადერიაო ფალინი:  
ძველი რომის  
„ტაბილი ცნობრება“**

— მე მინდა მივბაძო არქეოლოგების მაგალითს: ამა თუ იმ ნაპოვნი ნივთის ნაწილების შეერთების შედეგად შესაძლოა ნივთი ვერ მივიღოთ, მაგრამ მივიღებთ საგანს, რომელიც წარმოდგენას შეგვიქმნის ამ ნივთზე. მე სრულებით არ ვცდილობ გადავიღო ისტორიულ - დოკუმენტური ფილმი — ამბობს ფელინი ახალ სურათზე, რომელზედაც ამჟამად მუშაობს.

ამჯერად ცნობილმა კინორეჟისორმა მიმართა ისტორიულ სუბუტს. იგი იღებს ფილმს პეტრონის არბიტრის „სატირიკონის“ მიხედვით, რომელიც დაწერილია ნახევრად ლექსად, ნახევრად პროზად ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნეში და მოღწეულია არასრული სახით. ეს არის იმდროინდელი საზოგადოების მკაცრი სატირა.

ჟურნალ „ეუროპოს“ კორესპონდენტის კითხვაზე — რამ გადააწყვეტინა ამ ფილმის გადაღება, ფელინიმ განაცხადა, რომ იმპერიის დაცემის ეპოქის რომი ძალიან წააგავს თანამედროვე სამყაროს — იგივე სწრაფვა ცხოვრებით ტკბობისაკენ, იგივე იდეური რწმენისა და ზნეობრივი პრინციპების უქონლობა, იგივე სასოწარკვეთილება და ფუქსავატობა.

ფილმის მთავარი გმირები — ფათერაების მოყვარული ორი ახალგაზრდა — არენაზე იბრძვიან, როგორც გლადიატორები. გულშემატკივრები გაყვირიან „მოკალი“ ზოგიერთები ყვირიან უმრავლესობისათვის გაუგებარ ენაზე, რაც ტიტრებზე იშიფრება. ბრძოლის შემდეგ ორივე გმირი დაეხეტება ქალაქში, რომელიც დღევანდელ რომს მოგვაგონებს: საარსებოები, მოტყუებული პროვინციელები, სექვიო ჩინოვიეები. ქალაქში შეწყვეტილია მოძრაობა. ეტლით მგზავრობა ნებადართულია მხოლოდ ღამის საათებში. მდიდრებიან საქმოსნები, სპეკულანტები. გმირები მოგზაურობენ ზღვით, ხდებიან იმპერატორის მოკვლის მოწმენი. გემის დაღუპვის დროს თავს უშველიან, დაეხეტებიან და ბოლოს აფრიკაში მოხვდებიან.

— უანრის მიხედვით ფილმი ფანტასტიკური იქნება, — ამბობს ფელინი. — რომის იმპერია ჩვენთვის გამოცანაა. ამბობენ, ძველი რომაელები პირის პარსეისას მიღებულ ჭრილობაზე ობობას იღებდნენო. გადმოცემით ისინი ჭამდნენ ყანჩებსა და ფარშევანგებს. ძველი რომაელები მოღალა-

ტიებსა და დევეტირებს წარბებს პარსავდნენ. თითო პარიკებს ატარებდნენ მხოლოდ მსუბუქი ყოფაქცევის ქალები. ლაპარაკობდნენ უცნაური, ჩვენთვის გაუგებარი ეტიკეტულაციით, ძალღებვიკი ჩვენთვის უცნობი ჭიშისა ჰყავდათ. მათი მიმოიკაც სხვაგვარი იყო. იმდროინდელ ადამიანთა ფსიქოლოგია ჩვენთვის მიუწვდომელია. მათ არ ეშინოდათ სიკვდილის და ცოდნენ, სანამ ცოცხლები იყვნენ, უნდა დამტკბარიყვნენ ცხოვრებით. მაგრამ არაფერი ამგვარი მე არ მინტერესებს. მე სრულებით არ მსურს გადავიღო დოკუმენტური ფილმი, — აცხადებს ფელინი“.

ფილმი გასტანს სამ საათს და მონაწილეობას მიიღებს მრავალი ცნობილი მსახიობი. ფელინის განზრახული აქვს მიიწვიოს: ელიზაბეტ ტილორი, ბრიჯიდ ბარდო, ბარტონი, ბითლზები, მარლონ ბრანდო, ალბერტო სორდი და სხვები.

## საზრანავითი

**ანდრე ფუჟარონი  
და მისი პაპპარლი**

რამდენიმე თვის წინ, პარიზში, ყოველწლიური სამხატვრო გამოფენის ლაურეატად გამოცხადდა ცნობილი ფრანგი მხატვარი კომუნისტი ანდრე ფუჟარონი. გამოფენაზე განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა ტილომ „ვიეტნამი, 1967 წელი“, ახლახან მოსკოვში, პუშკინის სახელობის სახვითი ხელოვნების მუზეუმში მოეწყო მხატვრის აკვარელის გამოფენა.

გამოფენაზე საუბრის





დროს ფუფერონმა განაცხადა — მე შეგნებულად შევცვადე, სურათები არ დამელაგებინა ქრონოლოგიურად. აქ წარმოდგენილია სხვადასხვა წლების ნამუშევრები. „რთული სიყვარული“, როგორც ხედავთ ეს არის სურათი ნიუ-იორკელი ზანგი ქალიშვილისა და თერთანიანი ბიჭუნასი... ამერიკელი ზანგის დისკრიმინაციის საკითხი მე ყოველთვის მალეღებდა და ახლაც მალეღებხს. ამ დარბაზში შევეცადე შემეკრიბა ჩემი ახლანდელი ძიების ნიმუშები. აი — ბრძოლა ვიეტნამში, მკა, ფრანგული პეიზაჟები... და ყველაფერი — ადამიანი. ჩემთვის არ არსებობს ხელოვნება. უადამიანოდ. ვხატავ ყველაფერს, რაც კი მალეღებხს და მიტაცებს. ჩემი შემოქმედების მთავარი თემა ყოველთვის იყო და იქნება ადამიანი, ბრძოლა მისი ბედნიერებისათვის, ბრძოლა მისი ჩაგვრის წინააღმდეგ.

მე დარწმუნებული ვარ, — განაცხადა ფუფერონმა, — რომ ეს გამოფენა კიდევ უფრო განამტკიცებს მეგობრობას ფრანგ და საბჭოთა ხალხებს შორის.

„მიუპაზრბარ, მიუპაზრბარ შინ“

ცნობილი კინორეჟისორის ალენ რენეს ფილმმა „მიუყარხარ, მიუყარხარ შინ“ დიდი გამოხმაურება გამოიწვია საფრანგეთის პრესაში. ფილმის მთავარი გმირი ჩვეულებრივი ახალგაზრდაა, რომელმაც განიზარაბა თავი მოკვლა. სასიკვდილოდ დაპირილი კლოდი დიდხანს იწვა საავადმყოფოში. როდესაც გამოჯანსაღდა კლოდი საავადმყოფოდან გაიყვანა

უცნობმა, რომელმაც შესთავაზა მონაწილეობა მიელო დროის მანქანის გამოცდაში. გამომგონებელმა შექმნეს მანქანა, რომელიც ადამიანს ერთი წლით უკან, წარსულთან დაბრუნებდა. მანქანის კამერაში კლოდმა დაინახა საკუთარი თავი ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე იმ ქალთან ერთად, რომლისთვისაც მან თავის მოკვლა განიზარაბა. შემდეგი ცდა უშედეგოდ დამთავრდა. ექსპერიმენტატორებს დაავიწყდათ თავიანთი პაციენტი. კლოდს კვლავ დაებოდა თვითმკვლელობის სურვილი და თავი მოკლა.

გაზეთი „ლუშანიტე-დემანი“ დიდ შეფასებას აღეცხდა რენეს ახალ ფილმს და წერდა: ფილმის მთავარი გმირები — ორი არსება — ერთმანეთს აწამებენ, ისინი ავადმყოფურად გაღიზიანებული არიან იმ სამყაროთი, რომელშიც თვითონ ცხოვრობენ. მათ არა აქვთ ბრძოლის უნარი, იქებებიან საკუთარ თავში, გაუბრბიან რეალურ სინამდვილეს და სიცოცხლეს ტრაგიკულად ასრულებენ.

— ფილმი ასახავს იმ საზოგადოებისა და ეპოქის ტრაგიკულ სინამდვილეს, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, — წერს ბოლოს გაზეთი.

თვითონ რეჟისორი ფილმის შესახებ „ლეტრ ფრანსეზის“ კორესპონდენტთან საუბარში წერდა: „ეს არის სენტიმენტალური ფილმი. მისი მეცნიერულ-ფანტასტიკური ასპექტი — ბანალურია. არსებობს ასი, ორასი მოთხრობა მანქანებზე, მით უმეტეს, ბევრია მოთხრობები შეყვარებულებზე, მაგრამ ამას არა აქვს მნიშვნელობა. მე მინდა გადავიღო ფილმი, რომელსაც თუნდაც ერთხელ

მილიონი მაყურებელი ეცნობოდა.“

ფილმში მთავარი გმირის როლს ასრულებს მსახიობი კლოდ რიში.

**პოეტი — მომღერლის ხსოვნას**

შესრულდა 70 წელი გამოჩენილი პოეტი-მომღერლის ლებედევ-კუშჩინის დაბადებიდან. ამ თარიღთან დაკავშირებით 21 აგვისტოს კავშირების სახლის ოქტომბრის დარბაზში შედგა პოეტის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საკავშირო მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა ალექსეი სურკოვმა. საღამოზე სიტყვებით გამოვიდნენ პოეტები: ალექსეი ჟაროვი, ლიუდმილა ტატიანიჩევა, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტები: ლიუბოვ ორლოვა, ლეონიდ უტიოსოვი, კომპოზიტორები: ანოვიოვი და მ. ბლანტერი.

მეორე განყოფილებაში შესრულებულ იქნა ლებედევ-კუშჩინის ცნობილი სიმღერები, მათ შორის — „ერცულია ჩემი სამშობლო“ და სხვები.

**12000 ფრანკის ღირებულების შმისტი**

1,5 მილიონი ახალი ფრანკის ღირებულების ვებერთელა ბრილიანტმა სუთჭერ გაიღვა იმ ადამიანების თვალწინ, რომლებსაც თავი მოეყარათ სურათებისა და ანტიკვა-



რული ნივთების აუქციონზე, ლონდონში.

კლოდ მონეს ერთ-ერთი სურათის ფასი ბეჭდის მფლობელის, მსოფლიოში ყველაზე მდიდარი კინომსახიობის, ელიზაბეტ ტილლორის ყოველი ფესტის შემდეგ 12000 ფრანკით იზრდებოდა. ტილორმა მიაღწია სარეკორდო ღირებულებას — 600 000 ახალ ფრანკს და მონეს სურათის მფლობელი გახდა.

მისმა მეუღლემ ბარტონმა იმავე აუქციონზე დეგას სურათის ფასი 1,5 მილიონ ფრანკამდე გაზარდა, მაგრამ უკანასკნელ მომენტში გადაიფიქრა მისი შექმნა და სანაცვლოდ შეიძინა პიკასოს პატარა ნახატი, რომელშიც 108 ათასი ახალი ფრანკი გადაიხადა.

ელიზაბეტ ტილორი და მისი მეუღლე ბარტონი ძვირფასი ნახატების კოლექციას დიდი ხანია აგროვებენ. ფენევის სამხატვრო მუზეუმში სისტემატურად ინახება მათი კოლექცია, რომელიც მილიონ ფუნტ სტერლინგზე მეტს ფასობს. მოუსვენარი ცხოვრება ცოლ-ქმარს საშუალებას არ აძლევს ხშირად ინახულონ მუზეუმში და დატკბნენ შექმნილი შედეგების ცქერით. თუმცა რა აზრი აქვს მათ ნახვას თვით ბარტონის განცხადების შემდეგ: „მე, დაახლოებით, ისევე ვიქცევი ფერებში, როგორც ბრმა“.

ტილორს და მის მეუღლეს ხელოვნება იმდენად არ აინტერესებთ, რამდენადაც ყიდვის დროს მიღე-

ბული სიამოვნება, და განსაკუთრებით სასიამოვნოა ეს პროცესი, თუკი იგი ვიდებერთელა ბრილიანტის სხივების ციმციმში ხდება.

### რს ღირს კანდიდატი

საარჩევნო კომპანია ამერიკის შვერთებულ შტატებში ძალზე ძვირი ჯდება. ყოველი პარტია არჩევნების დროს ხარჯავს 20-დან 30-მდე მილიონ დოლარს. გაწეული ხარჯის ნაწილს თვით კანდიდატები ფარავენ. ერთ-ერთმა ამერიკულმა გაზეთმა (ნიუს ენდ უორლდ რიპორტმა) განიზარახა დაეანტარიშებინა პრეზიდენტობის მომავალი კანდიდატების ფინანსური შესაძლებლობანი.

იუჯინ მბაბრტი. სენატორ-დემოკრატი მინესოტიდან.

წლიური შემოსავალი 50 ათასი დოლარი. მისი უძრავი ქონება შეფასებულია 30 ათასად.

ნელსონ როკველერი. მულტიმილიონერი. ყველაზე მდიდარი კაცი კანდიდატებს შორის. როკველერების ოჯახის კაპიტალი მილიარდებით აღირიცხება.

რიჩარდ ნიქსონი. ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი, რესპუბლიკელი.

როგორც ცნობილია, მისი წლიური შემოსავალი შეადგენს 200 ათას დოლარს. უძრავი ქონების ღირებულება 250 ათასია.

### მუშა პიჯაპაზინი „ჯინტლმენები“

საბერძნეთის პრემიერ-მინისტრ პაპადოპულოსზე თავდასხმის შემდეგ სახელმწიფოში კვლავ დაიწყო დაქვრები.

როგორც ავსტრიის პრესა იტყობინება, მოქალაქეებს პირდაპირ ქარხნებსა და დაწესებულებებში აკავებენ, ვინაიდან ბინადედაკავების დროს გაჰყოფენ ოჯახის წევრები, გამოზრდიან ცნობისმოყვარე მეზობლები და იქმნებოდა „უხერხული მდგომარეობა“.

საბერძნეთის თითქმის ყველა საწარმოში სხედან პოლიციის საიდუმლო აგენტები, რომელთა მოვალეობას შეადგენს კონტროლი გაუწიონ მიმოწერას, მოსამინო ტელეფონით საუბარი და თვალყური ადევნონ მუშებს. ისინი დადიან ქუჩებში, შედიან კაფეებში და ცდილობენ საუბარში ჩაითრიონ კეთილსინდისიერი მოქალაქეები.

„ჩამობრძანდით საბერძნეთში — აქ სუფევს სრული სირუმი და წესრიგი! — „შავი პოლიკონიკები“ ამ სიტყვებით ცდილობენ შეცდომაში შეიყვანონ უცხოელი ტურისტები. მაგრამ იშვიათად თუ ვისმის აღფრთხილ სურვილი აქროპოლის მდიდრობი მოიაროს მუქ პიჯაპაზინი გამოწყობილი „ჩეტლმენების“ თანხლებით.



**КОНТРОЛЬНЫЕ  
ЭКЗЕМПЛЯРЫ**

ქურონალი ვააფორმა დ. წარაფიშვილმა

პლაკატი წ. მემარიაშვილისა

ტექნიკური ხელმძღვანელი ე. აბდუშელიშვილი.

---

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლგხანოვის პროსპ. № 91.

ტელეფონები: რედაქტორის — 95-08-75. პ/მგ. მდივნის — 95-08-86. განყოფილებების: პოეზიის, კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის — 95-08-85. პროზის, კულტურისა და ხელოვნების — 95-08-85.

---

ხელმოწერილია დასაბეჭდად 28/IX-68 წ., ქალაქის ზომა 70×108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 13,7. შეკვ. № 2984. უე 02492. ტირ. 16.900.

---

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი. თბილისი, ლენინის 14.

3360 60 333.

597 0 4



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-  
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

**«ЦИСКАРИ»**

издательство

«М Е Р А Н И»

И Н Д Е К С 76236